


2020 წელს
ჩატარებული
არქეოლოგიური გათხრების
მოკლე ანგარიშების კრებული



2020 წელს ჩატარებული
არქეოლოგიური გათხრების
მოკლე ანგარიშების კრებული



საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო

კრებული შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს:

მაია ჩოლოყაშვილი, თამარ ნინიაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი: დავით ლომიტაშვილი

სარედაქციო კოლეგია: კონსტანტინე ფიცხელაური, ზურაბ გიორგაძე

სტილისტური რედაქტორი: მაია ჩოლოყაშვილი

ინგლისური ტექსტების რედაქტორი: ნინო გაბუნია

დიზაინი და დაკაბადონება: თამარ გულბანი, მელიტა ჩოლოყაშვილი

რედაქციისგან:

რედაქცია, შესაძლოა, არ იზიარებდეს კრებულში გამოქვეყნებულ მოკლე ანგარიშებში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას, მაგრამ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო შეუფერხებლად გამოაქვეყნებს ამგვარ ნაშრომებსაც და, შესაბამისად, ღიაა პოლემიკისთვის.

Collection compiled and prepared for publishing:

Maia Cholokashvili, Tamar Niniashvili

Managing editors: David Lomitashvili

Editorial board: Konstantine Pitskhelauri, Zurab Giorgadze

Styles editor: Maia Cholokashvili

Editor of English texts: Nino Gabunia

Design and typesetting: Tamar Gulbani, Melita Cholokashvili

From the editorial board:

The editorial board might not share some of the opinions expressed in the published short reports, but the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia will publish such works without hindrance and, accordingly, is open to polemic.

2021

სარჩევი/Content

გუდაბერტყას ნამოსახლარზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოხლა ანგარიში - გიორგი მინდიაშვილი	12
A short report on archaeological excavation of Gudabertka settlement in 2020 - Giorgi Mindiashvili	16
მაშავერას გორაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - ჯონი აბულაძე, დიმიტრი ჯვანია, საბა ჯოხაძე, გურამ ჩიქოვანი, სულხან ხარაბაძე	17
A short report on archaeological works excavations conducted on Mashaveras Gora in 2020 - Joni Abuladze Dimitri Zhvania, Saba Jokhadze, Guram Chikhovani, Sulxan Kharabadze	22
ზაკაგორის ციხე-სოფალზე 2020 წელს განხორციელებული სადარბაზო არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - დავით ბერიკაშვილი	24
A short report on archaeological excavations conducted at Zakagori in 2020 - David Berikashvili	28
აზრეთის ორთვალა მღვიმეში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის მოხლა ანგარიში - დავით ბერიკაშვილი	30
A short report on archaeological excavations conducted at Ortvale Cave in 2020 - David Berikashvili	35
სამგვილდის ციხადალზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - დავით ბერიკაშვილი	37
A short report on archaeological excavations conducted in Samshvilde in 2020 - David Berikashvili	42
მთიულეთსა და ხვსუნეთში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოხლა ანგარიში - გიორგი გოგოჭური, ირინა ლაშაბიძე, ბიძინა შურვანიძე, ნინო ოთხვანი	43

A short report on archaeological excavations conducted in Mtiuleti and Khevsureti in 2020 - <i>Giorgi Gogochuri, Irina Gambashidze, Bidzina Murvanidze, Nino Otkhvani</i>	48
ქვემო ქართლში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - <i>ბიძინა მურვანიძე, გიორგი გოგოჭური, დავით მინდორაშვილი</i>	50
A short report of the second phase of archaeological excavations in Kvemo Kartli in 2020 - <i>Bidzina Murvanidze, Giorgi Gogochuri, David Mindorashvili</i>	65
ნოქალაქის ნაქალაქარა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - <i>ნიკოლოზ მურგულია, დავით ლომიტაშვილი, ბასია ლორთქიფანიძე, ნინო ქაბულაძე, ვოლ ვეკერიძი, იან კოლვინი, თამარ ნინიაშვილი დავით ალანია, ნინო ხუციშვილი, ნიკოლოზ დიასამიძე</i>	66
A short report of the Anglo-Georgian Archaeological Expedition to Nokalakevi 2020 - <i>Nikoloz Murghulia, Davit Lomitashvili, Besik Lortkifanidze, Nino Kebuladze, Paul Everill, Ian Colvin</i>	73
ჰაქინჯის ციხეა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - <i>ნიკოლოზ მურგულია, დავით ლომიტაშვილი, ნინო ქაბულაძე, დავით ალანია, თამარ ნინიაშვილი, ნინო ხუციშვილი</i>	74
A short report on archaeological excavations conducted in Chakvinja in 2020 - <i>Nikoloz Murghulia, Davit Lomitashvili, Nino Kebuladze, Davit Alania, Tamar Niniashvili, Nino Khutsishvili</i>	80
ხანენციციხეა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - <i>ბასია ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მურგულია, დავით ლომიტაშვილი, ნინო ქაბულაძე, თამარ ნინიაშვილი, დავით ალანია, ნინო ხუციშვილი, ნიკოლოზ დიასამიძე</i>	81
A short report of the archaeological works conducted on Khuntsi Fortress in 2020 – <i>Besik Lortkipanidze, Nikoloz Murgulia, Davit Lomitashvili, Nino Kebuladze, Tamar Niniashvili, Davit Alania, Nino Khutsishvili, Nikoloz Diasamidze</i>	86
ჭიათურის მონიციხეების სოფ. ითხვისში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური მუშაოების მოხლა ანგარიში - <i>ზურაბ ბრატაძე</i>	89

A short report on archaeological excavations conducted in Itkhvisi in 2020 – <i>Zurab Bragvadze</i>	92
გუბათში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში - <i>იულონ გაგოშიძე, ჯი ხანიუთი, დავით გაგოშიძე</i>	94
A short report on Georgian-German Gumbati Archaeological Expedition in 2020 - <i>Iulon Gagoshidze, Kai Kaniuth, David Gagoshidze</i>	98
"ზონდის მღვიმეში" 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში - <i>ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი</i>	100
A short report on archaeological excavations conducted in Bondi Cave in 2020 - <i>Nikoloz Tushabramishvili</i>	108
გორისა და ახალის მავალითურ ჯომვლქსაბა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში - <i>დიმიტრი ნარიმანიშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი</i>	109
A short report on archaeological excavations conducted at Shaori and Abuli Megalithic Complexes in 2020 - <i>Dimitri Narimanishvili, Goderdzi Narimanishvili</i>	115
აპრანლოსა და სამაბას მავალითურ ჯომვლქსაბასა და ბაშთაშენის "ნაქალაქარუა" 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში - <i>დიმიტრი ნარიმანიშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი</i>	116
A short report on archaeological excavations at Avranlo and Sameba megalithic Complexes and Beshtasheni 'settlement' - <i>Dimitri Narimanishvili, Goderdzi Narimanishvili</i>	119
ჭობარეთის ბარასულ ნამოსახლარუა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში - <i>კახა კახიანი, გ. ბაღიაშვილი, ს. მარკოზია, გურამ ჩიქოვანი, დ. ჯაჭვიანი, ლარი ჯიბლაძე</i>	120
A short report on archaeological excavations conducted at the terraced settlement of Chobareti in 2020 - <i>Kakha Kakhiani, G.Bedianashvili, S. Markozia, G.Chikovani, D. Jachviliani, L. Jibladze</i>	125
"მარხომარის გორარუა" 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში - <i>ნანული კაკუაშვილი</i>	126

A short report on archaeological excavations at Machkhomeiris Gora, 2020 – <i>Nanuli Papuashvili</i>	127
თბილისში, ხოლაშენის ქაჩხა, 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - <i>ირაკლი ანჩაბაძე, მერაბ ძნელაძე</i>	129
A short report of archaeological excavation conducted in Khodasheni street, Tbilisi in 2020 - <i>Irakli Anchabadze, Merab Dzneladze</i>	132
ოხარახვიის ნაქალაქარის 2020 წლის არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - <i>ალექსანდრა ნონეშვილი, თეიმურაზ ბიბილური, ლ. ხაყანიანი, დ. ახვლედიანი, ივანე ბიბილური</i>	137
A short report on archaeological survey at Okherakhevi, 2020 - <i>A. Noneshvili, T. Bibiluri, L. Khetsuriani, D. Akhvlediani, I. Bibiluri</i>	142
ოხარახვიის სამაროვნის 2020 წლის არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - <i>ალექსანდრა ნონეშვილი, თეიმურაზ ბიბილური, დიმიტრი ახვლედიანი, ივანე ბიბილური, ლ. ხაყანიანი, ჯ. ფაჩოშვილი</i>	143
A short report on archeological excavations conducted at Okherakhevi Cemetery in 2020 - <i>A.Noneshvili, T.Bibiluri, D.Akhvlediani,I.Bibiluri, L.Khetsuriani, K.Phachoshvili</i>	146
საბურთლოს სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - <i>ბორის გელაშვილი</i>	147
A short report of archaeological works conducted at the monastery complex in Village Sabue in 2020 - <i>Boris Gelashvili</i>	150
სურამის ციხეზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - <i>ბორის გელაშვილი</i>	151
A short report of archaeological excavations conducted at Surami Fortress located in Khashuri Municipality in 2020 - <i>Boris Gelashvili</i>	155
ფრანკის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - <i>ნინო პატარიძე, დავით დარეჯანაშვილი, მათე ახალაია</i>	156
A Short Report on archaeological excavations carried out in Paravani in 2020 - <i>Nino Pataridze, Davit Darejanashvili, Mate Axalaia</i>	160

"უთმირის" გორის ნაქლასიარზა 2020 წაღს ჩაბარაბული არქაოლოგიური სამუშაოების მოქლა ანგარიში - როლაანდ ისაკაძე, შალვა ბუაძე, თაონა ბუბუტეიშვილი	161
<i>Archaeological excavation of "Uthmir" hill Church in Gelati - Roland Isakadze, Shalva Buadze, Teona Bubuteishvili</i>	164
ნაღიარაბი I-სა და გოგიჩაანთ დაღაღს ნასახლაარაბა 2020 წაღს ჩაბარაბული არქაოლოგიური გათხრაბის მოქლა ანგარიში - ირინა ლაბაშიძე, ბიძინა მურვანიძე, ნინო ოთხვანი, დავით მინდორაშვილი, გიორგი გოგოჭური, ელაონორა სახვაძე	166
<i>A short report on archaeological excavations conducted at Nadikrebi I and Gogichaant Ghele Settlements (Borjomi Municipality) in 2020 - Irina Gambashidze, Bidzina Murvanidze, Nino Otkhvani, David Mindorashvili, Giorgi Gogochuri, Eleonora Sakhvadze</i>	172
სოფ. გონანრის წმინდა გიორგის სახალობის ექლაღიის ბარინბორიზა 2020 წაღს ჩაბარაბული არქაოლოგიური სამუშაოების მოქლა ანგარიში - დავით სულხანიშვილი, გიორგი ბარაჩანაძე, მაღონა მშვილდაძე	173
<i>A Short report of archaeological works conducted on the territory of Saint George Church in Village Gokhnari - David Sulghanishvili, Giorgi Burjanadze, Madona Mshvildadze</i>	178
ღანისის სააროვანთან შამთხვაპით გამოვღანილ საარრზა, 2020 წაღს ჩაბარაბული არქაოლოგიური სამუშაოების მოქლა ანგარიში - ნანა რეზესიძე	179
<i>A short report on archaeological excavations of a grave revealed near Dmanisi cemetery, 2020 – Nana Rezesidze</i>	182
ღანისის შუა საუანაეაბის ნაქლაქარზა 2020 წაღს ჩაბარაბული არქაოლოგიური გათხრაბის მოქლა ანგარიში - ჰიშარ ჩხვიმინი, ნანა რეზესიძე, გიორგი ეოვალღანი, ვაზა მამიაშვილი, გიორგი გოგოლაძე, ხათუნა გაფრინდაშვილი, შოთა ურუმაშვილი, გოგა კილაძე	183
<i>A short report on archaeological excavations conducted at Dmanisi (Dmanisi Municipality, Kvemo Kartli) in 2020 - Jimsher Chkhvimiani, Nana Rezesidze, Giorgi Kopaliani, Vazha Mamiashvili, Giorgi Gogoladze, Khatuna Gaprindashvili, Shotha Urumashvili, Gocha Kiladze</i>	192

სვანეთში, ბაჩოს თემის ტერიტორიაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - ზვიად ჯვიციანი	193
A short report on archaeological excavations on the territory of Becho community, Svaneti, 2020 - Zviad Kvitsiani	197
ხვამლის მთაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - დავით სულხანიშვილი, ჯობა ჯობერიძე, თამარ ლეჟავა	198
A short report on archaeological excavations in Khvamli in 2020 - Davit Sulxhanishvili, Koba Koberidze, Tamar Lejava	202
სოფ. ყვიზისში, „ბარანის საყდარზე,, 2020 წელს ჩატარებულ არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - გიორგი ლალიაშვილი, გიორგი მყვარაძე	204
A short report on archaeological excavations conducted in Kvibisi in 2020 - Giorgi Laghiashvili, Giorgi Mtskeradze	208
სამთავროს ველსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - ნიკოლოზ მაისურაშვილი	209
A short report of archaeological excavations in the Samtavro valley and adjacent territories in Mtskheta in 2020 - Nikoloz Maisurashvili	212
გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - შოთა მამულაძე, ჯახაბერ ქაბაღაძე, თათული მოწყობილი	214
A Short report of archaeological excavations conducted in Gonio-Apsaros in 2020 - Shota Mamuladze, Kakhaber Kamadadze, Tornike Mamiseishvili, Tatuli Motskobili	218
ბოლნისის სიონის ტაძრის ტერიტორიაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - გურამ ყიფიანი, ადრონა მშვილდაძე	220
A short report on archeological works conducted at Bolnisi Sioni Temple Site in 2020 - Guram Kipiani, Madona Mshvildadze	225
ქსანი-ბოსელახეჯაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში - დავით სულხანიშვილი, ნიკოლოზ ჩაღუნელი	226

A short report of archaeological excavations at Qsani-Boselakhevi in 2020 - <i>David Sul Khanishvili, Nikoloz Chaduneli</i>	229
ძალისა-ჭალისთავა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხაზი ანგარიში - <i>ღავით სულხანიშვილი, ნიკოლოზ ჩადუნელი</i>	231
A short report on archaeological excavations conducted in the Ancient Town in 2020 - <i>Vazha Sadradze, Merab Dzneldze, Elgudja Gligvashvili, Irakli Anchabadze</i>	233
სახაჟის მღვიმეში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხაზი ანგარიში - <i>ნიკოლოზ ნიქარიძე</i>	234
A short report of archaeological excavations conducted at Sakhazhia Cave in 2020 - <i>Nikoloz Tsikaridze</i>	237
ზრინჯაოს მღვიმეა და ორმაგ ხეში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხაზი ანგარიში - <i>ნიკოლოზ ნიქარიძე</i>	239
A short report on archaeological excavations at Bronze and Double caves in Tsutkhvati Cave complex in 2020 - <i>Nikoloz Tsikaridze</i>	245
უჯარმის ციხე-ქალაქი 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხაზი ანგარიში - <i>არსენ ხატიანიშვილი</i>	247
A Short report on archaeological excavations at Ujarma Fortress-City in 2020 - <i>Arsen Khatiashvili</i>	250
მთა "ირმის რქაზე" 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოხაზი ანგარიში - <i>გია ჩილინგარაშვილი</i>	252
A short report on archaeological excavations conducted on Mt. Irmis Rka in Adigeni Municipality in 2020 - <i>Gia Chilingarashvili</i>	263
აღვილ დამირგაია 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხაზი ანგარიში - <i>გია ჩილინგარაშვილი</i>	264
A short report on the archaeological excavations conducted in Damir-gaya, 2020 - <i>Gia Chilingarashvili</i>	273
ვახანის ნაქალაქარა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხაზი ანგარიში - <i>ვაჟა საღრაძე, მერაბ ძნელაძე, ელ-გუჯა ღლიღვაშვილი, ირაქლი ანჩაბაძე</i>	275

A short report of Archaeological excavations Carried out at Gurianta-Vashnari Site of the Ancient Town in 2020 - <i>Vazha Sadradze, Merab Dzneladze, Elgudja Gligvashvili, Irakli Anchabadze</i>	284
თბილისში, ნარიყალას ციხის რაზილიბაცინასთან დაკავშირებით 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში - <i>მერაბ ძნელაძე, ვაჟა საღრაძე, ელგუჯა ლიღვაშვილი, ირაკლი ანჩაბაძე</i>	285
A short report of archaeological surveys related to rehabilitation of Tbilisi Narikala Citadel in 2020 - <i>Merab Dzneladze, Vazha Sadradze, Elgudja Ghilighvashvili, Irakli Anchabadze</i>	292
რუსთავში, წმ. ნინოს ქუჩაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში - <i>ნაზი პაჩიკაშვილი, მათე ახალაია, შალვა ბაბუციძე, ია ცარციძე, ოთარ გელაშვილი, თამარ ბიჭაშვილი, სლოგოე ჟირია, ზურაბ მღვრძე</i>	293
A short report of the salvage archaeological works conducted in the vicinity of 34, Builders Street, Rustavi - <i>Nazi Pachikashvili, Mate Akhalaia, Shalva Babutsidze, IaTsartsidze</i>	298
რუსთავის ციხისნივარის ტერიტორიაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში - <i>ნაზი პაჩიკაშვილი, მათე ახალაია, ზურაბ მღვრძე</i>	300
A short report of archaeological excavations conducted on the territory of Rustavi Fortress, 2020 - <i>Nazi Pachikashvili, Mate Akhalaia, Zurab Maghradze</i>	306

გულაბრძყას ნამოსახლარზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოხალე ანგარიში

გიორგი მინდიაშვილი
arqgeomindiashvili@gmail.com

2020 წელს არქეოლოგიური გათხრები გაგრძელდა გულაბრძყას ნამოსახლარის III უბანზე, პავილიონში, 300მ² (სურ. 1; GPS: N 4652900, E 431700 – N 465900, E431800, N4653000, E 431700 – N 4653000, E 431800, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სვენეთი და ახალშენი).



სურ. 1 გულაბრძყას ნამოსახლარი, პავილიონი III უბანზე;
ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

პავილიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, თხრილის აღმოსავლეთით გაფართოებისას, გაიწმინდა სხვადასხვა ზომის ერთ ადგილზე ჩამტვრეული, ფორმაშენარჩუნებული და მთელი თიხის ჭურჭელი – ერთმანეთთან ახლოს მდებარე, ორი მომცრო ზომის მტკვარ-არაქსული, შვერილებიანი კერა; იმავე დონეზე, 19/11 a1, b1 კვადრატებში კი – გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და წრიული ორმო №24, დიდი ზომის, წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლით. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურული ფენა, ამ შემთხვევაში ცსტერილური ფენის გარეშე იდომტკვარ-არაქსული ფენა ადრებრინჯაოს ფენაზე. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენის ფრაგმენტული ნაშთების ალების შემდეგ, 19/11 Bb1-b2 კვადრატებში, სანახევროდ თხრილის გარეთ დარჩენილი მტკვარ-არაქსული კერის დონეზე, გაიწმინდა მოტყეპნილ-მოლესილი და ხანძრის შედეგად გამომწვარი იატაკის დონე, რომელზეც უსისტემოდ იყო გაფანტული, დამწვარი, პატარა, მოგრძო ნიჟარები. ამავე იატაკზე ეწყო მომცრო თიხის ჭურჭელიც (მტკვარ-

არაქსული), რომელიც კერასთან ერთად, №12 სახლის ნაწილად მივიჩნიეთ. კერიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ, ამ სახლის იატაკი, განვითარებული რკინის ხანის 24 ორმოთია ჩაჭრილი. №11 სახლს კი უნდა მიეკუთვნოს, №12 სახლის კერიდან ჩრდილოეთით გამოვლენილი, ძლიერ დაზიანებული მტკვარ-არაქსული კერა, რომლის ცენტრსაც 19/11 C1 პალო დაემთხვა. ეს, №11 სახლის კერა, მის ირგვლივ განმედილ კერამიკაზე რამდენადმე მაღლა ამონეული და არ გააჩნია იატაკისთვის დამახასიათებელი, მოტკეპნილ-



მოლესილი ზედაპირი. მისგან ჩრდილოეთით განფენილი თიხის ჭურჭელი კი, რომელიც შესაძლოა, იატაკზეც ენყო, №11 სახლის კერასთან შედარებით, იმდენად დაბლა მდებარეობს, რომ მათი ერთმანეთთან დაკავშირება ძნელია. ამიტომ, კერამიკის ეს ჯგუფი, ჩვენ, №13 სახლის ნაშთად მივიჩნიეთ (სურ. 2).

სურ. 2 მტკვარ-არაქსულ ნაგებობათა ნაშთები პავილიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში; ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

პავილიონის ამავე, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის 18/11 a5-b5 კვადრატებში გამოვლინდა კიდევ ერთი სტრატეგრაფიული სურათი. აქ, №6 ნაგებობის დერეფნის სამხრეთი ნაწილი ჩაჭრილი აქვს №26 ორმოს, რომელიც ფლეთილი და რიყის ქვით შემოყოლებული ნაპირებით სამარხს წააგავს. მისგან სამხრეთით, რიყისა და ფლეთილი ქვების ყრილს ზემოდან ადევს ორმოს გადარჩენილი დერეფნის ნანგრევების ნაწილი. ამ მონაკვეთზე, ეს ქვაყრილი, ჯერჯერობით, ყველაზე ადრეული არქეოლოგიური სტრუქტურა ჩანს, რომელზეც ჯერ №6 ნაგებობის დერეფნის სამხრეთ კედელს გადაუვლია, შემდეგ კი, ამ უკანასკნელთან ერთად, №26 სამარხისებურ ორმოს ჩაუჭრია; გარდა ამისა, მისი სამხრეთი ნაწილი დაფარულია ნახანძრალ ბათქაშებთან შერეულ, დიდი ზომის, მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭლის ნატეხებით; აღმოსავლეთის კიდეზე კი გაიწმინდა მტკვარ-არაქსული, ერთ ადგილზე დამტვრეული კერამიკა და მასზე დაფენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენა, ხელსაფქვავის ქვებით (სურ. 3).



სურ. 3 სამარხისებური ორმო №26 და სტრატეგრაფიული კვანძი, პავილიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში; ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

პავილიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში (18/10 c4, c5, d4, d5, 19/10 c1, c 2, d1, d 2, e1, e 2 კვადრატები), გათხრებისას კვლავ გაგრძელდა ძლიერ დაზიანებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენა, რომელიც წარმოდგენილია ამ კულტურისთვის დამახასიათებელი წვრილი ქვითა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით მოფენილი ლუმელების ძირებით. თხრილის იმავე ნაწილში, სამხრეთ კიდედან, გაიწმინდა ოვალური მოყვანილობის, ძირისკენ ოდნავ შევიწროებული, კედლებმოლესილი №31 ორმო, სიგრძით 2მ.

თხრილის ცენტრალურ ნაწილში, სამუშაოებმა მოიცვა №10, მინური სახლის შიდა და მის ირგვლივ არსებული ფართობი (სურ. 4; კვადრატები: № 17/10, 4, 17/10, 4, a5, 18/10 d1, d2, e1, e2, 18/11, a1, a2); მინურის შევსებაში, ამოიწმინდა რიყის ქვით ამოვსებული 12 ორმო. მათზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ მინურის ღრმულის შევსებაში შესაძლოა, მოგვიანებით აგებული სახლის ან სახლების ნაშთებიც ჩართული იყოს. ვფიქრობთ, ამავეს ადასტურებს საკონტროლო უღლის პროფილში, მინურის იატაკზე მალლა, ნახშირმურიან ფენაში, ერთ სიბრტყეზე დამტვრეული თიხის ჭურჭლის აღმოჩენა. №10 მინურის შევსებაში, რამდენიმე ნახშირ-მურიანი შრის ქვეშ გამოვლინდა მკვრივი, დატკეპნილი, შედარებით სქელი მიწის ფენა, რომელიც იტკეცავდა ნახშირმურიანი შრეების შემცველ პლასტს; მას კი, ქვემოთ მოჰყვა ნახანძრალი ბათქაშების შედარებით თხელი ფენა და დატკეპნილ მიწაზე (ჰუმუსზე) დაფენილი, ძალზე თხელი, ნახშირმურიანი შრე – იატაკი(?). სახლის სავარაუდო ზომა 7,0X5,5 მ უნდა იყოს. ის მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ; იატაკიც და მასზე

დატკეპნილი ფენაც ჩრდილოეთისკენაა დაქანებული. იატაკის განმენდა მხოლოდ ძალზე ვიწრო ზოლზე მოესწრო, სადაც ნახანძრალ ბათქაშებთან ერთად გაინმინდა დიდი ზომის კერის ფრაგმენტი (18/11 e1-ში, 0-დან-9,85 -10,10მ) და მტკვარ-არაქსული კულტურის კერამიკის ფრაგმენტები.



სურ. 4 №10 მიწური სახლი პავილიონის ცენტრალურ ნაწილში; ხედი ჩრდილოაღმოსავლეთიდან

იმავე ფენაში აღმოჩნდა ძვლისგან დამზადებული ისრის პირი. მიუხედავად ამ და სხვა ცალკეული აღმოჩენებისა, №10 სახლის ნანგრევებში, კერამიკის ისეთი სიუხვე, როგორც სხვა სახლებში დავაფიქსირეთ, ჯერჯერობით არ შეიმჩნევა. რაც შეეხება №10 სახლთან დაკავშირებულ სტრატეგრაფიას, მას ჩაჭრილი აქვს სამხრეთ-დასავლეთით გამოვლენილი საკურთხეველიანი და „ორმაგკერიანი“ შენობის ნაშთი; ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხით კი ნაწილობრივ ჩაჭრილია აქვს №6 სახლის კედლის „ბალიში“. თავად მისი კედელი კი, ამავე ნაწილში, ჩაჭრილია №17 და №20 ორმოებით; მიწურის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, სადაც მიწურის კედლის გამოკვეთილი კონტური მთავრდება, მის გარეთ არსებულ, ჩრდილოეთისკენ დახრილ სიბრტყეზე განფენილია, ერთ ადგილზე ჩამტვრეული, მტკვარ-არაქსული კერამიკის ნატეხები, რომლებიც აქ მიწურის გათხრამდე უნდა მოხვედრილიყო.

პავილიონის ფართობზე აღმოჩენილი 34 ორმოდან უმრავლესი ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება, ძირისკენ თანაბრად, კონუსურად ფართოვდება და თითქმის ყველა მათგანი რიყის ქვებით არის ამოვსებული; მასალა ცოტაა და კერამიკის ცალკეული ნატეხების სახით გვხვდება. მტკვარ-არაქსული ორმოებიდან, მხოლოდ №10 მიწურის შევსებაში აღმოჩნდა რამდენადმე ზარისებური ორმო (№33). ის შევსებული იყო ნამწვავი ბათქაშებით, რომელშიც ერია ირმის რქის ტოტი და თიხის

ჭურჭლების ნამტვრევები. ძეგლის მთლიანობის დაცვისა და ვიზუალის შესანარჩუნებლად, ორმოები მხოლოდ ნაწილობრივ ამოინმინდა.

სამუშაოების ბოლოს შევაკეთეთ ქარით დაზიანებული პავილიონი; კედლების 2/3-ზე პოლიეთილენი შევცვალეთ მწერების დამჭერი ბადით. გათხრების დროს ამოღებული მასალა, გარეცხვა-ალრიცხვის შემდეგ ჩაბარდა ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

გუდაბერტყას ნამოსახლარის პავილიონში, შეკიდული ბილიკებისა და პირველი რიგის ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობისთანავე, შესაძლებელი იქნება ვიზიტორების მიღება მთელი წლის განმავლობაში, განურჩევლად კლიმატური პირობებისა.

A short report on archaeological excavation of Gudabertka settlement in 2020

Giorgi Mindiashvili
argeomindiashvili@gmail.com

In 2020, the objective of the archaeological excavations of Gudabertka settlement was to research the central area (III) of 300 m² occupied by a pavilion and to reveal effective archaeological structures to visitors. Expansion of the trench in the NE direction revealed two fireplaces of Kura-Araxes culture and groups of complete and broken pottery. This pottery should belong to the remains of three houses NN 11-13 and are dated to the final period of the Kura-Araxes culture - early Kurgan period (27th -26th cc B.C.). Excavations in mud-hut N10 shows that the southern wall is built with mud-bricks; a small part of the floor was also cleaned. In the SW corner of the pavilion, under the back wall and platform N4 a fireplace of the Kura-Araxes period house was revealed.

In order to maintain the visual effect on the excavated territory, we left the unearthed fireplaces, ceramic material and part of pits intact relying on the guards of the pavilion until the structures of higher visual effect are discovered.

მაშავერას გორაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში

ჯონი აბულაძე

Joni_abuladze@yahoo.com

*დიმიტრი ჟვანია, საბა ჯობაძე,
გურამ ჩიქოვანი, სულხან ხარაბაძე*

2020 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა ნეოლითური ხანის (VI ათასწლეული) ნამოსახლარ მაშავერას გორაზე, რომელიც შულავერ-შომთეთვეს კულტურას მიეკუთვნება.

„მაშავერას გორა“ მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხატავეთიდან (ყოფილი სოფ. პატარა ახმედლო) ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ-ში (GPS: UTM 38T X 475816, Y 4587395), მდინარეების – მაშავერასა და ხრამის ხერთვისთან, მდ. მაშავერას მარჯვენა ტერასაზე (სურ. 1).



სურ.1

მაშავერას გორაზე პირველი არქეოლოგიური სამუშაოები 1988 წელს ჩატარდა. აქ საბჭოთა მესაქონლეობის კომპლექსის მშენებლობისას, დაზიანდა გორანამოსახლარის ჩრდილოეთ ნაწილი. დაზიანებული ნაწილის კვლევა დაიწყო ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დ. გოგელიას ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ შეისწავლა 260 მ² ფართობი, სადაც აღმოჩნდა რამდენიმე წრიული სახლი, ასევე ალიზის აგურის კედლები და

არქეოლოგიური მასალა, რომელიც შულავერ-შომთეფეს კულტურას მიეკუთვნებოდა. ძეგლზე ასევე იყო შუა საუკუნეების პერიოდის მასალის შემცველი ფენები.

არქეოლოგიური სამუშაოები მაშავერას გორაზე 2020 წელს განახლდა. მომზადდა ძეგლის ახალი ტოპოგეგმა. გორანამოსახლარი და იყო 20X20 მ არეალებად, ხოლო თითოეული არეალი – 5X5 მ კვადრატებად. მაშავერას გორის 80-იან წლებში გათხრილი ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, მოინიშნა პირველი არეალი 5X15 მ ფართობი, რომელიც ახალი ტოპოგეგმის მიხედვით მოიცავს C10, C11 და C12 კვადრატებს. ბორცვის დასავლეთ ნაწილში გაიხსნა ასევე 5X10 მ ფართობის მეორე არეალი. აღნიშნული ფართობი C13 და I1 5X5 კვადრატებში ექცევა.

პირველ არეალზე C10, C11 და C12 კვადრატებში (ძველი გათხრების არეალი) ზედა ნაყარი 15 დან 40 სმ-მდე ფენის მოხსნის შემდეგ, მთელ მონაკვეთზე გამოჩნდა ხელუხლებელი ფენები, კედლების ფრაგმენტები და წრიული სახლები.

C10 კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, 404,76 დონეზე გამოვლინდა მცირე ზომის ნაგებობის სათავსის აღმოსავლეთი კედელი (C10-07), რომელიც ალიზის აგურების ორმწკრივი ნყობითაა ნაგები. ამავე კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, 404,77 დონეზე გამოვლინდა, ასევე მორკალული ალიზის ორმწკრივი აგურების ნაგები კედლის ფრაგმენტი.

C10 და C11 კვადრატების ჩრდილოეთ ნაწილში, 404,30 მ დონეზე გამოვლინდა ნაგებობა №2 (C11-14; სურ. 2). აღნიშნული ნაგებობა არის წრიული ფორმის, მისი კედლების სისქე 60-65 სმ-ს აღწევს, შენობის სამი



სურ. 2

მხარე ორმწკრივი, ხოლო ერთი სამხრეთ-დასავლეთ კედელი, სამმწკრივი ალიზის აგურების ნყობითაა ნაგები. შიდა და გარე აგურების მწკრივებს შორის დატოვებულია 10-15, ხშირ შემთხვევაში, 20 სმ-მდე სივრცე, რომელიც შევსებულია იმავე თიხის ხსნარით, რაც კედლის შელესილობასა და აგურების ნყობებშია გამოყენებული.

შენობის დიამეტრი (შიდა სივრცე) 3.10 მ-ია, ხოლო დიამეტრი კედლებთან ერთად – 4,30 მ. შენობა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან

კონტრფორსებითაა გამაგრებული. №2 ნაგებობის გამოვლენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 0,85 მ-ს შეადგენს.

C11 კვადრატებში, ჩრდილოეთ ნაწილში, 404, 86 დონეზე დაფიქსირდა სწორი კედელი (C11-12), რომელიც ებმის №2 ნაგებობას აღმოსავლეთით და უერთდება ნაგებობა 1-ის დასავლეთ კედელს. ასევე, C11 კვადრატში, 405, 13 დონეზე დაფიქსირდა ალიზის სწორი ორმწკრივი აგურებით ნაგები 2 კედელი (C11-04), რომელიც ნაგებობა №2-ს ებმის სამხრეთ ნაწილში და ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით შედის გაუთხრელ ფართობში. აღნიშნული კედლის ჩრდილოეთ ნაწილი გამაგრებულია კონტრფორსით.

C11 და C12 კვადრატების საზღვარზე სამხრეთ პროფილთან 405.00მ დონეზე გამოვლინდა ალიზის ორმწკრივი აგურებით ნაგები წრიული ფორმის 1 სათავსი (C11-06). ჩვენ დავაფიქსირეთ ნაგებობის მხოლოდ სამი მხარე. ერთი მხარე, სამხრეთ ნაწილი, გაუთხრელ ფართობში შედის.


C11 და C12 კვადრატების კვეთაზე, 404,91 მ დონეზე გამოვლინდა №1 ნაგებობა (C11-09, სურ. 3), სადაც კარგად შეინიშნება მისი გადაკეთების კვალი. ეს ნაგებობა თავიდან იყო წრიული, გადაკეთების შემდეგ მიიღო ნალისებური ფორმა. მისი თავდაპირველი გარე კედელი განიერი და სტანდარტულზე უფრო გრძელი აგურებითაა აშენებული. აქ აგურების სიგრძე 48 სმ-ია, ხოლო სიგანე 22-24 სმ-მდე აღწევს. №1 ნაგებობა ნაგებია მუქი მოყავისფრო, სწორად დაკუთხული, ოდნავ ამოზურგული ალიზის აგურით. შემაკავშირებელი ხსნარი და შელესილობა მოყვითალო ფერისაა. აგურების სიგრძე 48 სმ, სიგანე 22-24 სმ, სისქე 10-



სურ. 3

12 სმ, კედლის შენარჩუნებული სიმაღლე კი 56 სმ-ია. იატაკის დონე, სამხრეთ ნაწილში 404,63 მ, ჩრდ. ნაწილში 404,30 მ, ნაგებობის შიდა დიამეტრიც 2,80 მ-ია. №1 ნაგებობის დასავლეთ კედელთან, 404, 26 მ დონეზე დაფიქსირდა იატაკში ამოჭრილი წრიული ფორმის სანაცრე ორმო (C11-23). სანაცრე ორმოს ჩრდილოეთით, 404, 36 დონეზე, გამოვლინდა ნაცეცხლური, ოვალური ფორმის შენითლებული ადგილი იატაკზე, სავარაუდოდ – კერა.

№1 ნაგებობას, დასავლეთიდან უერთდება 1 კედელი (C11-12), რომელიც მას აკავშირებს №2 ნაგებობასთან.



2 1 0 2 Meters

მზოლი
ნეკლდოვი ნაგებობა

სურ. 4



სურ. 5

C12 კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, 404,71 მ დონეზე გამოვლინდა მორკალული კედლის ფრაგმენტი (C12-11), რომელიც №1 სათავსის აღმოსავლეთ ნაწილს უერთდება. მისი ნაწილი შედის სამხრეთით გაუთხრელ ფართობში.

მეორე არეალზე, C13 - I1 კვადრატების გათხრის ძირითადი მიზანი იყო ძველის სტრატეგრაფიაში გარკვევა და ძველი გათხრების სამშენებლო დონის უკეთ გააზრება.

C13 კვადრატში დავლრმავდით 75 სმ, 405, 75მ დონემდე. აქ ფენები მუქი მოყავისფრო და მოყვითალო ფერის აგურისა და ბათქაშის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. აღნიშნული კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა

სწორი, ალიზის ერთმნიშვნელოვანი აგურებისგან აგებული კედელი (C13-09). ის დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ამავე კედელთან, ჩრდილოეთით შეინიშნება ალიზის მოყვითალო, ორმნიშვნელოვანი აგურების კედლის ფრაგმენტი. 11 კვადრატში რაიმე კონკრეტული ნაგებობის ნაშთი არ დაფიქსირებულა.

გათხრების პროცესში სულ გამოვლინდა 2 დიდი ნაგებობა, 2 სათავსი და სხვადასხვა კონფიგურაციის 8 კედელი თუ კედლის ფრაგმენტი (სურ. 4). შენობები ნაგებია ორმნიშვნელოვანად, ოდნავ ამოზურგული და წესიერად დაკუთხული მუქი-მოყავისფრო და მოყვითალო ფერის გამოუნვაავი ალიზის აგურებით. შემაკავშირებელი ხსნარი გვხვდება, როგორც მოყვითალო, ისე მუქი ყავისფერი. აქ აგურების ზომების 2 ძირითადი სტანდარტია წარმოდგენილი: 1) სიგრძე - 48 სმ, სიგანე - 24 სმ, სისქე - 12 სმ; 2) სიგრძე - 42 სმ, სიგანე - 20 სმ, სისქე - 12 სმ.

ექსპედიციის მიერ შესწავლილ ფართობზე ძირითადად ფიქსირდება ორმნიშვნელოვანი აგურებისგან აგებული შენობები და კედლები, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს სიახლესთან, რომელიც თავისი სამშენებლო ტრადიციით გამოარჩევს აღნიშნულ ძეგლს შულავერ-შომუთეფეს კულტურის სხვა ძეგლებისგან.

2020 წელს მაშავერას გორაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს, ორივე არეალზე სულ 525 დიაგნოსტიკური არტეფაქტი გამოვლინდა. თიხის ჭურჭლის 250 ერთეული ფრაგმენტი, 58 ერთეული ძვლისა და ირმის რქისაგან დამზადებული 7 იარაღი (სურ. 5, 8-16), 67 ერთეული მასიური ქვის, ობსიდიანისგან დამზადებული 141 იარაღი და სარდიონის 2 მძივი (სურ. 5, 23).

მოპოვებული თიხის ჭურჭელი ნაძერწია არაორგანულმინარევეებიანი თიხისგან. კერამიკული ფორმები და ორნამენტი დამახასიათებელია შულავერ-შომუთეფეს ადრესამინათმომქმედო კულტურისთვის. ჭურჭლის დიდ ნაწილზე აღინიშნება მრავალფეროვანი რელიეფური ორნამენტი (სურ. 5, 1-7).

ძეგლსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, გვხვდება ასევე შუა საუკუნეების, გვიანი-ბრინჯაო ადრერკინისა და ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის ნახატები.

ძვლის იარაღები (სადგისები, სახვრეტები, მახათები, დანისებური იარაღები, კოვზი და სხვ.) დადასტურებულია ჩვენ მიერ გათხრილ ყველა კვადრატში (სურ. 5, 12-16).

ძეგლზე წარმოდგენილია ადრესამინათმომქმედო კულტურისთვის დამახასიათებელი, მასიური ქვისგან დამზადებული იარაღი: ხელსაფქვავის ქვედა და ზედა ქვები, ამბოსები, სხვადასხვა სახის სახეხ-სანაყ-სასრესები, ჩაქურჩები, ფილთაქვები, შურდულის ქვები და ა.შ. (სურ. 5, 17-21).

ობსიდიანის ინსდუსტრია დამზადებულია ლამელებსა და ლამელარულ ანატკეცებზე ჩამოყალიბებულ იარაღებზე. აქ გვხვდება დანები, საჭრისები, საფხეკები, სახვრეტები და სხვ. (სურ. 5, 22).

ოსტეოლოგიური მასალა წარმოდგენილია სხვადასხვა ჯგუფის ხერხემლიანი ცხოველების ძვლების ფრაგმენტების სახით (1145 ცალი).

პალინოლოგიური კვლევისთვის მასალა აღებულია ნაგებობის კედლებიდან, ჭურჭლებიდან, ხელსაფქვავეებიდან, კერიდან და ა.შ., მცენარეული ნარჩენი აღმოჩნდა ყველა ნიმუშში.

არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი მასალა დამუშავდა ბოლნისის მუზეუმის ლაბორატორიაში და განთავსდა ამავე მუზეუმის არქეოლოგიურ საცავში.

A short report on archaeological works excavations conducted on Mashaveras Gora in 2020

Joni Abuladze

Joni_abuladze@yahoo.com

Dimitri Zhvania, Saba Jokhadze

Guram Chikhovani, Sulxan Kharabadze

In 2020, an archaeological expedition of the Georgian National Museum carried out archaeological works at the Neolithic settlement of Mashaveras Gora, (VI millennium BC), which belongs to the Shulaveri-Shomu culture.

With its location at the confluence of two main rivers of the Khrami and Mashavera, the mound appears to be one of the main settlements of South Caucasus of the Neolithic epoch. Discovery of Mashaveras Gora is related to construction of a Soviet farm. A small excavation was carried out in 1988 by D.Gogelia. Since then, the site had been abandoned until recently.

The aim of the 2020 expedition was to resume archaeological excavations on Mashaveras Gora. The results of the archaeological investigation gave us an opportunity to shed light on a new architectural building tradition, which is quite different from typical Shulaveri-Shomutepe Neolithic culture. On the whole, two large buildings, two storage rooms and eight walls or their remnants of different configurations were identified during the excavations. The buildings were constructed from two courses of slightly backed and regularly angulated dark brownish and yellowish unburnt mudbricks. Binding solution was found in both yellowish and dark brown colours.

Here two main standard dimensions of brick are represented: 1) length-48 cm, width – 24 cm, thickness – 12 cm, 2) length – 42 cm, width – 20 cm, thickness – 12 cm.

On the whole, the archaeological excavations revealed 525 diagnosable artefacts in both areas of Mashaveras Gora. Among them were fragments of pottery (250), tools made of bone (58) and antler (7), massive stone (67) and obsidian (141). There also were two carnelian beads. The significant items were not washed during the excavations until other kinds of analysis (palynological, etc.) were accomplished.

Mainly structures and walls made of double-row mudbrick masonry were identified in the area studied by the expedition, which allows us to assume that we are dealing with a novelty that architecturally distinguishes this settlement from other settlements of Shulaveri-Shomu culture by its building tradition. Complex research of the discovered archaeological materials is still underway. Our main aim is to gain a better understanding of the connection between the materials of Mashaveras Gora and other Shulaveri-Shomu sites and identify similarities or differences between them.

ზაკაგორის ციხე-სოფალზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

დავით ბერიკაშვილი
d.berikashvili@yahoo.com

ზაკაგორის ციხე-სოფელი მდებარეობს სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, თრუსოს ხეობაში, მდინარეების – თერგისა და სუატისის (სუათისის) შესართავთან წამოზიდული კლდოვანი აგებულების გორაზე (N42.61154° E044.37400° EL.2266) (სურ. 1). მის რეაბილიტაციას ახორციელებს „STEGET-ჯგუფი“, რომლის დირექტორის თხოვნითაც არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. დავით ბერიკაშვილი) ციხე-სოფელში სადაზვერვო სამუშაოები აწარმოვა.

გაიჭრა ხუთი სადაზვერვო თხრილი. საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა გადატანილია საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიურ ლაბორატორიაში, კამერალური სამუშაოების ჩატარების მიზნითა და პუბლიკაციისთვის მოსამზადებლად.¹

აღსანიშნავია, რომ ზაკაგორი, თრუსოს ხეობაში მდებარე ციხე-სოფლებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე მოზრდილი და გამორჩეული ისტორიული ძეგლია. შესაბამისად, მისი კვლევებისა და რეაბილიტაციის პროექტს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხეობისა და ზოგადად, მხარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლის თვალსაზრისით.



სურ. 1



სურ. 2

¹ ზაკაგორის ციხე-სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, სათანადო კამერალური სამუშაოების დასრულების შემდეგ, გადაეცემა სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება მიმდინარე წლის ბოლოს არის დაგეგმილი.

ძირითადი პალეობი

ჩვენ მიერ განხორციელებული სადაზვერვო სამუშაოების მთავარი მიზანი, ძეგლის სტრატეგრაფიული სურათის დადგენა იყო. კერძოდ, სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე უნდა გარკვეულიყო იმ კულტურული ფენების სიმძლავრე და ქრონოლოგიური კუთვნილება, რომლებიც განფენილია ძეგლის ტერიტორიაზე. მიზნის მისაღწევად, ძეგლის ცენტრალურ, სამხრეთ და ჩრდილოეთ უბნებზე შეირჩა პერსპექტიული ადგილები, სადაც გაიჭრა ხუთი სადაზვერვო თხრილი (სურ. 2).

თხრილი 1 (2×2მ) გაითხარა ნასოფლარის ცენტრალურ ნაწილში, შიდა ეზოს ტერიტორიაზე. კორდოვანი ფენის მოხსნისთანავე, თხრილის მთელ ფართობზე გამოვლინდა კულტურული ფენა, რომელიც უშუალოდ კლდოვან დედაქანზე იყო განთავსებული. თხრილში აღმოჩენილ კერამიკულ ფრაგმენტებს შორის აღსანიშნავია 7 სმ სიმაღლის თიხის სასმისის ფრაგმენტი, რომელიც მუქი სოსანისფერი ჭიქურითაა მოჭიქული. ასევე მუქი მწვანე ჭიქურით მოჭიქული თიხის ნატეხი, რომელიც განვითარებული შუა საუკუნეების მასალებს უახლოვდება.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ძვლის დანის პირის ფრაგმენტის აღმოჩენა, რომელიც ორივე მხრიდან კონცენტრული წრეებით იყო შემკული. შეიძლება ვივარადოთ, რომ ეს დანა არ იყო განკუთვნილი



სურ. 3

ყოველდღიური მოხმარებისთვის, მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების (რელიგიური, საკულტო) დროს გამოიყენებოდა (სურ. 3.1).

თხრილი 2 (3×2მ) ნასოფლარის ჩრდილოეთ ნაწილში, კვადრატული ფორმის კლდის ნამტვრევი ქვით ნაგები სათავსის ინტერიერში გაითხარა. კორდოვანი ფენის მოხსნისთანავე, პირველი თხრილის მსგავსად, აქაც კლდოვან დედაქანზე განფენილი კულტურული ფენა გამოვლინდა. ფენის პრეპარაციის დროს დადასტურდა სათავსის სახურავის ჩამოქცეული

ბრტყელი ფიქალის ქვები, კერამიკის ფრაგმენტები და ცხოველის ძვლისგან დამზადებული დანა, გახვრეტილი სახელურით. პირველ თხრილში აღმოჩენილი დანის პირის ფრაგმენტისგან განსხვავებით, მეორე თხრილის დანას გაცილებით ვიწრო, წაგრძელებული და წვრილი პირი ჰქონდა (სურ. 3. 2). მისი სამეურნეო საქმიანობაში გამოყენება ძნელად წარმოსადგენია. აღნიშნულ დანასთან დაკავშირებით, საინტერესო ინფორმაცია მოგვანოდა არქეოლოგმა გიორგი გოგოჭურმა, რაც გულისხმობდა ამ ტიპის წვრილი, წაგრძელებული ფორმის მქონე ძვლის დანების სამედიცინო საქმეში გამოყენებას.

თხრილი 3 (2×2 მ) ნასოფლარის სამხრეთ ნაწილში, მართკუთხა ფორმის, კლდის ნამტვრევი ქვით ნაგები სათავსის ინტერიერში მდებარეობდა. აქაც, ისევე, როგორც ზემოთ აღწერილ თხრილებში, კლდოვან დედაქანზე განფენილი კულტურული ფენა აღმოჩნდა, რომელიც არქეოლოგიური მასალის თვალსაზრისით ყველაზე ღარიბია. თუმცა, ფენის პრეპარაციის დროს გამოვლინდა ზოოარქეოლოგიური მასალა, რაც ცხვრის თავის ქალით (Cranium), ღორის ქვედა ყბით (mandible), ღორის მენჯის ძვლითა (Coxae) და მენჯით (Scapula) იყო წარმოდგენილი. აღნიშნული მასალა გამოვლინდა ჩამოქცეული სახურავის ფილების ქვეშ.

თხრილი 4 (2×2 მ) ასევე ფლეთილი კლდის ქვით ნაგები სათავსის ინტერიერშია გათხრილი. ეს თხრილი არქეოლოგიური მასალის რაოდენობის თვალსაზრისით ყველაზე მდიდარი აღმოჩნდა. კერძოდ, კორდოვანი ფენის



სურ. 4

მოსხნის შემდეგ, მიწის ზედაპირიდან 25 სმ სიღრმეზე, ჩამოქცეული გადახურვის ფიქალის ქვეშ გამოვლინდარკინის ნივთებისგან შემდგარი განძი, რომელიც 110 ერთეულ სამეურნეო დანიშნულების რკინის ნივთს აერთიანებდა (სურ. 4).

ნივთები წარმოდგენილია კოროზირებული ხანჯლის ფრაგმენტით, რამდენიმე კოროზირებული ცელით, უზანგებით, ლაგამის დეტალებით, ისრისპირით, ხმლის (?) ფრაგმენტითა და სხვ. ამავე თხრილიდან მომდინარე კერამიკული ფრაგმენტები ისე იყო დაქუცმაცებული, რომ მათი ფორმების გარჩევა ვერ მოხერხდა.

თხრილი 5 (2×1მ) – ნასახლარის ჩრდილოეთ ნაწილში, ერთ-ერთი სათავსის ინტერიერში გაითხარა. აქაც, ისევე როგორც ზემოთ აღწერილ თხრილებში, კულტურული ფენა განფენილი იყო კორდოვანი ფენის ქვეშ, უშუალოდ კლდოვან დედაქანზე, შეიცავდა რკინის ნივთებსა და კერამიკულ ფრაგმენტებს. რკინის ნივთები წარმოდგენილი იყო საყოფაცხოვრებო და ცხენოსნობასთან დაკავშირებული მასალით (დანა, ნალები, უზანგი), ხოლო კერამიკული ფრაგმენტები – აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი კერამიკით.

აღსანიშნავია, რომ თხრილში გამოვლინდა სამი მომრგვალებულ-მოდულიცირებული ქვა, განლაგებული კლდოვან დედაქანზე. ჩვენი აზრით, ისინი სათავსის გადახურვისთვის საჭირო, ხის კონსტრუქციის დამჭერი ბოძების საყრდენი იყო. ასევე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი, მოზრდილი ზომის ძვლის დანის აღმოჩენა, რომელსაც პირზე ინტენსიური გამოყენების კვალი ემჩნეოდა (სურ. 3. 3).

ხუთივე სადაზვერვო თხრილი, კვლევების დასრულების შემდეგ შეივსო მიწით და მათ ზედაპირზე საგანგებოდ დასაწყობებული ბელტი მოეწყო. არქეოლოგიური მასალა სათანადო პირველადი დამუშავების შემდეგ, განთავსდა ციფრულ მონაცემთა ბაზაში და მოედებნა შესაბამისი პარალელები. ისტორიული ცნობებისა და ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინებით, მსგავსი მასალების მოძიებისა და კოლექტებთან მოსაზრებების გაზიარების შედეგად, შესაძლებელი გახდა სადაზვერვო სამუშაოების შეჯერება და დასკვნების შემდეგი სახით ჩამოყალიბება:

- ზაკაგორის ციხე-სოფელი ხევისა და, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი თრუსოს ხეობაში მდებარე ამ ტიპის დასახლებებს შორის ყველაზე გამორჩეულია და სრულმასშტაბიანი არქეოლოგიური კვლევების შემდეგ, სხვა ციხე-სოფლებისთვის შეიძლება იქცეს ეტალონურ ძეგლად.
- სადაზვერვო თხრილებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უმეტესობა, გვიანდელ შუა საუკუნეებსა (XVI-XVII სს.) და ციხე-სოფლის ფუნქციონირების ფინალურ ეტაპს (XVIII-XIX სს.) განეკუთვნება. კერამიკულ მონაპოვარს შორის განსაკუთრებულია სოსანისფრად და მწვანედ მოჭიქული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკას უახლოვდება.
- ძვლისგან დამზადებული დანები, რომლებიც პირველ, მეორე და მესამე თხრილებში აღმოჩნდა, მსგავსებას ამჟღავნებს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების ცნობილ ძეგლებზე

(დმანისი, თბილისი) მოპოვებულ ამავე ტიპის მასალებთან.

- ძეგლის სტრატეგრაფიაში, ქრონოლოგიასა და ნერილობით წყაროებთან შესაბამისობაში სრულად გარკვევისთვის, აუცილებელია ციხე-სოფლის იმ უბნების სრულყოფილი არქეოლოგიური შესწავლა, სადაც სადაზვერვო თხრილები არ გაკეთებულა.

A short report on archaeological excavations conducted at Zakagori in 2020

David Berikashvili
d.berikashvili@yahoo.com

Zakagori fortress is located in the Truso Valley, at the confluence of the Tergi and Suatisi rivers, on a high hill and represents the most important historical village in this area (Stepantsminda Municipality) (Pic.1). Before its rehabilitation and restoration led by STEGET group it was decided to excavate five test trenches on several places of the site. The pits were planned in the northern, central and southern parts of the settlement and the excavations provided valuable information (Pic.2).

Trench 1 (2×2 m.) was located in the central part of the settlement. After removing the top soil fragments of dark green glazed pottery and a fragment of a bone knife were discovered in the cultural layer. The glazed pottery of the same style is characteristic for high medieval period sites of Georgia and date to the 11th-12th cc, while the bone knives, decorated with concentric circles are also known from the same period archaeological sites (Pic.3.1).

Trench 2 (3×2 m.) was situated in the northern part of the settlement, in the interior of a rectangular living room. Here, like in trench 1, cultural deposits were spread under the top soil. The excavations revealed shreds, zooarchaeological finds and another bone knife. The most notable was the discovery of a knife, which, unlike the one from trench 1, had a narrow and long shape with a hole in the handle. Based on ethnological materials it can be supposed, that this knife had a medical purpose, rather than everyday use (Pic.3.2).

Trench 3 (2×2 m.) was the poorest in terms of archaeological finds. Almost no archaeological material was discovered there. On the other hand, zooarchaeological material represented by a sheep cranium, a pig mandible and other postcranial s were discovered under the collapsed roof slabs.

Trench 4 (2×2 m.) was also located in the interior of the living room, in the southern part of the site. A hoard of metal objects was discovered during excavations of the cultural layer lying under the top soil (Pic.4). The hoard comprised corroded fragments

of iron nails, horseshoes, dagger, iron chain, hooks, fragment of the sword, etc. – 110 single objects in total. Based on stratigraphical data and on the similar materials, the hoard was associated to the last phase of the site's occupation and dated to the 18th-19th centuries. Fragments of pottery found in the same trench belong to the same period.

Trench 5 (2×1 m.) was the last to be excavated on the site. Like trench 4, metal objects (nails, horseshoes, hooks and corroded locks) of the 18th-19th centuries were discovered there. They were deposited under the top soil together with ceramic fragments of the same period. Noteworthy was the discovery of another bone knife, which had marks of intensive exploitation and metal rivets for attaching the handle (Pic.3.3).

Thus, the excavations conducted at Zakagori in 2020 resulted in obtaining valuable artifacts, helping to make the following conclusions about the period of occupation of the settlement:

- Zakagori is one of the most important medieval sites in Khevi and in northern Georgia in general. Full-scale excavations and rehabilitation showed that it can be considered to be a standard type of site common in the Truso Valley.
- The majority of archaeological finds from the site belong to the 16th-17th centuries as well as to the 18th-19th centuries, which is the final phase of the site's occupation. There are some exceptions represented by glazed ceramic fragments which date to the 12th-13th centuries.
- The bone knives from trenches 1, 2, 5 are similar to those known from the archaeological sites of high medieval period in eastern Georgia (Dmanisi, Tbilisi).
- To gain a deeper understanding of the character of the site, as well as to receive absolute data for the deposits and single artifacts, it is necessary to conduct full-scale excavations, including interdisciplinary studies.

ჯაზრეთის ორთავალა მღვიმეში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში

დავით ბერიკაშვილი
d.berikashvili@yahoo.com

ჯაზრეთის ორთავალა მღვიმეში (ბოლნისის მუნიციპალიტეტი, 41.38907° E 044.41187° E). 2020 წელს არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის – „იუჯი არქეოლოგიის“ (ხელმძღვ. დავით ბერიკაშვილი) მიერ¹. არქეოლოგიური სამუშაოების დროს გამოვიყენეთ MOLA's (Museum of London Archaeology) მეთოდოლოგია, რომელიც ცალკეული არქეოლოგიური კონტექსტების შესწავლას გულისხმობს. გათხრების დროს გამოვლენილი მასალა, კამერალური სამუშაოების მიზნით, გადატანილია საქართველოს უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, სადაც, რიგი კერამიკული ნაწარმის სრული რესტავრაცია განხორციელდა. როგორც რესტავრირებული, ისე ფრაგმენტული მასალა, სრულად დაარქივდა ციფრულ მონაცემთა ბაზაში, მათი საერთო რაოდენობა 1481 ერთეულს აღწევს. აღსანიშნავია, რომ მასალა წარმოდგენილია 998 სადა და მოჭიქული კერამიკის 38 ფრაგმენტით, 28 ქვის, 406 ობსიდიანისა და მინის 11 ნაკეთობით. საარქივო სამუშაოების დასრულების შემდეგ, დაიწყო და კვლავაც გრძელდება ამ მასალის მზადება პუბლიკაციისთვის.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის ძირითადი მიზანი, რომელიც 2020 წელს, ჯაზრეთის ორთავალა მღვიმის შემსწავლელ ექსპედიციას ჰქონდა დასახული. კერძოდ:

1. უნდა დასრულებულიყო ჩრდილოეთის მღვიმეში მდებარე ადრექრისტინული ხანის ტაძრის კვლევა.
2. უნდა დაწყებულიყო მღვიმის წინამდებარე ტერასის არქეოლოგიური შესწავლა.
3. არქეოლოგიური და პალეოგრაფიული მასალების საფუძველზე უნდა დაზუსტებულიყო ძეგლის პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიის საკითხები ძეგლის ხასიათის უკეთ გარკვევის მიზნით.

¹ ორთავალა მღვიმეში მიმდინარე არქეოლოგიურ სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის პროგრამის საბაკალავრო სწავლების საფეხურის ექვსმა სტუდენტმა.

ძირითადი შედეგები

კაზრეთის ორთავალა მღვიმის ჩრდილოეთის მღვიმის ინტერიერში, ჯერ კიდევ 2018 წელს გამოვლინდა ადრექრისტიანული ხანის ტაძრის ნაშთი. 2019 წელს ძველი ნაწილობრივ შეისწავლეს, არქეოლოგიურად გათხარეს მისი ჩრდილოეთი და ცენტრალური ნაწილები. 2020 წელს კი სამუშაოები წარიმართა ტაძრის სამხრეთ მონაკვეთში და ნაგებობა ფაქტიურად სრულად გაითხარა (სურ. 1).

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ტაძრის მთელი ფართობი გადაფარული იყო სხვადასხვა ეპოქის სამი კულტურული ფენით. მათ შორის ზედა, ყველაზე გვიანდელი თანამედროვე საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად, XVIII-XIX სს-ის კერამიკის ფრაგმენტებს შეიცავდა და მღვიმის ოკუპაციის ფინალურ ფაზას განეკუთვნებოდა. მომდევნო, მეორე ფენა, რომლის სიმაღლეც 50-70 სმ-ს აღწევდა, უხვად შეიცავდა განვითარებული შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელ არქეოლოგიურ მასალას, მათ შორის, XII-XIII საუკუნეებისთვის დამახასიათებელ მრავალფერად მოჭიქულ კერამიკას და, შესაბამისად, მისი თარიღიც ამავე პერიოდით განესაზღვრეთ. სტრატოგრაფიულად ყველაზე ქვემოთ მდებარე, მესამე კულტურული ფენა იყო დამწვარ-დანახშირებულ შრე – უშუალოდ განფენილი ტაძრის იატაკზე და სტრატოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით მას ადრეული შუა საუკუნეებით ვათარილებთ.

აღსანიშნავია, რომ ტაძრის იატაკი, ისევე როგორც ტაძრის ცენტრალური ნაწილის პერიმეტრზე მონყობილი „ხარისხი“, შესანიშნავად იყო შემორჩენილი და წითელი ტუფის ფილებით მონყობილი დონე გახლდათ (სურ. 2). ასეთივე წითელი ტუფით მონყობილია ამბიონზე ასასვლელი და ტაძრის ჩრდილოეთ სათავსში შესასვლელი ლიობის წინ საფეხურებიც (სურ. 3), რომლებიც გათხრების დასრულების შემდეგ გამოვლინდა.



სურ. 1

გათხრების დასრულების შემდეგ ცხადი გახდა ტაძრის არქიტექტურული ტიპი, ქრონოლოგიური კუთვნილება და თარიღი. ამ უკანასკნელის შესახებ კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცა მის დასავლეთ კედელთან, შესასვლელის მარჯვნივ მონყობილმა სტელის ბაზისმა და

სამსხვერპლო მოედანმა. სტელის ბაზისი, მწვანე ტუფის ქვის თითქმის კვადრატული ფორმის (60X64X64 სმ) კუბი იყო, რომელსაც ზედა ნაწილში სტელის ჩასამაგრებელი ღრმული ჰქონდა (24 X24 X12 სმ) ამოკვეთილი.



სურ. 2



სურ. 3

ბაზისის დასავლეთის მხარეს, „შუბლზე“ გამოსახული იყო რელიეფური, ტოლმკლავა ფვარი, რომლის მარჯვენა და მარცხენა მკლავების ზედა ნაწილს, სამ სტრიქონად განლაგებული, ასევე რელიეფური ასომთავრული წარწერა ამშვენებდა. ძლიერი დაზიანების გამო, წარწერის შინაარსის სრული ამოკითხვა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, თუმცა, გარკვევით იკითხება ცალკეული ასონიშნები და იმედი გვაქვს, დეტალური შესწავლა წარწერის შინაარსში გარკვევის საშუალებას მოგვცემს (სურ. 3).

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბაზისის წინ მოწყობილი იყო საგანგებო სამსხვერპლო მოედანი, რომელზეც შენირული ცხოველების ძვლები იყო დალაგებული (სურ. 4). დეტალურმა კვლევამ და ოსტეოლოგიურმა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა შენირული ცხოველების ნაირსახეობა. გაირკვა, რომ საქმე გვქონდა ირმისა (*Cervidae*) და გარეული ტახის (*Sus scrofa*) „წმინდა ადგილისადმი“ შენირვის ფაქტთან, რაც უძველესი ტრადიციის გაგრძელებაა და რომელიც თავს განსაკუთრებით ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზე იჩენდა ხოლმე თავს².

ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტაძარში შესასვლელი კარის ღიობის მარცხნივ, ტაძრის დასავლეთ კედელზე მიშენებული აკლდამის გათხრებს, სადაც აღმოჩნდა არქიტექტურული დეტალი – სავარაუდოდ, „ასანყოფი სტელას“ ნაწილი, რომელიც ქვიშაქვის დაკუთხული ბლოკი იყო. მისი ერთი მხარე გამშვენებულია ღრმარელიეფური მცენარეული დეკორით, მეორე მხარეს კი ასევე ღრმა რელიეფით გამოყვანილი, ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა განთავსებული. კარგი დაცულობისა და მაღალი

² ნანადირევისა თუ სხვადასხვა ცხოველის მსხვერპლად შენირვის ფაქტები, ჩვენთან საკმაოდ ადრეული ხანებიდანაა ცნობილი და დადასტურებულია არქეოლოგიური გათხრებითაც (მელაანი, მელიღელე).

რელიეფურობის გამო წარწერის შემადგენელი ასონიშნების ამოკითხვა არ გართულებულა. იგი ასე იკითხება: „...Ⴕ ႵႶ ႵႷ ႵႸ ႵႹ ႵႺ ႵႻ ႵႼ...“ - „შენეენი... იდისა...“. სტრიქონებს სანყისი და ბოლო ასონიშნები აკლია და მთლიანობაში უნდა ყოფილიყო - „შენეენითა წმიდისაითა“ ან „შენეენითა დიდისაითა“ (სურ. 5). თუმცა, რომელი წმინდანი იყო წარწერაში მოხსენიებული, ამის დადგენა ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით კვლევის დღევანდელ ეტაპზე ვერ ხერხდება.



სურ. 4



სურ. 5

კაზრეთის ორთვალას ახლად გამოვლენილი ტაძრის კვლევის პარალელურად, სადაზვერვო თხრილები გაკეთდა მღვიმის წინამდებარე ტერასასა და ფერდობზე. სადაზვერვო თხრილების გაკეთების მიზანი აქ განფენილი კულტურული ფენების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხების დაზუსტება იყო. ფერდობზე, კორდოვანი ფენის მოხსნისთანავე თავი იჩინა მონაცრისფრო-მოყავისფრო კულტურულმა ფენამ, რომელიც არქაულ, ხელით ნაძერწ კერამიკის ფრაგმენტებსა და ობსიდიანის ნამზად

იარაღებს შეიცავდა. მასალის დიდი ოდენობის გამო, სადაზვერვო თხრილში დაღრმავება აღარ გაგრძელებულა და მისი კვლევა მომავალი წლისთვის გადავდეთ. თუმცა, აქ გამოვლენილი კერამიკის ფრაგმენტები, ქვის, ძვლისა და ობსიდიანის იარაღი, მაინც გვიქმნის წარმოდგენას ძველის პრეისტორიული და ისტორიული პერიოდების შესახებ, რაც შეიძლება შემდეგი თანმიმდევრობით წარმოვიდგინოთ:

- კაზრეთის ორთავალა მღვიმის უადრესი არქეოლოგიური მასალა, ნეოლითის გვიანდელ ფაზას განეკუთვნება და წარმოდგენილია ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი უხეშკეციანი, რელიეფური, ტალღისებრი ხაზებით შემკული კერამიკით, ძვლის იარაღითა და ობსიდიანის ნაწარმით.
- რამდენიმე ერთეული კერამიკული ფრაგმენტი კეციით, ფორმითა და შეფერილობით მტკვარ-არაქსული კულტურის კერამიკაში პოულობს ანალოგებს.
- ადრეული შუა საუკუნეები, ორთავალა მღვიმეში წარმოდგენილია ადრექრისტიანული ტაძრის ნაშთებით, არქიტექტურით, პალეოგრაფიული და არქეოლოგიური მასალით. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, ორთავალს ტაძრის თარიღად VI-VII საუკუნეები მისაღებად მიგვაჩნია.
- აღნიშნული ტაძრის განადგურებას ჩვენ, მურვან-ყრუს აღმოსავლეთ საქართველოში შემოსევის პერიოდს ვუკავშირებთ. გადამწვარი და განადგურებული ტაძარი განვითარებულ შუა საუკუნეებში კვლავ განუახლებიათ და სწორედ ამ პერიოდის მასალითაა წარმოდგენილი მეორე კულტურული ფენა, რომელიც XI-XIII საუკუნეებით თარიღდება.
- კაზრეთის ორთავალა მღვიმის ყველაზე გვიანდელი არქეოლოგიური მასალა, გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება და XVII-XIX საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ამ მასალის შემცველი ფენა ზემოდან გადაფარულია თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი ნარჩენების შემცველი შრით, რომელიც მღვიმეში განლექილი ფენების ყველაზე ზედა, დღევანდელი დონე გახლავთ.

A short report on archaeological excavations conducted at Ortvala Cave in 2020

David Berikashvili

d.berikashvili@yahoo.com

Kazreti Ortvala Cave ('double eye cave') is located in the gorge of the Riv. Mashavera in historical Kvemo Kartli, southern Georgia, Bolnisi Municipality). The Complex comprises two caves, situated at 24 meters above the river level. Excavations carried out in 2018 revealed ruins of a small, hall-type church of early Christian Period inside the northern cave, but its full-scale excavations were conducted in 2020 (Pic.1).

The excavations confirmed existence of three cultural layers which were overlapping the floor of the church (Pic.2). The first layer contained archaeological materials (mostly pottery) of the 17th-18th centuries and represented the last phase of the site's occupation. Based on stratigraphic data and archaeological material, the next layer goes back to the 11th-13th centuries, while the third, the lowest stratum lying directly on the stone floor of the church belongs to the early medieval period - the 5th-6th centuries.

The stone floor of the church was the pavement of reddish tuff. It was well preserved and bore traces of fire and charcoal, that provided grounds to suggest that the church was burned down during one of the invasions of Arab General Murvan-Kru (Marwan ibn Muhammad) in Kvemo Kartli, in the first half of the 8th century.

The most significant was discovery of a sandstone block with a relief decoration and a relief inscription (Pic.5), as well as a base of a stela at the doorway, outside the church. It represented a cube of greenish tuff with a relief cross and an asomtavruli (capital) inscription on the face (Pic.3). As the cross and the letters were worn out, it was impossible to identify the meaning of the inscription. However, according to typological and paleographical features, the date of the base was defined by the 6th-7th centuries.

It is also significant that a special sacrificial altar was arranged with basalt stones in front of the base. Detailed excavations of the altar revealed bones and horns of sacrificed animals such as a wild boar (*Sus scrofa*) and a reindeer (*Cervidae*) (Pic.4). The tradition of sacrificing animals has a long history and is associated with pagan times. Such facts are known well from Bronze Age archaeological sites of Melighele and Melaani (Kakheti, eastern Georgia), where deer bones and horns were sacrificed to the goddess of fertility.

The next area to be excavated was on the slope in front of the caves that descends toward the river. It yielded important artifacts. Fragments of the pottery and obsidian tools revealed in this area are crucial for understanding the stratigraphy of the whole site. Analysis of the finds and the materials discovered around the early Christian church help us to conclude the following:

- The earliest materials of the site (from trenches on the slope, in front of the cave) belong to the Late Neolithic and are represented by fragments of the pottery having archaic features, relief ornaments and simple shapes.
- Some fragments of pottery which differ from the Neolithic ones find similarities with the ceramic finds from Early Bronze Period (Kura-Araxes Culture) sites in eastern Georgia and date to III millennium B.C.
- The following historical phase of Ortvala complex belongs to the Early Middle Ages and is represented by ruins of an Early Christian Church of the 5th-6th centuries.

Ruins of the church are overlapped by the deposits of the high and late medieval periods, dating by the 11th-13th cc and 17th-18th cc.

სამშვილდის ციხელაღმა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიისა და მონაპოვების მოკლე ანგარიში

დავით ბერიკაშვილი
d.berikashvili@yahoo.com

2020 წელს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანადაფინანსებით განაახლა სამშვილდის ციხადელის (თეთრინყაროს მუნიციპალიტეტი, 41°30'26"N 44°30'20"E) ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები (ხელმძღვ. დავით ბერიკაშვილი).

გათხრების მიზანი იყო სამშვილდის ციხადელის ჩრდილოეთ მონაკვეთში მდებარე უცნობი ნაგებობის შესწავლა და ციხადელის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური თხრილების კვლევების გაგრძელება. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის სავალდებულო სამუშაოებიც, ისევე როგორც გასულ წლებში ჩატარებული გათხრები, იმ მრავალწლიანი პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს.

სამშვილდის ციხადელში მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოების დროს გამოყენებულია ცალკეული არქეოლოგიური კონტექსტების გამოვლენაზე და მათი ურთიერთკავშირის დადგენის პრინციპზე დაფუძნებული სავალდებულო მეთოდოლოგია (MOLA's Methodology). ასევე, ფარდობითი დათარიღების, აეროფოტოგადაღების, გეოფიზიკური და გეომაგნიტური დაზვერვების მეთოდები.

არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც გათხრების შედეგად გამოვლინდა, ძირითადად კერამიკით (საყოფაცხოვრებო და სამშენებლო), ლითონის ნივთებით (სამეურნეო და საბრძოლო), მინის ფრაგმენტებით, ქვის იარაღებითა და ძვლოვანი ნაშთებით არის წარმოდგენილი. სათანადო აღრიცხვისა და სავალდებულო პასპორტიზაციის დასრულების შემდეგ, მასალის ნაწილი, რომელიც დაექვემდებარა კამერალურ სამუშაოებს, გადაიგზავნა საქართველოს უნივერსიტეტის კერამიკის რესტავრაციის ლაბორატორიაში, სადაც განხორციელდა მათი სრული და რიგ შემთხვევაში, ნაწილობრივი რესტავრაცია (რესტავრატორი თ. თორდია). ასევე, შესრულდა ლითონის რამდენიმე ერთეული ნივთის კამერალური

სამუშაოები, რის შემდეგაც აღნიშნული მასალა გადაეცა საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებს და მზადდება პუბლიკაციისთვის.



სურ. 1

სამშვიდლის ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში უცნობი, მოზრდილი ზომის ნაგებობის არსებობა ჯერ კიდევ 2012-2013 წლებში ჩატარებული აეროფოტო გადაღებების შედეგად იყო ცნობილი. 2020წელს კი საველე სამუშაოების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ ამ ნაგებობის არქეოლოგიური კვლევა იყო. შესასწავლი ტერიტორიის მცენარეული საფარისგან განმეინდის შემდეგ, გამოიკვეთა ნაგებობის კონტურები, კერძოდ, ცხადი გახდა, რომ კორდოვანი და ნანგრევ-ნაყარი ფენის ქვეშ მდებარეობდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ნაგრძელებული, მართკუთხა ფორმის შენობა, რომლის სიგრძე 17.5 მ, სიგანე კი 6.5 მ-ს აღწევდა (სურ.1). მეთოდური გათხრების შედეგად გამოვლინდა ბაზალტის საშუალო ზომის ქვითა და კირღულაბით ნაგები კედლები, რომელთა სიმაღლეც 1-დან 1.6 მ-მდე მერყეობდა.

კორდოვანი ფენისა და ნანგრევ-ნაყარი ფენის მოხსნის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ნაგებობა სამი ნაწილისგან (დარბაზისგან) შედგებოდა, რომლებიც ერთმანეთთან 1.2 მ სიგანის ლიობებით იყო დაკავშირებული. მათ შორის ყველაზე მოზრდილი ცენტრალურ ნაწილში მდებარე დარბაზი, რომლის სიგანე 6 მ, სიგრძე კი 7.5 მ-ს უდრიდა. მისგან ჩრდილოეთით მდებარეობდა კიდევ ერთი, წრიული ფორმის დარბაზი, რომელიც უშუალოდ ციტადელის ჩრდილოეთ კედელს ებჯინებოდა და გადაჰყურებდა მდ. ჭივჭავის კანიონს (სურ. 2).

თავისი გეგმით, არქიტექტურული სტილითა და მშენებლობის ტექნიკით წრიული ფორმის დარბაზი განსაკუთრებით საყურადღებოა. მისი კარის ლიობი სამხრეთითაა გახსნილი, ინტერიერში კი კედლებში ჩაშენებული ოთხი

ღრმა ნიში და ერთი ბუხარია. მიუხედავად იმისა, რომ წრიული დარბაზის ზედა ნაწილი მთლიანად დანგრეული იყო, კედლების შენების ტექნიკა და მათი ზედა ნაწილში თანდათანობით შევიწროება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მას გუმბათური გადახურვა უნდა ჰქონოდა. მსგავსი ტიპის, აღმოსავლური სტილით ნაგები და ნახევარგუმბათოვანი გადახურვის მქონე შენობები კარგადაა ცნობილი გვიანდელი შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებიდან (თბილისი, დმანისი, თელავი). ვფიქრობთ, რომ სამშვილდის „წრიული დარბაზი“ გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება და ქრონოლოგიურად ციტადელის ფუნქციონირების ბოლო ფაზას ეკუთვნის.



სურ. 2

სამშვილდის ციტადელში გამოვლენილი „ჩრდილოეთის სასახლის“ კვლევა, საანგარიშო წელს არ დასრულებულა. კერძოდ, არქეოლოგიურად შესასწავლია მისი მესამე – სამხრეთის „დარბაზი“, რომლის კედლებიც ყველაზე კარგადაა შემორჩენილი. მხოლოდ ამ უკანასკნელის შესწავლის შემდეგ გახდება შესაძლებელი შეიქმნას სრული ნარმოდგენა აღნიშნული ნაგებობის ფუნქცია-დანიშნულებისა და მისი სტრატეგრაფია და ქრონოლოგიური საკითხების დაზუსტების შესახებ. თუმცა, უკვე დღევანდელ ეტაპზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ჩრდილოეთის სასახლე“ ქრონოლოგიურად XVII-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მიერ ჩატარებული გათხრები, სტრატეგრაფიული მონაცემები და არქეოლოგიური მასალა ამგვარი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც გამაჰმადიანებული და სპარსეთის სამსახურში ჩამდგარი არჩილ ბაგრატიონი (აბდულა ბეგი), ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით დაუპირისპირდა ერეკლე II-ეს და თავის რეზიდენციად სამშვილდის ციხე აქცია. ორწლიანი ომის შემდეგ

(1747-1748 წწ.), რომელიც ერეკლეს გამარჯვებით დასრულდა, სამშვილდის ციხე მისსავე დაქვემდებარებაში გადავიდა და მიგვაჩნია, რომ ციტადელის „ჩრდილოეთის სასახლის“ ფუნქციონირების აქტიურ ფაზად სწორედ ეს პერიოდი უნდა ჩაითვალოს.

პარალელურად მიმდინარეობდა გათხრები ციტადელის ცენტრალურ ნაწილში მდებარე №60 და №69 თხრილებში, რომელთა შორის არსებული „უღელი“ მოიხსნა და ორივე თხრილი ერთ დიდ თხრილად (5×10 მ) გაერთიანდა. „უღლის“ მოხსნა და თხრილების გაერთიანება განპირობებული იყო იმ აუცილებლობით, რომ აქ ჯერ კიდევ 2018 წელს გამოვლინდა განვითარებული შუა საუკუნეების მოზრდილი ნაგებობის ნაშთი, რომლის ერთ-ერთი სათავსიც სწორედ ამ თხრილებში იყო მოქცეული. გათხრებმა ცხადყო, რომ განვითარებული შუა საუკუნეების ნაგებობის კედლები მთლიანად მოიცავს ციტადელის ცენტრალურ ნაწილს და სტრატეგრაფიული თვალსაზრისით, აქვე მდებარე „ჩრდილოეთის სასახლის“ ქვემოთ ვრცელდება. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნაგებობა, სამშვილდის ციტადელში მდებარე განვითარებული შუა საუკუნეების სასახლე უნდა იყოს, რომლის ძირითადი ნაწილი გადაფარულია გვიანდელი შუა საუკუნეების კედლებით და მომავალ კვლევას საჭიროებს.

აღსანიშნავია, რომ №60 და №69 თხრილების შესწავლილ მონაკვეთზე გამოვლინდა ბაზალტის ქვის მოდიფიცირებული, წრიული ფორმის ბაზისი, რომელზეც აღმართულ სვეტსაც სათავსის გადახურვის ხის კონსტრუქცია ეფუძნებოდა (სურ. 3). ხანძრის შედეგად ჩამოქცეული კონსტრუქცია, ზემოდან დაცემულა და ფარავდა როგორც ბაზისს, ისე მის სიახლოვეს ჩამსხვრეულ მოზრდილი ზომის თიხის ჭურჭელს (სურ. 4) და შეღებილი ბათქაშების ფრაგმენტებს, რომლითაც ყოფილა შელესილი აღნიშნული ნაგებობის ინტერიერის კედლები (სურ. 5).



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2020 წელს სამშვილდის ციტადელში შესრულებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა გამოავლინა დღემდე უცნობი, გვიანდელი შუა საუკუნეების მოზრდილი სასახლენაგებობა, რომელიც არქეოლოგიური მასალითა და წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე კარგად თარიღდება XVII-XVIII სს-ით. და ასევე, ჩვენს ხელთ უკვე არსებულ ინფორმაციას დაემატა ახალი მონაცემები სამშვილდის ციხის განვითარებული შუა საუკუნეების სასახლის შესახებ, რომელიც აქვე აღმოჩენილი სამონეტო განძის მიხედვით XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნება და რომლის სრული პარამეტრებისა და მოცულობის გამოვლენა მომავალი კვლევების საქმეა.

A short report on archaeological excavations conducted in Samshilde in 2020

David Berikashvili

d.berikashvili@yahoo.com

Samshilde archaeological expedition of the University of Georgia conducted the eighth archaeological field campaign inside Samshilde citadel in collaboration with the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia in July-August, 2020.

The main aim of the expedition was to study and clarify the function of the building that was identified during areal mapping in 2012-2013, which covered the whole north-eastern part of the citadel. After removing vegetation from the walls, it became clear that here we were dealing with a structure of a rectangular shape (17.5 × 6.5) oriented on the south-north axis (Pic. 1). Given its location, it was named the ‘Northern Palace’ - opposite another big structure located in the south of the citadel (the ‘Southern Palace’).

The excavations, which continued for four weeks, revealed three parts (the ‘hall’) of the ‘Northern Palace’. The central ‘hall’ was connected to the northern one with an opening, as well as the main entrance which also had an opening leading to the west. It is notable, that the northern ‘hall’ of the palace differed from the central one and had a round shape, with deep niches and open fireplace in the interior (Pic. 2). Such architectural type, with a cupola roofing is well known from the medieval cities of eastern Georgia such as Tbilisi, Dmanisi, Telavi, etc.

Architectural data, as well as archaeological finds and chronicles helped to identify the date of functioning of the ‘Northern Palace’: we assume that the period when the palace was intensively operating should be associated with military confrontation between Erekle II and Abdula Begh that took place in 1747- 1748. After two years when the war ended with the victory of Erekle II, the ‘Northern Palace’, as well as the whole Samshilde citadel came under his control again.

In 2020 another area of excavations was trenches №60 and №69, occupying the central part of the Citadel. During the excavations these two trenches were united into one big trench (10 × 5 m). These activities revealed some walls associated with another ‘palace’ of high medieval period.

A round base of a pillar (Pic. 3), fragments of a huge ceramic vessel (Pic. 4) and several hundreds of artifacts were unearthed here during the excavations. The most important was the discovery of painted plaster fragments, which indicate that the interior of the ‘palace’ was perfectly decorated (Pic. 5).

The archaeological finds, as well as colorful plasters alongside archaeological contexts and stratigraphic data help us to date that building to the 12th-13th centuries. A hoard of coins discovered here in 2018-2019, comprising 260 single coins of the same period, serves to make this date indisputable¹.

¹ Berikashvili, D., Pataridze, M. 2019. ‘Samshilde Hoard’. Tbilisi.

მთიულეთსა და ხევსურეთში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოხალე ანგარიში

გიორგი გოგოჭური
giorgigogochuri@yahoo.com
ირინა ლამბაშიძე
irinagambashidze@gmail.com
ბიძინა მურვანიძე
murvanidzebidzo@yahoo.com
ნინო ოთხვანი
ninotchvani@yahoo.com

2020 წელს ქართულ-გერმანულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მთიულეთსა და ხევსურეთში აწარმოვა მცირე მოცულობის დაზვერვითი სამუშაოები. კვლევა განხორციელდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის, გერმანიის ბოხუმის სამთო მუზეუმისა (DBM) და რურის უნივერსიტეტის (RUB) ერთობლივი თანამშრომლებით¹. საველე კვლევა-ძიება ფინანსურად უზრუნველყოფილი იყო გერმანიის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „მოხილობა მთასა და ბარში: სოციალური და ეკონომიკური გამოცდილება ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში“ – ფარგლებში. ექსპედიციის ძირითად მიზანი იყო საერთაშორისო პროექტისთვის, სადაზვერვო თხრილების საშუალებით ლაბორატორიული კვლევებისთვის ანთროპოლოგიური, პალეოზოოლოგიური, პალეობოტანიკური და პალინოლოგიური ნიმუშების მოპოვება.

არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა დუშეთის მუნიციპალიტეტში მთიულეთსა (ხადას ხეობა, სოფ. სვიანა-როსტიაანები) და ხევსურეთში (სოფ. მუცო, სოფლის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია და სოფ. შატილი, ადგილი – სამძივანის გორი).

სადაზვერვო თხრილები ობიექტებზე გაიჭრა წინასწარ შერჩეულ ადგილებში. არქეოლოგიურ ობიექტებზე გათხრები მიმდინარეობდა საველე კვლევა-ძიების ნორმებისა და მეთოდოლოგიის სრული დაცვით. გათხრების ფიქსაციისთვის ვიყენებდით ტაქეომეტრს. ფოტო გადაღებებს

¹ საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ: საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქი-ფანიძის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის თანამშრომლები: გ. გოგოჭური (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ირ. ლამბაშიძე (პროექტის თანახელმძღვანელი), არქეოლოგები: ბ. მურვანიძე, ნ. ოთხვანი. გერმანიის მხრიდან: პ. ტომასი, ფ. კლეინი, პ. ფლაიშერი და ა. შველნუსი. ექსპედიციას სატრანსპორტო მომსახურებას უწევდნენ ეროვნული მუზეუმის მძღოლები : გ. ტურაშვილი და ნ. გრიქორაშვილი.

ვანარმოებდით ციფრული ფოტოაპარატითა და დრონით. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დაცულია ეროვნული მუზეუმის არმაზის ბაზის საცავში.

ძირითადი პუნქტები:

ხადის ხეობაში, სოფ. როსტიაანების მიდამოებში ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები გამოვლინდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, ხეობის სოფლების გაზიფიკაციასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების დროს. მაშინ, ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ნამოსახლარ როსტიაანები I-ზე (შემთხვევის ადგილზე) ჩაატარა მცირე სამუშაოები.² ძეგლის ხასიათის დადგენის მიზნით, 2010 წელს აქვე გაკეთდა სადაზვერო თხრილი.³



სურ. 1




სურ. 2

² რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, გ. ჩიქოვანი, მ. ლლონტი, ლ. ნითლანაძე, ა. ბუჩუკური, ც. რობაკიძე, დ. მინდორაშვილი, გ. რჩეულიშვილი, ც. ლომიძე, ვ. ჩიხლაძე, მ. მარგველაშვილი, ივ. ნიკლაური, ჯ. ნიკლაური, მ. გამეხარდაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. კრებ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992, გვ. 96-97. თბ. 2004:

³ გ. გოგოჭური, გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები სვიანა-როსტიაანებსა და დოლოშ-ამი. გათხრების ანგარიში. თბ. 2010

2020 წელს სადაზვერვო თხრილები გავავლეთ ორივე ნამოსახლარზე. ნამოსახლარი როსტიაანები I მდებარეობს მდინარე ხადის წყლის მარცხენა ნაპირზე, კანიონის ქვემოთ არსებულ ფერდობზე (სურ. 1). ნასახლარზე გავჭერთ ერთი თხრილი (2,0 X 2,0 X 0,5 მ, კოორდ. -0461177 -4700551, სიმაღლე ზღვის დონიდან 1554-1561 მ). თხრილში უძრავ ფენამდე არ დავსულვართ. კულტურულ ფენაში გამოვლინდა მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ქვის იარაღები და ცხოველების ძვლები.

მეორე ნამოსახლარი (როსტიაანები II) მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, კანიონის თავზე. ის ბუნებრივი ბორცვია (კოორდ. - 0461228, -4700614; - 0461257, - 4700639, სიმაღლე ზ/დ 1602 – 1617 მ). ბორცვის თხემსა და მის ფერდობებზე მრავალფენიანი ნასახლარი და შუა საუკუნეების სამაროვანია განთავსებული (სურ. 2). ბორცვის წვერზე მეგალითური ნაგებობების ნაშთებია შემორჩენილი. ისინი უშუალოდ გვიან ბრინჯაო-რკინის ხანის ფენაზე დევს. ამ ფენის ქვეშ კი, შუა ბრინჯაოსა და



სურ. 3




სურ. 4

ენეოლითური ეპოქების კულტურული ფენები ფიქსირდება. ნამოსახლარის ფერდობებსა და მის გარშემო გავჭერთ სხვადასხვა ზომის (2X1 მ; 3X1 მ) 11 თხრილი. თხრილებში გამოვლინდა რკინის ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები და შუა საუკუნეების ორმოსამარხთა ნაშთები. 2020 წელს, სამანქანო გზის გაფართოების დროს, ნამოსახლარი ბორცვის აღმოსავლეთი ფერდობი

ჩამოუჭრიათ, რის გამოც დაზიანდა კულტურული ფენები (კოორდ. -046 1273, -4700597). ექსპედიციამ განმინდა აღნიშნული ადგილი 7,0 მ სიგრძესა და 1,5 მ. სიმაღლეზე (სურ. 4), სადაც აღმოჩნდა ენეოლითური და შუა ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ნატყეხები, ობსიდიანის ანატკეცები, ასევე ცხოველის ძვლების ფრაგმენტები (სურ. 3).

როსტიაანები I-ის ნამოსახლარიდან გვაქვს რადიოკარბონული თარიღი ქ.ნ. XXVIII-XXVII სს., რომელიც დადგინდა საფრანგეთის ქ. ლიონის სამეცნიერო ცენტრის ლაბორატორიაში. ახალი მასალებიც, ვფიქრობთ, ამავე ასაკით უნდა დათარიღდეს. რაც შეეხება როსტიაანები II-ის თარიღს, აქ წარმოდგენილია გვიან ენეოლითური, შუა ბრინჯაოსა და რკინის ხანის მასალები, რომელთა ასაკი, ზოგადად, V ათასწლეულის მეორე ნახევრით, II ათასწლეულის დასაწყისითა და I ათასწლეულის პირველი მეოთხედით უნდა განისაზღვროს.

ხევსურეთში, სოფ. მუცოს თანამედროვე სასაფლაოზე, იქ, სადაც ადრე შემთხვევით აღმოჩნდა ადრე ბრინჯაოს ხანის სამარხები⁴, გავავლეთ თხრილი (6,5X6,0 მ, კოორდ: -0517214, -4717073; სიმაღლე ზ/დ 1672 მ). თხრილში მთლიანობაში გამოვლინდა 6 სამარხი. აქედან, ერთი სამარხი,



სურ. 6



სურ. 5



სურ. 7

⁴ გ. გოგოჭურ, მ. ლლონტი, პირიქითა ხევსურეთის მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლები. ძიებანი. ტ.X, გვ. 33-44; თბ.200;

გასული საუკუნის ბოლოს საფლავის გაჭრისას დაუნგრევიათ, მეორე კი ნაწილობრივ იყო დაზიანებული. სამაროვანზე გამოვლენილი სამარხებიდან გაინმინდა მხოლოდ ორი სამარხი-აკლდამა (№2 და №3), ხოლო სამი – დავაკონსერვეთ. აკლდამები ნაშენია ფიქალის ნატეხი ქვებით (სურ. 4). საინტერესოა მათი გადახურვის კონსტრუქცია, რომელიც ერდოიანი სახლის გადახურვის პრინციპითაა გამართული. სამარხებში აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭელი და ლითონის ნაკეთობები (სურ. 5, 6). მასალის მიხედვით, სამარხი-აკლდამები III ათასწლეულის შუა ხანებით უნდა დათარიღდეს.

შატილში, ადგილ სამძივანაის გორზე გავავლეთ ერთი თხრილი (3,0მX1,80მ, კოორდ: -0512540, -4722732; სიმაღლე ზ/დ, 1478 მ). თხრილში გამოვლინდა სათავსის ნაშთი. გეგმის დონეზე შემორჩენილია ფიქალით ტალახზე ნაშენი კედლები. ქვებით განყოფილი კერა, ქვის ტაბლა და მოფილაქნებული იატაკი (სურ. 7). იატაკზე გაინმინდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. მცირერიცხოვანი კერამიკული მასალის მიხედვით, ნაგებობა, ვფიქრობთ, ქ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს უნდა მივაკუთნოთ.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიცია მხოლოდ დაზვერვებით შემოიფარგლა, შედეგები მაინც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა:

1. სოფ. როსტიანებში, მრავალფენიან ნამოსახლარზე (როსტიანები II), აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონში პირველად დაფიქსირდა შულავერ-შომუთეფეს კულტურის შემცველი ფენები. აქამდე, თუ არ ჩავთვლით, ჟინვალის სამლოცველოს ენეოლითური ხანის მასალებს, აღნიშნული კულტურა ქვემო ქართლის გარდა სხვაგან არ გამოვლენილა.

2. გაირკვა, რომ კანიონის ქვემოთ არსებული არქეოლოგიური ფენები, წარმოქმნილი არ არის კანიონის ზემოდან ჩამოცურებული კულტურული ფენებისგან. ის ცალკე არსებული დასახლებაა, რომლის გეგმარებისა და ხასიათის გარკვევა სამომავლო საქმეა.

3. მუცოში, ადრე აღმოჩენილი მტკვარ-არაქსული კულტურის სამარხი არ არის ერთადერთი შემთხვევა, როცა საქმე გვაქვს ამ ეპოქის სამაროვანთან, რაც მის სიახლოვეს თანადროული ნასახლარის არსებობაზეც მიანიშნებს.

4. სოფ. შატილში, სამძივანაის გორზე, დადასტურდა რკინის ფართო ათვისების ხანის დასახლება. ამ ადგილის მიმართ ჩვენი ინტერესი გამოიწვია, ფერდობზე, მიწის ზედაპირზე არსებულმა დიდი რაოდენობით ქვის იარაღებმა (ხელსაფქვაკები, სანაყები, სახეხები, საბეგველები და

სხვა), რომლებიც, როგორც ირკვევა, რკინის ხანაზე უფრო ადრეული ჩანს, ვინაიდან, ისინი სათავსში სამშენებლო მასალადაა გამოყენებული.

სურათების აღწერილობა

1. ხანიონის ქვამოთ ფარდობა არსებული მბჟავარ-არაქსული ნაგებობის – ნოსტიანები I .
2. მრავალფენიანი ნაგებობის ბორცვი ნოსტიანები II.
3. ენოლითური და თრიალეთის ხალხურისათვის დამახასიათებელი შუა ბრინჯაოს ხანის თიხის ჯურჯლის ნივთები.
4. გუგოს აღმოსავლეთით ხანის სამაროვანი, სამარხი-აქლდამა №3.
5. №3 სამარხ-აქლდამა. თიხის ჯურჯლის ნივთების ნივთებით.
6. №6. №3 სამარხ-აქლდამაში აღმოჩენილი ლითონის ნივთები.
7. შაბილის „სამძივანის გორი“, თხრილში გამოვლენილი ნაგებობის ნაშთი.

A short report on archaeological excavations conducted in Mtiuleti and Khevsureti in 2020

*G. Gogochuri
giorgigogochuri@yahoo.com;
Ir. Gambashidze
irinagambashidze@gmail.com;
B. Murvanidze,
murvanidzebidzo@yahoo.com;
N. Otkhvani
ninootchwani@yahoo.com;*

In September-October, 2020, the Georgian-German joint archaeological expedition conducted small-scale prospecting work in Mtiuleti and Khevsureti. The purpose of the expedition was to obtain anthropological, paleozoological, paleobotanical and palynological samples from test pits for laboratory research in the frame of the international project ‘Wandering the highlands and valleys: social and economic practices between the Late Chalcolithic and the Early Bronze Age in the Transcaucasus’).

Survey works were carried out in Mtiuleti and Khevsureti (Dusheti Municipality). In the Khada Gorge, near the village of Rostianebe, test pits were made on the Bronze Age settlements, where potsherds of the Eneolithic period, Kura-Araxes culture, Middle

Bronze Age and Iron Age were discovered. The finds also contained obsidian flakes and fragments of animal bones. The excavated archaeological material can preliminarily be dated by the second half of the V millennium BC - the beginning of the II millennium BC, and the first quarter of the I millennium BC.

Two burial vaults were excavated at an Early Bronze Age cemetery in the village of Mutso in Khevsureti. The burial vaults were built of slate and covered with stone slabs. Clay vessels and metalware were discovered in the vaults (Fig. 9, 10). According to the archeological material, the burial vaults in Mutso should be preliminarily dated by the first half of the III millennium BC.

A trench made on the site of Samdzivanais Gori in Shatili yielded remnants of a storage room. A stone hearth, a low stone table and a floor tiled with stone slabs were cleaned in the interior (Fig. 11). Some potsherds were also cleaned on the floor. Based on the recovered ceramic material, the building may date back to the first half of the I millennium BC.

ქვემო ქართლში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

ბიძინა მურვანიძე
murvanidzebidzo@yahoo.com
გიორგი გოგოჭური
giorgigogochuri@yahoo.com
დავით მინდორაშვილი
datomindorasvili@yahoo.com

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ბ. მურვანიძე) 2020 წელს დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა მარნეულის მუნიციპალიტეტში მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჩაყოლებით არსებულ რვა ობიექტზე, იქ, სადაც სს გეს „საქრუსენერგოს“ დაგეგმილი ჰქონდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისთვის ანძების დამონტაჟება. სადაზვერვო სამუშაოები ითვალისწინებდა ანძების მშენებლობის ადგილებზე შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენას და სამომავლოდ მათ შესწავლას.

ექსპედიციამ საველე-საძიებო სამუშაოები დაიწყო სოფ. ილმაზლოს მახლობლად, იმ ტერიტორიაზე, სადაც ერთმანეთის გვერდით უნდა დაიდგას მაღალი ძაბვის გადამცემი ორი ანძა (ტაბ. I). ტერიტორია მტკვრის მარჯვენა ნაპირის შემალლებულ ბორცვზე, ჯერ კიდევ 2011 წელს მიკვლევული მრავალფენიანი ნამოსახლარის უშუალო გაგრძელებაა. 2011 წ. ჩატარებული გათხრებისას, ბორცვზე გამოვლინდა ექვსი სხვადასხვა ეპოქის კულტურული ფენა, რომელთაგან ჯერჯერობით ყველაზე ადრეულია ქ.წ. III ათასწ. შუა ხანებით დათარიღებული საკურთხეველი და სამეურნეო ორმო; შემდეგ მოდის რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხი. მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხები და ორმოები მიეკუთვნება ანტიკურ ხანას; შემდგომი პერიოდის (II-III სს.) ობიექტი წარმოდგენილია სასახლით; VI-VII სს-ს განეკუთვნება რამდენიმე სამარხი; აქვე გვხვდება შუა საუკუნეების ნამოსახლარი მრავალრიცხოვანი ორმოებით.¹

სამშენებლო ფართობი – ბორცვი, უშუალოდ ესაზღვრება 2011 წ. გათხრილ მონაკვეთს და მას გაბატონებული ადგილი უკავია ირგვლივ არსებულ ვრცელ ტერიტორიაზე. ბორცვზე არქეოლოგიური ობიექტის

¹ გ. გოგოჭური, ნ. კალანდაძე, მნიშვნელოვანი აღმოჩენები მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. IV (49-ბ), 2013, გვ. 21.

გავრცელების საზღვრებისა და კულტურული ფენების სიმძლავრის დასადგენად, რვა საძიებო თხრილი გაიჭრა ნამოსახლარის აღმოსავლეთ ფერდობსა და მის თხემზე (ტაბ. I₁).

ბორცვის თხემზე გაკეთებულ №1 თხრილში გამოვლინდა: ალიზის ნაშთები ცეცხლის კვალით; ძელის ნაშთი; რიყის ქვებისგან შედგენილი კედელი და აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი ორმოსამარხი 19² (ტაბ. IV₁). სამარხის ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის. მიცვალებული ესვენა ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით (ტაბ. IV₁). სამარხს ჩაჭრილი აქვს უფრო ადრეული ნამოსახლარის ფენა. ნაწილობრივ განმედიის შემდეგ, სამარხი ისევ მიწით დაიფარა. სამარხის ორმოს შევსებაში აღმოჩნდა ქვევრის პირის ნატეხი, რომელზეც ამოღებული იყო გაურკვეველი ნიშანი (ტაბ. VII₁₁, X₁). თხრილში მიკვლეული მასალის უმრავლესობა კერამიკაა, რომელშიც გვხვდება ღარიანი და ბრტყელი კრამიტის, ქვევრის, დერგის ნატეხები და სხვ. აქვე აღმოჩნდა ქვის სხვადასხვა ზომის სანაყ-სასრესები.

№2 თხრილში გამოვლინდა მცირეწლოვანი ბავშვების აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი ოთხი (20-23) უინვენტარო ორმოსამარხი. მიცვალებულები ზურგზე, თავით დასავლეთით იყვნენ დასვენებული (ტაბ. IV₂).

თხრილში გაიწმინდა წრიული მოყვანილობის ორმო და რიყის ქვებით შედგენილი კედლის ფრაგმენტი (ტაბ. IV₂). აქვე აღმოჩნდა ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლისა (ქვევრების, დოქების, ქოთნების) და ქვის სანაყების ფრაგმენტები.

№3 თხრილში გამოიკვეთა დამწვარი ფენა. აქ ასევე აღმოჩნდა სამარხი (24). აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილ ორმოში, მცირეწლოვანი ესვენა მარჯვენა გვერდზე (ტაბ. V₁). თხრილის მთელ ფართობზე ჩნდებოდა კერამიკის ნატეხები, ქვის სანაყ-სასრესები და ობსიდიანის ანატეკეცები.

№4 თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალა (სამარხი 25) (ტაბ. V₂). სამარხის დიდი ნაწილი თხრილის გარეთ გადის. თხრილში აღმოჩენილი მასალის უმრავლესობა კერამიკაა. აქვეა მიკვლეული ბათქაშის ნატეხები, ქვის სანაყები და წვრილფეხა საქონლის ძვლები.

№5-8 თხრილებში გამოვლინდა ნაცროვან-ნახშიროვანი ფენა, სადაც გაიწმინდა ორმო და რიყის ქვებისგან შედგენილი კედლის ნაწილი (ტაბ. VI₁₋₄). თხრილებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა თხრილში გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენები, ნამოსახლარის ნაშთებისა და სამარხების

² სამარხები აგრძელებს 2011 წელს გათხრილი სამარხების ნუმერაციას.

სახით. ცხადია, აქ საქმე გვაქვს დიდ ტერიტორიაზე განფენილ ერთსა და იმავე მრავალფენიან ნამოსახლართან. ნამოსახლარის კულტურული ფენები, როგორც აღვნიშნეთ, შესწავლილია ჯერ კიდევ 2011 წელს.³

ინვენტარის არარსებობის გამო სამარხთა დათარიღება ჭირს. რაც შეეხება საძიებო თხრილებში გამოვლენილ არტეფაქტებს, ისინი სხვადასხვა პერიოდისაა. ქ.ნ. I ათასწ. პირველი ნახევრის მასალებს შორის გვხვდება ქოთნები, რომელთაგან ზოგიერთი შემკულია ამოღარული ხაზებითა და ირიბი ნაჭდევებით (ტაბ. VII₁, X₂).⁴

ელინისტური პერიოდის არტეფაქტებს შორის აღსანიშნავია: ქვევრებისა და დერგების ნატეხები (ტაბ. VII₂₋₃, X₃₋₄), თეთრი ანგობის ზოლებითა და წითელი საღებავით მოხატული ქოთნები (ტაბ. VII₄₋₇, X₅₋₇), თეთრანგობიანი დაკეჭნილსარტყლიანი ჭურჭელი (ტაბ. VII₈, X₈), პირმოყრილი და ყურიანი ჯამები (ტაბ. VII₉₋₁₀, X₉₋₁₀) და სხვ.

გვიანანტიკურ ხანას მიეკუთვნება მოჩალისფროდ გამომწვარი ყელნიბოიანი დოქები (ტაბ. VII₁₂, X₁₁). მათგან ზოგიერთი წითლადაა შეღებილი (ტაბ. VII₁₃, X₁₂).

ადრეული შუასაუკუნეების მასალიდან, აღსანიშნავია ჩალისფერკეციანი და მონითალოდ გამომწვარი ხელადები, ლუთერიები, ბრტყელპირიანი ჯამები, პირმოყრილი ქოთნები, ღარიანი და ბრტყელი კრამიტები (ტაბ. VII₁₄₋₂₄, X₁₃₋₂₃).

XII-XIII სს-ს განეკუთვნება დაკეჭნილი სარტყლებით პირშემკული ქვევრები (ტაბ. VII₂₅₋₂₆, X₂₄₋₂₅), ქოთნები, ქოთნის სარქველი (ტაბ. VII₂₇₋₂₉, X₂₆₋₂₈), დოქები (ტაბ. VII₃₀, X₂₉) და სხვ. თხრილებშივე აღმოჩნდა ქვის სხვადასხვა ფორმის სალესავები (ტაბ. VII₃₁₋₃₂).

შემდეგი უბანი, სადაც გათვალისწინებული იყო კიდევ ორი ანძის დადგმა, მდებარეობს ილმაზლოს ბორცვებიდან სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირის ფართოდ გაშლილ ველზე (ტაბ. I₂, II₁). თხრილებში სხვადასხვა სიღრმეზე გამოვლინდა ანტიკური ხანის კერამიკული ნაწარმი. მასალა უფრო მეტი რაოდენობით აღმოჩნდა საკვლევი ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში გაჭრილ თხრილებში, რომლის აღმოსავლეთით შემალღებულ ტერასაზე დაფიქსირებულია ანტიკური ხანის ნამოსახლარი. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული არტეფაქტები არსებული ობიექტიდან იყოს ჩამორეცხილი.

ილმაზლოს ველზე მხოლოდ ანტიკური ხანის არტეფაქტები გვხვდება. თხრილებში არ ჩანს არქეოლოგიური სტრუქტურები. თუმცა, საყურადღებოა

³ გ. გოგოჭური, ნ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 18 – 65; გ. გოგოჭური, ანტიკური ხანის მასალები მარნეულის მუნიციპალიტეტიდან, იბერია-კოლხეთი, 15, 2019, გვ. 107 – 141.

⁴ გრაფიკული ტაბულები და მასალის ჩანახატები შესრულებულია თ. სახვადის მიერ.

მასალა, რომელთაგან გამოირჩევა: სხვადასხვა ქვევრის პირებისა და ყელ-გვერდის ნატეხები (ტაბ. VII₃₃₋₃₇, XI₁₋₃); თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა (ტაბ. VII₃₈, XI₄); წითლად მოხატული ჭურჭელი (ტაბ. VII₃₉₋₄₁, XI₅₋₇); წითლად შეღებილ-ნაპრიალები (ტაბ. VIII₁₋₅, XI₈₋₁₂) თუ მქისეზედაპირიანი ჯამ-ფიალები (ტაბ. VIII₆₋₈, XI₁₃₋₁₅); მოჩალისფროდ გამომწვარი ქოთნები (ტაბ. VIII₉₋₁₀, XI₁₆₋₁₇); რიყის ქვის მოგრძო სალეს-საპრიალებელი (ტაბ. VII₄₂, XI₁₈); სარ-ლასტის ანაბეჭდიანი თიხის ნატეხი (ტაბ. VIII₁₁) და სხვ.

ორივე უბანზე გამოვლენილ, ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალას მრავლად მოეპოვება ანალოგები აღმოსავლეთ საქართველოს ქ.ნ. IV-II სს-ის ძეგლებზე. წითლად მოხატული კერამიკული ნაწარმი ცნობილია: არაგვის ხეობიდან, უფლისციხიდან, სამადლოდან, ციხიაგორიდან, მცხეთიდან, ქვემო ქართლიდან და სხვ.

ქ.ნ. IV-III სს-ის არქეოლოგიურ ძეგლებზე, ასევე მრავლად გვხვდება თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკის ნიმუშები (უფლისციხე, შავსაყდარა I-II, აბულმუგი, ციხიაგორა, კუმჩი, ეცო, კამარახევი, ასურეთი, თბილისი, ნორიო და სხვ.).

საინტერესო მასალებია მიკვლეული სოფ. პირველქესალოში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის მაღალი ფლატის პირას (ტაბ. I₃, II₂). საძიებო სამუშაოების დაწყებამდე, ფლატის ქრილში მიწის ზედაპირიდან 2 მ სიღრმეზე, თავიდანვე ჩანდა 0,20-0,30 მ სიძლავრის დამწვარი კულტურული ფენა (ტაბ. II₄). ქრილის განმენდისას, მასში აღმოჩნდა ლეგა ფერის ქოთნების ნატეხები, რომელთაგან ზოგიერთი შემკული იყო ირიბი ნაჭდევების სარტყლით (ტაბ. VIII₁₂₋₁₄, XI₁₉₋₂₁). აქვე გამოვლინდა ჭურჭლის ზოომორფული ყური (ტაბ. VIII₁₅, XI₂₂), აგრეთვე ტაფისმაგვარი ჭურჭლის პირ-ყურისა და ძირდაკეჭნილი ჭურჭლის ნატეხი (ტაბ. VIII₂₈₋₂₉, XII₁₁₋₁₂). ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ფლატის ქრილში, ჩამოთვლილ არტეფაქტებთან ერთად, მიკვლეულია სატეხის ქვის ყალიბი, რაც უტყუარი დასტური იმისა, რომ ნამოსახლარზე მელითონეთა სახელოსნოც ყოფილა (ტაბ. VIII₂₇, XII₁₀).

ზემოთ აღწერილი მასალების თანადროული არტეფაქტები გამოვლინდა ფლატის კიდიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით გაკეთებულ №17 თხრილში. თხრილის ქვედა ფენებში აღმოჩნდა ლეგა-მოშავო ფერის კერამიკული ნაწარმი: სადღვებლის ნატეხი (ტაბ. VIII₁₆, XII₁), ამოღარული ხაზებით შემკული დერგები (ტაბ. VIII₁₇₋₁₈, XII₂₋₃), ქოთნები, ჯამი და სხვ. (ტაბ. VIII₁₉₋₂₆, XII₄₋₉).

საინტერესოა ყალიბთან ერთად მიკვლეული ძირდაკეჭნილი ჭურჭელი (ტაბ. VIII₂₉, XII₁₂), რომელიც თანმხლებ ზოომორფულყურთან ჭურჭელთან ერთად, ქ.ნ. I ათასწ. პირველი ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნამოსახლარზე გამოვლენილი სატეხის ქვის ყალიბი. მსგავსი ყალიბები აღმოჩენილია ცხინვალის ნაცარგორის II-III ფენებში, რომელთა ზედა თარიღი თავის დროზე განისაზღვრა I ათასწლეულის პირველი ნახევრით. ქ.ნ. IX-VIII სს-ით დათარიღებული ცულისა და სატეხის კომბინირებული ყალიბი ცნობილია ქვემო ქართლიდან (განთიადის სამაროვანი).

ქვემო ქართლი მდიდარია ნიაღისეულით, მათ შორის სპილენძისა და რკინის საბადოებით. ამ რეგიონში მეტალურგიის არაერთი კერაა დაფიქსირებული – დანყებული წინაანტიკური ხანიდან XIX ს-ის დასასრულამდე. სოფ. პირველ ქესალოსთან ფლატის ჭრილში აღმოჩენილი ყალიბისა და მის სიახლოვეს არსებული თიხის თაღისებური ფორმის კონსტრუქციის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ დასახლებულ პუნქტში ქ.ნ. I ათასწლეულის პირველ ნახევრში მელითონის სახელოსნო ყოფილა (ტაბ. II_{2,4}).

ნამოსახლარის სიახლოვეს, მისგან ჩრდილო-დასავლეთით, ფლატის ჭრილის დათვალიერებისას აღმოჩნდა კულტურული ფენები და ამ ფენიდან ჩამორეცხილი არტეფაქტები (ტაბ. II₃). მათ შორისაა სანელსაცხებლე (ტაბ. VIII₃₁, XII₁₃), რომელსაც არაერთი ანალოგი მოეპოვება აღმოსავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის განათხარ მასალაში (ზემო ავჭალა, კლდეეთი, ურბნისი, სამთავრო, ჟინვალი, დედოფლის გორა), სადაც ისინი ძირითადად I-II სს-ით თარიღდება. ამავე ტერიტორიაზე ნაპოვნია სამტურჩა დოქი (ტაბ. VIII₃₀). ამგვარი დოქები აღმოჩენილია: ურბნისში, ჟინვალში, მცხეთაში, კამარახევში, დიღმის ხეობაში, თბილისში და სხვ. ისინი ზოგადად I-III სს-ით თარიღდება. სანელსაცხებლე და სამტურჩა დოქი სამარხებიდან მომდინარეობს, რაც ამ ტერიტორიაზე გვიანანტიკური ხანის სამაროვნის არსებობას გვაპოვებს. შესაბამისად, აქვე ახლომახლო, მისი თანადროული ნამოსახლარის არსებობაც უნდა ვიგულისხმოთ.

სოფ. პირველი ქესალოს განაპირას, მტკვრისა და ალგეთის შეერთების სიახლოვეს, მტკვრისპირა ფლატის ჭრილის დათვალიერებისას, მინის ზედაპირიდან ორიოდ მეტრის სიღრმეზე დაფიქსირდა დამწვარ-დანახშირებული კულტურული ფენის ნაშთი, რომელიც საკმაოდ დიდ მანძილზე გაუყვება ფლატეს. როგორც ჩანს, მდინარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ მდებარეობდა კიდევ ერთი ნასახლარი (ტაბ. II₅).

ამავე მიდამოებში, ალგეთის მარცხენა ნაპირის სიახლოვეს, შუა საუკუნეების შენობის ნანგრევია. კედლები ნაგებია რიყის ქვითა და აგურით კირხსნარზე. შენობა არაა ეკლესია ან საფორტიფიკაციო ნაგებობა (ციხე, კოშკი). სავარაუდოდ, ის საერო დანიშნულების ობიექტი (სასახლე?

ქარვასლა?) უნდა ყოფილიყო (ტაბ. III₁).

საყურადღებო მასალებია მიკვლეული სოფ. მეორე ქესალოს სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირის მაღალი ქარაფის თხემზე (ტაბ. I₄). აქ, ქარაფის ქრილში, დაახლოებით 0,80-1 მ სიღრმეზე ჩანს ალიზის აგურებით ნაშენი ნაგებობების ნაშთები და კრამიტების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები (ტაბ. III₂). ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლის ცნობით, ამ დასახლების აღმოსავლეთ ნაწილში, ფლატის პირას მდგარა ქვა (სტელა?), რომელიც მტკვარში გადაუგდიათ. ის დღესაც მდინარეში დევს. იმავე პიროვნებამ ექსპედიციას გადმოსცა ქვის ორნამენტირებული ნატეხები, რომლებიც ყველა ნიშნის მიხედვით, სტელის ნაწილებია (ტაბ. IX). ერთ ნატეხზე გამოსახულია ფურცლოვანი ორნამენტი (ტაბ. IX_{1,3}), რომელიც წააგავს ქვემო ქართლის ადრეული, VI ს-ის სტელებისთვის (ბრდაძორის მცირე სტელა, ბოლნისის სტელა და სხვ.) დამახასიათებელ ორნამენტულ სახეებს.

ეჭვგარეშეა, რომ ამ ტერიტორიაზე ადრეული შუა საუკუნეების ნასოფლარი იყო, სადაც რიგი ნაგებობები ალიზის აგურით ნაშენი და კრამიტით გადახურული ყოფილა.

ამრიგად, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შედეგად, ექსპედიციამ აღმოაჩინა რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ფართოა.

1. სოფ. ილმაზლოსთან არსებულ მტკვრისპირა ბორცვზე გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტი (ტაბ. I₁) ნაწილია ჯერ კიდევ 2011 წელს აღმოჩენილი ძეგლისა, სადაც დაფიქსირდა ექვსი სხვადასხვა ეპოქის კულტურული ფენა – დაწყებული ქ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან, შუა საუკუნეების ჩათვლით.⁵

2. სოფ. ილმაზლოსთან ფართოდ გაშლილ ველზე, საძიებო თხრილებში აღმოჩნდა ელინისტური ხანის კერამიკა, რომელიც აქვე, შემალღებულ ადგილზე არსებული ნასახლარის გაგრძელება უნდა იყოს. აღნიშნული ნასახლარის არსებობა ჯერ კიდევ 2011 წელს დაფიქსირდა (ტაბ. I₂, II₁).

3. სოფ. პირველ ქესალოსთან, როგორც საძიებო თხრილებში, ისე ფლატის ქრილში არსებულ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმი, რომელიც ქ.წ. I ათასწ. პირველი ნახევრით თარიღდება (ტაბ. I₃, II_{2,4}, VIII_{12-26, 28-29}, XII₁₁₋₁₂). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქვე, ფლატის ქრილში აღმოჩენილი სატეხის ქვის ყალიბი (ტაბ. VIII₂₇, XII₁₀). უდავოა, რომ პირველ ქესალოსთან გამოვლენილი კულტურული ფენების სახით საქმე გვაქვს ქვემო ქართლის ქ.წ. I ათასწ. პირველი ნახევრის დასახლებასთან, სადაც

⁵ გ. გოგოჭური, ნ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 18 – 65.

მელითონეთა სახელოსნოც უნდა ყოფილიყო.

4. სოფ. პირველი ქესალოს სიახლოვეს, ფლატის ქრილიდან ჩამორეცხილი სანელსაცხებლე და დოქი (ტაბ. II₃, VIII₃₀₋₃₁, XII₁₃) მეტყველებს, რომ ამ მიდამოებში I-III სს-ის სამაროვანი, მის ახლომახლო კი თანადროული ნასახლარი იყო.


5. ალგეთისა და მტკვრის შესართავის სიახლოვეს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ფლატის ქრილში მიკვლეულია დამწვარ-დანახშირებული კულტურული ფენა, რომელიც ნამოსახლარს ეკუთვნის (ტაბ. II₅). ამ ეტაპზე ნასახლარის კონკრეტული თარიღის განსაზღვრა ვერ ხერხდება.

6. ამავე მიდამოებში, ალგეთის მარცხენა ნაპირზე დაფიქსირდა შუა საუკუნეების მოზრდილი ნაგებობის ნანგრევი (ტაბ. III₁).

7. სოფ. მეორე ქესალოს განაპირას, სამხრეთით, მდინარისპირა ქარაფის ქრილში გამოვლინდა ალიზით ნაგები და კრამიტით გადახურული ადრეული შუა საუკუნეების შენობების (ნასოფლარის) ნაშთი (ტაბ. III₂). ამავე ნასოფლარიდან მომდინარეობს სტელის ნატეხები (ტაბ. IX). საკუთრივ სტელა მტკვარშია გადაგდებული.

ამრიგად, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე (სამშენებლო ზონაში), ექსპედიციამ დააფიქსირა შვიდი არქეოლოგიური ობიექტი, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა. მტკვრის ჩაყოლებით ძეგლების ასეთი ინტენსიური განლაგება შემთხვევითი არ არის. მდინარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ უძველესი ნასახლარების გაჩენა, განპირობებული იყო ამ მიდამოების დიდი ეკონომიკური შესაძლებლობებით. დასახლებული პუნქტების გასწვრივ თანდათან ფორმირდებოდა გზა, რომელიც შემდგომ მნიშვნელოვან საერთაშორისო მაგისტრალად ჩამოყალიბდა. ამ გზის შესახებ სტრაბონი აღნიშნავდა – „ხოლო არმენიიდან შემოსასვლელი არის მტკვრის ვიწროებზე და არაგოსისაზე. ვიდრე ერთმანეთს შეერთვის ეს მდინარეები. იმ ადგილას მდებარეობს გამაგრებული ქალაქები კლდეებზე... მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიკე, ხოლო მეორეზე – სევსამორა. ამ შემოსასვლელებით პირველად ისარგებლა პომპეუსმა, რომელიც არმენიიდან მოდიოდა, ხოლო ამის შემდეგ კანიდიუსმა“.⁶ როგორც ვნახეთ, იბერიაში შემოსასვლელი ერთ-ერთი გზა, სწორედ მტკვრის ნაპირს მიუყვებოდა. ასეთი მნიშვნელოვანი მაგისტრალის გასწვრივ, ბუნებრივია სხვადასხვა პერიოდის ნასახლარების სიმრავლე – დაწყებული წინაანტიკური ხანიდან, შუა საუკუნეების ჩათვლით. გზის გასწვრივ მდებარე ზემოთ განხილული ნასახლარები აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩართული საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებში.

⁶ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 129.




ტაბ. 1




ტაბ. 2




ტაბ. 3



ტაბ. 4



ტაბ. 5




ტაბ. 6




ტაბ. 7




ტაბ. 8




ტაბ. 9



ტაბ. 10



ტაბ. 11



ტაბ. 12

A short report of the second phase of archaeological excavations in Kvemo Kartli in 2020

Bidzina Murvanidze
murvanidzebidzo@yahoo.com
Giorgi Gogochuri
giorgigogochuri@yahoo.com
David Mindorashvili
datomindorasvili@yahoo.com

The expedition of the Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies of the National Museum of Georgia (led by B. Murvanidze) carried out prospecting works on the right bank of the River Kura in Marneuli Municipality (Tab. I). As a result of accomplished works the expedition revealed some archaeological monuments.

Back in 2011, a multilayer archaeological object was registered on the elevated hill in the village of Ilmazlo. This time the expedition exposed pre-

Classical, Classical and medieval cultural layers (Tab. I₁, IV, V, VI₁₋₄, VII₁₋₃₂). Remnants of former settlement of the Hellenistic epoch were discovered on a vast field near the village of Ilmazlo (Tab. I₂, II₁, VII₃₃₋₄₂, VIII₁₋₁₁).

The ceramic fragments found in the vicinity of Village Pirveli Qesalo, in the ditch under investigation and in the section of the steep coastline enabled us to date the former settlement by the first half of the first millennium BC (Tab. VIII₁₃₋₂₆). A stone form accidentally found near the settlement points to the fact that there must have been a metal workshop in the settlement (Tab. VIII₂₇).

Near the settlement-site that was dated by the first half of the I millennium B.C the expedition also unearthed a glass vessel for keeping ointment/cream and a clay jar, which points to presence of a burial mound of the 1st -3rd cc on this territory (Tab. VIII₃₀₋₃₁). At the village of Meore Qasalo, in the section of the riverside rock the expedition exposed remnants of an early medieval settlement-site built with building material that was not baked but dried in the sun and was covered with roof tiles (Tab. III₂). Remnants of stone stelae come from the former village (Tab. IX).

Thus, on the right bank of the River Mtkvari the expedition recorded some archaeological objects whose chronological range is rather wide. Appearance of the earliest settlement along the right bank of the Mtkvari was determined by tremendous economic opportunities. A road was gradually formed along the populated areas, which later acquired international function. This road is even referred to by Strabo in his works. The settlement-sites located along the road which were discussed above must have actively been engaged in international trade-economic and cultural relations.

ნოქალაქის ნაქალაქროზ 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური საზოგადოების მოქალაქე ანგარიში

ნიკოლოზ მურღულია nikomurgulia@yahoo.com
დავით ლომიტაშვილი dlomitashvili@gmail.com
ბესიკ ლორთქიფანიძე beso_lort@yahoo.com
ნინო ქებულაძე nino.kebuladze@yahoo.com
პოლ ევერილი paul.everill@winchester.ac.uk
იან ქოლვინი idc30@cam.ac.uk
თამარ ნინიაშვილი tam.niniashvili@gmail.com
დავით ალანია alania11.d@gmail.com
ნინო ხუციშვილი nino.khutsishvili.16@iliauni.edu.ge
ნიკოლოზ დიასამიძე diasamidzeniko@yahoo.com

2020 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნოქალაქის ქართულ-ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევში არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოვა ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში, ორ უბანსა და თხრილებზე (სურ. 1). გათხრები წარიმართა ბრიტანული მეთოდოლოგიით. სამუშაოები ჩატარდა



სურ. 1 ნაქალაქარის ქვედა ტერასის გენ-გეგმა. შესწავლილი თხრილების ჩვენებით

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებითა და მხარდაჭერით.

E თხრილი

პირველად გაიჭრა 2015 წელს ნაქალაქარის აღმოსავლეთ სექტორში, აღმოსავლეთ გალავნებიდან 30 მეტრში, მეგრული ხის ოდა სახლის სამხრეთ კიდეზე. GPS: 42°21'27.53", 42°11'46.27". თხრილის ზომები: 9 მ (დას-აღმ) X 10 მ (სამხ-ჩრდ).

თხრილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში 2006 წელს გაჭრილი საცდელი შურფის ჩრდილოეთ ჭრილში გამოვლინდა დამრეცი ფენა, რომელიც შესაძლოა, IV-VI საუკუნეების გალავნებთან დაკავშირებული თავდაცვითი თხრილის კონტური ყოფილიყო. 2006 წელს შურფის მცირე ზომებიდან გამომდინარე სრულად ვერ გამოვლინდა. შესაბამისად, 2020 წლის საანგარიშო სეზონზე ჩვენი მთავარი მიზანი, სწორედ ამ სეგმენტის შესწავლა იყო.

სამუშაოების დასაწყისში გაინმინდა და ჩაიხაზა 2016 წელს გამოვლენილი არქეოლოგიური ფენები, სადაც დიდი რაოდენობის საშუალო და დიდი ზომის კირქვები და რიყის ქვები იყო მოფენილი. თავდაპირველად გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა, ეს მშრალი სასიარულო დონის შესაქმნელად მონყობილი სადრენაჟე ფენა ყოფილიყო. თუმცა, მომდევნო დღეებში სხვაგვარი სურათი გამოკვეთა.

იმის გამო, რომ თხრილის დასავლეთ ნახევარში სტერილური (116) და ნახევრად სტერილური (106, 113) ფენები ვრცელდებოდა, თხრილი გავყავით ორ ნაწილად და ძირითადი არქეოლოგიური სამუშაოები აღმოსავლეთ ნახევარში ვანარმოეთ (სურ. 2).



სურ. 2 თხრილის საერთო ხედი სამხრეთიდან, 116, 113 და 117 ფენების ჩვენებით

თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილი (114) ქვის ნაშალი ფენის ალების შემდეგ, გამოჩნდა 112-ე ფენის გაგრძელება, საიდანაც ამოდიოდა, როგორც წინარეანტიკური ხანის ზოომორფული ყურის ფრაგმენტები და ადრეანტიკური ხანის ჭურჭელი, ისე ელინისტური და ადრეული შუა საუკუნეების სამშენებლო კერამიკული ნაწარმი კრამიტისა და ფილების სახით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძვლოვანი მასალა, როგორც ამ ფენიდან, ისე სხვა კონტექსტებიდან, სულ რამდენიმე ერთეულს ითვლის, რაც ჩვენი აზრით, მიანიშნებს იმაზე, რომ აქ საქმე არ უნდა გვქონდეს ნამოსახლარ-საცხოვრებელ ფენასთან.

112-ე ფენის ალების შემდეგ გამოვლინდა კირქვებიანი მონაცრისფრო-მოშავო ფენა (117), სადაც დიდი რაოდენობით იყო მიმოფანტული სხვადასხვა ზომის კლდის ნაშალი ქვები. ისევე, როგორც წინა ფენებში, აქაც განსხვავებული ქრონოლოგიის კერამიკული მასალა ამოდიოდა. ამავე ფენაში აღმოჩნდა ქ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული მძივების სახე-საპრიალებელი ქვა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 2015 წელს, თხრილის გაჭრის მთავარი მიზანი, იქ, სავარაუდოდ არსებული თავდაცვითი თხრილის კონტურების აღმოჩენა იყო, მაგრამ 2016-2017 წლების სეზონზე, თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში წინარე და ადრეანტიკური ხანის კერამიკული მასალის გამოვლენის შემდეგ, აღნიშნული მოსაზრების სისწორეში ეჭვი შევიტანეთ. თუმცა, საანგარიშო წელს ჩატარებულმა გათხრებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საქმე უნდა გვქონდეს ან ხელოვნურ თავდაცვით თხრილთან, რომელიც ნაქალაქარის აღმოსავლეთ გალავნების წინ, მოიერიშეებისთვის დამატებით წინაღობას ქმნიდა ან ბუნებრივ ხევთან, რომელიც უნაგირა მთიდან ეშვებოდა მდ. ტეხურის მიმართულებით. ამ მოსაზრებას რამდენიმე არგუმენტით ვამყარებთ:

1. ზემოთ ნახსენები 112-ე და 117-ე ფენები თანამედროვე ზედაპირიდან 2-2,5 მეტრის სიღრმეზე დაფიქსირდა. ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, ქალაქობის პერიოდის ფენები მინის ზედაპირიდან 0,5-1,5 მეტრ სიღრმეზე ქვემოთ არ გვხვდება. 1,5 მეტრ და მეტ სიღრმეზე უკვე ქ.წ. I ათასწლეულის კულტურული ფენები ფიქსირდება. თხრილში კი, როგორც უკვე აღინიშნა, 112-ე და 117-ე ფენებში წინარე და ადრეანტიკური ხანის მასალასთან ერთად, ქალაქობის პერიოდის (ქ.შ. IV-VI სს) კერამიკის ფრაგმენტებიც აღმოჩნდა;

2. აღნიშნულ სიღრმეზე სხვადასხვა ქრონოლოგიის მასალის გამოვლენა, რა თქმა უნდა, არ უკავშირდება გვიანი პერიოდის საქმიანობას, როდესაც ფუნქციონირებდა ნაქალაქარის ტერიტორიაზე ხვნა-თესვისა თუ სხვა

ტიპის სამეურნეო აქტივობების დროს ფენები და მასალა ირევა. ასევე, ასეთ სიღრმეზე არეული ფენების დაფიქსირება ვერ დაუკავშირდება მთიდან ჩამორეცხილი მიწის მასებს, რადგან ეს მოვლენაც ნაქალაქარზე შედარებით ზედა (0,5-1,0-1,5 მეტრ სიღრმეებზე) ჰორიზონტებზე შეინიშნება;

3. 112-ე და 117-ე ფენების დაღრმავებისას თხრილის აღმოსავლეთ ნახევარზე გამოჩნდა დიდი ზომის (40-60 სმ; 50-80 სმ) ნახევრად ან მთლიანად გათლილი კირქვის კვადრები, რომლებიც, ცხადია, თხრილის ჩრდილოეთით, ფერდობზე VI საუკუნეში აშენებული კვადროვანი გალავნის საპირე ქვებია და ნგრევის შემდეგ ეს ლოდები ფერდობზე დააგორების შედეგად აღმოჩნდა თხრილის ტერიტორიაზე.

კირქვებისა და რიყის ქვების კონცენტრაცია, არეული ფენების, განსაკუთრებით კი, ამ ფენებში IV-VI საუკუნეების მასალისა და VI საუკუნის კვადროვანი გალავნის საპირე ქვების 2,5 მეტრ სიღრმეზე აღმოჩენა გვაძლევს საფუძველს, ვარაუდისა, რომ თხრილში დავაფიქსირეთ ნაქალაქარის აღმოსავლეთ გალავნების წინ ხელოვნურად გაჭრილი თავდაცვითი თხრილის დასავლეთ კონტური და ფსკერის ფრაგმენტები, რომელშიც საუკუნეთა განმავლობაში ფენებად დაშრევა ჩრდილოეთ ფერდიდან დაცურებული ჯერ ადრეული შუა საუკუნეების სამშენებლო და კერამიკული მასალის ნაშთები, შემდგომ კი ქ.ნ. I ათასწლეულის არქეოლოგიური მასალა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფენებში გამოვლენილი რიყის ქვები დაჟანგული იყო და მოყავისფრო-მონითალო შეფერილობა ჰქონდა, კლდის ქვები გამოფიტული და დარბილებული იყო, ისევე როგორც კერამიკული ჭურჭლის უმრავლესობა, რომლებიც რეცხვის დროს ხშირ შემთხვევაში იშლებოდა. ჩვენი აზრით, ეს აშკარად მიუთითებს, რომ ფენაში დაფიქსირებულმა მასალებმა სტრუქტურული ცვლილება წყლის ხანგრძლივი დინების ზემოქმედების შედეგად განიცადა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აქ თავდაცვითი თხრილის ან ბუნებრივი ხევის არსებობას.

რაც შეეხება ბუნებრივი ხევის არსებობის ალბათობას, ჩვენი აზრით ბუნებრივ ხევის ქალაქის მესვეურები მშენებლობის დაწყებამდე ამოავსებდნენ ერთიანი საქალაქო სივრცის მოსაწყობად, ისე, როგორც ეს გააკეთეს ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, როდესაც სამეფო უბნის ტერიტორიაზე მანამდე არსებული ხევი დიდი და საშუალო ზომის ქვებით ამოავსეს. თხრილის აღნიშნულ ფენებში VI საუკუნის კვადრებისა და კერამიკის ფრაგმენტების დაფიქსირება გვაძლევს საფუძველს ვარაუდისა, რომ აქ ხევი კი არა, თავდაცვითი თხრილი იყო, რომელიც არათუ ხელს უშლიდა ქალაქის არსებობას, არამედ მის თავდაცვითუნარიანობას აძლიერებდა.

117-ე ფენის დაღრმავების შემდეგ თხრილის სამხრეთ და ჩრდილოეთ კიდეებთან გავავლეთ საცდელი შურფები (ზომები 1X3,5 მ). სამხრეთ შურფის ჩრდილოეთ ჭრილში დავაფიქსირეთ 113-ე ფენის დაფერდება აღმოსავლეთისკენ, რომლის დაღრმავების შემდეგაც გრუნტის წყლები ამოვიდა. ჩრდილოეთ ჭრილში კი აღმოჩნდა 113-ე ფენის მსგავსი ყამირი ფენა (120), რომელიც წითელი შეფერილობის რიყის ქვებისა და თიხიანი სილისგან შედგებოდა (სურ. 3). სამუშაოების დასრულების შემდეგ თხრილი საბოლოოდ ჩაიხაზა და განხორციელდა მისი სრული ფოტოფიქსაცია.



სურ. 3 თხრილის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან სამუშაოების დასრულებისას

***F* თხრილი**

გაიჭრა 2016 წელს, ორმოც მონამეთას სახელობის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით 40 მეტრში. თხრილის გაჭრის მიზანი იყო 2005 წელს მის ჩრდილოეთ კიდეში განმენდილი ელინისტური პერიოდის მშრალი ქვის წყობის სრულად გამოვლენა.

2017 და 2018 წლებში ეტაპობრივად გაფართოვდა თხრილი ჩრდილოეთის მიმართულებით ორ-ორი მეტრით. გასულ წელს თხრილი გაფართოვდა, როგორც ჩრდილოეთის, ისე დასავლეთის მიმართულებით 2.5-2.5 მეტრით. საბოლოო ჯამში მივიღეთ 15X15მ² ფართობის სამუშაო არეალი. გაფართოებული მონაკვეთის დადაბლებისას, თანამედროვე სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად ამოვიდა ჩრდილოეთ ფერდობიდან ჩამორეცხილი, სხვადასხვა პერიოდის კერამიკული ჭურჭლისა და სამშენებლო კერამიკის უამრავი ფრაგმენტი.

თხრილის გამოვლენილმა წყობებმა დაადასტურა, რომ წინა წლებში, მის კიდეში გამოვლენილი მშრალი წყობის ქვის რიგები დიდ ფართობზე ვრცელდება და ერთგვარ „კომპლექსს“ ქმნის, რომელზეც ნაგებობების სამი ჰორიზონტი გამოიყოფა და კერამიკული მასალის მიხედვით მშენებლობის სულ მცირე, ორი ეტაპი დასტურდება, ადრეანტიკური და ელინისტური, ქ.წ. VI საუკუნიდან - ქ.წ. II საუკუნემდე (სურ. 4).



სურ. 4 თბილისის აერო-ფოტო ნაგებობების კედლების ჩვენებით

2020 წელს, ნაგებობების პრეპარაციის პროცესში, თბილისის ჩრდილოეთ კიდეებთან დადასტურდა ორი ერთმანეთის პარალელურად დაწყობილი მოზრდილი კირქვების წყობა, რომელიც, თბილისის ჩრდილოეთ კიდეში შედის და სავარაუდოდ, უფრო დიდ მანძილზე უნდა ვრცელდებოდა.

ჩვენი აზრით, თბილისში გამოვლენილი ნაგებობები, მორების ან ძელების ურთიერთჭდობაზეა დაფუძნებული და მისი სტრუქტურა არ საჭიროებს ლურსმნებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თბილისზე გამოვლენილი ელინისტური ნაგებობა, ნაქალაქარის ტერიტორიაზე სხვადასხვა წელს აღმოჩენილ ამ ტიპის სამოსახლოებთან შედარებით უფრო სრულყოფილი სახით არის წარმოდგენილი და მეტ ინფორმაციას გვაძლევს იმდროინდელი სამოსახლარების ხასიათის შესახებ.

სეზონის დასასრულს, თბილისი ჩავხაზეთ და განხორციელდა მისი დროებითი კონსერვაცია პოლიეთილების საფარითა და მიწის თხელი ფენით.

თბილისი გაიჭრა 2017 წლის არქეოლოგიური სეზონის დასაწყისში, ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული, IV საუკუნის გალავნის კიბესთან. 2017 წელს თბილისში აღმოჩენილი ფენები XX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების ნაყარი იყო, რომელიც ამავე საუკუნეში ნაქალაქარზე ჩატარებულ რესტავრაციასთან კავშირშია. 2017 წელს თბილისის კონსერვაციისას, მისი ზომები იყო 10მ X10მ.

2018 წელს ჩატარებული სამუშაოების პირველ ნახევარში, თბილისში გაგრძელდა XX საუკუნეში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების განმენდა. მეორე ნახევარში კი, აღმოჩნდა მოზარდის სამარხი, რომლის თარიღიც,

რადიოკარბონული დათარიღების შედეგად VII საუკუნით განისაზღვრა.

2019 წლის სეზონზე თხრილის სამხ-აღმ. ნაწილში აღმოჩნდა თიხის ფილებით მოწყობილი იატაკი, რომელიც სამი ფრაგმენტისგან შედგება, თუმცა, მათი სრული ჩახაზვა, ფოტოფიქსაცია და აღწერა, ნალექიანი ამინდების გამო არ მოესწრო და ის სრულად გავნმინდეთ და აღვწერეთ 2020 წელს.

იატაკის (160) ფრაგმენტები აღმოჩნდა თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ ნაწილში. სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში მდებარე იატაკის ფრაგმენტებს შორის დაშორება 70 სმ-ია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მხარესაა დამხრობილი, პირველი და მესამე ფრაგმენტი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა დამხრობილი, მეორე ფრაგმენტი ჩრდილო-აღმოსავლეთ სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. იატაკთან დაკავშირებულ ფენებში აღმოჩენილი კერამიკული ჭურჭლის ანალიზის საფუძველზე, ასევე თავად კერამიკული ფილების ზომებისა და კეცის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სასიარულო დონე ადრეულ შუა საუკუნეებს (IV-VI სს.) ანუ ქალაქობის პერიოდს მიეკუთვნება.

თხრილზე წარმოებული განმენდითი სამუშაოების შედეგად, თხრილის ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამოჩნდა ქვის სამშენებლო წყობები, რომლებიც ერთმანეთის პერპენდიკულარულია, მაგრამ, მათი გადაკვეთა ჯერჯერობით არ დასტურდება (სურ. 5).

2020 წლის სეზონის დასასრულს თხრილში აღმოჩენილი კულტურული ფენები და სამშენებლო წყობები სრულად ჩაიხაზა და ფოტოგრაფიულად დაფიქსირდა, სეზონის ბოლოს თხრილი დაიფარა პოლიეთილენის საფარით.



სურ.5 თხრილის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან, იატაკისა და კედლების ფრაგმენტების ჩვენებით

A short report of the Anglo-Georgian Archaeological Expedition to Nokalakevi 2020

Nikoloz Murghulia nikomurgulia@yahoo.com

Davit Lomitashvili dlomitashvili@gmail.com

Besik Lortkifanidze beso_lort@yahoo.com

Nino Kebuladze nino.kebuladze@yahoo.com

Paul Everill paul.everill@winchester.ac.uk

Ian Colvin idc30@cam.ac.uk

Tamar Niniashvili tam.niniashvili@gmail.com

Davit Alania alania11.d@gmail.com

Nino Khutsishvili nino.khutsishvili.16@iliauni.edu.ge

Nikoloz Diasamidze diasamidzeniko@yahoo.com

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Nokalakevi Anglo-Georgian archaeological expedition of the Georgian National Museum carried out works in two areas in the eastern part of the lower terrace of Nokalakevi settlement: trenches E, F and G. The works were conducted according to British methodology.

Trench E is situated outside the fortress, at 30 meters from eastern walls. This year archaeological excavations were carried out in the eastern part of the trench. In the northern and southern parts test pits were dug in order to identify stratigraphy and layers. Trench E contains very mixed archaeological material. The trench yielded artifacts dating to as early as the Iron Age, as well as early middle age pottery and ceramic building materials. The main aim to excavate this trench was to record the outline of the defensive ditch of the early Middle Ages, which is how we can explain the mixed chronology in the trench.

Trench F is situated at 40 meters north-east of the church of Forty Martyrs. The trench measures 15X15 m. In 2020, we cleaned, made drawings and photographed ruins of the Hellenistic and early Classical period settlements. The structure found in trench F could be identified as a typical Colchian house, which is described by Vitruvius.

Trench G is situated next to eastern fortification and the gate. In 2020 the layers, floor fragments and ruins of structures, which had been revealed in 2019 were cleaned. All of the discoveries can be identified as a 4th-6th century urban activity area. At the end of the season, the full plan of the trenches were drawn and trenches F and G were covered with a plastic tent.

ჭაქვინჯის ციხეა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

ნიკოლოზ მურღულია nikomurgulia@yahoo.com

დავით ლომიტაშვილი dlomitashvili@gmail.com

ნინო ქებულაძე nino.kebuladze@yahoo.com

დავით ალანია alania11.d@gmail.com

თამარ ნინიაშვილი tam.niniashvili@gmail.com

ნინო ხუციშვილი nino.khutsishvili.16@iliauni.edu.ge

ჭაქვინჯის ციხე მდებარეობს ზუგდიდის რაიონის სოფ. ჯიხაშკარში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ერთ-ერთ მაღალ ბორცვზე (GPS: N42 30.462 E42 00.786. სიმაღლე: 237 მ).

ჭაქვინჯის ციხეზე არქეოლოგიური გათხრები 1968-69 წლებში აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ აწარმოვა პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით. შედეგად შესწავლილია ძეგლის არქეოლოგიური და სამშენებლო ფენები, დადგინდა ციხის გეგმარება, მისი განვითარების ეტაპები და ქრონოლოგია.

2020 წელს ჭაქვინჯის ციხის ციტადელში არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. სამუშაოები წარიმართა დასავლეთ ევროპაში აპრობირებული საველე მეთოდის გამოყენებით.

2020 წელს ექსპედიციამ ჭაქვინჯის ციხის ციტადელის აღმოსავლეთ ნაწილში იმუშავა. კერძოდ, №1 კოშკის დასავლეთით, სადაც წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით 2019 წელს გაჭრილი №2 და №3 თხრილები გაერთიანდა ერთ – №4 თხრილად. როგორც გასულ წელს ჩატარებულმა სამუშაოებმა აჩვენა, ციტადელის ტერიტორიაზე, დღევანდელი სასიარულო დონე შექმნილია ბუნებრივ კლდოვან მასივზე, რომელიც, თავის მხრივ, ზღვიური დანალექი და შეიცავს დიდ რაოდენობით მცირე ზომის რიყის ქვებს. 2019 წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლენილი მასალის ანალიზის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ პირველად ადამიანი ამ ტერიტორიაზე ქ.წ VI-IV სს-ში დასახლდა. ასევე 2019 წლის სეზონზე, მესამე თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლინდა ნაგებობის კვალი. შესაბამისად, საანგარიშო წელს სამუშაოების მთავარი მიზანი, ერთი მხრივ, ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენების დაფიქსირება და შესწავლა და, მეორე მხრივ, აღნიშნული კედლის

ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი გაგრძელებების გამოვლენა იყო.

სამუშაოების პირველ ეტაპზე, ციხის ციტადელის მთლიანი ფართობი (25მX100მ) მცენარეული საფარისგან გაწმინდეთ, პარალელურად, 1968-69 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შემდეგ დარჩენილი მინაყრილები გავიტანეთ.

შემდეგ დავინწყეთ თხრილის დადაბლება და განვახორციელეთ გასულ წელს გათხრილი თხრილების ნაწილობრივი დეკონსერვაცია (სურ. 1). ჰუმუსის (402) ალების შემდეგ გამოვლინდა არეული მასალის შემცველი ფენები. ასევე თხრილის აღმოსავლეთ ნაწილის დაღრმავების შემდეგ,

მიწის ზედაპირზე არსებული ბორცვების (400, 401) ქვეშ გამოჩნდა კირქვების, რიყის ქვებისა და კირხსნარის შემცველი ქვყრილები, ადგილობრივების გადმოცემით ციტადელის ეზოში ჩაის პლანტაცია ყოფილა გაშენებული, შესაძლოა, სწორედ ტერიტორიის სამეურნეო საქმიანობისთვის მოსაწყობად, გასული საუკუნის 30-იან წლებში, ციტადელში მიმოფანტული ნაშალ-ნანგრევი ქვები მის სამხრეთ-



სურ. 1

აღმოსავლეთ ნაწილში მოაგროვეს. აღნიშნული ორი ქვყრილიდან ერთ-ერთში (403) აღმოჩნდა თურქული ახჩა და უცნობი დანიშნულების რკინის ნივთი.

თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთში ჰუმუსის (402) მოხსნის შემდეგ გამოვლენილი ფენა (405) დიდი რაოდენობით შეიცავდა სამზარეულო/სამეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტებსა და ნვრილფეხა საქონლის ძვლებს, რომლის ალების შემდეგაც გამოვლინდა მისი მსგავსი ფენა (407), თუმცა, იმავე მასალის უფრო დიდი კონცენტრაციით. ცხოველების ძვლებიდან განსაკუთრებულად ჭარბობს ღორის ძვლები. ეს აღმოჩენა ორმხრივ არის საინტერესო:

1. როგორც ცნობილია, მუსლიმურ სამყაროში ღორის ხორცს საჭმელად არ იყენებენ, რადგან ის უწმინდურ ცხოველად მიაჩნიათ. შესაბამისად, ცხადია, რომ იმ პერიოდში, როდესაც ეს ფენა შეიქმნა, ციხეზე ოსმალური ჯარები არ მდგარა. თუმცა, ფენა სტრატოგრაფიულად აშკარად გვიანდელ შუა საუკუნეებს ან XIX საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს.

2. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ქრისტიანული რიტუალების

შესრულებისას ღორის მსხვერპლშენირვა არ იყო მიღებული, საქართველოში ასეთი ტრადიცია გვხვდება ნეკრესში და ასევე, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის არაერთ სოფელში, მათ შორის, სოფელ ჯიხაშკარში. ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ სამეგრელოს არაერთ სოფელში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებში, რომლებსაც ადგილობრივები ჯეგე-მისარონს და/ან ჯგემარიონსაც უწოდებენ, გაზაფხულზე „მისრობას“ ზეიმობდნენ, რომელიც ერთდროულად მოისარ წმინდა გიორგის და მითრას კულტს უკავშირდება. ამ დღესასწაულის დროს ადგილობრივი გვარები ღორის მსხვერპლშენირვის რიტუალს ასრულებდნენ [ს. მაკალათია სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1992]. საინტერესოა, რომ ეს ტრადიცია სოფელ ჯიხაშკარში დღემდე გრძელდება და მას ზარანდიებისა და შენგელიების შეფიცული გვარები ასრულებენ.

ჭაქვინჯის ციხის პირველი არქეოლოგიური გათხრების ხელძღვანელი და აღმწერი აკადემიკოსი პარმენ ზაქარაია წერს, რომ ეკლესიის საკურთხევის იატაკზე აღმოაჩინეს ქალაქ მისრასა და ქალაქ ისტამბულში მოჭრილი



სურ. 2

ათი ცალი ვერცხლის მონეტა, მათ თარიღებად უზის 1757 – 1773 და 1788 წლები. პ. ზაქარაიას აზრით, ეს შეიძლება ეკლესიის დანგრევის თარიღის დადგენაში დაგვეხმაროს. „შესაძლებელია XVIII ს. მიწურულში, მტერმა (ოსმალომ?) აიღო ციხე, დააზიანა და ეკლესიაც დაანგრია“. სამწუხაროდ, ფენაში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა შერეულია, ამიტომ, ძნელი სათქმელია, როდის შეიქმნა ეს ფენა, ეკლესიის დანგრევამდე თუ შემდეგ. ამავე ფენაში გამოვლინდა რკინის საკინძი (სურ. 2.2), გახვრეტილტარიანი ძვლის ნივთი (კოვზისმაგვარი) (სურ. 2.1) და სხვადასხვა ზომის ოთხი ცალი რკინის ლურსმანი.

407-ე ფენის დაღრმავების შემდეგ, თხრილის ჩრდილოეთ კიდედთან გამოვლინდა ადამიანის თავის ქალა (420), მის გარშემო ფენის (419) განმედიის შემდეგ დაფიქსირდა ჩონჩხის სხვა ნაწილებიც, თუმცა, ძვლები გაფანტული

და არეული იყო. ამკარაა, რომ საქმე გვაქვს არეულ სამარხებთან. როგორც უკვე აღინიშნა, თხრილის ეს მონაკვეთი, ეკლესიიდან ორიოდ მეტრითაა მოშორებული და აქ სასაფლოს არსებობა სრულიად ბუნებრივია. თუმცა, ამ ეტაპზე ძნელია იმის თქმა, ზუსტად რამ გამოიწვია სამარხების დაზიანება და ან რატომაა გამქრალი ჩონჩხების დანარჩენი ძვლები. ერთ-ერთი ვარაუდით დაშვებულია, რომ სამარხების ხელახლა გახსნის შემდეგ, ჩონჩხების უმეტესი ნაწილი ამოულიათ და სხვაგან გადაუსვენებიათ, ძვლების მცირე ნაწილი კი ადგილზე დარჩენილა, თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ფენა და ძვლების ნარჩენები საკმაოდ დიდ ფართობზე ვრცელდება



სურ. 3

2-3მ² და ზემოდან ადევს ნახევრად სტერილურ რიყის ქვის კონგლომერატიან ფენას (418). ამ ფენისდათარიღებას ხელს უშლისის გარემოება, რომ იქ ერთდროულად გვხვდება ქ.ნ. VI-IV და ქ.შ. X-XIII, XVI-XVIII სს-ის მასალა. თხრილის ამ ნაწილში, აღმოსავლეთ კიდედან 407 და 419 ფენების დადაბლებისას



სურ. 4

აღმოჩნდა ორი სამარხი: სამარხი 20.01 დას-აღმ. ორიენტაციისაა, მიცვალებული ასვენია გულაღმა, გამოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით, წვივებისა და ტერფების მონაკვეთები თხრილის აღმოსავლეთ კიდის გარეთ გადის (სურ. 3). პირველადი შეფასებით, ჩონჩხი ეკუთვნის ზრდასრულ ქალბატონს, რომელსაც მარცხენა ხელი იდაყვში აქვს მოხრილი და მტევანი წელზე უდევს, ხოლო მარჯვენა – სხეულის გასწვრივ. საფიქრებელია, რომ დაკრძალვის დროს, მას ორივე ხელი მკერდზე ჰქონდა დალაგებული და მერე ჩაცურდა. სამარხი უინვენტაროა. შავარაუდოდ, ის ეკლესიის დროინდელია (XIII-XVIII სს.).

სამარხი 20.02 მდებარეობს თხრილის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. დას-აღმ. ორიენტაციის, მიცვალებული ასვენია გულაღმა, გამოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით, პირველადი შეფასებით, ჩონჩხი ეკუთვნის მოზარდს, ხელები გულზე აქვს დანყობილი (სურ. 4). ჩონჩხი ასვენია ბუნებრივ კონგლომერატზე (418). აღსანიშნავია, რომ

მიცვალეხულის თავის ქალას ზემოდან ედო კიდევ ერთი ზრდასრული ადამიანის თავის ქალა, რომელიც ზემოთ ნახსენები (419) ფენის შემადგენელი ნაწილია. ისევე, როგორც 20.01 სამარხი, ესეც ეკლესიის დროინდელი უნდა იყოს.

თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლინდა მოშავო-მონაცრისფრო შეფერილობის ფენა (406), ფენა გრძელდება ჩრდილოეთისკენ 2.50 მ-ის სიგრძეზე და გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება, მრავალფეროვანი კერამიკული ჭურჭლის (დერგები, ქვევრები, ქოთნები, დოქები) გარდა, გამოვლინდა, ე.წ. თურქული ჩიბუხის ფრაგმენტები (სურ. 2.3), ასევე რკინის ნივთის ფრაგმენტი და დამუშავებული და დაუმუშავებელი მცირე ზომის კაჟის ფრაგმენტები, რაც შესაძლოა, კაჟიანი თოფის ხმარებას უკავშირდებოდეს.

მინის დაღრმავებასთან ერთად, თხრილის ცენტრალურ ნაწილში ნელ-ნელა გამოიკვეთა ნაგებობის კონტურები, განმენდის შემდეგ დადგინდა მათი ფორმები და ზომები: შემორჩენილია სამხრეთ და აღმოსავლეთი კედლები, ჩრდილოეთ კედელი სრულადაა დაკარგული, ხოლო, დასავლეთი კედელი თხრილის გარეთ იყო. ნაგებობა ნაშენია კირქვებითა და რიყის ქვებით, კირის დულაბზე შემორჩენილია ორი ქვის რიგი, ჭრილში ჩანს, რომ



სურ. 5

მას საძირკველში ჰქონდა რიყის ქვით მონყობილი „ბალიშები“. სამხრეთ კედლის შემორჩენილი სიგრძეა 3.80 მ, აღმოსავლეთ კედლის – 4.60მ, აღმოსავლეთ კედელს ჩრდილოეთ დაბოლოებაზე უერთდება ერთი კედელი, რომელიც 1.90 სიგრძისაა (409). საინტერესოა, რომ ეს

კედელი მთავარი ნაგებობის აღმოსავლეთ კედლის პარალელურია და მისგან მხოლოდ 50 სმ-ითაა დაშორებული, ხოლო ჩრდილოეთ დაბოლოებაზე, ამ კედლის შიდა მხარე წრიულად უხვევს დასავლეთისკენ და 408 კედელს ებჯინება (სურ. 5). ნაგებობის შიდა სივრცეზე მოფენილია ძირითადად კირქვები, მცირე რაოდენობით რიყის ქვა და ქვევრების ნატეხები. ეს ქვაყრილი შესაძლოა, იატაკის მოშანდაკებისთვის იყო განკუთვნილი, რომელიც ზემოდან მინით იქნებოდა მოზინული. ხოლო, მის ზედაპირზე აღმოჩენილი ქვევრები აჩენს ვარაუდს, რომ ნაგებობა სამეურნეო დანიშნულებისაა.

არქეოლოგიური სამუშაოების ბოლო ეტაპზე თხრილის სამხრეთ ნახევარზე გაიწმინდა 2019 წელს 3 თხრილში დაფიქსირებული ნაგებობის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ გაგრძელებები. აღნიშნული კედლის ზედაპირი 25-30 სმ-ით დაბლაა 408 ნაგებობის ძირთან შედარებით და მის სამხრეთ კედლის ქვეშ შედის, ასევე განსხვავებულია მისი სამშენებლო წყობა, ის 70 სმ სისქისაა და ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებითა და რიყის ქვებით, კირის დუღაბზე. აქაც მხოლოდ ორი რიგია შემორჩენილი. კედელი ძლიერ დაზიანებულია და ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. მისი ყველაზე გრძელი მონაკვეთი (3.40მ) სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებისაა, სამხრეთი ბოლო მონგრეულია, ხოლო ჩრდილოეთი, როგორც აღინიშნა 408 ნაგებობის ქვეშ შედის. ამ კედლიდან აღმოსავლეთით გადის დასავლეთ-აღმოსავლეთ ორიენტაციის კედელი, რომელიც 1.40 მ-ის შემდეგ მინაში უჩინარდება. ამ კედლიდან სამხრეთით 2.5 მ-ში, თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულების კიდევ ერთი კედელი აღმოჩნდა, ის მხოლოდ 1.60 მ სიგრძეზე გრძელდება და თხრილის აღმოსავლეთ კიდეში გადის (სურ. 5). მიუხედავად სტრუქტურის ფრაგმენტულობისა, ის მრავალსათავსიანი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ნაგებობა ძირამდე არ გაგვიწმენდია, თუმცა, მის გარშემო არსებული ფენებიდან (415, 430) მომდინარე არქეოლოგიური მასალების ანალიზით (სურ. 2.4), სტრუქტურის ტიპისა და სიღრმის გათვალისწინებით (408-ე ნაგებობის დონესთან მიმართებით), ის განვითარებულ შუა საუკუნეებს უნდა ეკუთვნებოდეს.

სეზონის ბოლოს, თხრილში გამოვლენილი ნაგებობები, სამარხები და ფენები კიდევ ერთხელ გაიწმინდა, დასურათდა და ჩაიხაზა. რის შემდეგაც მოხდა თხრილის დროებითი კონსერვაცია გაუმჭვირვალე პოლიეთილენის საფარითა და მიწის თხელი ფენით. სეზონზე გამოვლენილი მასალა დაბინავდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების დასავლეთ საქართველოს ფონდში.

სურათების აღწერილობა

1. თხრილის სართო ხაზი სამხრეთიდან სეზონის საწყის ეტაპზე
2. თხრილზე გამოვლენილი მასალა:
 - 2.1. რკინის სახინძი
 - 2.2. ძვლის “ჯოჯი”

2.3. ჩიბუხი

2.4. მოჭიქული ჯარაშია

3. 20.01 სამარხი, ხედი სამხრეთიდან

4. 20.02 სამარხი, ხედი სამხრეთიდან

5. თხრილის სართომ ხედი სამხრეთიდან სოფონის ბოლოს

A short report on archaeological excavations conducted in Chakvinja in 2020

Nikoloz Murghulia

nikomurgulia@yahoo.com

Chakvinja Castle is located in the village of Jikhashkari, Zugdidi Municipality. The citadel of the castle was built on one of the high hills in the south-east part of the village (GPS coordinates: N42 30.462 E42 00.786. Altitude: 237 m). The citadel is 100 meters long and occupies a quarter of a hectare. Archaeological excavations at Chakvinja castle started in 1968-69 by the expedition of Simon Janashia Georgian State Museum (leader- p. Zakaraia).

Current archaeological expedition was funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia. Works were conducted according to British methodology.

In 2020, the fourth trench was arranged by uniting trenches N 2 and N 3. The area produced late medieval structures which were situated in the central part of the trench. The northern part of the structure was lost and the western part extended beyond the trench. Lime stones and river stones were used as building material. The expedition also unearthed and cleaned burials N 20.01 and N 20.02.

Burial 20.01 belongs to a female; her shinbone and tarsal bones were found beyond the edge of the east side of the trench.

Burial 20.02 was destroyed and a lot of bones were missing; two skulls were found, one of them belonged to an adult; it was located on top of another, both bodies were oriented east-west.

The site yielded various types of ceramic, bone and metal artifacts.

ხუნის ციხეა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

ბესიკ ლორთქიფანიძე *beso_lort@yahoo.com*
ნიკოლოზ მურღულია *nikomurgulia@yahoo.com*
დავით ლომიტაშვილი *dlomitashvili@gmail.com*
ნინო ქებულაძე *nino.kebuladze@yahoo.com*
თამარ ნინიაშვილი *tam.niniashvili@gmail.com*
დავით ალანია *alania11.d@gmail.com*
ნინო ხუციშვილი *nino.khutsishvili.16@gmail.com*
ნიკოლოზ დიასამიძე *diasamidzeniko@yahoo.com*

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებითა და მხარდაჭერით 2020 წელს, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნში მდებარე ნაციხარის ტერიტორიაზე გაგრძელდა 2015 წელს დაწყებული არქეოლოგიური კვლევა. სამუშაოები ჩატარდა დასავლეთ ევროპაში არსებული სტანდარტებისა და მეთოდების დაცვით.

2015 წლიდან დღემდე გაინმინდა და გამოვლინდა 60 მ-მდე სიგრძის ციხის გალავნის ფრაგმენტი, ასევე ბოლომდე გაინმინდა ტაძარი და ბორცვის ჩრდილო-დასავლეთით არსებული კოშკი.

2020 წლის სეზონზე, ციხის ტერიტორია სრულად გაინმინდა მცენარეული საფარისგან, შედეგად კარგად გამოიკვეთა უკვე განმედილი და სამომავლოდ შესასწავლი გალავნების კონტურები და მათი ურთიერთმიმართება. არქეოლოგიური სამუშაოები ციხის ოთხ მონაკვეთზე წარიმართა (სურ 1):

1 თხრილზე გაინმინდა 2016 წელს გამოვლენილი საძვალის (კრიპტის) საფეხურებიანი ჩასასვლელი და თვითონ საძვალე; როგორც წარმოებულმა სამუშაოებმა აჩვენა, კრიპტის ჩასასვლელი (154) მონყობილი ყოფილა ტაძრის დარბაზის ცენტრალურ ნაწილში, მთავარი (დასავლეთ) შესასვლელის წინ. ის აგურების, ფილებისა და კრამიტების ნატეხებით სრულად იყო ამოვსებული იატაკის დონემდე. საძვალის ჩასასვლელი დერეფნულია. შედგება სამი კედლისგან და ოთხსაფეხურიანი კიბისგან, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლები კირქვით არის ნაგები, ხოლო, აღმოსავლეთ კედელი, სადაც თალია გაჭრილი, აგურებითაა ნაშენი. ამ კედლის სიმაღლე 1.50 მეტრია. სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები თიხით ყოფილა შელესილი, ახლა მხოლოდ მისი

ნაწილებია შემორჩენილი. კიბე ოთხი საფეხურისგან შედგება (სურ. 2.1). საფეხურებიც თიხით ყოფილა მოლესილი, რომელსაც ბაზისად კირის დულაბი აქვს. მთლიანად, ჩასასვლელი დერეფანი 0.80 მეტრ სიგანისაა, სიგრძე კი 2.30 მეტრია (სურ. 8-11). კრიპტის ჩასასვლელის ზედა ნაწილი სანახევროდ ყოფილა გადახურული 1.30 მ სიგრძეზე (სურ.8-9). დღეისთვის ეს მცირედ თაღოვანი გადახურვა სრულად არის მონგრეული. გადახურვის კონსტრუქციაში, რომელიც მცირედაა მორკალული (რკალის სიმაღლე 10 სმ), ფილების ნაცვლად ცალგვერდმოტეხილი, გვერდებაკეცილი კრამიტებია გამოყენებული. ყველა შემთხვევაში აკეცილი გვერდი ზემოთაა მოქცეული, ისე რომ კირის დულაბზე მკვიდრად ყოფილიყო ჩამჯდარი.

ჩასასვლელის ქვედა ნაწილში იატაკის ფრაგმენტი არ დაფიქსირდა. როგორც ჩანს, სასიარულო დონედ პირდაპირ თიროვანი დედაქანი გამოუყენებიათ. დერეფნის ეს ნაწილი სრულდება აგურით ამოყვანილი 50 სმ სისქის კედლით, რომელშიც კრიპტაში მოსახვედრი თაღოვანი შესაძრომია მოწყობილი. მას წინ ვერტიკალურად ედო კარგად გათლილი ლოდი, (სურ. 2.2) თაღოვანი შესაძრომის სიმაღლე მინის დონიდან 0.73 მ-ია, სიგანე – 0.57 მ. საინტერესოა, რომ კრიპტაში შესაძრომი თალი აგურითაა ამოყვანილი, მაგრამ, იქვე შეიმჩნევა „ხის ყალიბზე“ დასმული მაღალი ხარისხის კირხსნარის ფენა, რომელსაც სიმტკიცისთვის წვრილი რიყის ქვები აქვს შერეული.

თაღოვანი შესაძრომიდან ვხვდებით 1.90 მ სიგანის, 2.80 მ სიგრძისა და 1.26 მ სიმაღლის თაღოვან საძვალეში (155), რომლის კედლებიც ქვითა და აგურებითაა წრიულად ამოყვანილი და შემდეგ შელესილია ჰიდრავლიკური ხსნარით (სურ. 2.3-2.4).

კრიპტაში აღმოჩენილი ძვლები არეულია, რაც, სავარაუდოდ, მის მოგვიანებით გაძარცვაზე მიუთითებს. არ ფიქსირდება დაკრძალვის პოზა და დამხრობა. ასევე დასაშვებია, რომ კრიპტა მეორადი დაკრძალვისთვის გამოიყენებოდა.

კრიპტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 2 ფილა და ორი ქვა ერთმანეთზე იყო დალაგებული. თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კი 3 კერამიკული (25 X 28 სმ) და 1 ქვის (16X16 სმ) ფილა იდო (სურ. 16). აღსანიშნავია, რომ საძვალეში გამოვლენილი თავის ქალების უმეტესი ნაწილი სახით მინისკენ იყო მიმართული, ყველა მათგანს აკლია ქვედა ყბა. ქვედა ყბები კრიპტის სხვადასხვა ნაწილში იყო მიმოფანტული. ძვლებთან ერთად ამოვიდა მცირე რაოდენობის ძლიერ დაზიანებული კერამიკული მასალა. კრიპტის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დაფიქსირებულ 2 თავის ქალასა და 4 ქვედა ყბასთან აღმოჩნდა ოქროს საყურე. საძვალეში ასევე გამოვლინდა სპილენძის

შენადნობის ორი ნივთი: საკინძი და რგოლი. შესასვლელში არსებულ ფენაში უფრო მეტი კირქვის და კერამიკული მასალის ნატეხები აღმოჩნდა, მინა უფრო ფხვიერი იყო და შეიცავდა ნახშირის ფრაგმენტებს. აღსანიშნავია საძვალეში ქვის მცირე ორნამენტირებული დეტალების გამოვლენა - უმეტესად ჭარბობს წინვოვანი და რომბისებული მოტივები. საფიქრებელია, რომ ისინი ტაძრის და/ან სარკოფაგების მოსაპირკეთებელი დეკორის ფრაგმენტებია.

ოსტეოლოგიური ანალიზით გაირკვა, რომ კრიპტაში დასვენებული ყოფილა 13 ინდივიდი. მათგან რვა მამაკაცს განეკუთვნება. მათი გარდაცვალების ასაკი სხვადასხვაა. ერთი ჩონჩხი სავარაუდოდ ქალბატონს ეკუთვნის. ამის გარდა საძვალეში აღმოჩნდა ერთი 39-43 კვირის ჩვილის ბარძაყის ძვლის ფრაგმენტი. ანთროპოლოგიური კვლევისას დადგინდა, რომ ზოგიერთ მათგანს ფიზიკური დაზიანებების კვალი აღენიშნება.

7 თხრილში, რომელიც ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, 2018 წელს სრულად გაინმინდა კოშკი, 2020 წელს თხრილის სამხრეთით გაფართოებისას გამოვლინდა 21.40 მეტრ სიგრძის და 1.57მX.1.37მX1.70 მ. სიგანის კირქვის ყორედაგებული შუასაუკუნეების კედელი (სურ.3), რომელიც სამეურნეო დანიშნულებით უნდა ყოფილიყო აგებული (სიმაღლე 0.70 მ-დან 1 მ-მდე მერყეობს). დაღრმავებისას, ყორე კედლის ცენტრალური ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოვლინდა სხვა კედლის ნაშთი, რომელიც შესაძლოა კოშკის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე გალავნის გაგრძელებას წარმოადგენს, მისი გათხრა საანგარიშო სეზონზე ვერ მოხერხდა. ყორე-კედლის ცენტრალური ნაწილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოჩნდა კირქვის, კირხსნარის დუღაბზე ნაშენი კედლის ფრაგმენტი (ზომები 1მX4.10მ). კედელი ჩრდილოეთ-სამხრეთი მიმართულებით გრძელდება, შედის ყორე კედლის ქვეშ და სავარაუდოდ კუთხეს ქმნის ყორის სამხრეთით აღმოჩენილ კირქვის კედელთან, რომელიც ჯერჯერობით შეუსწავლელია.

ჩრდილოეთ კოშკის აღმოსავლეთით, სავარაუდო კარიბჭესთან გამოვლინდა და გაინმინდა მოზარდის ძლიერ დაზიანებული, უინვენტარო, დასავლეთ-აღმოსავლეთი დამხრობის, სავარაუდოდ, გვიანი შუა საუკუნეების სამარხი. თხრილზე აღმოჩენილი კერამიკული მასალის უმრავლესობა სამშენებლოა, შესაძლოა მათი უმეტესი ნაწილი სამხრეთი დაფერდებიდან არის დაცურებული. თხრილში ასევე გამოვლინდა მცირე რაოდენობით სამზარეულო და სამეურნეო კერამიკული ჭურჭლის ნატეხები.

8 თხრილი გაიჭრა, 2019 წელს 10 შურფში გამოვლენილი გალავნის ფრაგმენტის ჩრდილოეთი გაგრძელების შესასწავლად (სურ. 4). გალავნის 9.5 მ-იანი მონაკვეთის განმედიის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კედელი ჩრდილო-

დასავლეთი მიმართულებით გრძელდება. ზედაპირული დათვალიერებით თვალნათლივ ჩანს, რომ სამი მეტრში ის კვლავ ჩრდილოეთით მიემართება და სავარაუდოდ უკავშირდება 2015-2016 წლებში ციხის ჩრდილოეთ ნაწილში N3 და N5 თხრილებში გამოვლენილ გალავანის ფრაგმენტებს. გალავნის კედელი მთლიანადაა დანგრეული და მისი მხოლოდ საძირკვლის დონის დაფიქსირება ხერხდება. თხრილში ბევრ ადგილას შეიმჩნევა გადმოშლილი ქვების კონცენტრაცია.

რაც შეეხება თხრილიდან მომდინარე კერამიკულ მასალას, ამოვიდა, როგორც სამშენებლო კერამიკა, ისე სამეურნეო კერამიკული ფრაგმენტები. პირველად ფენაში აღმოჩნდა დამუშავებული და ორნამენტირებული ძვლის ნივთის ფრაგმენტი, სავარაუდოდ, დანის ტარი. მასალა, ძირითადად, ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ქვედა ფენიდან მომდინარე კერამიკული მასალა სხვა ფენებთან შედარებით უფრო მრავალფეროვანია. ჭარბობს სამშენებლო კერამიკული მასალა – ფილები, რომლებიც კედლის კიდესთან იყო კონცენტრირებული და საფიქრებელია, რომ ფერდობიდან არის დაცურებული.

№9 თხრილზე გაიწმინდა გასულ სეზონზე **№ 9** შურფში გამოვლენილი გალავნის მონაკვეთი, 10 მეტრ გაგრძელებაზე. **№9** შურფი გაფართოვდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით, საბოლოო ჯამში მივიღეთ 4X15 მ ზომის თხრილი. როგორც გათხრებმა გვიჩვენა, გალავნის ეს მონაკვეთი წყდება ჩრდილოეთიდანაც და სამხრეთიდანაც, თუმცა გამოვლინდა და გაიწმინდა დამოუკიდებლად ნაგები ორი კედლის ფრაგმენტი (106) და (108), რომლებიც გასულ წელს განმენდილი გალავნის ნაწილთან ერთად (904) ერთგვარ ზიგზაგისებრ მონაკვეთს ქმნის (სურ. 5). როგორც ჩანს, მშენებლობის ეს მეთოდი ნაგებობის მეტი სიმტკიცის მისაღწევად შეიმუშავეს, რამდენადაც ქუჩითის გორა მთლიანად თიროვანი ქანებისგან შედგება, რომელიც იოლად შლადი და ეროზირებადია. ახლად გამოვლენილი კედლები, ისევე როგორც ხუნნის ციხის სხვა სტრუქტურები, ნაგებია კირქვისგან კირხსნარის დულაბით, საპირე ნყობები, მხოლოდ ერთ რიგად არის შემორჩენილი. 9 თხრილში გამოვლენილი კედლებიდან ყველაზე უკეთ შემორჩენილია თხრილის ჩრდილოეთით გასულ წელს განმენდილი კედელი, ხოლო ყველაზე ცუდად თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოვლენილი მონაკვეთი. თხრილის ჩრდილოეთით განმენდილი კედლის უკეთ დაცულობა ვფიქრობთ, მისმა მცირე ზომებმა განაპირობა (1.65X2.6 მ), მის სამხრეთით განმენდილი კედლები კი უფრო გრძელია (4.1მ და 3.7მ).

აღსანიშნავია რიყის ქვების ფენა (103), რომელიც წელს განმენდილი (106) კედლის შიდა საპირე ნყობასთან დაფიქსირდა. აღნიშნულ ფენაში

დიდი რაოდენობის რიყის ქვების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს მოიერიშეების მოსაგერიებლად ერთად მოგროვილ „ყუმბარებთან“, რომლებიც გამოიყენებოდა არა შურდულისთვის, არამედ პირდაპირ ხელით სასროლად. მსგავსი „ყუმბარები“ წინა წლებშიც აღმოჩნდა ბორცვის ჩრდილო დაფერდებაზე გათხრილ №4 თხრილში, თუმცა არა ამდაგვარი კონცენტრაციით.

კედლების განმენდის პროცესში, თხრილის მთელ პერიმეტრზე, გალავნების შიდა (დასავლეთ) საფასადე წყობასთან, გამოვლინდა ნაშალ-ნანგრევი ფენები, რომლებიც უხვად შეიცავდა სამშენებლო კერამიკას. ძნელია დაბეჭდვით ითქვას, თუ რამ განაპირობა იქ აგურების, ფილებისა და კრამიტების ჭარბი რაოდენობა. შესაძლოა, ეს იყოს გასულ წელს განმენდილი იმ მსუბუქი წყობის გადახურვა, რომელიც გამოვლინდა კედლის სამხრეთ-დასავლეთით, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ №9 თხრილი მდებარეობს წინა წლებში განმენდილი ტაძრის აღმოსავლეთით ოცდაათი მეტრში, დაფერდებაზე, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ნატაძრალიდან იყოს ჩამორეცხილი. მით უმეტეს, რომ თხრილის სამხრეთ-დასავლეთით განმენდილ ნაშალ ფენაში გამოვლინდა ზუსტად იმავე სახის ცემენტისებური კირის დუღაბი (ნაცრისფერი), როგორც ზემოთ ნახსენები ტაძრის დეტალების მშენებლობაშია გამოყენებული.

რაც შეეხება გამოვლენილ მასალას, გარდა სამშენებლო კერამიკისა, მცირე რაოდენობით ამოვიდა კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებიც, უფრო მეტად სამეურნეო, ნაკლებად გვხვდება სასუფრე და სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელი. გამოვლინდა ძვლოვანი მასალა, საქონლის ძვლებთან ერთად ამოვიდა ადამიანის ძვლების ფრაგმენტები, რაც, სავარაუდოდ, ასევე ტაძრის მიმდებარე ტერიტორიიდან უნდა იყოს ჩამორეცხილი.

სურათების აღწერილობა:

1. ხუნდის ციხის ტოპო-გეგმა შესწავლილი უბნების ჩვენებით;
2. ტაძრის საძვალის ჩასასვლელი და საძვალა;
3. №მე-7 თხრილის აეროფოტო;
4. №მე-8 თხრილის აეროფოტო;
5. №მე-9 თხრილის აეროფოტო.

A short report of the archaeological works conducted on Khuntsi Fortress in 2020

Besik Lortkipanidze beso_lort@yahoo.com
Nikoloz Murgulia nikomurgulia@yahoo.com
Davit Lomitashvili dlomitashvili@gmail.com
Nino Kebuladze nino.kebuladze@yahoo.com
Tamar Niniashvili tam.niniashvili@gmail.com
Davit Alania alania11.d@gmail.com
Nino Khutsishvili nino.khutsishvili.16@gmail.com
Nikoloz Diasamidze diasamidzeniko@yahoo.com

In 2020, the archaeological expedition of Khuntsi Fortress conducted archaeological fieldwork in Village Khuntsi, which is located in Martvili District. The works in Khuntsi fortress were funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.

During the reporting season, the area of Khuntsi Fortress was completely cleared of vegetation. As a result, contours of the cleaned and unexplored walls and their interrelationship were determined.


Archaeological excavations were carried out in four parts of the castle:

In trench No. 1 the crypt as well as its stairway entrance revealed in 2016 were cleaned.

In trench No. 7 the eastern part of the wall, identified during the recent campaign, and a 21-meter segment of the rubble wall were cleaned. A child's burial was also cleaned near the tower gate.

In trench No. 8 the 10-meter-long northern extension of the fortified wall that had been exposed in 2019 was cleaned.

In trench N 9 southern extension of the wall was cleaned at a length of 10 meters.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5

წიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ითხვისში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში

ზურაბ ბრავვაძე
zbragvadze@gmail.com

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, ა(ა)იპ კულტურული მემკვიდრეობის ცენტრმა „არგვეთმა“, 2020 წელს გააგრძელა არქეოლოგიური გათხრები წიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში, ადგილ „ნაქალაქარსა“ და „ნაციხარზე“.

საანგარიშო წელს ექსპედიციამ შეისწავლა 500 კვ.მ-ზე მეტი ფართობი. სამუშაოები წარმართა ორ (I და IV) უბანზე, გაიჭრა 7 თხრილი.

I უბანი

პირველ უბანზე გაგრძელდა 2019 წელს დაწყებული თხრილების შესწავლა, ისინი გაფართოვდა და დაღრმავდა. ეს უბანი მდებარეობს „ნაქალაქარის“ უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ მხარეს და 1987 წელს ჩაქცეული მალაროსა და მეწყერული მოვლენების შედეგად, საკმაოდ დაზიანებულია. აგრეთვე გაგრძელდა წინა წელს გამოვლენილი ნაგებობისა (I თხრილი) და მარნის (II თხრილი) არქეოლოგიური კვლევა.

I თხრილი (GPS: 42.286297° 43.350848° 42.286182° 43.350730°)

2020 წელს თხრილი გაფართოვდა ჩრდილოეთის მიმართულებით და დაღრმავდა 120 სმ-ის სიღრმეზე. ამ მონაკვეთში გამოვლინდა განვითარებული შუა საუკუნეების სათავსების ნაშთები და ადრეული ნაგებობის კედლის ფრაგმენტები. ორივე პერიოდის ნაგებობები საკმაოდ დაზიანებულია. მათი დაზიანების მიზეზები სხვადასხვაა, რაც თვალნათლივ გამოჩნდა არქეოლოგიური გათხრების პროცესში.

ზედა ფენის ნაგებობა მოიცავს 150 კვ.მ-ს და ფიქსირდება გათხრილი ფართობის მთელ პერიმეტრზე. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი, ალაგ-ალაგ დამუშავებული ქვა და დუღაბი. კედლები ძლიერ არის დაზიანებული. ზოგან მათი სიმაღლე 120 სმ-ს აღწევს. ორ ადგილას კარგად გამოიკვეთა ბრტყელი ქვებისგან შედგენილი იატაკი.

არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია თუნის ნაწარმით. გამოიყოფა სამზარეულო და სასუფრე ჭურჭლები, რომელთა შორის

ყურადღებას იქცევს დოქები, თეფშები, მოჭიქული და სადა ჯამები, ფეხიანი და სწორპირიანი ჯამები, მოხატული კოჭობები, ფიალები, ჩაფები. სამზარეული ნაწარმიდან აღნიშვნის ღირსია ორნამენტირებული და სადა ქოთნები, თიხის კეცები, თიხის ტაფა, ტაფის სახელურები და სპილენძის ქვაბი. არქეოლოგიური მასალა მიეკუთვნება განვითარებულ შუა საუკუნეებს, კონკრეტულად კი XII-XIII საუკუნეებს. როგორც ჩანს, დასახლებამ სწორედ ამ დროს შეწყვიტა არსებობა. კვლევის ამ ეტაპზე ვვარაუდობთ, რომ აღნიშნული დასახლება განადგურებულია XIII საუკუნის ბოლოს, 1283 წლის დიდი მინისძვრის შედეგად.

უფრო რთულად პასუხგასაცემია კითხვები ქვედა ნაგებობასთან დაკავშირებით. გასული წლის კამპანიის დროს აქ გამოვლინდა გვიანელინისტური ხანის რამდენიმე არტეფაქტი, რომლებმაც საშუალება მოგვცა ამ ნაგებობის თარიღის განსაზღვრა ქ.ნ. I - ქ.შ. I საუკუნეებით, მაგრამ, წელს ამ ეპოქის არც ერთი არტეფაქტი არ აღმოჩენილა. ქვედა ნაგებობა საგრძნობლადაა განადგურებული განვითარებულ შუა საუკუნეებში და ამ პერიოდში მისი ქვები ახალი ნაგებობის ასაშენებლად გამოუყენებიათ. ზოგ მონაკვეთში კარგად არის გადარჩენილი ანტიკური პერიოდის კედლის ფრაგმენტები და ჩანს, როგორ არის მასზე დაშენებული სხვა ეპოქის კედლები. სწორედ ამ პერიოდში, პირწმინდად გასუფთავდა ანტიკური პერიოდის ნაგებობის ნაშთები ისე, რომ არტეფაქტები მთლიანად გადაიყარა და პრაქტიკულად არაფერი შემოგვრჩა.

II თხრილი (S: 42.286123° 43.351264° 42.286006° 43.351146°)

თხრილის სიგრძე – 18 მეტრი, სიგანე კი 15 მეტრია. აქ გაგრძელდა 2019 წელს გამოვლენილი მარნის შესწავლა. 1 მეტრზე დაღრმავების შემდეგ გამოიკვეთა მარნის სრული კონტურები, რის შედეგადაც გაიწმინდა 12 ქვევრი. ქვევრები განლაგებულია ბუდეებად, ერთი დიდი ქვევრის ირეგულივ ჩადგმულია 4 ან 5 მცირე ზომის ქვევრი. პირველი თხრილის მსგავსად, მეორე თხრილიც ორფენიანი ძეგლია. ზედა ფენის ყველა ქვევრი ჩაკირულია, ხოლო არქეოლოგიური მასალა, პირველი თხრილის ზედა ფენაში დადასტურებული მასალის თანადროულია და, შესაბამისად, თარიღდება XII-XIII საუკუნეებით. არქეოლოგიურ მასალაში გამოიყოფა, როგორც თუნის ნაწარმი, ისე ლითონის არტეფაქტები. კერამიკული მასლა ძირითადად დოქებისა და ჯამების სახითაა წარმოდგენილი, ხოლო, ლითონის ნივთებიდან ყურადღებას იქცევს რკინის დანა, რკინის ისრისპირი და ვერცხლის ავგაროზი (მრგვალი ჟეტონი). ქვედა ფენის არქეოლოგიური ვითარება საკმაოდ ჰგავს ზედა ფენისას. აქ გამოვლენილია ჩაუკირავი ქვევრი და დოქის ყურების

ფრაგმენტები, რომლებიც წინასწარულად ადრეულ შუა საუკუნეებს (VI-VII სს.) მიეკუთვნება. ირკვევა, რომ ამ ადგილას მარანი ფუნქციონირებდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

IV უბანი¹ (GPS: 42.289120° 43.346750° 42.288490° 43.346040°)

აღნიშნულ ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა „ნაციხარის“ სახელით მოიხსენიებს, აქ შემორჩენილი შენობის ნანგრევების გამო. თუმცა, ჩვენი ვარაუდით, ნანგრევები არ მიეკუთვნება არც ციხეს და არც კოშკს, შესაძლებელია, აქ ყოფილიყო ქარვასლა.

№1 თხრილის ფართობი შეადგენდა 36 კვ.მ-ს. თხრილში აღმოჩნდა კლდოვან დედაქანში ჩაჭრილი ქვევრის ნაშთები და მის გარშემო კერამიკისა და ცხოველის ძვლების ფრაგმენტები.

სრულიად უცნაური ვითარება დადასტურდა №3 თხრილში, რომლის ფართობი შეადგენდა 75X36 კვ.მ-ს. 40-50 სმ-ის დაღრმავების შემდეგ გამოიკვეთა თირში ჩაჭრილი ქვაყრილიანი ორმოები. ქვაყრილში უხვად ჩნდებოდა კერამიკის ნატეხები და ცხოველის ძვლები. ქვაყრილის ალების შემდეგ ორმო კვლავ ჩადიოდა თირში, მაგრამ იგი აბსოლუტურად ცარიელი იყო. კიდევ უფრო დამაბნეველი აღმოჩნდა მეორე ქვაყრილთან დაფიქსირებული ვითარება. ქვაყრილის ერთი წყების ალების შემდეგ, 15-20 სმ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა მეორე ქვაყრილი, რომლის ქვეშაც დადასტურდა თირში ჩაჭრილი ცარიელი ორმო.

რა მიზანს ემსახურებოდა ქვაყრილიანი და, იმავდროულად, სტერილური ორმოების ჩაჭრა თირის ქანში? ამ ეტაპზე ეს ჩვენთვის უცნობია. ორივე ქვაყრილის არქეოლოგიური მასალა ერთსა და იმავე პერიოდს მიეკუთვნება და ზოგადად გვიანანტიკური ხანით (უფრო მისი მიწურულით) თარიღდება.

არქეოლოგიური სამუშაოების ბოლო 2 დღე დაეთმო თხრილების მიწით შევსებას, განხორციელდა IV უბნის თხრილების რეკულტივაცია, ხოლო პირველი უბნის პირველი და მეორე თხრილები დაიფარა ლურჯი ბრეზენტით და დაკონსერვდა მომავალ არქეოლოგიურ კამპანიამდე.

მოპოვებული არტეფაქტები კი, ტრადიციულად, ჩაბარდა ქიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

¹ II და III უბნები გაითხარა 2019 წელს. (იხ. ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2019 წლის ანგარიში. დაცულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში). 2020 წელს ექსპედიციას ამ უბნებზე არ უმუშავია.

A short report on archaeological excavations conducted in Itkhvisi in 2020

Zurab Bragvadze

zbragvadze@gmail.com

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 the Cultural Heritage Centre of Argveti resumed archaeological excavations at the site of 'Nakalakari' and 'Natsikhari' in the village of Itkhvisi, Chiatura Municipality. The expedition conducted field activities between June 30 and July 31. An area of more than 500 m² was surveyed during this period. The works were carried out on two (I and IV) plots and seven trenches were dug out.

The expedition identified a structure of the late Hellenistic period, which is completely destroyed by another, 12th -13th-century construction. There is a cellar of the 12th -13th centuries and that of early Middle Ages.



სურ. 1 ნაგებობის ფრაგმენტი



სურ. 2 ანტიკური პერიოდის კედელი



სურ. 3 XII-XII სს. ოთახი



სურ. 4 შუა საუკუნეების სათავსო



სურ. 5 მარანი



სურ. 6 თირში ჩაჭრილი ორმოები

გუმბათის ტერიტორიაზე 2020 წელს ჩატარებული სავალე- არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

იულონ გაგოშიძე

iulongagoshidze@yahoo.com

კაი კანიუტი

kaniuth@vaa.fak12.uni-muenchen.de


დავით გაგოშიძე

d.gagoshidze@yahoo.com

საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტს შორის, 2018 წლის 19 მარტს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტში 2020 წელს იმუშავა ქართულ-გერმანულმა კომპლექსურმა ექსპედიციამ.

ექსპედიციის მიზანი იყო სამუშაოების გაგრძელება ადგილ სააქლემოზე (GPS: E 590200, N 4607900), დიდ გორაზე (GPS: E 602440, N 4604200) გეოფიზიკური დაზვერვების შედეგების შემოწმება მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრების საშუალებით და ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვებისა და გეოფიზიკური კვლევის გაგრძელება მურაკების გორაზე (GPS: E 595144, N 4604628) (სურ. 1).

საველე მუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა მუშავდებოდა ბაზაზე და აღირიცხებოდა მონაცემთა ბაზაში.



სურ. 1

სააქლემო

სააქლემოში, 2019 წელს გამოვლენილი სვეტებიანი დარბაზის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით გავთხარეთ 275 კვ.მ ფართობი. 40-50 სმ სიღრმის მოხნული ნიადაგის ფენის ალაგების შემდეგ, ისევე როგორც გასულ წელს, გამოჩნდა დიდი ზომის ხუროთმოძღვრული კომპლექსის კედლები. კომპლექსის ცენტრალურ ნაწილთან ახლოს, შენობის კარგად შემონახულ ნაწილებში დაფიქსირდა ცეცხლის კვალი, რაც უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მთელი ეს ხუროთმოძღვრული სტრუქტურა დაინგრა ერთდროულად, ერთი ხანძრის შედეგად. 2019 წელს გათხრილი მისაღები დარბაზის (სვეტებიანი დარბაზის) ჩრდილოეთით გაიწმინდა 1 მ სიგანის კორიდორი, რომელიც ხსენებული დარბაზის უკანა კედლის პარალელურია.

აღმოსავლეთ ბოლოში ეს დერეფანი ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი კარით უკავშირდება ოთხკუთხა ოთახს, რომელიც თავისთავად მეორე კარით შედის გაუთხრელ ფართობში (სურ. 2). გაირკვა, რომ ეს დერეფანი, კარით არ უკავშირდება სვეტებიან დარბაზს. შესაძლოა, რომ ეს სათავსი კიბის უჯრედი ყოფილიყო, თუმცა, ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ მეტყველებს დერეფნის იატაკზე *in situ* აღმოჩენილი კერამიკა. კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში, მთავარი დარბაზის აღმოსავლეთი კედლის გარეთ გაიწმინდა რამდენიმე სათავსი, რომლებიც გამიჯნული იყო ერთმანეთისგან ვიწრო თიხატყეპნილი ტიხრებით.

სათავსებში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახეობის დანახშირებული მარცვლეული. ბელის ჩრდილოეთით ნაგებობების კვალი არ გამოვლენილა. სავარაუდოდ, აქ ეზო უნდა ყოფილიყო, თუმცა, თავდაპირველი მიწის დონე ვერ დავაფიქსირეთ (სურ. 3).



სურ. 2



სურ. 3

იმისთვის, რომ უკეთ გაგვეჩვენა ძეგლის ტერიტორიული განფენილობა, განხორციელდა გეოფიზიკური კვლევა (ი. ფასბინდერის ხელმძღვანელობით) 0.5 ჰა ფართობზე, ძირითადად შარშან გათხრილი მონაკვეთის ჩრდილო-დასავლეთით და იმ არეალზე, სადაც მცირეოდენი შემადღება შეინიშნება. მაგნიტომეტრულ დაზვერვებს მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: გაირკვა,




სურ. 4

რომ სააქლემოს არქიტექტურული კომპლექსი ვრცელდება, სულ ცოტა 180 მ X 120 მ არეზე (სურ. 4). ამდენად, ჰიპოსტილური დარბაზი, რომელიც შეისწავლებოდა ორი სეზონის განმავლობაში, დიდი მონუმენტური კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთი დაბოლოებაა.

დიდი გორა

გათხრების დაწყებამდე უკვე ვიცოდით, რომ დიდი გორა მთლიანად გადახნული იყო. დაუზიანებიათ კულტურული ფენები, რაზეც მეტყველებდა ალიზის აგურებისა და შელესილობის ფრაგმენტები.

გადავწყვიტეთ, გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არქეოლოგიური გათხრებით შეგვემონებინა გასული წლის გეოფიზიკური კვლევის მონაცემები და დაგვეზუსტებინა კულტურული ფენების გავრცელების არეალი. 2019 წლის მაგნიტომეტრულმა კვლევამ გამოავლინა საყურადღებო ჯვარედინი ანომალიები დიდი გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რაც ძალიან გავდა გზა ჯვარედინს. მაშინვე გაირკვა, რომ ქ.ნ. I ათასწლეულის დასაწყისში ნამოსახლარს ეკავა დიდი გორის ზედაპირის მხოლოდ ნაწილი – 5.5 ჰა და შემოსაზღვრული იყო თავდაცვითი თხრილით.



სურ. 5

დიდი გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გავჭერთ 5მX5მ თხრილი, რომელიც შემდეგ დასავლეთით და ჩრდილოეთით გავაფართოვეთ, ისე, რომ სულ გაითხარა 45 კვ.მ ფართობი. მოხსნული ფენის სისქე მერყეობდა 60-80 სმ-ს შორის. მის ქვეშ გამოვლინდა ცეცხლის კვალი და

გამოყენებული ქვების კონცენტრაცია (სურ. 5).

აღმოჩენილი კერამიკა დამახასიათებელია ქ.ნ. X-IX საუკუნეების კახეთისთვის. მესამე ჰორიზონტზე გამოჩნდა ერთმანეთში ჩაჭრილი ორმოები, რომლებიც ამოვსებული იყო საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. სავარაუდოა, რომ ეს ტერიტორია გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში დასახლების გარეთ იყო მოქცეული.

გათხრებით გაირკვა, რომ გეოფიზიკური კვლევით გამოვლენილი ჯვრის ფორმის ანომალია – ცეცხლის კვალია და არა კედელი, ან გზაჯვარედინი.

მურაკების გორა

მურაკების გორა, ალაზნის ველის სამხრეთ ნაწილში ყველაზე დიდი ნამოსახლარი გორაა. მისი ზომაა 280მX250მ და დასახლებული ყოფილა ადრეული ბრინჯაოს ხანიდან ქ.ნ. VI საუკუნემდე. მურაკების გორაზე გავაგრძელეთ გასულ წელს დაწყებული ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვები და გეოფიზიკური კვლევა. არქეოლოგიური მონაპოვარი თარიღდება ქ.ნ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით. აღსანიშნავია, რომ გორის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ობსიდიანი.

ამრიგად, დიდ გორასა და მურაკების გორის პრეისტორიულ ნამოსახლარებზე, პირველად გახდა შესაძლებელი დასახლების ორგანიზაციის საკითხებზე მსჯელობა. სააქლემოს ხუროთმოძღვრული კომპლექსის სახით, საქმე გვაქვს ქ.ნ. I ათასწლეულის შუა ხანების უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ძეგლთან, რომელიც მის მეზობლად, კახეთშივე არსებულ გუმბათის სასახლესა და იქვე, მახლობლად, აზერბაიჯანში გამოვლენილ ყარაჯამერლისა და სარი თეფეს იმავე პერიოდის სასახლეებთან ერთად, მეტყველებს სამხრეთ კავკასიაში აქემენიანთა იმპერიის ძალაუფლების გავრცელებაზე, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამხრეთ კავკასიელი ხალხების, მათ შორის, ქართველთა კულტურაზე.

გუმბათის ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის 2020 წლის ნივთიერი მონაპოვარი ჩაბარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ დიდი გორა, მურაკების გორა და სააქლემოს ნაწილი იხვნება და ამ მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლებს დიდ ზიანს აყენებს.

A short report on Georgian-German Gumbati Archaeological Expedition in 2020

Iulon Gagoshidze

iulongagoshidze@yahoo.com

Kai Kaniuth

kaniuth@vaa.fak12.uni-muenchen.de

David Gagoshidze

d.gagoshidze@yahoo.com

Archaeological fieldwork was carried out by a joint expedition of the Georgian National Museum and Ludwig-Maximilians-University Munich between September 3 and 22, 2020. The fieldwork took place in three different localities: on the late-1st mill. BC site of Saaklemo, where remains of a large administrative structure were further excavated, and in the multi-period sites of Didi Gora and Murakebis Gora, where prospecting work was resumed and a small test pit was dug out.

Saaklemo. An area of 275 sq. m was excavated north and east of the central pillared hall. As in previous years, remains of a large architectural complex were discovered immediately below the 40–50 cm deep tilled earth. To the north of the reception room excavated in 2019, a one-meter-wide corridor running parallel to its back wall was revealed. Behind the south-eastern wall of the complex a series of small compartments separated by narrow partitions made of beaten earth was uncovered. A large amount of charred grains were unearthed in two of the smaller compartments, where different kinds of cereals were kept at the time of destruction. The magnetometer prospecting (J.Fassbinder) resulted in an unexpected outcomes: it turned out that the site of Saaklemo extends over an area of minimum 180 × 120 m, all covered with regular walls, remains of a substantial, but possibly low-density occupation.

Didi Gora. We decided to dig out a test pit in the south-eastern portion of the site with the aim of checking on the results of the geophysical survey and exposing the extent of the settlement. We encountered traces of fire and concentrations of exploited stones. These contained only a few sherds, but a relatively high number of (almost) complete vessels. The pottery from this horizon finds good parallels with the material of the 10th–9th cc BC from southern Kakheti.

Murakebis Gora. We resumed the previous years' work on surface investigation of the site. With few exceptions, our finds date to the first half of the I millennium BC, which complies with recent findings.

Summary. It is the first time we have been able to discuss the issues of the organization of the prehistoric settlements of Didi Gora and Murakebis Gora. The archaeological complex of Saaklemo is a particularly significant site which, alongside

with contemporaneous palaces of Gumbati in neighboring Kakheti, and those of Karajamirli and Sari-tepe in Azerbaijan, speaks about the authority of the Achaemenid Empire spread across South Caucasus which had a considerable impact on the culture of the peoples living here, including Georgians. If, as we expect, the complex continued functioning into the post-Achaemenid period, it will shed light on the period of transition from the Achaemenid to the Hellenistic period.

„ბონდის მღვიმე“ 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური საუბრაობის მოხალე ანგარიში

ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი
nikoloz_tushabramishvili@iliauni.edu.ge

სამეცნიერო წრეებისთვის უკვე საკმაოდ კარგად ცნობილი პალეოლითური, მრავალფენიანი ძეგლი „ბონდის მღვიმე“ მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ქალაქიდან ჩრდილო-დასავლეთით 6 კმ-ის მანძილზე, სოფ. ნირქვალის ტერიტორიაზე, თაბაგრების ლელის მარჯვენა ნაპირზე, მდინარიდან 30 მ-ის სიმაღლეზე. მღვიმის აბსოლუტური სიმაღლე – 477 მ-ია (GPS: 42° 20' 03.7" – E 43° 16 ' 35.4. [Ⴄ. В. Квავაძე, Н. Д. Тушაბრამიшвили, 2008, გვ. 14; ნ. თუშაბრამიშვილი 2009, გვ. 8-20; . Tushabramishvili et al. 2012, pp. 119].

2020 წელს ბონდის მღვიმეზე ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაოები (ხელმძღვ. ნ. თუშაბრამიშვილი) დააფინანსა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია.

ქვლის აღწერილობა:

ბონდის მღვიმის საერთო ფართობი დაახლ. 101 კვ.მ-ია (121 არასრული კვადრატი). მისი ორიენტაცია (შესასვლელი) მიმართულია სამხრეთისკენ. სიმაღლე შესასვლელთან დაახლ. 9 მ, მღვიმის სიღრმე – 11 მ, სიგანე – 7 მ.



სურ. 1



სურ. 2

სტრატეგრაფია: ჩვენმა ფრანგმა კოლეგებმა მღვიმის ჭრილში გამოყვეს 8 ლითოლოგიური ფენა (სურ. 5). აღმოსავლეთი ჭრილის დეტალიზაციის შედეგად გამოვყავით კიდევ ორი ლითოლოგიური ფენა. ჯერჯერობით დადგენილია 10 ლითოლოგიური ფენა (სურ. 6). ჭრილის სიმაღლე 0-ის ხაზიდან – 4,0 მ-ია, ხოლო მიწის თანამედროვე ზედაპირიდან – 3,10 მ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჭრილი დედაქანამდე ჯერ არ არის დასული, შესაბამისად, ჯერჯერობით ინფორმაცია სრული სტრატეგრაფიული სურათის შესახებ არ გაგვაჩნია.

მინის ზედაპირი, ანუ ჩვენ მიერ პირველ ფენად ნოდებული შრე, კარსტული და თანამედროვე ანთროპოგენული პროცესების ზეგავლენის გამო არეულია და, შესაბამისად, ნაკლები მეცნიერული ღირებულება აქვს, ვიდრე დანარჩენ ფენებს. მინის ზედაპირსა და I შრეში აღმოჩენილია არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალა. მათი ნაწილი გვიანდელ ეპოქებს განეკუთვნება (თითო-ოროლა ნივთი ნეოლითური თუ ენეოლითური (?) და შუა საუკუნეების ეპოქისაა). ძირითადად კი, პირველ ფენაშია უხვად დადასტურებული ზედა პალეოლითური არტეფაქტები. დანარჩენი კულტურული ფენები მიეკუთვნება შუა და ზედა პალეოლითის ეპოქას.

თარიღები:

მღვიმე დასახლებული იყო 48,200 ± 480 ka 14C BP (43,123 ± 632 ka Cal BPHulu) (ფენა VIII) - 11,500 ka (ფენა II) - 14C BP 14,050 ± 90 ka 14C (17,295 ± 225 ka Cal BPHulu) (ფენა III). ადამიანის – ჰომო საპიენსი (*Homo sapiens* sp.). ბავშვის ერთი კბილი აღმოჩნდა ზედა პალეოლითურ ფენაში (ფენა Vb, ~39,000-35,800 Cal BP) [David Pleurdeau et al. 2016, pp. 82-83], რომელიც ჯერჯერობით, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ *Homo sapiens* sp. ნაშთთაგან უძველესია (სურ. 3-4).



სურ. 3




სურ. 4



სურ. 5




სურ. 6



სურ. 7

2013



სურ. 8

ჩენი ვარსია. 2013 [2013. ნ. თუშაბრამიშვილი, 2013 წ. ბონდის მღვიმეში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში].

აღმოჩენები: დღეისთვის სულ 12 000-მდე ნივთია აღმოჩენილი.

ზედა პალეოლითური ფენები (V-II ლითოლოგიური): მასალა არის ლამელარული და მიკროლამელარული (ზედა ფენებში). მღვიმეში დადგენილია ძვლის ნივთები, რომლებსაც ეტყობა ნაკანრები (ძვლის დამუშავებისას შემორჩენილი). გარდა ამისა, ზედა პალეოლითურ ფენებში აღმოჩნდა ძვლის იარაღებიც (ნემსები, მახათები და სხვ.).

VI ლითოლოგიური ფენა ცალკე დისკუსიის თემაა და მომავალი კვლევების საქმეა.

როგორც აღვნიშნეთ, სულ გამოყოფილი იყო 8 ლითოლოგიური ფენა (სურ. 5), რომელთაგან, ფრანგი კოლეგების თავდაპირველი აზრით, ერთი – მე-6 ფენა სტერილური იყო (პირველი შეხედულებით, სრულად სტერილური). მოგვიანებით მათ მიიჩნიეს, რომ იგი მხოლოდ ზედა ფენიდან მოხვედრილ მასალებს შეიცავდა.

ჩვენი ხედვა იმთავითვე განსხვავებული იყო რამდენიმე ფაქტორის გამო:

1. არ შეიძლება სტერილურად მივიჩნიოთ ფენა, სადაც, თუნდაც რამდენიმე არტეფაქტია აღმოჩენილი. ჩვენს შემთხვევაში კი, ე.წ. სტერილურ ფენაში გამოვლინდა დაახლოებით 100 არტეფაქტი;
2. ვფიქრობთ, გეოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებითაც კი, ნაკლებად შესაძლებელია ზედა პალეოლითური ფენებიდან მათ ქვევით დალექილ სტერილურ ფენებში, ზედა პალეოლითურის გარდა აღმოჩნდეს შუა პალეოლითური იერსახის ნივთებიც;

3. ბონდის მღვიმეში იგივე ვითარებაა, რაც ორთვალა კლდეში. ჯერ კიდევ 1994 წელს ეს ფენა „გარდამავალად“ განვსაზღვრე [1994. ნ.თუშაბრამიშვილი]. უცხოელმა კოლეგებმა კარგად დაათარიღეს „ადრეულ ზედა პალეოლითურ ფენად“ განსაზღვრული შრე, ლაბორატორიული კვლევების ჩატარების შედეგად დათარიღდა დაახლოებით 47 000 წლით (ზედა პალეოლითის ერთ-ერთი უძველესი ასაკი მთელ რეგიონში), ხოლო, მისი მომდევნო, მის ქვეშ არსებული შუა პალეოლითური ფენა 1– 48 000 წლით (Victoria L. Cullen et al. 2021).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ გასარკვევია მე-6 ფენის მასალის ეპოქალური და არტეფაქტების დამზადების ტექნოლოგიური კუთვნილება, რაც მომავალი კვლევების საქმეა.

შუა პალეოლითური ფენები (VII-VIII ლითოლოგიური) – ამ ფენებში ჯერჯერობით სულ 200-მდე ნივთია დადგენილი. ყველა მათგანი ნაკეთებია კაჟზე და არარეტიშირებულია. ნუკლეუსები ლევალუაურია, უნიპოლარული, ცენტრისკენული რეგულარული, ანატკეცებზე – ნაკეთები, ასევე არის დისკოიდურებიც.

თუ გავითვალისწინებთ და ვენდობით უკვე მიღებულ თარიღებს, ბონდის მღვიმის ფენების (სურ. 9. ამ სქემაზე ფენები 4-8) სქემა შემდეგნაირია:

ფენა	კვადრეტი/კონტექსტი	სიღმე	თარიღი	(±)
4	C4a/D4c section	152	27,120	240
5a	C3a	225-235	30,890	390
5a	C3a	205-215	31,300	400
5c	C3b/D3d section	243	35,300	650
5c	C3b/D3d section	243	34,950	600
5d	C4d	225-235	34,650	600
5d	B3	255-265	34,650	600
5d	A4a	255-265	33,850	550
5d	A4a	255-265	33,950	550
5d	A4a	275-285	34,000	550
5d	A4a	275-285	33,850	550
6	B4a	305-315	47,500	2900
7	B4a	345-355	>45,500	
7	B4a	365-375	>45,100	
7	B4a	365-375	46,200	2400
7	B3b	370-375	>48,700	
7	B3b	370-375	>47,500	
7	B3b	375-380	>48,200	
7-8	B4a	375-380	>48,600	
7-8	B4c	365-375	>48,100	
7-8	B4a	365-375	>47,700	
8	B4c	390-395	>48,400	
5	4C	195-205	35,000	650

სურ. 9

სურათი ისეთივეა, როგორც ორთვალა კლდის ქრილის ტეპრა-მეთოდის გამოყენებით დათარიღებისა – ადრეული ზედა პალეოლითური ფენა (გარდამავალი?), ანუ, მე-6 ლითოლოგიური ფენა ორთვალა კლდის ყველაზე ადრეული ზედა პალეოლითური ფენის (ჩემი ვერსიით გარდამავალი ფენის) ასაკი 47 000 წელია, ხოლო შუა პალეოლითურის – 48 000 წ. თუ გავითვალისწინებთ არსებულ, ნორმალურ, დასაშვებ ცდომილებებს (\pm), ამ ორ ეპოქას შორის ინტერვალი ან არ არის, ან მინიმალურია.

წინამდებარე ინფორმაცია ხელს უწყობს 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი აღმოჩენებისა და მიახლოებითი ასაკის დადგენის მნიშვნელობას.

2020 წელს იგეგმებოდა უცხოეთიდან სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის ჩამოსვლა და როგორც ერთობლივად დათარიღების, ისე გენეტიკური კვლევების წარმოება ბონდის მღვიმეში, რაც ვერ მოხერხდა მსოფლიოში არსებული პანდემიური ვითარების მიზეზით.

სანამ ქვეყნები სრულად ჩაიკეტებოდა, ჩვენ 2020 წლის სეზონზე დავიწყეთ ბონდის მღვიმის მომზადება დაგეგმილი სამუშაოებისთვის. ეს გულისხმობდა არსებული ქრილის კედლების გასუფთავებას სხვადასხვა სახის სინჯების ასაღებად, რაც უნდა განხორციელებულიყო უცხოელ კოლეგებთან ერთად.

სამხრეთი ქრილის მომზადებისას, კედლიდან, მისი ძირის ახლო მონაკვეთიდან (სავარაუდოდ, მე-7, ან მე-8 ფენა), ქრილის დღევანდელი მდგომარეობით იატაკის სიახლოვეს (იატაკი, სამწუხაროდ, მიუხედავად ქრილის კონსერვაციისა, ნაწილობრივ მაინც დაიფარა კედლებიდან ჩამოცვენილი სედიმენტებით), ჩამოვარდა ადამიანის კბილი (სურ. 10-11)



სურ. 10-11

ეს გახლავთ ბონდის მღვიმეში აღმოჩენილი, ადამიანის უკვე მეორე კბილი. რაც მეტად მნიშვნელოვანია, იგი მომდინარეობს შუა პალეოლითური ფენიდან, ან ყველაზე ადრეული, ე.წ. „გარდამავალი“, მე-6 ფენიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანის ახლად აღმოჩენილი ნაშთი მე-5 ფენაში (ზედა პალეოლითი) 2007 წელს აღმოჩენილი ჰომო საპიენსის ადგილზე (მე-5 ფენის) უფრო დაბალი დონიდანაა.

ისევ და ისევ პანდემიური ვითარებებიდან გამომდინარე, კბილი დეტალურად (მათ შორის გენეტიკურად) ჯერ არ შესწავლილა.

თავისთავად, ეს არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩენა არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო მასშტაბით.

იმედია, ამ ნაშთის სათანადო შესწავლა, იმ უკვე დაწყებულ (და სამომავლოდ დაგეგმილ) გენეტიკურ კვლევებთან ერთად (ფენებში გაჟღერებული გენომების მოძიება და კვლევა), უფრო მეტ, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვანდის ზოგადად, ძველი ქვის ხანისა და უძველესი და ძველი გენეტიკისა და გენეტიკური მემკვიდრეობის მკვლევარებს.

ბიბლიოგრაფია

1. 2008. Э.В. КВАВАДЗЕ, Н.Д. ТУШАБРАМИШВИЛИ. МИКРОСТАТКИ ВОЛОКОН ЛЬНА И ШЕРСТИ В ПАЛИНОЛОГИЧЕСКОМ МАТЕРИАЛЕ ВЕРХНЕПАЛЕОЛИТИЧЕСКИХ СЛОЕВ ПЕЩЕРЫ БОНДИ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტი, პალეობიოლოგიის პრობლემები, ტ. III, გვ. 14.
2. 2009. ნ. თუშაბრამიშვილი (თანაავტ.: დ. პლოლდო, მ-ე. მონსელი, თ. ალაპიშვილი, მ. ბუხსიანიძე, ე. ყვავაძე, ა. უსხელიშვილი.). რიონ-ყვირილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2007 წ-ს ბონდის მღვიმეში ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგები. საქართველოს ეროვნული მუზემი, „მოამბე“, საბუნებისმეტყველო-პრეისტორიული სერია. ნ1, გვ. 8-20; 2012.
3. N. Tushabramishvili, T. Meladze, L. Sukhishvili. Georgia on the Crossroad. Cultural Exchanges and Evidences for Different Distance Contacts in Middle and Upper Paleolithic. *“Modes de contacts et de déplacements au Paléolithique eurasiatique”*. *Prehistoire Europeenne*, Liege pp. 119-135.
4. 2011. N. Tushabramishvili, D. Pleurdeau, M.-H. Moncel, T. Agapishvili, A. Vekua, M. Bukhsianidze, B. Maureille, A. Muskhelishvili, M. Mshvildadze, N.

Kapanadze, D. Lordkipanidze). Human remains from a new Upper Pleistocene sequence in Bondi Cave (Western Georgia). *Journal of Human Evolution*. 62:1 2012 Jan pg 179-185. PMID 22130184.

5. 2016. David Pleurdeau, Marie-Helene Moncel, Ron Pinhasi, Reuven Yeshurun , Tom Higham , Tamar Agapishvili, Maka Bokeria, Alexander Muskhelishvili , François-Xavier Le Bourdonnec, Sebastien Nomade, Gerard Poupeau, Herve Bocherens, Marine Frouin, Dominique Genty, Monique Pierre, Edwige Pons-Branchu, David Lordkipanidze, Nikoloz Tushabramishvili. Bondi Cave and the Middle-Upper Palaeolithic transition in western Georgia (south Caucasus). *Quaternary Science Reviews* 146: 77-98.

6. 2017. Тушабрамишвили Н.Д, Ахметгалева Н.Б. Переход от среднего к верхнему палеолиту: новые данные по утилизации костного сырья по материалам пещер Ортваля Клде и Бонди (Южный Кавказ, Грузия), КАМЕННЫЙ ВЕК И НАЧАЛО ЭПОХИ РАННЕГО МЕТАЛЛА, Технология изготовления и функции костяных изделий в древних культурах Евразии. *АРХЕОЛОГИЯ ЕВРАЗИЙСКИХ СТЕПЕЙ*. Стр. 129-150.

7. 1994. ნ.თუშაბრამიშვილი. დასავლეთ საქართველოს შუა პალეოლითი და მისი ზედა პალეოლითზე გადასვლის ეტაპები (ორთვალა კლდის მასალების მიხედვით). სადისერტაციო მაცნე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ.

8. 2021. Victoria L. Cullen, Victoria C. Smith, Nicholaz Tushabramishvili, Carolina Mallol, Michael Dee, Keith N. Wilkinson, Daniel S. Adler. A revised AMS and tephra chronology for the Late Middle to Early Upper Paleolithic occupations of Ortvale Klde, Republic of Georgia, *Journal of Human Evolution* 151.

A short report on archaeological excavations conducted at Bondi Cave in 2020

Nikoloz Tushabramishvili

nikoloz_tushabramishvili@iliauni.edu.ge

The Bondi Cave is located north of the town of Chiatura (Western Georgia) at an altitude of 477 m asl. Set 30 m above the Tabagrebi River, the cave opens towards the south. It was discovered in 2007.

The total area of Bondi Cave is about 101 sq. m. Height of the cave is up to 9 m, depth - 11 m, width - 7 m. The thickness of the sequence of ten layers is about 4.0 m. Bedrock has yet to be reached.

Levels contained some MP (IX-VII), and more abundant material from the UP layers (V-II). Layer VI contains mixed materials (MP to UP transition?). So, the cave was occupied by humans between 48,200 \pm 480 ka 14C BP (43,123 \pm 632 ka Cal BPHulu) (layer VIII) -11,500 ka (layer II) - 14C BP 14,050 \pm 90 ka 14C BP (17,295 \pm 225 ka Cal BPHulu) (layer III).

A hominin tooth was excavated in the sub-layer Vb. The tooth could be either a lower right permanent first molar (M1 dextra) or lower right deciduous second molar (m2). The tooth is a lower decidual second molar - m2 dex of Homo. The human tooth has been discovered in the UP context of the sub-layer Vb, dated to \sim 39,000-35,800 Cal BP). These ages provide the oldest date range for human remains in UP context in Georgia, presuming its attribution to the Homo sapiens correct. The tooth belongs to a young individual.

A second human tooth was found in 2020 while preparing the cave for the planned genetic studies to be conducted with Max Plank institute. The dent was discovered in the ground fallen from the contact layer between the layers 7-6. The tooth has not been studied yet. Despite this fact, Bondi Cave is one of the most interesting and important Paleolithic sites of Georgia because of these anthropological, as well as some other finds (see publications).

შაორის და ახალის მეგალითურ ჯოგლაქსაზა ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში

დირიტირი ნარიმანიშვილი

d.narimanishvili@yahoo.com

გოდერძი ნარიმანიშვილი

goderdzi_narimanisvili@yahoo.com

შაორის მეგალითური კომპლექსი მდებარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტამბოვკის დასავლეთით 3კმ-ს დაშორებით, შაორის მთის წვერზე (კოორდ.: 41.484997; 43.745788). აღსანიშნავია, რომ შაორის მთის მიმდებარედ და მეგალითურ კომპლექსზე არქეოლოგიური კვლევა 1998 წელს დაიწყო, როდესაც მოხდა შაორის ქვედა დასახლების სრული ტოპოგრაფიული აზომვა და საცხოვრებელი კვარტლების გამოყოფა. 2000 წელს მკვლევართა ჯგუფმა (არქეოლოგები - გ. ნარიმანიშვილი, გ. მინდიაშვილი, ნ. შანშაშვილი, ლ. ახალაია; არქიტექტორი - შ. მელიქიძე, მხატვარი - გ. ტატიშვილი, ტოპოგრაფი - ა. თევზაძე) მოახდინა შაორის მთისა და მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული აგეგმვა, არქიტექტორული კომპლექსების და ცალკეული მონაკვეთების დეტალური აზომვა.




სურ. 1

ასევე, ჩატარდა მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური დაზვერვები, რის შედეგად დაფიქსირდა ნამოსახლარები და ათეულობით ყორღანი.

2020 წელს ციტადელის (სურ. 1) ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა № 3, 4, 5, 9, 10 სათავსოში. არცერთ სათავსოში მინის ფენა არ დაფიქსირებულა, იატაკები ქვის

ფილებით არის გამართული. სამუშაოების მიმდინარეობისას № 5 და № 10 სათავსოებში, იატაკის ქვის ფილების ქვეშ გამოვლინდა უხეშკეციანი და მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც შუა საუკუნეებით თარიღდება (არქეოლოგიური სამუშაოების შემდეგ ყველა იატაკის ფილა თავის ადგილზე იქნა დაბრუნებული).

2020 წელს არქეოლოგიური სამუშაოები წარიმართა, როგორც უშუალოდ შაორის მეგალითურ კომპლექსზე, ასევე, შაორის მთის მიმდებარედ არსებულ ყორღანებსა და დასახლებებზე.



სურ. 2

შაორის ქვედა დასახლება (სურ. 2) მდებარეობს შაორის მთის ჩრდილოეთით 700მ მოშორებით (კოორდ.: 41.497931; 43.752010). 1999-2000 წლებში ნამოსახლარის ხასიათის, დათარიღების და სტრატეგრაფიის გარკვევის მიზნით ექვსი თხრილი იქნა გავლებული. მოპოვებული მასალების მიხედვით გაირკვა, რომ ნამოსახლარზე გვხვდება სამი სამშენებლო დონე. ქვედა ფენა მტკვარ-არაქსის კულტურის მასალებს შეიცავს. კერამიკულ მასალას შორის გვხვდება გვიან ბრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტები. ზედა ფენა

თანამედროვე დასახლებას მიეკუთვნება (ამჟამად დანგრეულია).

2020 წლის სამუშაოები ითვალისწინებდა 1999-2000 წლებში გაჭრილი თხრილების ნაწილობრივ გაფართოებას და ახალი თხრილების გაჭრას, არქეოლოგიური სეზონის მიმდინარეობისას გაკეთდა 8 თხრილი (№№ 7-14).

№ 7 თხრილის (კოორდ.: 41.499174; 41.499174) ზომებია 1.1X1.0მ. თხრილში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა. № 8 თხრილის (კოორდ.: 41.499710; 43.751735) ზომებია 10X2.0მ. თხრილში აღმოჩნდა უხეშკეციანი კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი და თხელკეციანი, წითლად გამომწვარი და წითელი საღებავით შეღებილი დოქის ფრაგმენტები. № 9 თხრილის (კოორდ.: 41.499735; 43.751739) ზომებია 2.2X2.0მ. თხრილში აღმოჩნდა კარგად დამუშავებული ობსიდიანის ლამელა, უხეშკეციანი კერამიკის ფრაგმენტები და წითელი საღებავით მოხატული ჭურჭლის ნატეხები. № 10 თხრილის (კოორდ.: 41.499868; 43.751385) ზომებია 3.0X1.8მ. თხრილში აღმოჩნდა უხეშკეციანი, მუქი ფერის კერამიკის ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატეკეცი. № 11 თხრილის (კოორდ.: 41.499779; 43.75149) ზომებია 2.0X1.3მ. თხრილში აღმოჩნდა უხეშკეციანი, მუქი ფერის კერამიკის ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატეკეცი. № 12 თხრილის (კოორდ.: 41.500052; 43.751949) ზომებია 1.4X1.2მ. თხრილში აღმოჩნდა უხეშკეციანი, მუქი ფერის კერამიკის ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატეკეცი. № 13 (კოორდ.: 41.499193; 43.751948) თხრილის ზომებია 5.0X5.0მ. თხრილში არქეოლოგიური მასალა

არ გამოვლენილა. № 14 (კოორდ.: 41.498831; 43.753373) თხრილის ზომებია 5.0X1.0მ. თხრილში არქეოლოგიური მასალა არ გამოვლენილა.

არქეოლოგიური სამუშაოები, ასევე, წარიმართა შაორის მეორე ქვედა დასახლებაზე, რომელიც მდებარეობს შაორის მთის ჩრდილო-დასავლეთით და მთა სლობოდნაიას სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდის ძირში. განსხვავებით ზემოაღწერილი დასახლებისა, რომელიც აშკარად სოფელს წარმოადგენდა და კვარტლებად იყო დაყოფილი, ამ შემთხვევაში ნასახლარები ერთი-მეორისგან შორი-შორს არის განთავსებული. ერთ-ერთი ასეთი სახლი (№ 1 (კოორდ.: 41.482810; 43.436370)) ჩვენს მიერ გაითხარა 2019 წელსაც.

2020 წელს გაითხარა სახლი (№ 2), რომელიც შაორის მთის ძირიდან 400მ-ით არის დაშორებული (კოორდ.: 41.49418; 43.745690). მისი საერთო სიგრძე 6.5მ, სიგანე 4.0მ. ინტერიერის ზომებია 2.3X1.8მ. სახლის კედლები ნაგებია ბაზალტის საშუალო ზომის დაუმუშავებელი ქვებით. კედლის სიგანე 0.75მ. კედლის გასწვრივ დაფიქსირდა თიხის ჭურჭლის ორი ფრაგმენტი, ერთი XIX-XX სს. მიჯნას მიეკუთვნება, მეორე კი გვიანი ბრინჯაოს ხანას. უნდა აღინიშნოს, რომ მთა სლობოდნაიას აღმოსავლეთ ფერდზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაფიქსირდა და აღინერა მშრალი წყობით ნაშენი ნაგებობები და მათთან არსებული მოედნები, რომელთა მიმართულებითაც მიემართება კარკნალებში გაჭრილი ორი გზა. 2020 წელს ნამოებული დაზვერვების შედეგად, დადგინდა, რომ ზემოხსენებული კომპლექსიდან მთა სლობოდნაიას წვერისკენ მიმავალი ბილიკი გაივლიდა კარკნალში გამართულ დასახლებას (კოორდ.: 41.499110; 43.73876), რომელიც დღეისათვის სრულად არის განადგურებული.

შაორის № 1 ყორღანი (სურ. 3) მდებარეობს შაორის მთის სამხრეთით 750მ-ში (კოორდ.: 41.469430; 43.746380). მისი ქვაყრილი შემოზღუდულია კრომლებით, რომლის დიამეტრიც 7.2მ-ია. ცენტრალურ ნაწილში გამართულია დასაკრძალავი კამერა. ის ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ არის დამხრობილი. დასაკრძალავი კამერის სიგრძე 2.0მ-ს, ხოლო სიგანე 1.2მ-ს შეადგენს. სამარხში აღმოჩნდა 10 ერთეული ჭურჭელი, 10ც ცისფერი და ერთი მოწითალო პასტის მძივი. მიცვალებულის ძვლები არ დადასტურებულა. ყორღანს გარედან მიშენებული აქვს ნიშები (სხივები?). მათი ზომები საშუალოდ 0.6X0.4მ-ს შეადგენს. აღსანიშნავია, ყორღანის აღმოსავლეთით განმენდილი უშველებელი “საალაპე” მონოლითი, რომლის გარშემოც ყორღანში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის თანადროული კერამიკის ფრაგმენტები და ორ ასეულამდე ობსიდიანის ანატაკეცი აღმოჩნდა.

შაორის № 2 ყორღანი (სურ. 3) მდებარეობს № 1 ყორღანის ჩრდილო-აღმოსავლეთით 15 მ დაცილებით (კოორდ.: 41.469430; 43.746650). ქვაყრილი

შემოზღუდულია კრომლექხით, რომლის დიამეტრია 9.5მ. დასაკრძალავი კამერა გამართულია ცენტრალურ ნაწილში, ის ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი. დასაკრძალავი კამერის ზომებია 3.2X1.8X1.1მ. დასაკრძალავ კამერაში აღმოჩნდა 9 ქურჭელი. მიცვალებულის ძვლები არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, რომ ყორღანს ჩრდილო-დასავლეთიდან გააჩნია ქვებით გამართული “მოედანი”, რომელიც ყორღანის კრომლექხიდან 1.5მ-ზეა გამოზიდული, სიგანე კი ორ მეტრს შეადგენს.



სურ. 3

ორივე ყორღანი, კერამიკული მასალის მიხედვით ძვ. წ. XVII-XVI სს. უნდა განეკუთვნებოდეს. საინტერესოა, რომ № 2 ყორღანის “მოედანი” შაორის მთაზეა ორიენტირებული. № 1 ყორღანი ისეა აგებული, რომ “საალაპე” მონოლითი მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და შაორის მთაზეა ორიენტირებული.



სურ. 4

აბულის მეგალითური კომპლექსი (სურ. 4) მდებარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. განძანის დასავლეთით ნკმ-ში (კოორდ.: 41.372766; 43.684858). ციტადელზე სამუშაოები მიმდინარეობდა 2019 წელს გათხრილი სათავსოს ტერიტორიაზე. სათავსო განლაგებულია ციტადელის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ის წარმოადგენს მცირე ზომის ოთახს, რომლის კედლები ბაზალტის ქვითაა ნაგები, გადახურულია ბაზალტის ბრტყელი ფილებით, ისე, რომ ის მეორე იარაღის იატაკს წარმოადგენს. ჩვენს მიერ შესწავლილი სათავსოს დასავლეთით კიდევ ორი იდენტური სათავსოა. პირველი იარაღის სათავსოების წინ ღია ადგილია, რომელსაც აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან კედლები აქვს ამოშენებული, სამხრეთ ნაწილში მოქცეულია სათავსოები, ხოლო ჩრდილოეთის მხარე წარმოადგენს აბულის ციტადელის ცენტრალურ ქუჩაზე გასასვლელს.

2020 წელს ძირითადი სამუშაოები წარიმართა სათავსოების წინ არსებულ ღია სივრცეში (კოორდ.: 41.372833; 43.684799). სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდა შუა საუკუნეების მოჭიქული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; უხეშკეციანი დერგების, ქოთნების და ჯამების ნატეხები. აქვე, აღმოჩნდა რკინის დანა და ბრინჯაოს სამაჯური. საყურადღებოა წითელკეციანი და წითლად შეღებილი თიხის ჭურჭლის ორი ნატეხი, რომლებიც ანტიკური ხანის ამ ტიპის კერამიკასთან ამჟღავნებს მსგავსებას.

2020 წელს, გარდა უშუალოდ აბულის მეგალითური კომპლექსისა, ექსპედიციამ ასევე იმუშავა მცირე აბულის მთის გარშემო არსებულ ყორღანებსა და მეგალითურ სიმაგრეებზე.

აბულის № 1 ყორღანი (სურ. 5) მდებარეობს მცირე აბულის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდის ძირიდან 150მ-ში (კოორდ.: 41.395463; 43.738959). ყორღანის ქვაყრილი შემოზღუდულია კრომლებით, რომლის დიამეტრი 9.0მ-ია. სამარხი კამერა დამხრობილია ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე, მისი ზომებია 2.0X1.5X1.5მ. კამერა გადახურული იყო ქვის უზარმაზარი ფილებით. გათხრისას აღმოჩნდა თიხის სამი ჭურჭელი, მითანიური ტიპის ორი საბეჭდავი, პასტის და სარდიონის მძივები (სურ. 6). მიცვალებულის ნაშთი არ დაფიქსირებულა.



სურ. 5

აბულის № 2 ყორღანი (სურ. 5) გაითხარა № 1 ყორღანის აღმოსავლეთით 35მ-ში (კოორდ.: 41.395353; 43.739335). ყორღანის ქვაყრილი შემოზღუდულია კრომლებით, რომლის დიამეტრი 9.3მ-ია. სამარხი კამერა



სურ. 6

მდებარეობს ყორღანის ცენტრში. ის წარმოადგენს ქვაყუთს, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა დამხრობილი. ქვაყუთი გადახურული იყო უშველებელი ქვის ფილებით, კამერის ზომებია 2.0X1.0X0.45მ. კამერაში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი. მიცვალებულის ნაშთი არ დაფიქსირებულა.

ყორღანულ ველზე, ასევე იქნა გათხრილი ორი ქვაყრილი, რომელთაგან ერთი მდებარეობს № 1 ყორღანის ჩრდილო-აღმოსავლეთით 45მ მოშორებით (კოორდ.: 41.395701; 43.739372), მეორე კი სამხრეთ-აღმოსავლეთით 25მ დაცილებით (კოორდ.: 41.395231; 43.739035). მათ ქვეშ სამარხის რაიმე კვალი არ დაფიქსირებულა.

ფილთი-კარის გამაგრებული დასახლება მდებარეობს აბულის მეგალითური სიმაგრისაგან აღმოსავლეთით 6კმ-ში (კოორდ.: 41.382635; 43.756463). მთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდის კიდეზე არსებული შემადლების თხემზე. სიმაგრის კედლები ნაგებია ბაზალტის დიდილოდებით, შიდა სივრცე მთლიანად უკავია ნაგებობებს. სიმაგრის ტერიტორიაზე გაიჭრა ერთი თხრილი (კოორდ.: 41.382523; 43.756481) ზომებია 5.6X3.5X0.4მ. თხრილში დაფიქსირდა ნაგებობის კედლები. შემორჩენილია ქვის წყობის ორი-სამი რიგი. თხრილში არქეოლოგიური მასალა არ დაფიქსირებულა.

ავჭალას გამაგრებული დასახლება მდებარეობს აბულის მეგალითური კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2.3კმ-ში და ავჩალის ტბის ჩრდილოეთით 500მ-ში, მცირე აბულის მთის სამხრეთ განტოტებაზე (კოორდ.: 41.354140; 43.699610). კომპლექსი წამოადგენს ციკლოპური კედლით გამაგრებულ დასახლებას. 2020 წელს გაიჭრა ერთი თხრილი (კოორდ.: 41.354090; 43.69899), რომლის ზომებია 2.0X1.5X1.0მ. თხრილში გამოვლინდა ბაზალტის ქვებით ნაგები კედლის ნაწილი, რომელსაც გვიანი ბრინჯაოს ხანის და ადრე შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები ახლავს.

ექსპედიციის მიმდინარეობისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ჩაბარდა სამშვილდის და კლდეკარის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალს.

Short report on Archaeological Excavations at Shaori and Abuli Megalithic Complexes

Dimitri Narimanishvili

d.narimanishvili@yahoo.com

Goderdzi Narimanishvili

goderdzi_narimanisvili@yahoo.com

In 2020 archaeological excavations were conducted in Ninotsminda municipality, on two most important archaeological sites - Shaori and Abuli Megalithic complexes. During the field season, also, lower settlements of Shaori and kurgans located near Shaori mountain were excavated. Kurgans were dated to the end of Middle Bronze Age and beginning of Late Bronze Age. Two Kurgans were excavated also near the Abuli Megalithic complex, both kurgans dated to XV-XIV centuries BC. Important discovery was done in Kurgan #1 of Abuli, where along the clay vessels and different types of beads and bronze pin, two Mitannian cylinder seals were found. Archaeological trenches were also done on the fortified settlements of Pilti-Kari and Avchala.

ავრანლოს და სამეხას მეგალითურ ხომალაქებსა და ბუთაშენის „ნაქალაქარზა“ 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური საეზოაობის მოხლა ანგარიში

დიმიტრი ნარიმანიშვილი

d.narimanishvili@yahoo.com

გოდერძი ნარიმანიშვილი

goderdzi_narimanisvili@yahoo.com

ავრანლოს მეგალითურ კომპლექსი (სურ. 1) მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ავრანლოს ჩრდილოეთით 0.5კმ-ში (კოორდ.: 41.662559; 43.883869). 2020 წელს



სურ. 1

კომპლექსის ტერიტორიაზე გაიჭრა ექვსი სადაზვერვო თხრილი (№ № 2-7). თხრილი № 2 მდებარეობს ციტადელის სამხრეთი კარიბჭის სამხრეთ-დასავლეთით (კოორდ.: 41.662443; 43.8835724), მისი ზომებია 2.0X2.0X0.9მ. თხრილში ადრე და გვიანი ბრინჯაოს ხანის არტეფაქტები აღმოჩნდა. თუმცა, უძრავი კულტურული ფენები არ დაფიქსირებულა. თხრილი № 3 მდებარეობს ციტადელის სამხრეთ-აღმოსავლეთით (კოორდ.: 41.662394; 43.884182), III ტერასაზე. მისი ზომებია 4.0X2.0X0.75მ. თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა ქვით ნაგები კედლის ნაშთი და გვიან ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი. თხრილი № 4 მდებარეობს ციტადელის შიდა სივრცეში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (კოორდ.: 41.662614; 43.884140). მისი ზომებია 2.0X2.0X1.2მ. თხრილში მხოლოდ გვიან ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლების ნატეხები აღმოჩნდა, რაც ადასტურებს, რომ ავრანლოს მეგალითური ციტადელი გვიანი ბრინჯაოს ხანაში ფუნქციონირებდა. თხრილი № 5 მდებარეობს ციტადელის შიდა სივრცეში (კოორდ.: 41.662581; 43.884004), ცენტრალურ ნაწილში. მისი ზომებია 2.0X2.0X0.45მ. თხრილის ჩრდილოეთ მხარეს გამოვლინდა კლდოვანი დედაქანი, ხოლო სამხრეთ ნაწილში კი დაფიქსირდა ნახანძრალი ფენა. თხრილი № 6 მდებარეობს ციტადელის გარეთ, მისგან დასავლეთით 6.0მ-ის მოშორებით (კოორდ.: 41.662709; 43.883555). თხრილის ზომებია 5.5X1.5X0.5მ. თხრილში აღმოჩენილი მასალა

განეკუთვნება რკინის ხანას. თხრილი № 7 მდებარეობს ციტადელიდან დასავლეთით 70მ-ში (კოორდ.: 41.663104; 43.882954). მისი ზომებია 10X2.0X1.0მ. ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა თავდაცვითი კედლის ნაშთი, რომლის სიგანე საშუალოდ 2.0-2.5მ-ია. თხრილის სამხრეთ ნაწილში გამოვლინდა ნაგებობის კუთხე. თხრილში აღმოჩენილი მასალა განეკუთვნება ადრე და გვიან ბრინჯაოს, რკინის და ანტიკურ ხანებს.

სამებას მეგალითური კომპლექსი (სურ. 2) მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. განთიადის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1.0 კმ-ის მოშორებით (კოორდ.: 41.584840; 43.973980). ციკლოპური კომპლექსი წარმოადგენს გამაგრებულ დასახლებას, რომელსაც გააჩნია თავდაცვითი თხრილი და მასიური ციკლოპური გალავანი. დღეისათვის გალავანი სრულადაა დაშლილი. 2020 წელს გაგრძელდა 2019 წელს დაწყებული № 1 თხრილის შესწავლა, ასევე გაიჭრა ხუთი ახალი თხრილი (№ 3-7).



სურ. 2

თხრილი № 1 (კოორდ.: 41.584953; 43.974214) გაფართოვდა, რადგან საჭირო იყო აქ გამოვლენილი სახლის ფართობის და კედლების მშენებლობის ტექნიკის დაზუსტება.

თხრილის ზომებია 6.0X5.5X1.0მ. თხრილი № 3 მდებარეობს ციტადელის შიდა გალავნის გასწვრივ (კოორდ.: 41.584882; 43.974043). მისი ზომებია 5.5X3.0X1.7მ. გამოვლინდა ბაზალტის ქვებით ნაგები სახლის კედლები. სახლი უშუალოდ არის მიდგმული დასახლების შიდა თავდაცვით კედელზე. იატაკი თიხატყეპნილია, რომელშიც ჩაჭრილია სამეურნეო ორმო. თხრილი № 4 მოიცავს № 1 თხრილში გამოვლენილი სახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს (კოორდ.: 41.584998; 43.974119). სახლი უშუალოდ არის მიდგმული დასახლების შიდა თავდაცვით კედელზე. თხრილის ზომებია 5.0X5.5X1.0მ. სახლის დასავლეთით, თავდაცვით კედელში მცირე სათავსოა გამართული. მას შესასვლელი მხარე დასავლეთიდან აქვს, რომლის სიმაღლე 0.7მ-ს, სიგანე კი 0.45მ-ს უდრის. სათავსოს შიდა მხრიდან დადასტურდა წრიული ფორმის ქვა, რომელიც ზუსტად ერგება შესასვლელს (სურ. 3). თხრილი № 5 გაიჭრა დასახლების ჩრდილოეთი თავდაცვითი კედლის გასწვრივ (კოორდ.: 41.585264; 43.974206), მისი ზომებია 6.5X4.0X1.1მ. გაირკვა, რომ აქ კედლის სიგანე 3.5მ-ია. თხრილი № 6 გავლენილია კომპლექსის თავდაცვითი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში (კოორდ.: 41.584920; 43.974300). თხრილის ზომებია 4.5X4.0X0.2მ. თხრილში გამოვლინდა თავდაცვითი



სურ. 3

კედლის ერთი მონაკვეთი. თხრილი № 7 გაიჭრა გამაგრებული დასახლების გარეთ (კოორდ.: 41.585377; 43.974936), მდ. პატარა ხრამის მეორე ტერასაზე, მისი ზომებია 5.0X2.0X1,0მ. მუშაობისას გაიწმინდა ციკლოპური წყობით ნაშენი თავდაცვითი კედელი, რომლის შიდა საპირე ქვებიდან 0.5მ-ში გამოვლინდა ქვის ფილებით გამართული იატაკი,

სადაც დაფიქსირდა საბოძე ქვა, ზომებით 0.6X0.6მ.

სამებას მეგალითურ კომპლექსზე გაკეთებულ თხრილებში აღმოჩნდა მხოლოდადრე შუასაუკუნეების არტიფაქტები, გამონაკლისს წარმოადგენს № 7 თხრილი, სადაც ციკლოპური კედლის შევსებაში აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს ხანის ობსიდიანის ისრის პირი.

ბეშთაშენის „ნაქალაქარი“ მდებარეობს ნალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბეშთაშენის ჩრდილოეთით, 500 მეტრის მოშორებით. 2020 წელს გათხრები მიმდინარეობდა მეგალითური კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და მოიცვა ტერიტორია (სურ. 4), რომელიც XX საუკუნის 30-40-იან წლებში ბ. კუფტინის, ხოლო 90წლებში გ. ნარიმანიშვილის მიერ იყო ნაწილობრივ შესწავლილი.

აღსანიშნავია „ნაქალაქარის“ ძირითადი თავდაცვითი კედლის 26 მეტრ სიგრძეზე შესწავლა. კედელი ძლიერ არის დაზიანებული. ძირითადად შემორჩენილია კედლის წყობის სულ ქვედა (გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპი) რიგი, რომლის სიგანე ზოგ შემთხვევაში 5.0მ-ს აღწევს.



სურ. 4

ეს კედელი ბრინჯაოს ხანაშივე ჩანს დანგრეული. მის თავზე შედარებით მომცრო ქვებით ახალი კედელი გაუმართავთ, რომლის სიგანე 2.5მ-ია. კედლის ერთ-ერთ ნაწილში გამოვლინდა კონტრფორსი. ის ნაგებია დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით, უდულაბოდ. თავდაცვითი კედლიდან ის გამოზიდულია 4.6მ-ით, მისი სიგანე კი

6.3მ-ია. კონტრფორსის ძირში გაითხარა ქვაყუთი. ის უშუალოდ კედელზე ისეა მიშენებული, რომ სამარხის კედელსაც წარმოადგენს. სამარხის იატაკი კონტრფორსის კედლის ქვედა რიგზე უფრო ზევით მდებარეობს. სამარხის სახურავად თავდაცვითი კედლის ერთ-ერთი ქვაა გამოყენებული. სამარხში

ერთი ზრდასრული მიცვალებულის ჩონჩხი და თიხის ერთი ჭურჭელი (ახ.წ. IV-VI სს.) დაფიქსირდა. გაძარცვული ქვაყუთი გაითხარა კონტრფორსის აღმოსავლეთით, თავდაცვითი კედლიდან 1.3მ დაცილებით. ამ სამარხის იატაკიც თავდაცვითი კედლის ქვედა დონის ქვებზე მაღლა მდებარეობს. ორივე სამარხი მიუთითებს, რომ ბეშთაშენის „ნაქალაქარის“ თავდაცვითი სისტემა ახ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის დიდი ხნის დანგრეულია.

2020 წელს „ნაქალაქარის“ ტერიტორიაზე გაითხარა სხვადასხვა ეპოქის 7 სახლი. ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება № 7, 8, 11 სახლი, ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებს – № 4 სახლი, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება №№ 5, 6, 10 სახლი, ადრეულ შუა საუკუნეებით კი № 9 სახლი.

ექსპედიციის მიმდინარეობისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ჩაბარდა სამშვილდის და კლდეკარის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალს.

A short report on archaeological excavations at Avranlo and Sameba megalithic Complexes and Beshtasheni 'settlement' in 2020

Dimitri Narimanishvili

d.narimanishvili@yahoo.com

Goderdzi Narimanishvili

goderdzi_narimanisvili@yahoo.com

In 2020, archaeological excavations were conducted in Tsalka Municipality, at Avranlo and Sameba megalithic complexes and at Beshtasheni “settlement”. As a result, the date of the Avranlo Citadel was defined by the 12th -11th centuries BC. The defensive wall of Sameba can be dated similarly. The main defensive wall of Beshtasheni belongs to the 16th -15th cc BC.

ჭობარეთის ტერასულ ნამოსახლარზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

კ. კახიანი

kkakhiani@hotmail.com

გ. ბედიანაშვილი, ს. მარკოზია, გ. ჩიქოვანი,
დ. ჯაჭვლიანი, ლ. ჯიბლაძე

ჭობარეთის მრავალფენიანი ტერასული ნამოსახლარი და სამაროვანი, მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფლის ჩრდილოეთით, 1,2 კმ სიშორეზე, სატიკნის გორის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1610 - 1640 მეტრ სიმაღლეზე (GPS: 343680 4605520).

საკვლევი არქეოლოგიური ობიექტი აღმოჩნდა 2008 წელს, ასპინძა-ახალციხის მაგისტრალური გაზსადენის გაყვანის დროს. არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა 2009, 2011–2014, 2016, 2019 და 2020 წლებში, რის შედეგადაც გამოვლენილი და შესწავლილია მტკვარ-არაქსის კულტურის თოთხმეტი დაზიანებული ნაგებობა და ცამეტი სამარხი, გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები და შუა საუკუნეების შენობებისა და ზღუდის ნაშთები.

2019-2020 წლებში, ჭობარეთის ნამოსახლარზე გადარჩენითი საველე სამუშაოები დაფინანსებული იყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ.

2019-2020 საანგარიშო წლებში, საველე სამუშაოები მიმდინარეობდა ბორცვის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში, პირველ და მეორე უბნებზე, სადაც ტერასებზე, მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარის ქვის ნაგებობებია გამოვლენილი.

პირველი უბანი

პირველ უბანზე, სადაც წინა წლებში ერთ-ერთ ტერასაზე შესწავლილია სამი ნაგებობა, დამატებით გაითხარა ექვსი (NN 6–11) დაზიანებული შენობა (სურ. 1,2). ისინი განლაგებულია სწორხაზოვნად, დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე, ნაშენია ერთ რიგად, სხვადასხვა ზომის კლდის ქვებით. კედლები შეერთების ადგილზე, კუთხეებში რკალისებურად მოხრილია, იატაკი კი – თიხატკეპნილი. ნაგებობებს საფასადე მხარე სამხრეთით უნდა ჰქონოდა, რომელიც მოშლილია მაგისტრალური გაზსადენის გაყვანის დროს. ჩრდილოეთ (ზურგის) კედელთან, ხშირ შემთხვევაში, მთელ სიგრძეზე, იატაკთანშემადლებული ბაქანია გამართული. ნაგებობები განადგურებულია

ხანძრის შედეგად, ისე, როგორც ამ ტერასის სხვა შენობები. თიხის ჭურჭელი ჩალენილი და ნაწილობრივ გადამწვარია. კერამიკა უმეტესად შავპრიალა და ვარდისფერსარჩულიანია, მათში გამოიყოფა სხვადასხვა ზომისა და ფორმის თიხის ჭურჭელი. ნაპოვნია ზოომორფული და ნალისებრი მოყვანილობის თიხის ორი სადგარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაგებობებში სარქველების აღმოჩენა. მათ ნაწილზე ფრინველები, აბსტრაქტული სახეები და გეომეტრიული ორნამენტია ამოღარული (სურ. 5, 6).

ამავე უბანზე, ხსენებული ტერასის ჩრდილოეთით, ახალი ნაგებობების გამოვლენის მიზნით, გაკეთდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ დამხრობილი ოთხი სადაზვერვო თხრილი, მათგან აღსანიშნავია პირველი თხრილი, სადაც 5 კვ.მ ფართობზე დაფიქსირდა ახალი ტერასა, ქვით ნაშენი შენობის ზურგის კედელი და იატაკზე ჩალენილი შავი ფერის, სხვადასხვა ზომის, მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭელი (ოცამდე) (სურ. 3). შენობა გადამწვარია, ქვედა ტერასის სხვა ნაგებობების მსგავსად.

მეორე უბანი

მეორე უბანი მდებარეობს ნამოსახლარის სამხრეთ ნაწილში, მაგისტრალური გაზსადენის სამხრეთით, დაქანებულ ფერდზე. აქ, სადაზვერვო თხრილების გავლების დროს გამოვლინდა მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარის ნაგებობები და კულტურული ფენები. სულ შევისწავლეთ ორი შენობა (NN 12, 13) და სამი სამეურნეო ორმო (NN 19, 20, 21).

შენობა №12

მდებარეობს Q20 და Q21 კვადრატებში. დაზიანებულია, შემორჩენილია შენობის ჩრდილოეთი (ზურგის) კედელი და დასავლეთი კედლის ნაწილი. ნაგებია ერთ რიგად, თიხის ხსნარზე, ერთმანეთზე კარგად მორგებული დიდი და საშუალო ზომის ბაზალტის ქვებით. ზურგის კედელი ოდნავ მორკალულია. მას მთელ სიგრძეზე, იატაკზე მიდგმული ჰქონდა წვრილი ქვებისგან შედგენილი 0,10 მ სიმაღლისა და 0,45-0,55 მ სიგანის ბაქანი (სურ. 4). სათავსში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატყხები (მცირე რაოდენობით). ნაგებობა თავის დროზე მიტოვებული და დანგრეული ჩანს.

შენობა №13

აღმოჩნდა Q20 კვადრატში N12 ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთით 5 მ დაშორებით. მთლიანად შემორჩენილია ნაგებობის ჩრდილოეთი (ზურგის) კედელი, ხოლო ნაწილობრივ – დასავლეთისა და აღმოსავლეთის გვერდითი

კედლები (სურ. 4). ჩრდილოეთი კედელი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით, სიგრძე 4,34 მეტრია. სხვა შენობების მსგავსად, ნაგებია ერთ რიგად, თიხის ხსნარზე, საშუალო დამცირე ზომის ბაზალტის ქვებით. კედელი მორკალულია. მაქსიმალური სიმაღლე 1,45 მეტრია. ფერდის ჩამორეცხვის გამო, ნაწილობრივ შემორჩენილია შენობის დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლები, ხოლო სამხრეთი – საფასადე მხარე, საიდანაც შენობას შესასვლელი უნდა ჰქონოდა, იმავე მიზეზით არ შემოინახა. შენობის შიდა სივრცე, ნაცროვან ფენასთან ერთად, იატაკამდე შევსებული იყო საშუალო და დიდი ზომის ბაზალტის ქვებით. კულტურული ფენის სისქე დაახლოებით 1 მეტრს აღწევდა. თიხატკეპნილი იატაკი მოფენილი იყო სხვადასხვა ზომისა და ფორმის კერამიკული ნატეხებით, სარქელის, სადგრისა და კერის ფრაგმენტებით. აქვე აღმოჩნდა კაჟისგან დამზადებული შუბისპირი, ობსიდიანის ანატკეცები, მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების ძვლები.

საეურნეო ორმოები

№12 შენობის აღმოსავლეთით, Q21 კვადრატში, ნაყარ მიწაში დაფიქსირდა უსისტემოდ განლაგებული დიდი და საშუალო ზომის ქვები. მათი ალების შემდეგ, მოყვითალო ფერის კირქვოვან ნიადაგში გამოიკვეთა სამი ორმოს კონტური.

№19 ორმო გეგმაში წრიულია. პირის დიამეტრი 0,85მ, სიღრმე 1,40 მეტრია. ცილინდრული ფორმისაა. ის სავსე იყო ნაცრით, სხვადასხვა ზომის კლდის ქვებით, ძვლოვანი მასალით. გვხვდებოდა მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელი კერამიკული ნატეხები. ორმოს სამხრეთი მხარე დაუზიანებიათ №20 ორმოს გამართვის დროს.

№20 ორმო მდებარეობს №19 ორმოს სამხრეთით, 0,20 მ დაშორებით, გეგმაში წრიულია. პირის დიამეტრი 1,20 მ, სიღრმე 1,53 მეტრია, თითქმის ცილინდრულია. შევსებული იყო ნაცრითა და ქვებით. გვხვდებოდა უპროფილო, მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ძვლოვანი მასალა, ობსიდიანის ანატკეცები. ორმოში, აგრეთვე აღმოჩნდა თიხის სადგრის ფრაგმენტი დამცირე ზომის, ორმხრივად გახვრეტილი ქვა.

№21 ორმო მდებარეობდა №20 ორმოს დასავლეთით. წრიული მოყვანილობისაა, დიამეტრი 1,20 მ, სიღრმე 0,40 მ. შიგ აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის 4 ნატეხი. ორმოს ცენტრში ამოჭრილი იყო 0,20 მ სიღრმის ოვალური ფორმის, მცირე ზომის მეორე ორმო, რომელიც ბოძის ჩასადგმელი უნდა ყოფილიყო.

ჭობარეთის ნამოსახლარი ადრეებრინჯაოს ხანის დიდი ტერასული

დასახლებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქვის ნაგებობები. ის მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის თითქმის მთელ პერიოდს მოიცავს, რაზეც ოცზე მეტი რადიოკარბონული თარიღი მიუთითებს. დღეს არსებული მონაცემებით, მისი ქრონოლოგიური ფუნქციონირების თარიღი ქ.ნ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ქ.ნ. III ათასწლეულის პირველი საუკუნეებით განისაზღვრება.

ამჟამად, არქეოლოგიური ობიექტის მდგომარეობა სავალალოა, მაგისტრალური გაზსადენის გაყვანის დროს დაზიანებული კლდის დედაქანი იშლება და თანდათანობით ჩამოაქვს ძველი ნაგებობების ნაშთები და კულტურული ფენები. შექმნილ მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ დასახლება მკვეთრად დაქანებულ მთის ფერდზეა გამართული და ბუნებრივი ეროზიული მოვლენების შედეგად ირეცხება.

ნამოსახლარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6

A short report on archaeological excavations conducted at the terraced settlement of Chobareti in 2020

Kakha Kakhiani

kkakkhini@hotmail.com

G.Bedianashvili, S. Markozia, G.Chikovani,

D. Jachviliani, L. Jibladze

The multilayer terraced settlement and cemetery of Chobareti are situated in Aspindza Municipality, 1.2 km north of the village of the same name. It is set on the south slope of Satikne Hill, at an altitude of 1610-1640 m.

The archaeological site of Chobareti was discovered in 2008 during construction works of the Aspindza-Akhalkalaki gas pipeline. Since then, archaeological investigations of this site were conducted in 2009, 2011., 2012, 2013, 2014, 2016, 2019 and 2020.

As a result of these excavations, fourteen structures and thirteen burials of Kura-Araxes period, as well as a cultural layer of the Late Bronze Age and a medieval fortification and structures were investigated.

In 2019-2020, archaeological investigations were conducted on east and south slopes, on plots 1 and 3, where stone structures of Kura-Araxes period were revealed.

Plot 1 yielded remains of six (6-11) structures of Kura-Araxes period (fig.1,2) and a new terrace with fragments of structures (fig.3). On plot 2 two structures (12-13) and three pits (19,20,21) of the same period were investigated (fig.4).


The excavated structures have beaten earth floors and single-course walls built with different size rocks. The corners of the walls are slightly rounded.

The façade of the structures was on the south, which is now disturbed by construction works or probably as a result of the erosion of the slope. Along the northern (back) wall, there is a bench. Major part of the structures is destroyed by fire. Pottery is smashed and partially burned. Most part of the pottery is red-black. Apart from it, an ornamented lid (fig.5,6), a zoomorphic and horseshoe shaped andiron, grinding stones, flint sickle blades, etc. were also found there.

Chobareti is a large terraced settlement of the Early Bronze Age, where stone structures are common. Based on twenty radiocarbon dates, chronologically, it covers almost the entire period of Kura-Araxes culture from the second half of IV millennium BC to the first centuries of III millennium BC.

“მაჩხომერის” გორაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხალე ანგარიში

ნანული პაპუაშვილი
რევაზ პაპუაშვილი
გოგიტა ჩიტაია
დავით ნასყიდაშვილი
davit.naskidashvili@tsu.ge



სურ. 1

მაჩხომერი 2020 წ.



სურ. 2

ათეულობით არტეფაქტთან ერთად განსაკუთრებით აღსანიშნავია წარწერიანი ქვის ექვსი ნიმუშის აღმოჩენა. წარწერები, გარდა ერთისა, ღრმად ნაკვეთი ბერძნული ასონიშნებითაა შესრულებული, რომლებიც მსგავსად 2018-19 წწ. მოპოვებული ეგზემპლარებისა ტაძრის ჩრდილოეთ ნაგშია აღმოჩენილი (სურ. 3-7). ერთ-ერთი წარწერა შესრულებულია შავ ფიქალზე. მასზე არა ნაკვეთი, არამედ ამოკანრული ასოებია დატანილი. ადრე აღმოჩენილი და ახალი წარწერებიც ნაკითხულია ბიზანტიოლოგ

2020 წელს ჩატარდა საველე-არქეოლოგიური სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მაჩხომერის გორის სახელით ცნობილ ტერიტორიაზე არსებულ არქეოლოგიურ-არქიტექტურულ კომპლექსზე, რომელიც შედგება: გალავნის, ორი კოშკის, გალავანში მოქცეული შენობის — ტაძრისა და სხვა გაურკვეველ ნაგებობათა ნაშთებისა და კულტურული ფენებისგან (სურ. 1).

ძირითადი სამუშაოები ტაძრის ცენტრალურ ნაწილში წარიმართა. გამოვლინდა თლილი ქვის იატაკით მოგებული სტოა, დარბაზი, სვეტები, პილასტრები და კარის ლიობები. ჯერჯერობით გაუთხრელია ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილი (სურ. 2).

თიხის, მინისა და ბრიჯაოს

ანდრეი ვინოგრადოვის მიერ. პალეოგრაფიული ნიშნებით ეს წარწერებიც VI საუკუნით თარიღდება.

მცირე მოცულობის სამუშაოები ჩატარდა კომპლექსის დასავლეთ ნაწილში მდებარე კოშკებზეც, შედეგად გაინმინდა და გასუფთავდა ჩრდილო-დასავლეთით მდებარე კოშკი და მისი მიმდებარე ტერიტორია, გაკეთდა გეგმა და ჭრილი. ზედაპირულად გამოვლინდა სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კოშკიც. ამ ეტაპზე მხოლოდ მისი პარამეტრების განისაზღვრა მოხერხდა. ძირითადი ნაწილი შემდგომი კვლევის საგანია.



სურ. 3

A short report on archaeological excavations at Machkhomeris Gora, 2020

*Nanuli Papuashvili
Revaz Papuashvili
Gogita Chitaia
David Naskidashvili
davit.naskidashvili@tsu.ge*

Archaeological excavations at Machkhomeri (Khobi Municipality, Pirveli Maisi) took place between August 15 and September 25, 2020. They were conducted under the aegis of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia. Machkhomeris Gora, which is most likely a site of the Late Classical period, comprises remains of a fortification wall, two towers, a central building – possibly a church – and other structures whose functions are not identified. This year’s excavations specifically focused on the central area of the church, which was paved with flat stones. The excavations brought to light a considerable number of metal, stone and ceramic artefacts, including 6 fragmentary inscribed stones, 3 of which belong to one and the same inscription. The inscriptions, which are all written in Greek, can preliminarily be dated to the 6th century AD. Small trenches were also dug along the area of the fortification wall situated 50 metres south of the church. The aim of digging of the trenches was to clear the area from vegetation in order to expose the plan of a number of built features, including two towers.

Excavations of these towers are intended to be conducted in the summer of 2021.



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7

თბილისის ხოდაშენის ქუჩაზე, 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოხლა ანგარიში

ირაკლი ანჩაბაძე

Anchabadze@gmail.com

მერაბ ძნელაძე

dzneladzemerabi@gmail.com

თბილისში, ხოდაშენის ქუჩაზე საკვლევე ტერიტორია სამუშაოების დაწყებისას იყო სხვადასხვა სახის სამშენებლო, საყოფაცხოვრებო ნარჩენებითა და ეკალ-ბარდებით დაფარული ერთგვარი „ეზო“. როგორც ჩანს, აქ ადრე ძველი, ამორტიზირებული სახლები იდგა.

არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიზნად დაისახა საკვლევე ტერიტორიის მიწის ზედაპირის ქვემოთ არსებული აგურით ნაშენი „სარდაფებისა“ და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ფენების შესწავლა, კულტურული ფენების სტრატოგრაფიის დადგენა.

სამუშაოების მიზანი სამი ხილვადი „სარდაფის“ შესწავლა იყო. თითოეული მათგანი პირობითად დაინომრა და დაიწყო გასუფთავება. №1 სარდაფი (NO-SW მიმართულებით სიგრძე - 650 სმ, სიგანე - 510 სმ) ნახევრად დანგრეულია (II ნაკვეთის №13,14 კვადრატები). მის ჩრდილოეთ კედელზე გამართულია სამი შეისრულთალოვანი ნიში (სიმაღლე 100 სმ, სიგანე 60 სმ), მაშინ, როცა დანარჩენ ორ სარდაფს წრიულთალოვანი ნიშები აქვს. მისი თალოვანი გადახურვის დასავლეთი ნაწილი ჩანგრეულია, სადაც მუშაობის დაწყების დროს ჩაყრილი იყო მიწა და საყოფაცხოვრებო ნარჩენები. განმენდის შემდეგ, სარდაფის თალოვანი სახურავიდან 240 სმ-ის სიღრმეში, გამოჩნდა გვიანდელი, XX ს-ის იატაკი. უშუალოდ სარდაფის პირვანდელი იატაკის დონე დაფიქსირდა უფრო დაბლა, თალოვანი გადახურვიდან 350 სმ-ის სიღრმეში. სარდაფის დასავლეთი კედლის გასწვრივ გაიჭრა შურფი, რომელმაც სახურავიდან უკვე 400 სმ-ის სიღრმეში გვაჩვენა ძველი ნაგებობის ორი კედელი, რომლებიც ქმნის კუთხეს აღმოსავლეთის მიმართულებით. გათხრილი კედლების გამოვლენილი სიგრძე 210 და 180 სმ-ია, სიგანე 50 სმ. ისინი შედგენილია რიყის ქვებით, მოყვითალო კირხსნარზე. ფენაში ფიქსირებული მოჭიქული კერამიკის მიხედვით, აღმოჩენილი კედლის წყობა განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება.

№1 სარდაფის სამხრეთით გამოვლინდა შესასვლელი, რომელიც ერთგვარი კორიდორის სახით, ორი პარალელური აგურის კედლით მიემართება სამხრეთისკენ (IV ნაკვეთის №2 კვადრატში). არ არის

გამორიცხული, რომ ისინი სხვა სარდაფების კედლები იყოს, რომლებიც ჯერ არ არის გამოვლენილი.

პარალელურად მიმდინარეობდა №2 სარდაფის შესწავლა, რომელიც მდებარეობს ეზოს სამხრეთ ნაწილში (IV ნაკვეთის №5,6,9,10 კვადრატები). თავდაპირველად მოიხსნა მისი სახურავი, რომელიც, როგორც ჩანს, უკვე საცხოვრებელი სახლის იატაკის ფუნქციას ასრულებდა. მოგვიანებით, XX-ს-ში, როცა მიწის დონემ აინია, მასზე დაშენდა სახლი. აღნიშნული „სახურავი“ სარდაფის აღმოსავლეთ-დასავლეთ კედლებზე გადებული, მორებისგან გამოთლილი, ხის კოჭებია (სიგრძე - 470 სმ, სიგანე - 20 სმ), რომელზეც დაფენილი იყო თიხატკეპნილის რამდენიმე ფენა და ბოლოს ხის იატაკი. აღნიშნული იატაკის ალების დროს აღმოჩნდა XX ს-ის პირველი ნახევრისა და შუა ხანების საბჭოთა მონეტები. სარდაფის ნაგვისგან ამოსუფთავების შემდეგ, ეტაპობრივად გაივლო სადაზვერვო თხრილები ჯერ მის ჩრდილოეთი კედლის, შემდეგ კი დასავლეთი კედლის გასწვრივ და ცენტრალურ ნაწილში. გაირკვა, რომ სარდაფის თანადროული იატაკი წარმოდგენილი ყოფილა თხლად დასხმული კირის ხსნარით, კედლების უმაღლესი წერტილიდან 400 სმ-ის სიღრმეში. მისი კვალი მხოლოდ კედლებზე შემორჩა ზოგიერთ ადგილას. ჩრდილოეთ კედელთან აღმოჩნდა დაზიანებული თიხის მილი. დასავლეთ თხრილში, გამოვლინდა კირხსნარით ამოლესილი ქვევრის ჩასადგამი. როგორც ჩანს, „სარდაფი“ სამეურნეო დანიშნულების სათავსი გახლდათ, სადაც მცირე ზომის საწვავი და მარანი უნდა ყოფილიყო გამართული. სავარაუდოდ, საწვავის მილი გადიოდა იატაკის ქვეშ, ხოლო ქვევრი წელამდე იყო ჩადგმული იატაკში, კირით ამოლესილ ორმოში. სარდაფის ოთხივე კედელზე წრიულთაღოვანი ნიშებია.

საცედელი თხრილების დაღრმავების შედეგად გამოჩნდა უფრო ძველი კულტურული ფენები: რიყის ქვებისგან შედგენილი ორი კედლის ნყობა, რომლებიც ერთმანეთის პერპენდიკულარულად მიემართება (N-S, W-O) და ქმნის შენობის კუთხეს. სინქრონულ ფენაში აღმოჩენილი ცისფრად მოჭიქული სამარილები და ღვიძლისფრად მოჭიქული ქრატები კედლებს X-XIII სს-ით ათარილებს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ნყობა იმავე დონეზეა მიწის ზედაპირიდან, როგორც ორი კედელი №1 სარდაფში (4 მ).

ბოლო ეტაპზე შევისწავლეთ №3 სათავსი (IV ნაკვეთის №7,11 კვადრატები), რომელიც №2 სარდაფს უშუალოდ ემიჯნება აღმოსავლეთიდან. მისი სიგრძე S- მიმართულებით 500 სმ-ია, სიგანე O-W ღერძზე 450 სმ. საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და დანალექის გატანის შემდეგ, კედლების უმაღლესი წერტილიდან 310 სმ-ის სიღრმეში, გამოჩნდა მისი ბოლო იატაკის

დონე, რომელიც ცემენტის ხსნარის რამდენიმე ფენაა. როგორც ჩანს, უკვე გასულ საუკუნეში აინია იატაკის დონემ, როცა სარდაფის თანადროულ კირის იატაკს დაასხეს ცემენტის ახალი ფენა. ამავე დროსაა ქვებითა და ცემენტით ამოლესილი მისი 6 წრიულთალოვანი ნიშიდან ოთხი. აღნიშნული იატაკის ალების შემდეგ გაიჭრა საცდელი თხრილი, შედეგად სარდაფის სამხრეთი კედლიდან 50 სმ-ის დაშორებით აღმოჩნდა თიხის შელესილობაში ჩადგმული ქვევრის ძირი. შენარჩუნებულია მხოლოდ ფსკერი. ჭურჭელზე და მის გარშემო შეიმჩნევა ნაცრისა და ნახშირის კვალი, რაც შესაძლოა, თონის არსებობაზე მეტყველებდეს. მიგვაჩნია, რომ ის სარდაფს ეკუთვნის და მის პირვანდელ ფუნქციაზე მიუთითებს. ამავე თხრილში, დაღრმავების შედეგად, გამოვლინდა რიყის ქვებითა და თიხის ხსნარით ნაგები კედლის ნაშთი. აღნიშნული კედლის წყობა სარდაფის დასავლეთი კედლის პარალელურად და ოდნავ ირიბად მიემართება. შემორჩენილი სიგრძეა 440 სმ, სიგანე მერყეობს 50-60 სმ-ს შორის, შემორჩენილი სიმაღლე 30-40 სმ. კედლის წყობის ფენაში აღმოჩნდა ქვევრის, დერგის, ქოთნისა და ბრტყელი კრამიტის ნატეხები, ასევე განვითარებული შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები. აღმოჩენილი მასალით, ქვის წყობა განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ქვევრის, დერგისა და ქოთნის მრავალრიცხოვანი ნატეხები მიანიშნებს ნაგებობის სამეურნეო ფუნქციაზე.

ამრიგად, მიმდინარე სამუშაოების შედეგად გამოვლინდა სამი სამშენებლო ფენა, დაზუსტდა XIX ს-ის სამი სარდაფისა და სხვა პერიოდის ნაგებობათა ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება. არქიტექტურული სტილისა და გამოყენებული მასალის მიხედვით, ე.წ. ქართული აგურით ნაშენი სარდაფები XIX ს-ის პირველ ნახევარს განეკუთვნება. მათ სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. პირველი სარდაფი სათავსის ფუნქციას ასრულებდა, მეორე სარდაფში, მის იატაკის დონეზე გამოვლენილი თიხის მილისა და ქვევრის ჩასადგამის მიხედვით, სავარაუდოა, რომ აქ საწნახელი იყო გამართული. როგორც ჩანს, XIX ს-ის პირველ ნახევარში აღნიშნული ნაგებობები ნახევრად მიწურები იყო, საკუთარი სახურავით. ამაზე მეტყველებს №2 ნაგებობის ჩრდილოეთ კედელთან, მისი თალოვანი ნიშების ზემოთ გამართული რკინის გისოსებიანი სარკმლები და №2, №3 სარდაფში ჩასასვლელი საერთო კიბე, ასევე №1 სარდაფში სამხრეთიდან არსებული შესასვლელი. შენობის ქვედა სარდაფებად ისინი იქცა მოგვიანებით, XX ს-ის პირველ ნახევარში, როცა მათზე დაშენდა საცხოვრებელი სახლები. შეიცვალა მათი ფუნქცია და კონსტრუქციაც - აინია იატაკის დონე, მათი ბანური გადახურვა უკვე ზემოთ არსებული საცხოვრებელი ბინის იატაკია.

ამ დროს ისინი ფუნქციურად უკვე საყოფაცხოვრებო სათავსები, საწყობები იყო.

სამივე სარდაფში გავლებულმა შურფებმა გამოავლინა შუა საუკუნეების ფენებიც. როგორც ჩანს, №1, №2 და №3 სარდაფში გავლებულ თხრილებში აღმოჩენილი ქვის კედლები, მოჭიქული ჭრაქებისა და სამარილების მიხედვით, ერთი ეპოქის (XI-XIII სს.) სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა საფუძვლებია და მეტიც, შეიძლება ერთი კომპლექსის ნაწილებიც იყოს. სამივე ადგილას ასევე ფიქსირდება ბრტყელი კრამიტის ნატეხები, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მათ კრამიტის გადახურვა ჰქონდა.

აღნიშნულმასშტაბოვანი არქეოლოგიური გათხრებმა, კიდევ ერთხელ, თვალნათლივ აჩვენა თუ რაოდენ აუცილებელია თბილისის და განსაკუთრებით ისტორიული ძველი თბილისის უბნებში წარმოებული ყოველი მშენებლობის პროცესში არქეოლოგიური სამსახურების ჩართვა.

A short report of archaeological excavation conducted in Khodasheni street, Tbilisi in 2020


*Irakli Anchabadze
Anchabadzei@gmail.com
Merab Dzneladze
dzneladzemerabi@gmail.com*

Salvage excavations were carried out in Sololaki, historical part of Tbilisi, which revealed several cultural features and artifacts. At the first stage, the archaeological expedition cleaned three cellars (semi-dugouts) built of brick in the 19th century. They represent typical architectural features of Tbilisi, built with square plate bricks, with a semicircular, arched roof and inner arched niches. They mainly had agricultural function, serving as a warehouse, wine cellar and bakery. At the beginning of 20th century the cellars were converted to dwellings.


On the next stage several test pits were dug in each building which revealed earlier cultural layers: bases of cobblestone walls together with fragments of clay tiles which point to the existence of a tiling roof. The same layers are represented by glazed pottery: brown, blue and green-glazed salt cellars and lamps, fragments of glazed plates, bowls and dishes, fragments of glass bracelets. The stone structures and artefacts in question can confidently be dated to a period not later than the 14th century.

Archaeological excavations confirmed immense economic and cultural importance of this old part of Tbilisi. Sololaki district was located within the city wall and it was the trade and craft center of the city during the Middle Ages and in 19th century.

თბილისი, ხოდაშენის ქუჩა, 2020წ. ოქტომბერი
კულტურული ფენების საერთო გეგმა




სურ. 1




სურ. 2




თბილისი, სიღაშის ქუჩა, 2020წ. ნოემბერი
კულტურული მემკვიდრეობის გეგმა № 150
საბინაო № II და NIII



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5

ოხერახვის ნაქალაქარის 2020 წლის არქეოლოგიური ვალვის მოხლა ანგარიში

ა. ნონეშვილი, თ. ბიბილური
ლ. ხეცურიანი, დ. ხვლედიანი, ი.ბიბილური
temurbibiluri@gmail.com

ისტორიული „დიდი მცხეთისა და მისი ქვეყნის“ არქეოლოგიურ შესწავლასწლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აკად. ანდრია აფაქიძე, რომლის სახელობის ახლად შექმნილმა არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა, სწორედ ამ რეგიონის კვლევა დაისახა პირველი რიგის ამოცანად. დასახული მიზანი განხორციელდა ევროპის უნივერსიტეტის რექტორის, ბ-ნ ლაშა კანდელაკიშვილის მხარდაჭერით.

2020 წ. არქეოლოგიური კვლევა განვახორციელეთ ნაქალაქარის ორ უბანზე:

1. ხელოვნური ტბორის ფსკერზე 2019 წ. გამოვლენილ საკმაოდ მასშტაბურ გალავანზე (რომელიც თავდაპირველად ყორღანად მივიჩნიეთ, რაზმის ხელმძღვ. ლ. ხეცურიანი);

2. ნაქალაქარი გორის სამხრეთ ფერდის ძირში გალავნის ხილულ მონაკვეთზე (ხელმძღვ. თ. ბიბილური).



სურ. 1 სამოსახლო გორაკის საერთო ხედი -დან

გალავანი I T0660225; UTM 4633957; 38 T0660198; UTM 4633982; 38 T0660203; UTM 4633996; 38 T0660216; UTM 4633009.

გალავანი დავაფიქსირეთ ხელოვნური ტბორის ფსკერზე. გამოვავლინეთ ღერძზე აგებული გალავნის 192 მ. სიგრძის მონაკვეთი, რომლის ერთი მხარე ებჯინება ოხერახევის მარცხენა ნაპირს. გალავანი ნაგებია კირქვის სხვადასხვა ზომის ქვებით, რომელთაგან, ნაწილი საკმაოდ კარგადაა დამუშავებული. ქვების ზომები: 0,28; 0,45; 0,49; 0,6; 0,72 მ.

მეტ-ნაკლებად სრული სურათის მისაღებად, გალავნის მთელ სიგრძეზე, 10-10 მეტრიანი დაშორებით გავავლეთ სამი საკონტროლო თხრილი, რომელთა მეშვეობით, არა მარტო გალავნის მიმართულება დადასტურდა, არამედ ორი საინტერესო მომენტიც გამოვლინდა:

1. განსხვავებით გასულ წელს გათხრილი მონაკვეთისგან, საკონტროლო თხრილებში კედელი საკმაოდ ღრმად, 1,7 - 1,8 მ დაფიქსირდა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალი წლის კვლევა ახალ ინფორმაციას მოგვცემს კედლის კონსტრუქციისა და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ;

2. საკონტროლო თხრილების მეშვეობით დადგინდა, რომ საკვლევი თავდაცვითი კომპლექსის ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ, მის ზემოდან დიდი ხნის განმავლობაში მიედინებოდა მდინარე. ამ ფაქტს ადასტურებს, კედლის შემორჩენილი ზედაპირიდან 0,7-1,1 სიმაღლეზე კენჭნარის, ქვიშნარისა და თიხნარის შემავსებლით წარმოდგენილი მდინარეული ნარიყის გამოვლენა სამივე საკონტროლო თხრილში.



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

2019 წლის საველე კვლევისას, გალავნის შუა მონაკვეთში, მისგან აღმოსავლეთ მხარეს, გაიწმინდა ნაგებობის ნაშთი, რომლის კედლებიც, გალავნის მსგავსად, ნაშენი იყო სხვადასხვა ზომისა და დამუშავების განსხვავებული ხარისხის კირქვით. იმედი გვაქვს, რომ მომავალში, მაქსიმალურად სრულად შევისწავლით და განვსაზღვრავთ აღნიშნული ნაგებობის დანიშნულებას.



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8

2020 წელს განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვავლინეთ კედელი, რომელიც გალავნიდან დასავლეთისკენ მიემართება. ის ისევეა ნაშენი, როგორც გალავანი. გალავნიდან დასავლეთის მიმართულებით, 10-10 მეტრის დაშორებით ამოვიღეთ სამი საკონტროლო თხრილი. O – W მინაშენი მინიმუმ 30 მეტრზე გრძელდება დასავლეთისკენ.

კედელი, სამხრეთ მხარეს ხელოვნური თხრილიდან სამიოდე მეტრის დაშორებით, იყოფა ორ ნაწილად: ერთი მონაკვეთი მიმართულია S-კენ, მეორე კი უზვევს S-კენ. შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს კედლის ეს განშტოება მიემართება I გალავნისაკენ. დადასტურდება თუ არა ეს მოსაზრება, ამას გვიჩვენებს მომავალი წლის კვლევა. კედლის მთელ გაყოლებაზე დავაფიქსირეთ შურდულის ქვები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

აქ კიდევ ერთ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. აღნიშნულ მონაკვეთში მიწის სამუშაოები და გამოვლენილი ნაშთების განმენდა საკმაოდ იყო გართულებული, რამდენიმე მიზეზით:

1. რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში, გალავნის ნაშთების თავზე მთის მდინარის სხვადასხვა ინტენსივობისა და შედგენილობის ნაკადების გადაადგილების შედეგად მიღებული კირქვიან-ლორღიან-თიხნარი ფენები;
2. დაპრესილი მიწის ფენები, რომლებიც წარმოშვა ხელოვნური ტბორის შექმნისას მძიმე ტექნიკის გამოყენებამ;
3. გრუნტის დასილვის პროცესმა, რაც გამონვეული იყო ხელოვნური ტბორის სარწყავად გამოყენებით.

O1/36-III. ნაქალაქარი გორის სამხრეთ ფერდის ძირში გალავნის ხილული მონაკვეთი GPS: N 41. 51. 473; E 044. 31. 183; 556; 41. 51. 452; 044. 81. 163; 556.

აღნიშნული კედელი აგებულია ნაქალაქარი გორის სამხრეთ ფერდის ძირში, N-S ხაზზე, I გალავნის პარალელურად, მისგან 117 (+-1) დაშორებით.

კედელი, I გალავნისგან განსხვავებით, ნაგებია კლდისა და რიყის ქვის სხვადასხვა ზომის ქვებით; თუ გალავანში საერთოდ არაა გამოყენებული ქვიშაქვა, აქ პირუკუ – კირქვაა თითქმის სრულიად უგულვებელყოფილი. წყობა – მშრალი, კედლის სიგანე – 2,8-2,9 მ.

მიმდინარე წელს გამოვავლინეთ 90 მეტრის სიგრძის მონაკვეთი, თუმცა, კარგად ჩანს, რომ კედელი გრძელდება ჩრდილოეთის მიმართულებით.



სურ. 9

საკვლევ კედელი, O მხარეს ებჯინება საკმაოდ განიერ და ერთ დროს ღრმა ხელოვნურ (?) თხრილს, რომელიც ამოულიათ W-O ხაზზე. თხრილის ხილული სიგრძე 300 მეტრს აჭარბებს და ის გორაკს ზღუდავს S-დან და ნანილობრივ, SSW-დან. მარცხენა ნაპირზე, რამდენიმე ადგილას დავაფიქსირეთ რიყისა და კლდის ქვებით, მშრალი წყობით ნაგები კედლის ნაშთები. სრული შთაბეჭდილებაა, რომ ჩვენ მიერ გათხრილი კედელი და ხევის პირზე დაფიქსირებული ნაშთები, ერთიანი სისტემის ნაწილებია.



სურ. 10



სურ. 11

2019 და განსაკუთრებით, 2020 წლების საველე კვლევამ, სრულად დაადასტურა ორმოცი წლის წინ გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული არქეოლოგიური ობიექტი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაქალაქარია, რომელიც ფუნქციონირებდა ადრეელინისტური ხანიდან, შესაძლოა, არაბობამდე (ირემაშვილი შ., ნიკოლაიშვილი ვ., ნონეშვილი ა., ბიბილური თ.).

კვლევის საწყის ეტაპზევე გამოვლინდა რამდენიმე, მეტად საინტერესო და არაერთ უცნობიანი ობიექტი, რომელთა შექმნის, ქრონოლოგიური ჩარჩოებისა და რაობის შესახებ, ჯერ კიდევ ბევრი არაფერი ვიცით. ეს მომავალი კვლევების საქმეა. თუმცა, იმთავითვე უნდა ითქვას, რომ დაფიქსირებული სამი გალავნის მასშტაბებიდან გამომდინარე, საქმე გვაქვს აქამდე უცნობ და, რაც ყველაზე საგულისხმოა, ქართლის სამეფოს ადრეული ეტაპის საკმაოდ მნიშვნელოვან ურბანულ ცენტრთან.

საკვლევი დასახლებული პუნქტი გაუშენებიათ ადგილზე, რომელსაც ურბანული ცენტრის ფუნქციონერებისთვის საჭირო ყველა პირობა ჰქონდა:

1. ნაყოფიერი მიწები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განსავითარებლად. დასტურად გამოდგება ჩვენს დროში, მრავალწლოვანი ხეხილის ბაღებისა და სხვადასხვა სახის მარცვლოვანი თუ ბოსტნეული კულტურებისთვის მიწის ათვისება;

2. მეცხოველეობისთვის აუცილებელი სავარგულები;

3. სასმელი და სარწყავი წყლის არსებობა;

4. მდებარეობა.

საკვლევი დასახლებული პუნქტი გაუშენებიათ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი გზების უშუალო სიახლოვეს. ამ გზებს, არა მარტო შიდა მიმოსვლის, საშინაო და საგარეო ვაჭრობის, არამედ სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. საკვლევი მიკრორაიონი ნიჩბისის, ძეგვის, ციხედიდის, კავთურას ხეობების მეშვეობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული შიდა ქართლის სხვა რაიონებთან, აგრეთვე, თორსა და სამცხე-ჯავახეთთან.

საკვლევი ნაქალაქარი მდებარეობს ანტიკური დროის ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრების გარემოცვაში, როგორებიცაა სამადლო-ნასტაგისი, ხოვლე და ციხიაგორა და, რა თქმა უნდა, ისტორიული დიდი მცხეთა.

ნაქალაქარი, სხვადასხვა ხარისხისა და სიძლიერის დაზიანებების მიუხედავად, სისტემური და გამართული კვლევის პირობებში, მოგვცემს ბევრ საინტერესო მასალას, რომლებიც დაკავშირებულია ქართლის სამეფოს საწყის პერიოდთან, რაც ძალიან მინიშვნელოვანია იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ ამ დასახლებული პუნქტის შესახებ წერილობით წყაროებში არაფერია გადმოცემული (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ჯერ ვერ მივაკვლიეთ).

A short report on archaeological survey at Okherakhevi, 2020

A. Noneshvili, T. Bibiluri

L. Khetsuriani, D. Akhvlediani, I. Bibiluri

temurbibiluri@gmail.com

In 2020 archaeological survey was conducted in two areas of the settlement: 1. on the bottom of an artificial pond where a large wall was identified in 2019; 2. on the visible section of the wall on the southern slope of the settlement hill. The wall was fixed at the bottom of the artificial pond. A 192- metre-long section of the wall built on the N-E line was identified. On one side it is bordered by the left part of Okherakhevi. The wall is built of limestone of various sizes, some of which are quite well processed. To get a more or less complete picture three 10-meter-long test trenches were cut along the entire length of the wall. Catapult stones and pottery were exposed along the entire length of the wall. The section of the wall that was revealed this year extends towards the north. The fieldwork carried out in 2020 fully confirms the view expressed forty years ago, according to which this archeological site is a very important settlement which functioned from the early Hellenistic period until the Arab conquest.

ოხრახევის სამაროვნის 2020 წლის არქეოლოგიური გათხრების მოხალე ანგარიში


ა. ნონეშვილი, თ. ბიბილური
დ. ახვლედიანი, ი. ბიბილური
ლ. ხეცურიანი, კ. ფაჩოშვილი
temurbibiluri@gmail.com

ადრეაღმოსავლური დროის სამაროვანი

2020 წელს ევროპის უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, გაგრძელდა ოხრახევის ნაქალაქარის ადრეელინისტური სამაროვნის კვლევა.

2020 წელს (იხ. გეგმა) შესწავლილია 9 სამარხი (№7-13, 15, 16). სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ჭურჭლის ცალკეული ნიმუშები, რომლებიც ან დანგრეული სამარხების ინვენტარის ნაწილი იყო (სამაროვანი ფერდობზეა განლაგებული და მინის ხშირი დაცურება დასაშვებია), ან ალაპისთვის განკუთვნილი ჭურჭელი.

სამარხი №7 - (ნაკვ. II - 13-14, 16-17. იხ. გენ. გეგმა) - წყვილად სამარხში, მიცვალებულები ჩაუსვენებიათ ემბრიონის მდგომარეობაში, სახით ერთმანეთისკენ. დამხრობა O-W. მარჯვენა გვერდზე დაკრძალული მიცვალებულის სახის წინ დაფიქსირდა რკინის რგოლი, ყელთან მძივები (სურ. 3-5). ბარდაყის ქვეშ, კერამიკის ფრაგმენტები. მეორე მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე. მიცვალებულების ფეხებთან აღმოჩნდა დოქი (01:36-20/1), ომფალოსიანი თასი (01:36-20/2) და ჯამი (01:36-20/3). ორივე ჩონჩხს ზემოდან ქვები ედო. ჩონჩხების ალების შემდეგ, მათ ქვეშ, გამოვლინდა შავი შეფერილობის ნიადაგი (შესაძლებელია სუდარას ნაშთი).



სურ. 1
იყო მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი, თავით აღმოსავლეთისკენ.

სამარხი №9 - ნაკვ. II - 13-14, II - 16-17. თანამედროვე ზედაპირიდან 0,50 სმ სიღრმეზეა. მიცვალებული დაკრძალული

მის ხერხემალთან აღმოჩნდა დოქი (01:36-20/5), რომელიც ზემოდან ედო თასს (01:36-20/6). მათ გვერდზე დაფიქსირდა კოჭობი (01:36-20/7). ჭურჭლების აღმოსავლეთით დადასტურდა ძელების ნაშთი.



სურ. 2



სურ. 3

სამარხი №12 – ნაკვ. I – 17-18, I – 20-21, ნაკვ. I – 18 – II – 16, I – 21 – II – 19-ის კვეთაზე. სამარხის დონე თანამედროვე ზედაპირიდან 0,75 მეტრზეა. გამოვლინდა ორი მიცვალებულის ჩონჩხი. პირველი მიცვალებულის თავი, რომელიც მარჯვენა გვერდზეა დასვენებული, მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. თავის ქალაზე ედო ჯამი, ფეხებთან დოქი. მეორე ჩონჩხისგან შემორჩენილია მენჯის ძვლები, ხერხემლის ნაწილი და ფეხები. მეორე ჩონჩხი, სავარაუდოდ, პირველმა დააზიანა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ორ სამარხთან, ვინაიდან, მეორე მიცვალებული უფრო დაბალ დონეზეა დაკრძალული. ამ სამარხის შემთხვევაში შესაძლებელი გახდა მისი ზომების დადგენა. ზედა სამარხის სიგრძე – 1-1,10 მ-ია, სიგანე – 0,70-0,80 მ, მეორე (ქვედა) სამარხის შემორჩენილი ნაწილის სიგანე – 0,50-0,60 მ.



სურ. 4

სამარხი № 15 – ნაკვ. I-11-12, I-14-15. თანამედროვე ზედაპირიდან 0,50 მეტრის სიღრმეზე. მიცვალებულის ჩონჩხი არეული. სამარხში აღმოჩნდა დოქი – წითელი საღებავით მოხატული (01:36-20/11), დოქი – განიერი ყელით (01:36-20/13) და ჯამი – ტუჩით (01:36-20/14), რომელიც სამარხში პირით იყო დამხობილი.

ამრიგად, ნაქალაქარის სამაროვანმა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად დაზიანებულია, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორების შედეგად, უკვე მოგვცა საკმაოდ საინტერესო მასალა, რაც იძლევა გარკვეული პარალელების გავლების საშუალებას ისტორიული დიდი მცხეთისა და, საზოგადოდ, ქართლის სამეფოს თანადროულ ძეგლებთან (კამარახევი, მუხათგვერდი, ნატახტარი, სამადლო, ხოვლე, კავთისხევი, უფლისციხე, ნერონ დერესი და ა. შ.).



სურ. 5

ჯერჯერობით, სავარაუდოა, რომ სამაროვანი ფუნქციონირებდა დროის შედარებით მოკლე პერიოდში – ქ.წ. IV-III სს. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მიუთითებს, იმ არქეოლოგიური კვლევის შედეგები, რომლებიც სამაროვანზე განხორციელდა XX ს-ის 80-იან და 2019-2020 წლებში.

ქ.წ. III-II საუკუნეების მიჯნაზე სამაროვნის ფუნქციონირების შეწყვეტა, შესაძლოა უკავშირდებოდეს დროის აღნიშნულ მონაკვეთში სამხრეთ კავკასიაში საზოგადოდ, კონკრეტულად კი, ქართლის სამეფოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებს [Sdr. ივ. Гагошидзе Ю. Самадло. Тбилиси. «Мецნიერება». 1980].

ჯერჯერობით, სავარაუდოა, რომ სამაროვანი ფუნქციონირებდა დროის შედარებით მოკლე პერიოდში – ქ.წ. IV-III სს. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მიუთითებს იმ არქეოლოგიური კვლევის შედეგები, რომლებიც სამაროვანზე განხორციელდა XX ს-ის 80-იან და 2019-2020 წლებში.



სურ. 6

A short report on archeological excavations conducted at Okherakhevi Cemetery in 2020

*A. Noneshvili, T. Bibiluri,
D. Akhvlediani, I. Bibiluri,
L. Khetsuriani, K. Phachoshvili
temurbibiluri@gmail.com*

Archaeological excavations of the Early Hellenistic cemetery of Okherakhevi resumed in 2020 with the financial support of the European University. In 2020, nine graves were excavated. The area of the cemetery yielded different samples of pottery which were either part of the inventory of the ruined tombs (the cemetery is located on a slope and frequent protection of the land is highly permissible), or the pottery intended for funeral repast. It is probable that the cemetery functioned for a relatively short period of time – 4th -3rd centuries BC. In any case, this is indicated by the results of archaeological excavations carried out on the cemetery in the 1980s and 2019-2020. The cemetery of the settlement, although somewhat damaged by natural and human factors, has already provided us with quite interesting material, which allows us to draw some parallels with the archeological sites of historical Mtskheta and the Kingdom of Kartli in general.

სოფალ საბუის სამონასტრო ჯოგლაქის ბარიბორიაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

ბორის გელაშვილი
gelashviliboris@gmail.com


ინწობის იოანე ნათლისმცემლის სახელობის კომპლექსი მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუის ჩრდილოეთით, მდ. ინწობის მარჯვენა ნაპირზე, ყადორის უღელტეხილის გზაზე (გზა უშუალოდ კვეთს კომპლექსს). კომპლექსი შედგება ნათლისმცემლის სახელობის სამეკლესიანი ბაზილიკის, მასზე მიშენებული კოშკის გალავნის, გალავანში ჩართული კარიბჭე-კოშკის, მრგვალი კოშკისა და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებისგან.

2020 წელს ააიპ „არქეოლოგიის განვითარების ფონდმა“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, კომპლექსის ტერიტორიაზე განახორციელა არქეოლოგიური სამუშაოები, რომლის მთავარი მიზანი იყო:

1. ნათლისმცემლის სამეკლესიანი ბაზილიკის სამხრეთ ნაგვის განმენდა.
2. სამხრეთ ნაგზე მიშენებული კოშკის ინტერიერისა და ექსტერიერის განმენდა.
3. ტაძრის დასავლეთ კედლის ექსტერიერის განმენდა.
4. შემოსავლელი კოშკის აღმოსავლეთ და დასავლეთ მიმართულებით გალავნის გამოვლენა.

2020 წლის სეზონზე, განმენდითი სამუშაოები არქეოლოგის ზედამხედველობით დაიწყო სამხრეთ ნავიდან, სამხრეთ ნავის აღმოსავლეთ კედელთან მოიხსნა მიწის ფენა, რის შედეგადაც გამოვლინდა, სავარაუდოდ, საძვალე, რომელიც სამხრეთ ნავის აღმოსავლეთ კედლიდან დასავლეთის მიმართულებით 0,50 მეტრით არის შორებული. საძვალის დასავლეთ კონტურს ზემოდან შემოუყვება სამფენად ნაშენი აგურის წყობა, რომელიც, სავარაუდოდ, გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება.

სამხრეთ ნაგზე, გვიანდელ პერიოდში მიშენებული კოშკის განმენდისას, მოიხსნა 1მ ნანგრევ-ნაშალი ფენა. კოშკის ინტერიერის განმენდითი სამუშაოების დროს, კოშკის ოთხივე კუთხეში დაფიქსირდა კონსტრუქციული ელემენტი (ბალიშები), გამოყენებულია ფიქალი ქვა და მასზე დაშენებულია აგურის წყობა კედლის სიმყარისთვის.



სურათი.1 სამხრეთ ნაწილი, საძვალე




სურათი. 2 სამხრეთ ნაწილში მიშენებული კოშკის გასამაგრებელი კონსტრუქციული ელემენტი

კოშკის სამხრეთ და დასავლეთ კედელთან, ექსტერიერში, კედლის მთელ სიგრძეზე გაიჭრა 2 თხრილი. სამხრეთ მხარეს გაჭრილ თხრილში დაფიქსირდა კოშკის კარის ღიობის წინ მიშენებული სამსაფეხურიანი კიბე, საფეხურები აგებულია ფიქალი ქვისგან და გამაგრებულია დულაბით. კოშკის დასავლეთ კედელთან გამოვლინდა სათავსის კედელი, რომელიც მიშენებულია კოშკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეზე, თხრილის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა სამარხის (ქვაყუთის) კონტური.



სურ. 3 სამსაფეხურიანი კიბე



სურ. 4 კოშკზე მიშენებული სათავსოს კედელი და სამარხი

შესასვლელი კოშკის განმედიტი სამუშაოების დროს, დასავლეთ კედელთან გამოვლინდა სათავსი, რომელიც მიშენებულია შესასვლელი კოშკის დასავლეთ კედელზე. სათავსის დასავლეთი კედელი დაშენებულია გალავანზე, როგორც ჩანს, გალავნის დანგრევის შემდგომ, სათავსი აგებულია ფიქალის ქვით დულაბზე. გაინმინდა და დაფიქსირდა გალავანი, რომელიც მიშენებულია შესასვლელი კოშკის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედელზე, დასავლეთი გალავანი გამართულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე (სიგრძე 17 მ), ნაგებია ფიქალი ქვისგან დულაბზე (სიგანე 1-1,10). აღმოსავლეთის გალავანი, რომელიც ძალზე დაზიანებულია, საავტომობილო გზის მშენებლობისას გაინმინდა 14,5 მ სიგრძეზე, გალავანი გრძელდება აღმოსავლეთ მიმართულებით, გალავნის მშენებლობისას ჩართულია გასამაგრებელი წრიული ფორმის დეტალები.


მოპოვებული არქეოლოგიური ინვენტარი ჩაბარდა გრემის მუზეუმ-ნაკრძალს და დაბინავდა სათავსებში.



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7 აღმოსავლეთ-დასავლეთი გალავანი

A short report of archaeological works conducted at the monastery complex in Village Sabue in 2020

Boris Gelashvili

gelashviliboris@gmail.com

The Intsobi monastery complex, named after John the Baptist, is situated on the right bank of the River Intsoba, north of Village Sabue in Kvareli District, near the road of Kadori Pass (the road crosses the complex). This complex consists of a three-church basilica named after John the Baptist and an adjoining tower; a defensive wall with a gate-tower built in; a round tower and the ruins of agricultural facilities.

In 2020, the NNLE Archaeology Development Fund carried out archeological works on the territory of the complex with financial support of the Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation. The main purpose was to clean the southern nave of the basilica, the interior and exterior of the tower built on the southern nave, to clean the exterior of the west wall of the church, to expose the fortification on the east and west of the entrance tower.

სურამის ციხეა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

ბორის გელაშვილი
gelashviliboris@gmail.com

სურამის ციხე მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, მდინარე სურამულას მარცხენა სანაპიროზე, კლდოვან გორაკზე. ის ორი მთავარი გზის შესაყარზეა. ერთი გზა მიემართება ლიხის გადასასვლელით დასავლეთისკენ, მეორე კი, ბორჯომის ხეობით სამხრეთისკენ.


2020 წელს ააიპ „არქეოლოგიის განვითარების ფონდმა“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, ციხის ტერიტორიაზე განახორციელა არქეოლოგიური სამუშაოები, რომლის მთავარი მიზანი იყო:

1. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ნანგრევ-ნაშალი ფენის მოხსნა;
2. №1 სათავსის შესწავლა;
3. ცენტრალური შემოსასვლელის შესწავლა;
4. ციხის ჩრდილოეთით მდებარე კოშკის შესწავლა.

2020 წლის სამუშაოები დაიწყო ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ჰუმუსის და ნანგრევ-ნაშალი ფენის მოხსნის შემდგომ დაფიქსირდა №6 სათავსი, რომელსაც სამხრეთი კედელი დაზიანებული აქვს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლები ნაგებია კარგად გათლილი და დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებით, სათავსის დასავლეთი კედლის ექსტერიერს მიბჯენილია, სავარაუდოდ, გვიანდელი პერიოდის მძლავრი კედელი, რომელიც ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერძზეა გამართული. კედელი ნაგებია ქვიშაქვით, ხოლო პერანგის ქვები – კარგად გათლილი კვადრებით. №6 სათავსის სამხრეთით გამოვლინდა მცირე ზომის №7 სათავსი, რომელიც, სავარაუდოდ, საიდუმლო გასასვლელი უნდა იყოს, რადგან, სამხრეთით არსებულ ბუნებრივ ქანში ამოკვეთილი ღარი გასასვლელისთვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არგუმენტს ამყარებს ის ფაქტიც, რომ ღარის ქვემოთ, ციხის ძირში დაფიქსირებულია საიდუმლო გასასვლელი გვირაბი.

№1 სათავსის სამხრეთ-დასავლეთ კედელი 2, 3, 4 სათავსების მსგავსად, დაშენებულია გალავანზე. მე-5 ოთახის განმედა 2019 წელს დაიწყო. მე-5 ოთახი დანარჩენი ოთახებისგან განსხვავებულია ზომითა და დანიშნულებით. ოთახში დაღრმავება საფეხურის პრინციპით

განხორციელდა, რადგან ჩრდილო-დასავლეთი გალავნის ქვემოთ შედის ოთახის სამხრეთი კედელი, რის გამოც შესაძლოა, ჩამოინგრეს გალავანი. დღეის მდგომარეობით დაღრმავებულია 2,40 მ სიღრმეზე. განმენდისას დაფიქსირდა შესასვლელი კარი, რომელიც გაჭრილია სამხრეთიდან. №4 სათავსიდან დამუშავებული ქვებისგან გაკეთებული სამსაფეხურიანი კიბით შესაძლებელია ჩასვლა. მესამე საფეხურის შემდგომ, ოთახში ჩასვლა შესაძლებელი იქნებოდა ხის კიბით, რადგან მესამე საფეხურსა და ამ ეტაპისთვის დაღრმავებას შორის მანძილი 1,30 მეტრია.



სათავსი, სათავსის დასავლეთით გამოვლენილი კედელი, 3,47 სათავსი

№5 ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერძზე თლილი ქვებით გამართულია თალი, სამხრეთ მხარეს შემორჩენილია თალის ორი ქვა, ხოლო ჩრდილოეთ მხარეს – ერთი ქვა. თალის აღმოსავლეთით, მძლავრი კედელია გამართული, რომელიც თალს ებჯინება, სამომავლოდ ოთახი უნდა დადაბლდეს, რადგან, ჩვენი ვარაუდით, სწორედ მის ქვემოთ გადის №2 გვირაბი.

ცენტრალური შემოსასვლელიდან აღმოსავლეთით, 5 მეტრში გამოვლინდა ოთახი, რომელსაც პირობითად საგუშაგო ვუწოდეთ. ოთახს შესასვლელი დასავლეთის მხრიდან აქვს, ინტერიერში, ჩრდილოეთ კუთხეში გამოვლინდა ბუნებრივ ქანში ამოკვეთილი ცეცხლის დასანთები კერა. კერის


აღმოსავლეთით ბუნებრივ ქანში ამოჭრილია მოსასვენებელი ადგილი. მის ჩრდილოეთ მხარეს, იატაკიდან 0,5 მ სიმაღლეზე ამოკვეთილია მცირე ზომის ნიშა, მოსასვენებლის სამხრეთით დაფიქსირდა მცირე ზომის წყალშემკრები რეზერვუარი (დიამეტრი – 0,42 მ, სიმაღლე – 0,30 მ), რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან ღარი აქვს გაჭრილი შესასვლელად, რეზერვუარიდან სამხრეთით, 0,30 მ სიმაღლეზე დაფიქსირდა ბუნებრივ ქანში ამოკვეთილი დასაჯდომი, რომლის ქვემოთაც აღმოჩნდა დამბახის ორი ლულა.




#1 სათავსი, # 2-3.5 სათავსი

შიდა ციხის დასავლეთ გალავანთან, აღმოსავლეთით 3,80 მეტრში, გაიწმინდა 2019 წელს გამოვლენილი კედელი, რომელიც გამართულია ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერძზე. კედელი მიდგმულია კოშკის სამხრეთ კედელზე, ჩვენი აზრით, აღნიშნული კედელი ტერასას ქმნიდა. კედლის დასავლეთით გამოვლინდა ერთი დიდი და სამი მომცრო ქვევრი, რომლებიც შუაზეა გადაჭრილი და წყლის რეზერვუარად გამოუყენებიათ. კოშკიდან სამხრეთით დაფიქსირდა სათავსი, რომელსაც სამხრეთის მხრიდან ჰქონდა შემოსასვლელი კარი. სამხრეთის კედელი ღიობიდან სამხრეთით გრძელდება, ინტერიერში უერთდება და კუთხეს კრავს დასავლეთის კედელთან, ჩრდილოეთით გრძელდება და ტერასის კედლის ქვეშ შედის, აღმოსავლეთით

კედელი დაფიქსირებული არ არის, რადგან, ახლანდელი გალავანი, როგორც ჩანს, მოგვიანო პერიოდში შიგნით შემოუწვიათ, ხოლო სათავსის კედელი გარეთ დარჩენილა. სათავსი ნაგებია კარგად დამუშავებული გათლილი ქვით, ინტერიერში 0,20 მ სისქის მძლავრი ნახშიროვანი კულტურული ფენაა, სადაც დაფიქსირდა ადრეული ეტაპისთვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმი. 2020 წელს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა დაბინავდა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.



სურათი 3. საგუმბაგო



სურათი 4. ზედა ციხე

*A short report of archaeological excavations
conducted at Surami Fortress located in Khashuri
Municipality in 2020*

*Boris Gelashvili
gelashviliboris@gmail.com*

Surami Fortress is located on a rocky hill on the left bank of the Suramula River in Surami, Khashuri Municipality. It is located at the crossroads of two main roads: one goes west through the Likhi passes, the other goes south through the Borjomi Gorge.

In 2020, the NNLE 'Archeology Development Fund' carried out archeological works on the territory of the complex with financial support of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia. The main goal of work was to remove the humus and rubble layer on the southeast of the castle, study the south-east area of the fortress around the palace (preparation), do archaeological survey of the storehouse near the southern fortification of the inner perimeter of the prison (preparation), clean the ruined layer of the north-west corner of the cellar, study the central entrance on the south-west (preparation) , clean the perimeter of the tower on the north of the castle.

2020 წლის ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის მოკლე ანგარიში

ნინო პატარიძე
pataridze.ni@gmail.com
დავით დარეჯანაშვილი
d.darejanashvili@gmail.com
მათე ახალაია
mate.akhalaia.2@iliauni.edu.ge

ფარავნის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2020 წლის სეზონზე განაახლა სამუშაოები იმ ძეგლებზე, რომელთა შესწავლაც 2019 წელს დაიწყო. სამუშაოები სრულად დაფინანსდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ. სეზონის დასასრულს, ძეგლებზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა გადაეცა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი (მთავარი) უბანი ყორღნული სამარხია, რომელიც მდებარეობს ფარავნის ტბის სამხრეთ-დასავლეთით შეფენილ ბუნებრივ გორაკებზე, შაორის ნამოსახლარის მთისკენ მიმავალ გზაზე. ზღვის დონიდან (2167.03 მ, უმაღლესი წერტილი) სიმაღლეზე (S: E398749.72 N4592377.16, ტექსტში წარმოდგენილი ყველა GPS კოორდინატი მოცემულია UTM სისტემაში). აქ ყორღნული სამარხის არქეოლოგიური გათხრები 2019 წლის საველე სეზონზე დაიწყო და 2020 წლის მიმდინარე სეზონზე დასრულდა. ყორღანი 27.5 მ დიამეტრის ქვყარილიანი სამარხია, რომელსაც აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით უერთდება 19 მ სიგრძისა და 4 მ სიგანის სარიტუალო გზა. ეს გზა, როგორც 2020 წლის გათხრებმა გამოავლინა, გრძელდება მხოლოდ მის პირველ წრემდე, რომელიც ყორღნის აღმოსავლეთ ნახევარსფეროში შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ის შედგენილია დიდი ვულკანური ქვების მასისგან და ქვყარილზე დალაგებულია ერთ რიგად. რიგი მთელ ყორღანს შემოუყვება 25 მეტრის დიამეტრზე. როგორც აღვნიშნეთ, ამ ქვის წრეს უერთდება სარიტუალო გზა, ხოლო ყორღნის დასაკრძალავი კამერა წრიდან 12 მეტრზე მდებარეობს (სურ. 2).

2020 წლის სეზონზე, ყორღნის შესწავლისას გამოვყავით 25 კონტექსტი. მინიჭებული კონტექსტებიდან რამდენიმე გაერთიანდა მაშინ, როდესაც მათი იგივეობა დადგინდა. ამათგან, პირველი 5 ნომერი 2019 წელს მიენიჭა, ხოლო დანარჩენი 20 კი, 2020 წლის სეზონზე.

ყორღნის დასაკრძალავი კამერის გათხრამდე, მისი კონსტრუქციის დასადგენად გაკეთდა ორი ჭრილი. ჭრილი 1 გაკეთდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. ის 20X6 მ ზომისაა და სარიტუალო გზის ყორღანთან მიმართების საკითხი უნდა გაერკვია. მეორე ჭრილის მიზანი იყო ყორღნის კონსტრუქციის დეტალების გაგება და მისი სტრუქტურის გამოჩენა. ამიტომ ჭრილი 2 გაკეთდა ყორღნის ცენტრალურ ნაწილთან, მის დასაკრძალავ კამერამდე.

ყორღნის დასაკრძალავი კამერის საზღვრების უკეთ დასადგენად და მის ირგვლივ შესაძლო კონსტრუქციების გამოვლენის მიზნით, ცენტრალურ ნაწილში გაკეთდა 7X6 მ თხრილი.

გათხრების შედეგად გამოვლინდა საინტერესო მასალა, არტეფაქტების უმრავლესობა ყორღანზე, თავად დასაკრძალავ კამერაში მოვიპოვეთ. სულ გამოვლენილია 8 იდენტიფიცირებული, თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელთაგანაც 1 თითქმის ბოლომდე აღვადგინეთ, მეორე ჭურჭლის კი მხოლოდ ერთი გვერდი – პირიდან ძირის ჩათვლით. ყველა მათგანი ჩამსხვრეული იყო, ხოლო ნატეხები – მიმოფანტული დასაკრძალავ კამერაში 60 სმ-ის ვერტიკალში.

მთელ ქვაყრილზე მიმოხეული იყო ობსიდიანის ანატაკეცები. ისინი ინტენსიურად გვხვდებოდა თავად დასაკრძალავი კამერის ტერიტორიაზეც. ობსიდიანის მასალიდან საინტერესოა 6 ისრისპირი. ორი მათგანი აღმოჩნდა დასაკრძალავი კამერის გარშემო არსებულ ქვაყრილში, დანარჩენი 4 კი – თავად კამერაში. ამ აღმოჩენებმა გვაფიქრებინა, რომ კამერა სახურავის ჩანგრევამდეა გაძარცვული მისი საპარადე/შემოსასვლელის მხრიდან. კამერაში, იატაკთან ვიპოვეთ ორი ცალი მძივი.

მცირე მასალისა და ძეგლის ტიპოლოგიის მიხედვით, სამარხი შეიძლება ქ.ნ. XVI-XV საუკუნით დათარიღდეს.

ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2020 წელს შესწავლილი მე-2 არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს ნინოწმინდის რაიონ სოფელ ახალ ხულგუმოში, ადგილობრივი მოსახლეების – ზამირა და კარპეტ მანუკიანების საკარმიდამო მიწის ნაკვეთში (GPS E 399978.099 N 4592930.496 Elev. 2090 მ.). აღნიშნულ ტერიტორიაზე 2019 წელს, მცირემასშტაბიანი, გადარჩენითი ხასიათის საკონტროლო თხრილი გაიჭრა (fae 02 თხრილი 01 (იხ. 2019 წლის ტექნიკური ანგარიში).

01 თხრილის მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს, არქეოლოგიური ობიექტის რაობისა და გავრცელების საზღვრის ცხადად წარმოსაჩენად, აღნიშნულ უბანზე საკვლევი ტერიტორიის გაფართოება აუცილებლად მივიჩნით. ამ მიზნით, საანგარიშო წელს სამი თხრილი

გავავლეთ, რომლებმაც ჯამში 105 კვ/მ მოიცვა:

თხრილი № 2 – მდებარეობს E11, F11,12, G10, 11 კვადრატებში. დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ - სამხრეთ დასავლეთ ღერძზე. სიგრძე – 10 მ, სიგანე – 3 მ.

თხრილი № 3 – მდებარეობს F12, 13, G12, 13, 11, 12 კვადრატებში. №2 თხრილიდან 1 მეტრის დაშორებით. დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ - სამხრეთ-დასავლეთ ღერძზე. სიგრძე – 13 , სიგანე – 3 მ.


თხრილი № 4 – მდებარეობს F14, G13, 14, H12, 13, 14 კვადრატებში. 3 თხრილიდან 1.5 მეტრის დაშორებით. სიგრძე – 9 მ, სიგანე – 3 მ.

2020 წლის საველე სეზონზე, fae 02-ზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები ფრაგმენტულია. მონაპოვარი ძირითადად კერამიკული არტეფაქტების სახითაა წარმოდგენილი. მათი უმრავლესობა სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელია. გვხვდება სამეურნეო, სუფრისა და განსაკუთრებული დანიშნულების ნივთებიც. კერამიკული ნაწარმი ორ – მოჭიქულდამოუჭიქავჯგუფადგაიყო. სახიერი მასალების გათვალისწინებით მოპოვებული არტეფაქტები XII-XV საუკუნეებს მიეკუთვნება, ერთეულ შემთხვევებში კი VII-VIII საუკუნის ნიმუშებიც დასტურდება.

უბანი 03 ნამოსახლარის ტერიტორიაა, რომელიც 2420-2025 მ სიმაღლეზე მდებარეობს (Co:E394610.98/N4592531.49). ის 2018 წლის დაზვერვების შედეგადაა მიგნებული. 2019 წელს ამ ძეგლზე გაკეთდა სადაზვერვო შურფი, რომელმაც მცირე, ძალიან ფრაგმენტული, მაგრამ საინტერესო მასალა გამოავლინა. სწორედ ამიტომ გადაწყდა აქ სამუშაოების გაგრძელება. ამ ტერიტორიაზე კარგად იკითხება დასახლების გეგმარება. ასევე კარგად ჩანს ნამოსახლარის ტოპოგრაფი აეროგადაღებების შედეგად მიღებულ რეფერენსირებულ ფოტოებზე.

ნამოსახლარზე, 2020 წლის სეზონზე გაკეთდა 1 თხრილი (5X5 მ, სულ 25 კვ/მ) მიმდინარე გათხრების შედეგად აღმოჩნდა რკინის ერთი ნივთი, ზედაპირული დაკვირვებით, ეს უნდა იყოს ლურსმნის ფრაგმენტი. მიწის საფარის მოცილებისას ამოდიოდა ხის ფრაგმენტებიც, როგორც ჩანს, ხე მრავლად იყო გამოყენებული მშენებლობაში. კერამიკული მასალიდან გამოირჩევა ნატეხების ჯგუფი, მათი შენებების შემდეგ, შიგნით ჩაღრმავებული ფიალის მთელი გვერდი აენყო. ასევე ძალზე საინტერესოა ნითლად მოხატული კერამიკის ფრაგმენტი.

ჩვენ მიერ შესწავლილი ან ძეგლები, რომლებიც ახლა შეისწავლება, მნიშვნელოვანია ჯავახეთის ზეგანზე არსებული შუა საუკუნეების სოფლებისა და ბრინჯაოს ხანის ნასახლარების კვლევისთვის. ისინი კვლავ აქტუალურია და მათი შესწავლა ბევრ ბუნდოვან საკითხს მოჰყენს ნათელს.




სურ. 1

სტრატობრაზული ჰრილი 2020წ.

შპს 01. შობრანო N2
ჰრილი N-S, სპრ001 რასკმუ:10000

მ:150



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

A Short Report on archaeological excavations carried out in Paravani in 2020

Nino Pataridze

pataridze.ni@gmail.com

Davit Darejanashvili

d.darejanashvili@gmail.com

Mate Akhalaia

mate.akhalaia.2@iliauni.edu.ge

The Paravani Archaeological Project (FAE) was implemented by the financial support of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia. Paravani Lake is located at an altitude of 2100 m in south-west Georgia, in the gorge of the Lesser Caucasus Mountain Range. Excavations continued there in 2020 as well. During the season excavations took place across all three areas, FAE 01 noted as Kurgan N2¹ on the list, plot 02 was expanded and three different size trenches were dug during the current season. A trench measuring 5 x 5 m was dug on plot 03 one 5x5 m.

The excavations ended with interesting results. Research of the area will continue in the future.

¹ Kurgan N1 was excavated by the Paravani Archaeological Expedition during the campaigns of 2003-2006 (see the publication).

„უთმირის“ გორის ნაახალსიარზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური საუბრაობის მოხლა ანგარიში

როლანდ ისაკაძე
roland-isakadze@mail.ru
შალვა ბუაძე
თეონა ბუბუტიეშვილი

ქუთაის-გაენათის ეპარქიის დაკვეთით, 2020 წელს, არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათში, მდინარე წყალწითელას მარჯვენა სანაპიროზე, ქუთაისი-ტყიბულის რკინიგზის სადგურის ჩრდილოეთით მომიჯნავე „უთმირის“ გორაზე (GPGPS: X N42.30482; Y 42.74645; H-825 მ) არსებულ ნაეკლესიარზე.

გათხრების დაწყებამდე საკვლევი ტერიტორია დაფარული იყო ნანგრევებითა და მცენარეული საფარით, ირგვლივ მიმობნეული ჩანდა კირდულაბიანი კედლების ფრაგმენტები და საფასადე ქვები (სურ. 1).

სამხრეთის კედლიდან სამიოდე მეტრის დაშორებით მიმოფანტულ ნანგრევებში დაფიქსირდა ცხოველის (ცხვრის?) გამოსახულებიანი, ძლიერ დაზიანებული ქვისდეტალი (სურ. 2_ა). მსგავსი გამოსახულებები ჩვეულებრივ სახურავის კარნიზის ქვეშ, ფასადების შემკობისთვის გამოიყენება და მიკრორეგიონში დადასტურებულია სოფ. კურსებში „ზენობნის“ X-XI სს-ის ეკლესიაზე, ასევე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ საზანოში არსებული „ცივსაყდარას“ ეკლესიის ეზოში.

ინტერიერისა და ფასადების განმენდის შემდეგ გამოიკვეთა მართკუთხა გეგმარების დარბაზული ეკლესია (7,5X5,2 მ), შიგნით ჩანერილი სწორხაზოვანი, კუთხეებმომრგვალებული აფსიდიით (იხ. გეგმა და სურ. 3-4).

ფასადები ნაგებია კარგად დამუშავებული, საშუალო ზომის ქვის ფილებით, ინტერიერში კი წყობა მოუნესრიგებელია. ფასადზე, მთელ პერიმეტრზე, 20-25 სმ სიგანის ერთსაფეხურიანი ცოკოლი გამოიყოფა. იატაკიდან 20 სმ-ით აწეული ანალოგიური ზომის შვერილი დასტურდება ინტერიერის დარბაზის ნაწილშიც.

დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში 110-112 სმ სიგანის ორი კარი გაიწმინდა. კედლების სიგანე 85 სმ-ია და საპირე ქვებს შორის სივრცე შევსებულია ნატეხი ქვითა და დუღაბით. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 1-1,5 მეტრია. დაბალი ფუნდამენტი მოწყობილია მოყვითალო თიროვან გრუნტში.

ჩრდილოეთის კედელში დაფიქსირდა პილასტრიდან თაღზე

გარდამავალი მალის შემადგენელი, დიდი ზომის კარგად გათლილი ქვები, სამხრეთის კარის სივრცეში კი აღმოჩნდა ისრისებური მოყვანილობის საჭეჭი ქვა (სურ. 2₁).

ცენტრალური დარბაზისა და საკურთხევლის გამყოფ ხაზზე შემორჩენილია ორ რიგად დაწყობილი კანკელის საფუძვლის ქვები. საკუთრივ კანკელი ხის უნდა ყოფილიყო. ამის დასტურია საკურთხევლის არეში ფიქსირებული ნახშირის შრე და ხანძრის კვალი. საკურთხეველი დარბაზის იატაკიდან 15-20 სანტიმეტრითაა აწეული. დარბაზის მხრიდან კანკელის ცენტრში, იატაკის დონეზე დაფიქსირდა სწორკუთხა ქვის ფილით მონყობილი ამბიონი.

აფსიდის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა კედელზე მიდგმული მცირე ზომის (60X40 სმ) ტრაპეზის ფრაგმენტი, მის გასწვრივ კი კირხსნარით მოლესილი იატაკის კვალი. შელესილობის კვალი შემორჩენილია აფსიდის კედლის ძირის რეგისტრშიც. მოხატვის ნიშნები არსად ჩანს.

საკურთხევლის სამხრეთის კედელში, იატაკიდან 1 მეტრის სიმაღლეზე მცირე ზომის სწორკუთხა ნიშა იკითხება, ასეთივე ნიშა უნდა ვიგულისხმოთ ჩრდილოეთის კედელშიც.

დარბაზის იატაკი კირხსნარის თხელი შრითაა მოსწორებული და ძლიერ დაზიანებული, დეფორმირებული და გამინებულია. იატაკის ქვეშ, 10 სმ-დე სიმძლავრის სამშენებლო ნარჩენებია ნიველირებული.

ინტერიერსა და ექსტერიერში ფიქსირებული სტრატეგრაფია აჩვენებს, რომ ნაგებობა ჯერ დაინვა (ამას ადასტურებს საკურთხეველში დაფენილი ნახშირის შრე), შემდეგ ეტაპობრივად იშლება და იატაკზე ეფინება ინტერიერის შელესილობა, კედლებისა და მალთაშორისი სივრცის შემავსებელი ქვები და დუღაბის ფრაგმენტები. დაახლოებით ნახევარი მეტრის სიმძლავრის ამ მასაზე დაყრილია (მოგვიანებით) პილასტრების, მალეებისა და ფასადების დიდი ზომის ქვები.

ადგილობრივთა გადმოცემით, გასული საუკუნის 60-იან წლებში, ეკლესია განძის მაძიებლებს აუფეთქებიათ. შესაძლოა, ნგრევის მეორე ფენა სწორედ ამ ფაქტს უკავშირდებოდეს.

არქეოლოგიური მასალა არ დასტურდება. კერამიკის ორიოდე პატარა უსახო ფრაგმენტს, რომლებიც დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში საკონტროლო შურფის გაჭრისას ამოვიდა, დამათარილებელი მნიშვნელობა არ გააჩნია.

ეკლესიის ფასადების მონყობის გათვალისწინებით (კარგად გათლილი ქვის ფილებით მონესრიგებული საფასადე ნყოფა და უხეშად დამუშავებული

ქვებით შემოსილი ინტერიერი),¹ ეკლესია შესაძლოა დათარიღდეს განვითარებული შუა საუკუნეების ფინალური ეტაპით ან გვიანი შუა საუკუნეების დასაწყისით.

გვიან შუა საუკუნეებში გელათის მიდამოებს მტრის ორი შემოსევა ახსოვს:

1. 1510 წელს თურქი უფლისწულის სელიმ ხანის დამარბეველი ლაშქრობა, რომლის დროსაც დაინვა და აოხრდა ვაკე იმერეთი, ქუთაისი (ბაგრატის ტაძარი), მონამეთა და განსაკუთრებით გელათი.²

2. ლეკთა მარბიელი ლაშქრობა 1759 წელს. ვფიქრობთ, ეკლესიის პირველი ნგრევა სწორედ თურქთა ლაშქრობას უნდა დავუკავშიროთ.

ეკლესიის გარშემო, ზედაპირული და ზვერვით იკითხება ყორე გალავნის კვალი, რომლის განმენდა-გასუფთავებაც დაიგეგმა მომავალი სამუშაოების ფარგლებში.

შერეული ტყით, სახნავ-სათესი სავარგულებით, მდინართა და წყაროებით შემკულ მიმდებარე ტერიტორიაზე კი შუა საუკუნეების პატარა ნასოფლარის არსებობა უნდა ვიგულისხმოთ.



სურ. 1



სურ. 2




სურ. 3

¹ ანალოგიურადაა მოწყობილი ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ დეხვირის ციხის სამხრეთის ფერდობზე აღმოჩენილი გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (იხ. როლანდ ისაკაძე, შალვა ბუაძე, ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) ექსპედიციის შუასაუკუნეთა რაზმის მიერ 2016 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, გვ. 4-6, სურ. 7-11. დაცულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.

² „...დასწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ, ქუთათისი და საყდარი, სხვანი ეკლესიანი...“ იხ. თ. ჟორდანიას, „ქრონიკები“, წიგნი II, თფ. 1897, გვ. 326.



სურ. 4



სურ. 5

A Short Report on archaeological excavation carried out in “Uthmir” hill Church (Gelati) in 2020

Roland Isakadze
roland-isakadze@mail.ru
Shalva Buadze
Teona Bubuteishvili

Between November 25 nd December 25, 2020, archeological works were carried out on the ruins of a church on the hill of ‘Uthmir’, in the village of Gelati, Tkibuli Municipality. The works were commissioned by Kutaisi-Gaenati Diocese.

Prior to the excavations, the site had been covered with rubble and vegetation. Fragments of mortared walls and stones of the facades were scattered around the area.

A rectangular single-nave, hall-type church was identified after cleaning the interior and the facades (7,5X5,2 m). It had a linear, angularly rounded apse.

The facades are built with well-hewn medium-size stone slabs. The arrangement of the stones in the interior is somewhat disorganized. Two doors (110-112 cm wide) were cleaned in the western and southern walls. The preserved height of the walls is 1-1.5 meters.

Stones of the foundation of the wooden iconostasis are preserved at the dividing line between the central hall and the altar. A fragment of a small (60X40 cm) communion altar of the apse was found attached to the wall in the central part. The walls were plastered with lime mortar. The floor is also leveled with lime mortar.


According to locals, the ruins of the church were exploded by treasure hunters in the 1960s.

Considering the arrangement of the facades, the church could be dated to the final stage of the high Middle Ages or the beginning of the late Middle Ages, and the demolition must be connected with the military campaign of the Turks in 1510.

ნადიარაბი I-სა და გოგიჩაანთ ლელეს ნამოსახლარებზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში

ირინა ლამბაშიძე irinagambashidze@gmail.com
ბიძინა მურვანიძე bidzumurvanidze@yahoo.com
ნინო ოთხვანი ninotchwani@yahoo.com
დავით მინდორაშვილი datomindorashvili@yahoo.com
გიორგი გოგოჭური giorgigogochuri@yahoo.com
ელეონორა სახვაძე eleonorasakhvadze@yahoo.com

ნადიკრები I-სა და გოგიჩაანთ ლელეს ნამოსახლარები მდებარეობს კურორტ ბორჯომიდან სამხრეთ-დასავლეთით 13 კმ/ის დაშორებით, სოფ. ჭობისხევთან, მდ. მტკვრის მარჯვენა დამრეც ფერდობზე. ორივე ნასახლარი განფენილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ, ხედიტ ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მტკვრისკენ. 25-30° დახრილობის ტერასაზე, სადაც, ნაგებობები ნახევრად მიწურებია. ნადიკრების ნამოსახლარი მოქცეულია ზღვის დონიდან 853.51 მ-სა და 840.138 მ-ს შორის, ხოლო გოგიჩაანთ ლელეს ნამოსახლარის უმაღლესი წერტილი – 943.295 მ სიმაღლეზე მდებარეობს (სურ. 1, 4).




სურ. 1

ორივე კომპლექსი მიუყვება აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ, ბაზალტის მსხვილ ძარღვს. ამ ძარღვებიდან ჩამოტეხილ-ჩამოვარდნილი ძალზე დიდი ზომის ლოდები სამშენებლო მასალადაა გამოყენებული. კომპლექსი შედგება რამდენიმე ნაგებობისგან. 2020 წელს ნადიკრები I-ზე გაითხარა 8 ნაგებობა, ხოლო გოგირაანთ ღელეზე 3. ტერიტორია გაიწმინდა მწვანე საფარისგან (GPS: 1. X: 359553 Y: 4628518; 2. X: 359579 Y: 4628380; 3. X: 359710 Y: 4628412; 4. X: 359683 Y: 4628512; 5. X: 359705 Y: 4628582).

სამუშაოების დაწყებამდე, GPS ხელსაწყო – ტაქომეტრ Leica TS 06-ის გამოყენებით, ტერიტორიაზე შეირჩა მყარი წერტილები, რომლებსაც მიება გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტებიდან აღებული წერტილები.

სამეცნიერო კვლევები აქ პირველად, 1954 წელს ჩატარდა ციკლოპური ნაგებობების შესწავლის მიზნით. ექსპედიციას კონსულტაციას უწევდა არქეოლოგი გ. ლომთათიძე¹. 1968–1985 წწ. კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა და შემდგომ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თორილიკანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩატარა არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები, რომელსაც ხელმძღვანელობდა გ. ნასიძე².



სურ. 2

¹ რჩეულიშვილი, ლ. 1994 - ძველი ნასახლარები ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში. კრებულში: ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები, თბილისი, გვ.134– 145; 158.

² გ. ნასიძის მიერ 1968–1985წწ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანაგრიშები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

ნაღიარები | ნამოსახლარი (სურ.1-3)

ნამოსახლარი ნადიკრები I მეგალითური ტიპის, ლოდოვანი, მშრალი წყობით ნაგები ტერასული დასახლებაა (სურ.1, 3). კომპლექსი შედგება სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების რვა ნაგებობისგან.

ნადიკრების კომპლექსის დათარიღებისას, განვითარებული შუა საუკუნეების მასალებთან ერთად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ №1 და №2 ნაგებობების ინტერიერში არსებული ყველა სტრუქტურის-



სურ. 3

საწინახლების, თახჩების, წნეხების, სამეურნეო ხაროს განლაგების ადგილები, წინასწარ კარგად მოფიქრებული გეგმითაა შექმნილი (სურ. 1, 2). საწინახლებისა თუ ქვის წნეხების შუა საუკუნეებზე ადრეული ხანით დათარიღება კი გამორიცხებულია, რადგან, ადრეულ ხანებში ამგვარი საწინახელ-წნეხები არ მოგვეპოვება.

როგორც საცხოვრებელი, ისე სამეურნეო შენობები თავიანთი შიდა სტრუქტურებით, დაახლოებით ერთ პერიოდშია ნაგები. სავარაუდოდ, ადრეული შუა საუკუნეების მიწურულიდან – განვითარებული შუა საუკუნეების ჩათვლით.

რაც შეეხება ნასოფლარის ფუნქციონირების ბოლო ეტაპს, როგორც ჩანს, ნადიკრების დასახლება საკმაოდ დიდხანს ფუნქციონირებდა. არქეოლოგიურ მასალაში XII-XIII სს-ის კარგად დათარიღებულ არტეფაქტებთან ერთად, გვხვდება უხეშად დამუშავებული კერამიკული ნაწარმი, რომელიც, უკვე ქართული კერამიკული წარმოების დაქვეითების პერიოდის ნიმუშებია. საფიქრებელია, რომ სოფელი XIII ს-ის შემდგომაც განაგრძობდა არსებობას. მისი საბოლოო გაუკაცრიელება, ოსმალთა იმპერიის აგრესიულ პოლიტიკას უნდა უკავშირდებოდეს. აღსანიშნავია, რომ სოფელი არ ჩანს მტრის მიერ დანგრეულ-გადამწვარი, იგი ნელ-ნელა მიუტოვებიათ. XVI საუკუნეში, ვილაეთის გურჯისტანის დიდი დავთრის შედგენის დროს, ეს ტერიტორია, ჭობისხევითურთ, გაუკაცრიელებულია და ცნობები აქაური მოსახლეობის შესახებ არ არის დავთარში შეტანილი. ხოლო XVIII საუკუნეში დიდი გეოგრაფოსი ვახუშტი ამ ტერიტორიას კარგად აღწერს: „პირისპირ ციხისა მოერთვის მტკვარს ჩრდილოდამ ლიკანის ხევი,

გამოსდის მახვილო ფერსათს. ამ ხევთ ზეით არს ჭობისხევი. და არს დვირამდე ქართლისა. არამედ, არს ესე მტკვრის ხეობა ვენახიანი, ხილიანი, ვიწრო და მწირი, მაგარი და შეუალი მტრისაგან. კაცნი ჰაეროვანნი, ტანოვანნი. მთანი ნადირიანნი, ნაძოვან- ფიჭოვანი. ირემი, თხა, არჩვი და სხვა ნადირნი მრავალნი.”³

საყურადღებოა, რომ ნადიკრების კომპლექსს ჩრდილოეთიდან აკრავს საკმაოდ მოგრძო ყორე-კედელი, ყორესა და ფერდს შორის არსებული ზოლი საგანგებოდაა მოსწორებული გზისთვის. გზის სიგანე 2,30-2,50 მ-ია, ისე, რომ მასზე ურემი თავისუფლად გაივლიდა. საურმე გზა კომპლექსს აუცილებლად უნდა ჰქონოდა, რადგან, მტკვრისპირა გაშლილი ტერიტორიებიდან, ფერდობზე (სადაც ნასახლარია განლაგებული) ყურძნის, მარცვლეულის, სელისა თუ სხვა სახის მოსავლის, ან საქონლისთვის თივის ამოზიდვა, უთუოდ ურემების საშუალებით იქნებოდა შესაძლებელი, რაც შესაბამისი გზის არსებობაზე მიუთითებს. საურმე გზა აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით ფერდს ჩაუყვება. მისი სიგრძე 35 მ-მდე ფიქსირდება. შემდგომ გზის კვალი იკარგება. გზა უნდა ჩასულიყო იმ ხაზთან, სადაც ძველ გზას – მთავარ მაგისტრალს უნდა გაევიდა.

რაც შეეხება მთავარ გზას, კომპლექსის ქვემოთ, ჩრდილოეთით რკინიგზის ხაზის ზემოთ არსებულ ტერასაზე შემორჩენილია ძველი ნაგზაურის ნაშთი, რომელიც შედგენილია ორი პარალელურად დალაგებული ქვების რიგით. გზის სიგანე 3,50-3,70 მ ყოფილა. გზის ნაშთი 25-30 მ სიგრძეზე კარგად იკითხება. გზა აღმოსავლეთისკენ, ანუ მტკვრის დინების მიმართულებით, თანდათან ქვემოთ ეშვება და მიემართება იმ ადგილამდე, სადაც მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ძველი ხიდის ბურჯის ნაშთი დღემდეა შემორჩენილი. მტკვრის ხეობა უძველესი დროიდან ქართლისა და სამცხის მაკავშირებელი ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალი იყო და მის გასწვრივ არაერთი ნასახლარი, მათ შორის „ნადიკრების“ ნასოფლარიც არსებობდა.

კომპლექსი შუა საუკუნეებით (XI-XIII სს.) თარიღდება და ქართული საცხოვრებელი ნაგებობების ერთ-ერთი გამორჩეული ტიპია. მსგავსი არქიტექტურა ლოკალურობით ხასიათდება და მხოლოდ თორის ხეობისთვისაა დამახასიათებელი.

³ ვახუსტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია – რედ. თ. ლომოური და ნ. ბერენიშვილი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1941 წ. გვ. 125, სტრ.20 –25 .

გოგიჩაანთ ღელეს ნამოსახლარი (სურ. 4-6)

გოგიჩაანთ ღელეს ნამოსახლარი კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის მქონე უძრავი ძეგლია (სურ. 5).




სურ. 4

ლოდოვანი ნყოფით ნაშენი მეგალითური კომპლექსი, თავისი მონუმენტურობით, მშენებლობის ტექნიკით, შუა საუკუნეების (IX-XIII სს.) საერო არქიტექტურის დახვეწილი, შესანიშნავი ნიმუშია (სურ. 5, 6). მასში გაერთიანებულია სხვადასხვა დანიშნულების (საცხოვრებელი, საკულტო, საყოფაცხოვრებო) ათზე მეტი ნაგებობა, რომლის დომინანტი ერდოიანი შენობაა (სურ. 6). ნამოსახლარი ნაშენია მშრალი ნყოფით, გათლილ-გახეხილი ანდეზიტ-ბაზალტის, ერთმანეთს კარგად მორგებული დიდი ლოდებით. საცხოვრებელ კომპლექსზე მოგვიანებით მიდგმულია მცირე ზომის კარის ეკლესია. გოგიჩაანთ ღელეს კომპლექსი

ადგილობრივი მდიდარი, გავლენიანი ფეოდალის კუთვნილი უნდა ყოფილიყო. ძეგლის გეგმარების სპეციფიკურობა, მშენებლობის გამორჩეული მანერა და ნაგებობების ფორმები ბევრად უფრო არქაული იერისაა.

საყურადღებოა, რომ ნადიკრებისგან განსხვავებით, გოგიჩაანთ ღელეს ტერიტორიაზე არ ჩანს ისეთი დანიშნულების ნაგებობები თუ სათავსები, როგორებიცაა სანახლები, ჭაჭის სანური ნნებები, ზეთის სახდელი გელაზი, საქონლის ბაგა და ა. შ. კომპლექსში მხოლოდ სამეურნეო ხაროები მარცვლეულის შესანახი ორმოები და ქვევრებია. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ კომპლექსის მფლობელი არ იყო საზოგადოების იმ ფენის წარმომადგენელი, რომელიც მატერიალურ დოვლათს უშუალოდ ქმნიდა. სამაგიეროდ, დოვლათის დიდი ნაწილი მასთან გროვდებოდა, რაზეც მიუთითებს აქ არსებული მარცვლეულის შესანახი ხაროები და ქვევრები.

ნადიკრებისა და გოგიჩაანთ ღელეს XII-XIII სს კომპლექსების გეგმარება, ფასადები, ინტერიერი, თითქმის პირვანდელი სახითაა შემორჩენილი, ხოლო სრულად რეკონსტრუქცია ნაგებობათა იმ ნაწილების, რომლებიც დროთა განმავლობაში დაიკარგა, შესაძლებელია (სურ. 2, 3, 5, 6).



სურ. 5



სურ. 6

სურათების აღწერილობა:

1. ბოქორგრაფიული გეგმა. 1. ნაღიარები I; 2. გოგიჩაათე ლაღას ნამოსახლარი.
2. ნაღიარები I ნამოსახლარი. გეგმა.
3. ნაღიარები I ნაგებობა №2, სანახალი, ჭაჭის სანახი მოწყობილობები და წვანის მოსაგროვებელი აზხი.
4. ნაღიარები I ნაგებობა 6. ლოდოვანი ჭვით ნაგები თაღოვანი ზამოსასვლელი.
5. გოგიჩაათე ლაღას ნამოსახლარი. გეგმა.
6. გოგიჩაათე ლაღას ნამოსახლარი. ეროლიანი ნაგებობა 1; ინტერიერი. ხელი დასავლათით.

A short report on archaeological excavations conducted at Nadikrebi I and Gogichaant Ghele Settlements (Borjomi Municipality) in 2020

Irina Gambashidze irinagambashidze@gmail.com

Bidzina Murvanidze bidzomurvanidze@yahoo.com

Nino Otkhvani ninootchwani@yahoo.com

David Mindorashvili datomindorashvili@yahoo.com

Giorgi Gogochuri giorgigogochuri@yahoo.com

Eleonora Sakhvadze eleonorasakhvadze@yahoo.com

The article looks at the results of the excavations conducted at the settlement-sites of Nadikrebi I and the Gogichaant Ghele. Field archeological works were carried out on the basis of the contract #3/157T of the State Procurement Agency concluded between the Georgian National Museum and the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia on April 21, 2020.

The settlement-sites of Nadikrebi I and Gogichaant Ghele are terraced structures of megalithic type built of boulders using the technique of dry masonry. The Nadikrebi I complex consists of eight structures of agricultural and household purposes. Of particular importance among agricultural facilities are winepresses, devices for pressing grape skins and pips and making oil. Besides, there are a cowshed, a cooling room, pits for storing grains and three residential spaces. Gogichaant Ghele settlement-site is an immovable cultural monument of national significance (Presidential Decree #665; 2006). The megalithic complex built of boulders is a sophisticated, excellent example of medieval secular architecture with its monumentality and construction techniques. It includes more than ten structures of various purposes (residential, religious, household), dominant of which is the building with a central opening at the top of the roof which serves as a window and a flue. The Gogichaant Ghele complex must have belonged to a wealthy, influential local feudal lord.

The settlements date back to the Middle Ages (9th-13th centuries) and are one of the most distinct types of Georgian residential structures. This kind of architecture is characterized by localness and it is typical of this particular historical province – Tory region.

სოფ. გოხნარის წმინდა გიორგის სახელობის ალმასის ბარიბორიაჟა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

დავით სულხანიშვილი

david.sulkhani@gmail.com

გიორგი ბურჯანაძე

giorgi.burjanadze.1@gmail.com

მადონა მშვილდაძე

mshvildadzemadona@gmail.com

2020 წელს ა(ა)იპ ხვამლის ამქარი არქეოლოგიურ კვლევა-ძიებით სამუშაოებს აწარმოებდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში შემავალ სოფელ გოხნარში (ისტორიული სახელწოდება აძიკვი). სამუშაოები განხორციელდა კერძო პირის სოლომონ იორამაშვილის ფინანსური მხარდაჭერით. არქეოლოგიურ ექსპედიციას წინ უძღოდა 2018 წელს ა(ა)იპ ხვამლის ამქარის მიერ განხორციელებული როგორც საველე დაზვერვები, ისე მცირე მასშტაბიანი განმედიტი და გათხრითი სამუშაოები.¹ ექსპედიციის მიზანი იყო დამატებითი არქეოლოგიური სამუშაოების საფუძველზე მოეხდინა 2018 წელს წარმოებული კვლევების გამყარება და საანალიზოდ ოსტეოლოგიური მასალის შეგროვება. სხვადასხვა კულტურული დონიდან აღებული ძვლოვანი მასალის ლაბორატორიული კვლევები შესაძლებლობას მოგვცემს განისაზღვროს - წარმომავლობა, სქესი, გარდაცვალების სავარაუდო მიზეზები და პერიოდი.

აღნიშნულ სეზონზე, არქეოლოგიური სამუშაოები წარიმართა 2018 წელს გახსნილი სამარხის სამხრეთ-დასავლეთით მომიჯნავე ორ სამარხზე, არქეოლოგიური მეთოდოლოგიის სრული დაცვით. პირველ ეტაპზე შემოისაზღვრა 3m x 4m-ზე კვადრატი, რომელშიც მოექცა ორ რიგად განლაგებული რელიეფური გამოსახულებებით გაფორმებული ხუთი სამარხი ქვა და ერთი მოზრდილი ვულკანური წარმოშობის მონოლითი, რომელიც ჩვენი ვარაუდით ასევე სამარხი უნდა იყოს. კვადრატი გაინმინდა მცირე მცენარეული საფარისა და ნაყარი მიწისგან. დაღრმავება კეთდებოდა ყოველ 10 სმ-ზე, რომლის პარალელურადაც წარმოებდა მოპოვებული მასალის დახარისხება/ეტიკეტირება, ველის ფოტოფიქსაცია და ფოტოგრამეტრიის მეთოდის გამოყენებით მოდელის აწყობა. განხორციელებული სამუშაოები

¹ 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, თბ. 2019, გვ. 153-156

ამოიხაზა გის ინსტრუმენტის საშუალებით და შეიქმნა ერთიანი სურათის ამსახველი თემატური რუკა (სურ. 1). არქეოლოგიური გათხრები წარიმართა პირობითად №1 და №2 სამარხში. ნაკვეთის ტეხვის ნერტილები: 1. X 443480.6695 Y 4611480.443; 2. X 443483.2695 Y 4611480.443; 3. X 443483.2695 Y 4611479.643; 4. X 443482.8695 Y 4611479.643; 5. X 443482.8695 Y 4611478.643; 6. X 443480.6695 Y 4611478.643.

ორივე სამარხის გათხრისას ჰუმუსური ფენიდანვე დაფიქსირდა კერამიკის (კრამიტისა და თიხის ჭურჭლის) ნატეხები, ხოლო ჰუმუსის მოხსნის შემდგომ ადამიანის ფრაგმენტირებული ძვლები და ცხოველის რამდენიმე კბილი. №1 სამარხში მინის ზედაპირიდან 35-40 სანტიმეტრში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ჭრილებთან გამოვლინდა ორი ახალმოხობის ჩონჩხი. №1 და №2 სამარხში ზედაპირიდან 57-60 სმ-ზე დაფიქსირდა ქვებით ამოყვანილი დასაკრძალავი კამერა, რომელიც გადახურული იყო შედარებით მოზრდილი ფლეთილი ქვებით. სამარხის გადახურვის ქვებზე ჭრილის დასავლეთ და აღმოსავლეთ მონაკვეთებში მიხვეტილი იყო ადამიანის ძვლები (სურ. 2). აღსანიშნავია, რომ №2 სამარხის გადახურვის ფილების პრეპარაციისას აღმოჩნდა დამუშავებული, ორმხრივრეტუშირებული ობსიდიანის საფხეკიც (სურ. 6). თითოეულ სამარხს ოთხივე მხრიდან ქვით ამოყვანილი კედლები აქვს (სურ. 3). №1 სამარხის შიდა ზომებია 180x46სმ, №2 სამარხის - 185x50სმ. პრეპარაციის შემდეგ ორივე სამარხში დაფიქსირდა ანატომიურად სრული, თითო მიცვალებული, დაკრძალულნი გაშოტილ პოზაში, აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, თავით დასავლეთით (სურ. 4). №1 სამარხში მიცვალებულს ხელები მუცლის არეში ჰქონდა დალაგებული, ხოლო №2 სამარხში - მარჯვენა ხელი თეძოსთან, მარცხენა კი მოხრილი და თავთან მოქცეული. მიცვალებულები ორივე სამარხში თიხატკეპნილით ნიველირებულ იატაკზე იყვნენ დასვენებული. იმის დასადგენად, ვრცელდებოდა თუ არა კულტურული ფენები აღნიშნული დონის ქვემოთაც, 2 სამარხში მოიხსნა ნიველირებული თიხატკეპნილი, რის შემდეგაც გამოვლინდა ადრეული პერიოდის, მოზრდილი ქვებით გადახურული მეორე სამარხი. ქვედა სამარხის კონტურების გამოსავლენად მოიხსნა მოგვიანებით ამოყვანილი სამარხის სამხრეთ კედელი. კედლის მოხსნის შემდეგ გამოიკვეთა, რომ ქვედა დონის სამარხი კამერა არ ემთხვეოდა ზემოდან გამართული სამარხი კამერის ზომებს, ვრცელდებოდა ზემოდან გამართული სამარხის ნახევრამდე და სრულდებოდა მოზრდილი ჩამკეტი ლოდით. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვედა დონის სამარხის ნაწილის გაგრძელება შედის საკვლევი არეალის დასავლეთ ჭრილში. ქვედა დონის სამარხში პრეპარაციის დროს გამოვლინდა ერთმანეთზე დაკრძალული სამი მიცვალებული და

ორი თავის ქალა. ამავე დროს მინის ზედაპირიდან 1 მეტრის სიღრმეზე №1 სამარხის ზედა დონის სამარხი კამერის ჩრდილოეთ კედელში, აღმოსავლეთ ჭრილთან დაფიქსირდა ბავშვის ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლები. №2 სამარხის გათხრისას გამოვლენილმა სიტუაციამ განაპირობა მსგავსი სამუშაოების ჩატარება 1 სამარხშიც, სადაც ანალოგიური სურათი დადასტურდა. აქაც, №2 სამარხის მსგავსად, ქვედა დონის სამარხი არ იმეორებს მოგვიანო პერიოდის სამარხის კონფიგურაციას. იმის გამო, რომ სამარხის ნახევარი ჭრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ვრცელდება, აღნიშნულ სეზონზე მისი ბოლომდე შესწავლა ვერ მოხერხდა (სურ. 5). ქვედა დონის სამარხების სრულფასოვნად შესასწავლად აუცილებელია საკვლევი არელების გაფართოება და ერთიან კონტექსტში გააზრება.

2020 წელს წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ სამარხები სხვადასხვა პერიოდში რამდენჯერმე გამოუყენებიათ მიცვალებულთა დასაკრძალად. ამას ადასტურებს №1 სამარხში, მინის ზედაპირიდან 40 სმ-ის სიღრმეზე გამოვლენილი ორი ახალშობილის ფრაგმენტულად შემორჩენილი ძვლები, ზედა დონის სამარხი კამერების გადახურვაზე მიხვეტილი მიცვალებულები, №1 სამარხის ზედა დონის ჩრდილოეთ კედელთან გამართული ბავშვის სამარხი და ზემოთ აღწერილი, ქვებით ამოყვანილი დასაკრძალავი კამერები. ამ ეტაპზე გაურკვეველი რჩება ასეთი ქმედებების მიზეზი, მათი განხორციელების დრო და საკითხი, თუ რომელი პერიოდის სამარხის კუთვნილებაა კონკრეტულად მინის ზედაპირზე განლაგებული რელიეფურ გამოსახულებიანი საფლავის ქვები. თუმცა, აღსანიშნავია რომ ქვები და პირველი დონის ქვით ამოყვანილი სამარხები თითქმის მთლიანად იმეორებს ერთმანეთის კონფიგურაციას. იმ ფაქტს, რომ სამარხები გარკვეული პერიოდის განმავლობაში აქტიურად გამოიყენებოდა, ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების დროს, ყველა დონეზე გამოვლენილი ფრაგმენტირებული კერამიკული მასალაც, რომელთაგან არც ერთი არ ყოფილა *in situ* მდგომარეობაში (სურ. 6). დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემას ნაწილობრივ შეძლებს ოსტეოლოგიური მასალის ანალიზი და სამომავლოდ, სამაროვანზე ჩატარებული ფართო მასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოები.

2020 წელს წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების ბოლოს, აღნიშნულ არეალში კვლევების გაგრძელების მიზნით განხორციელდა, სამარხების კონსერვაცია და რეკულტივაცია, ხოლო შესწავლილ მონაკვეთს


დაუბრუნდა პირვანდელი სახე. მოპოვებული ნივთიერი მასალა გადაეცა თეთრინყაროს მუზეუმს.



სურ. 1 სიტუაციის ამსახველი თემატური რუკა



სურ. 2 #1 და #2 კვებით ამოყვანილი დასამარხი კამერები გახსნამდე




სურ. 3 №1 და №2 სამარხების გეგმა გახსნამდე



სურ. 4 №1 და №2 ზედა დონის გახსნილი სამარხების მოდელი



სურ. 5 №1 და №2 ქვედა დონის სამარხების მოდელი



სურ. 6 არქეოლოგიური სამუშაოებისას მოპოვებული ნივთიერი მასალის ნაწილი

A Short report of archaeological works conducted on the territory of Saint George Church in Village Gokhnari

David Sulkhani

david.sulkhani@gmail.com

Giorgi Burjanadze

giorgi.burjanadze.1@gmail.com

Madona Mshvildadze

mshvildadzemadona@gmail.com

The main goal of the excavations carried out in the village of Gokhnari was to strengthen the results of the previous explorations held in 2018, as well as to collect osteological materials for further analysis. During the period between 05.09. 2020 and 16.09. 2020 archeological diggings were conducted on two sepulchers located south-west of the one which was opened in 2018. Archeological works carried out on this site were line-drawn with the help of the GIS operational instrument, thus creating a thematic map providing the integrated depiction of the scene.

On the first stage of the works a regular tetragon 3m.-4m. was fixed in which slabs of five burials raised in two rows and engraved with relief depictions as well as a volcanic monolith were confined.

The humus layer itself yielded ceramic fragments (roof tiles and dishes), while later, after removing the humus layer entirely, fragmented human bones were found. During the excavations two-layer burial chambers constructed with grind-stone were revealed; the configuration of the lower chambers was not similar to those of the upper chambers. After the preparation, an anatomically complete body was exposed in each of the upper burial chambers. The lower burial chambers were not excavated and explored thoroughly, as they were located in the sections south-west of the site being explored.

Based on the archeological investigations held in 2020 it was estimated that this burial site operated several times over a long period of history. It is proved by the fact that the fragmented bones of two newborns were found at a depth of 40 cm below the surface of sepulcher #1 and also human bones scattered on the surface of the upper chambers. A child's grave discovered in the upper chamber by the north wall of sepulcher #1 and a number of other chambers constructed with grindstones, may serve as a proof of the above mentioned deduction. At this stage of the exploration the reason and exact time of these activities are not clearly established. The burial slabs with relief images engraved on them that were scattered on the ground, also need further study to estimate which sepulcher they belong to. It is essential for their dating. Thorough study of this burial site requires further expansion of the exploration area and conceptualization of the received data in the full context.

დმანისის სააროვანთან გამოვლენილ საარხზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

ნანა რეზიძე
rezidzenana@gmail.com

არქეოლოგიური ობიექტი (სამარხი) მდებარეობს დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფ. ანგრევანში (GPS: X: 4935673.263; YY: 5060549.870), სადაც 2020 წელს გადარჩენით სამუშაოებს აწარმოებდა დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია. ახლად გამოვლენილ არქეოლოგიურ ობიექტზე – სამარხზე, რომელიც ნაწილობრივ გათხრილი იყო, ჩანდა სამარხის ქვის კონსტრუქცია, თიხის ორი მთელი ჭურჭელი და ანთროპოლოგიური მასალა ნაწილობრივ (სურ. 1).



სურ. 1




სურ. 2

არქეოლოგიური სამუშაოები წარმოებდა შესაბამისად შექმნილ კოორდინატთა სისტემაში, მონაპოვრების ტექსტური დოკუმენტირების, ფოტო და გრაფიკულ ფიქსაციასთან ერთად მონაცემები ისახებოდა ტოტალური ავეგმარების დანადგარით (TMS) (სურ. 2, 6).

თხრილიში (3X3 მ) ფენები აღებულია ჰორიზონტალურად (874.00 მ).

რადგან სამარხის ირგვლივ ფენა სტერილურია, (873.30 მ), გაგრძელდა მხოლოდ სამარხის გაუთხრელი ნაწილის შესწავლა. სამარხი შეკრულია დიდი ზომის შვიდი ქვისგან, რომლებიც ვერტიკალურადაა განთავსებული მიწაში და თითქოს ხუთკუთხედს ქმნის, სამარხის პირის დიამეტრია – 0.80X0.70 მ, ძირის დიამეტრი – 0.80X0.70 მ, სამარხის მაქსიმალური სიღრმეა – 0.75 მ (872.88 მ) (სურ. 3).



სურ. 3


სამარხის იატაკი მოპირკეთებულია სხვადასხვა ზომისა და ფერის თხის ჭურჭლის ფრაგმენტებით და ქმნის იატაკის ჯავშანს (872.90 მ), რომელზეც დასვენებულია მიცვალებული. ანთროპოლოგიური მასალა ცუდადაა შემონახული, მაგრამ თავის ქალისა და კიდურების მიხედვით, მიცვალებული დაკრძალულია ემბრიონის პოზაში, მარცხენა გვერდზე, დამხრობაა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, სახით – სამხრეთით, ნეშტი მოზარდისაა.¹

სამარხში აღმოჩენილი კერამიკული მასალა, ტიპურია მტკვარ-არაქსის კულტურის ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმის, მსგავსი ჭურჭელი იყო ჩაყოლებული საფარლოში შემთხვევით აღმოჩენილ, ამავე პერიოდის სამარხშიც.² ასევე მსგავსი ჭურჭლებია აღმოჩენილი ძეძვების მტკვარ-არაქსული პერიოდის ძეგლზეც.³ კერამიკული მასალის ტიპოლოგიურ-შედარებითი მეთოდის საფუძველზე, სამარხი წინასწარულად დათარიღდა მტკვარ-არაქსის პერიოდით (ქ.წ. IV ათასწ. II ნახ. – III ათასწ. I ნახ.).

¹ ანთროპოლოგიური მასალა გადაეცა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ანთროპოლოგ მ. ჭკადუას შესასწავლად.

² Кахиани К.К., Иремашвили Ш.А., Иорданишвили Ж.В., Цквитинидзе З.Р. Археологическая экспедиция Машаверского устья 1982. П.А.И. Тб. 1985. (29-31).

³ ნ. ოთხვანი, ირ. ლამბაშიძე, თ. შტოლნერი, მ. იანსენი, ადრე ბრინჯაოს ხანის კერამიკა საყდრის მალაროს და ძეძვების ნამოსახლარიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. VI (51), თბილისი, 2015. (14-37)



სურ. 5



სურ. 4

სურათების აღწერილობა:

სურ. 1. სოფელი ანგრაჰანი, სიმახან ჩოფუროვის საარსებო ნაპოვნი ხის ნარგავის დარღვისთვის ამოთხრილი ღრმა ორგო და ამ გამოვლენილი სამარხის ნაშთი.

სურ. 2. არქეოლოგიური ობიექტი (სამარხი, ფობ. 3. მამიაშვილი).

სურ. 3. თხრილი, ზრილი (ავტ. ჯ. ჩხვიმიანი, 3. მამიაშვილი).

სურ. 4, 5. სამარხი და ჭურჭანი სასმისი (ფობ. 3. მამიაშვილი).

სურ. 6. თხრილი, სამარხი, გავა (ავტ. გ. აოკალიანი).

A short report on archaeological excavations of a grave revealed near Dmanisi cemetery, 2020

Nana Rezesidze

rezesidzenana@gmail.com

In 2020, the Dmanisi Archaeological Expedition excavated a burial of Kura-Araxes culture in Angrevani, Dmanisi Municipality. The burial was made from stones of different size; it contained skeletal remains of an adolescent buried in the position of an embryo lying on the left side, facing the south; the grave was aligned on an east-west axis. The floor of the burial was covered with fragments of pottery.

დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოხალე ანგარიში

ჯიმშერ ჩხვიმიანი juansher@live.com
ნანა რეზესიძე ezesidzenana@gmail.com
გიორგი კობალიანი kopala2014@gmail.com
ვაჟა მამიაშვილი vazhamamiashvili@yahoo.com
გიორგი გოგოლაძე archaeologistgio@gmail.com
ხათუნა გაფრინდაშვილი xatuna82@gmail.com
შოთა ურუმაშვილი shotauruma96@gmail.com
გოჩა კილაძე gkiladze@gmail.com

დმანისი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის შუა საუკუნეების ნაქალაქართა შორის. დღეისთვის, ეს ოდესღაც ძლიერი ქალაქის ტერიტორია, მრავალფეროვანი ისტორიულ-არქიტექტურული და აქეოლოგიური ძეგლებითაა წარმოდგენილი.

IX-X საუკუნეებში წარმოქმნილი და სამხრეთ კავკასიის უმთავრეს სავაჭრო მაგისტრალზე მდებარე ციხე-ქალაქი დმანისი, განსაკუთრებულ აღმავლობას XII-XIII საუკუნეში მიაღწია. ხელოსნური წარმოებითა და ვაჭრობით განთქმული ეს ურბანული ცენტრი, ამიერკავკასიის სხვა ქალაქების მსგავსად, სხვადასხვა ეთნიკური და კონფესიური ჯგუფებით იყო დასახლებული. რაც, აქ არსებული გარემოების, შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებში საყოველთაოდ დასადგურებული რელიგიურ-ეთნიკური ტოლერანტობის შედეგია. დმანისი, როგორც შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი ქალაქი XIV საუკუნის ბოლოს, თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგად განადგურდა, თუმცა როგორც ციხე და მცირე სამოსახლო პუნქტი, XVIII საუკუნის ბოლომდე განაგრძობდა არსებობას. ამის შემდეგ ნაქალაქარად ქცეულ ტერიტორიას შემდგომი პერიოდის რეოკუპაცია აღარ განუცდია.

2020 წლის არქეოლოგიურ სეზონზე წარმოებული არქეოლოგიური კვლევები დმანისის ძველი ნაქალაქო ცხოვრების, ქალაქის გეგმარებითი სურათისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების საკითხების კვლევას ეძღვნებოდა. ამ მიზნით, არქეოლოგიური სამუშაოები ნაქალაქარის რამდენიმე უბანზე წარმოებდა: დმანისის სიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ. ბურჯიანი მეჩეთის ადგილას და დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანზე (ხელმძღვ. ჯ. ჩხვიმიანი).

დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარზე 2020 წელს განხორციელებული პროექტი დაფინანსებული იყო საქართველოს

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ.

პროექტის ფარგლებში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ძეგლის შესწავლის, არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებისას საერთაშორისოდ გამოყენებული, საველე-არქეოლოგიური ფიქსაციის ტრადიციულ მეთოდებს: გამოვლენილი კულტურული ფენების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ფიქსაციის პრინციპებს და, შესაბამისად, არქეოლოგიურ თხრილებში დადასტურებული სხვადასხვა არქეოლოგიური კონტექსტისა და ელემენტის ინდივიდუალური რეგისტრაცია-კოდირების სისტემას, რომელიც შესაბამისობაშია ერთიან, ძეგლზე მორგებულ გეო-საინფორმაციო ფიქსაციის სისტემასთან. არქეოლოგიური სტრუქტურა-ელემენტებისა და მასალის კვლევისას გამოყენებულია შედარებითი, ხელოვნებათმცოდნეობითი და ხუროთმოძღვრული ანალიზის მეთოდი, არქეოლოგიური სტრუქტურა-ელემენტებისა და მასალის შედარებით-შეფარდებითი (სტრატეგრაფია, ტიპოლოგია და სხვ.) მეთოდი.

საკვლევი ძეგლი მდებარეობს დმანისის მუნიციპალიტეტში – ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარე ქვემო ქართლში. მდინარეების, მაშავერასა და მისი შენაკადის, ფინეზაურის შეერთების ადგილას არსებულ ვულკანურ კონცხზე (სურ. 1-2). პროექტით განსაზღვრული გეგმის მიხედვით ნაქალაქარის ტერიტორიაზე გაიჭრა სამი თხრილი.

თხრილი № DM.20.02 (ძველი ტრადიციული ნუმერაციით, არქეოლოგიური გათხრების უბანი V. დმ. სამაროვნის თხრილი XV) ზომით 6X10 მ, მდებარეობს დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის სამაროვანზე (GPS: WGS 84 UTM zone 38 – E 444742, N 4575631), მის უკიდურეს სამხრეთით, სამაროვნის ქრისტიანულ უბანზე.

თხრილი № DM.20.03, ზომით 5X5 მ, დმანისის ნაქალაქარის (GPS: WGS 84 UTM zone 38 – E 445198, N 4576406) არქეოლოგიური გათხრების უბანი III. ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთის“ სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორიაა.

თხრილი № DM.20.04, ზომით 8X10 მ, მდებარეობს დმანისის ნაქალაქარის I არქეოლოგიურ უბანზე დმანისის სიონის ჩრდილოეთით (GPS: WGS 84 UTM zone 38 – E 444998, N 4576340).

ექსპედიციის მიერ გაჭრილი თხრილი № .20.02 (თხრილი XV) მდებარეობს სამაროვნის, XIII საუკუნით დათარიღებულ, ე.წ., „ქვემო ხაჩკარსა“ და „ზემო ხაჩკარს“ შორის არსებულ ფერდობზე [მელიქსეთ-ბეგი ლეონ, დმანისის სომხური წარწერები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია I, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა,

1954), 158 –161] სამაროვნის ამ ნაწილში მეტად საინტერესო სურათი გამოვლინდა. დამრეც ფერდობზე, ერთგვარი, საშუალოდ 4 მეტრი სიგანის, მოსწორებული ტერასა დაფიქსირდა. დასავლეთის, შემალღების მხრიდან ტერასას, სავარაუდოდ, მიწის ჩამოზავებისგან დაცვის მიზნით, საგანგებოდ აგებული 1 მ სიგანის ჩრდილო-სამხრეთის დამხრობის გრძელი კედელი მიუყვება. კედელი ნაგებია ქვიშაქვისა და ტუფის ქვის კვადრებისგან. განსაზღვრულ მონაკვეთებზე კედლის მშენებლობაში გამოყენებულია კირის დუღაბი. ტერასაზე, თხრილის საზღვრებში, ორ რიგად მოწყობილი სამარხების ზოლი გამოვლინდა, რომელთა მიწისზედა მემორიალები – საფლავის ქვები ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდაა განლაგებული.

გათხრების პროცესში, 0.20 მ ჰუმუსის ფენისა (CTX 001) და მის ქვეშ არსებული მიწის ფენის (CTX 002) მოხსნის შემდეგ, მიწის ზედაპირიდან საშუალოდ 0.40-0.70 მ სიღრმეზე, ბრტყელი და მართკუთხედი ფორმის ქვის ფილებით მოწყობილი სამარხების საფლავის ქვები გამოჩნდა (სურ. 3-4). დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე დამხრობილ ამ ჰორიზონტალურად დანყობილ საფლავის ქვების ნაწილზე, თავსა და ბოლოში, ვერტიკალურად აღმართულია არასწორი ფორმის ქვები ან კარგად დამუშავებული, სწორწახნაგოვანი სტელები, დასავლეთ და აღმოსავლეთ ნახნაგებზე რელიეფური ჯვრების გამოსახულებით. თხრილში გამოვლენილი ერთ-ერთი ქვა კარგად გათლილი, სარკოფაგისებრი ფორმის, ორფერდა ზედაპირიანი საფლავის ქვაა (საფ. ქვა №10). აქვე აღმოჩნდა ტუფის ქვის ბაზისი (საფ. ქვა №13ა). ოთხკუთხედი, სავარაუდოდ, ქვაჯვარის ჩასასმელად ამოჭრილი ოთხკუთხა ფოსოთი, რომელიც ბრტყელზედაპირიანი №13 საფლავის ქვის თავთან, დასავლეთ დაბოლოებაზე უნდა ყოფილიყო აღმართული. ასევე გამოვლინდა ერთი ნაქცეული, სტელისებრი საფლავის ქვა, აღმოსავლეთის ნახნაგზე, ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული რელიეფური ჯვრის გამოსახულებით. სულ, სამაროვანზე გაჭრილ თხრილში 18 სავარაუდო სამარხის საფლავის ქვებით მიწისზედა მოწყობა დაფიქსირდა (ექსპედიციამ თხრილში გამოვლენილი საფლავის ქვების აღებისა და აქ მოწყობილი მემორიალების ქვეშ, სავარაუდოდ, არსებული სამარხების გახსნისგან აღნიშნულ ეტაპზე თავი შეიკავა. გამომდინარე იქიდან, რომ საფლავის ქვების ამ ჯგუფს, გაგრძელება ტერასაზე სამხრეთის მიმართულებით კიდევ უნდა ჰქონდეს, სასურველია ერთიანი სურათის - ამ ჯგუფის სამარხების მიწისზედა მემორიალების უფრო სრულყოფილად გამოვლენამდე არ დაირღვეს სამაროვნის ამ ტერასის სახით არსებული ეს მეტად საინტერესო ლანდშაფტური სივრცე. მით უმეტეს, რომ ტრადიციულად, აქამდე არსებული, სხვადასხვა შუა საუკუნეების

ძეგლებიდან მომდინარე არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით უფრო მეტი რამ ვიცით განვითარებული შუა საუკუნეების მინის ქვეშ არსებულ სამარხ-სტრუქტურებზე, მიცვალებულების დაკრძალვის წესზე, სამარხეულ ინვენტარზე თუ სხვა, ვიდრე სამარხთა მინის ზედა მემორიალების იერსახის, მათი მონყოფის ტრადიციების შესახებ).

2020 წლის სეზონზე სამაროვანზე გაჭრილ თხრილში გამოვლენილი სტელისებრი საფლავის ქვები, ფორმითა და ზომებით, ნახნაგებზე ამოკვეთილი თაღოვანი ნიშებით, მსგავსებას ამჟღავნებს 1970-იან წლებში, ამავე სამაროვნის №5 თხრილში აღმოჩენილ სტელისებრ საფლავის ქვებთან. ეს საფლავის ქვები, მათზე არსებული ქართულწარწერიანი ეპიტაფიებისა და სამარხეული მასალის მიხედვით, XIII საუკუნის I ნახევრითაა დათარიღებული [ჯიმშერ ჩხვიმიანი, განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი საფლავის ქვები დმანისიდან, ჟურნალი კადმოსი, №7, (თბილისი: 2015), 35-105].

მიმდინარე სეზონზე, საპროექტო გეგმის გათვალისწინებით, კიდევ ერთი არქეოლოგიური თხრილი გაიჭრა ნაქალაქარის III არქეოლოგიურ უბანზე, ე.წ., „ბურჯიანი მეჩეთის“ სიახლოვეს (სურ. 5). ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილ ამ მეტად საინტერესო ნაგებობის ნაშთებს, ჯერ კიდევ 1937 წელს, ლევან მუსხელიშვილმა მიაქცია ყურადღება. ამავე პერიოდში, აქ მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა. ლევან მუსხელიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ნაგებობის ფუნქცია გაურკვეველი იყო, მისი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით XIV საუკუნით ათარიღებდა [ლევან მუსხელიშვილი, დმანისი - ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა (თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1938), 319 – 448]. ვახტანგ ჯაფარიძე, XX საუკუნის 80-იან წლებში აღნიშნულ ადგილას წარმოებული სატესტო გათხრების მიხედვით ამ ნაგებობის ნაშთებს XIII საუკუნის I ნახევრის შემდგომი ხანით განსაზღვრავდა, გამომდინარე 1986 წლისთვის მეჩეთის ქვედა დონეზე გამოვლენილი, მინის სახელოსნოს ფუნქციონირებისა და მოშლის დროიდან [Джапаридзе Вахтанг, Копалиани Джумбер, Вугиანიшвили Тамаз, Болквадзе Гиви, Гочиашვილი Мери, Мгელაძე Нугзар, Абрамишвили Родам, О работах Дманисской экспедиции, Полевые археологические исследования в 1986 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1991), 103]. ხელოვნებათმცოდნე ლევან რჩეულიშვილი ფიქრობდა, რომ, აღნიშნული მეჩეთი, შესაძლოა X-XI საუკუნეებში ყოფილიყო აგებული,

არაბ მმართველთა – თბილისელი ამირების გვერდითი შტოს მიერ ციხე-ქალაქ დმანისის ფლობის პერიოდში. თუმცა, ეს უკანასკნელი თარიღი, არქეოლოგიურ, ფაქტობრივად სამ სხვადასხვა არქეოლოგიურ სეზონზე წარმოებული სამუშაოების შედეგად მოპოვებული მონაცემების საფუძველზე მიღებულ დათარიღებასთან შესაბამისობაში არ არის. 2000-იან წლებში, ჩვენ მიერ განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოებისა და ძეგლის შესახებ, წლების განმავლობაში დაგროვილი არქეოლოგიური მონაცემების სრულად შეჯერების შედეგად, დმანისის ე.წ. “ბურჯიანი მეჩეთის“ აგების თარიღად XIII საუკუნის II ნახევარი და XIV საუკუნის I ნახევარი მივიჩნიეთ [ჯიმშერ ჩხვიმიანი, მეჩეთი დმანისის ნაქალაქარზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე II (თბილისი, 2011), 214-246].

კვლევითი პროექტის მიხედვით, ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთის“ კომპლექსში შემავალი ნაგებობების ნაშთების კვლევას, ამ ძეგლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. მსგავსი ტიპის არქეოლოგიური პროექტები, გარდა სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვებისა, საწინდარი და წინაპირობაა გამოვლენილ არქეოლოგიურ, არქიტექტურულ შენობა-ნაგებობებზე კონსერვაცია-რესტავრაციის განსახორციელებლად, ვიზიტორთათვის შესაბამისი სადამთავარიელებლო პირობების შესაქმნელად.


თხრილი № DM 20.03, ზომით 5X5 მეტრზე, გაიჭრა ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთის“ სამხრეთ-დასავლეთით (სურ. 5). ამ თხრილის გაჭრით, აქ მდებარე ერთ-ერთი ნაგებობის კიდევ ერთი სათავსი-ოთახიც ნაწილობრივ შევისწავლეთ (XV ნაგებობა, ოთახი C). ეს არის მეჩეთის დასავლეთიდან, მეჩეთის ნაგებობაზე ადრეული და მის ქვეშ მოქცეული ნაგებობის ნაშთები. გაჭრილი თხრილის საზღვრებში, გათხრების მაქსიმალურმა სიღრმემ მიწის ზედაპირიდან თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონემდე 1 მეტრი შეადგინა, ხოლო 1.5 მეტრი – თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. თხრილში გამოვლენილი ორმოს გათვალისწინებით, თხრილის მაქსიმალური სიღრმე 2.70 მეტრით განისაზღვრა. სულ თხრილში 14 არქეოლოგიური კონტექსტი დაფიქსირდა.

თხრილი № DM 20.04 დმანისის სიონის ჩრდილოეთით და, ე.წ., „კარიანი შენობის“ დასავლეთით გაიჭრა. არქეოლოგიური გათხრების წარმოების პროცესში, წარმოშობილი გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნული თხრილი გაფართოვდა და საბოლოოდ 8X10 მეტრი ფართობი მოიცვა (სურ. 6-7).


თხრილში გამოვლინდა, ე.წ., „კარიან შენობაზე“ დასავლეთის მხრიდან მიშენებული სათავსი/ოთახი. ეს სტრუქტურა-ნაგებობა, რომელსაც პირობითად „თახინი სათავსი“ ვუნოდეთ, დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე დამხრობილი მოგრძო მოყვანილობის ოთახია, რომლის შიდა ზომები 4.30X5.70 მეტრს შეადგენს. სათავსის კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვიშაქვისა და ბაზალტის სუსტად დამუშავებული ქვებით. კედლების წყობა მშრალია. თუმცა, შესაძლოა, კედლის ქვების რიგების შესაკავშირებლად ტალახიც ყოფილიყო გამოყენებული. ნაგებობის კედლების სისქე 0.80-1.00 მეტრს შორის მერყეობს. კედლების შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1.50 მეტრს აღწევს. გამოვლენილ სათავსში შესასვლელი ორი კარის ღიობი დაფიქსირდა. პირველი, „თახინი სათავსისა“ და ე.წ. „კარიანი შენობის“ გამყოფი, მათ შორის მოქცეული 7.50 მეტრი სიგრძისა და 1.80 მეტრი სიგანის კორიდორიდან შედის დასავლეთით, სათავსის შიდასივრცეში. აღმოსავლეთ კედელში გაჭრილი ამ კარის ღიობის სიგანე 1.00 მეტრია. სათავსს მეორე კარი დასავლეთის მხრიდან აქვს. ამ ადგილას მოწყობილი კარის ღიობის სიგანე 0.90 მეტრს შეადგენს. სათავსის ინტერიერში, ჩრდილოეთი კედლის შუა მონაკვეთზე, შემორჩენილია 1.40 მეტრი სიგანისა და 0.70 მეტრი სიღრმის ნიშის/თახჩის ნაშთი. თახჩიანი სათავსის იატაკი მიწის ზედაპირიდან 1.40 მეტრ სიღრმეზე (907.50 მ ზღვის დონიდან) გამოვლინდა (სურ. 7). აღნიშნული იატაკის დონიდან, სიღრმეში, 0.75 მეტრ დონეზე არსებული, უფრო ადრეული ხანის საცხოვრებელი იატაკის ზედაპირის ფრაგმენტიც დაფიქსირდა. ამავე საცხოვრებელ დონეს მიეკუთვნება იატაკის დონიდან სიღრმეში მოწყობილი თონეც.

სათავსში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის ფრაგმენტები, შინაური ცხოველების ძვლები. იატაკის დონეზე დადასტურებული კერამიკის ნიმუშებიდან, რამდენიმე გვიან შუა საუკუნეების დამახასიათებელი ჭურჭლის ფორმებს ავლენს. შესაბამისად, აღნიშნული სათავსი გვიან შუა საუკუნეებში, ადრეული ხანის, XI-XIII საუკუნეებით დათარიღებულ, ე.წ., კარიან შენობაზე დასავლეთიდან მიდგმული ნაგებობა უნდა იყოს.


არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი არტეფაქტების კომპლექსური კვლევა ამჟამადაც გრძელდება. მასალა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური ბაზის ლაბორატორიაში და მიმდინარეობს მისი რესტავრაცია და კვლევა.



სურ. 1. დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარი და სამაროვანი (გ. კოპალიანი, ვ. ჩხვიმიანი, ნ. რეზესიძე)



სურ. 2. დმანისის არქეოლოგიური ძეგლის რელიეფის სიმაღლის ციფრული მოდელი. გ. კოპალიანი, ვ. ჩხვიმიანი, ვ. მამიაშვილი (2020)




სურ. 3. დმანისის სამაროვანი. „შუა ხაჩკარის ტერასა“. თხრილი DM.20.02 (თხრილი XV). თხრილში გამოვლენილი სამარხების მინისზედა მემორიალური საფლავის ქვები. სიტუაციური გეგმა (გ. კოპალიანი)



სურ. 4. დმანისის სამაროვანი. „შუა ხაჩკარის ტერასა“. თხრილი DM.20.02 (თხრილი XV). თხრილში გამოვლენილი სამარხების მინისზედა მემორიალური საფლავის ქვები. ხედი დასავლეთით. აეროფოტო (ვ. მამიაშვილი)



სურ. 5. დმანისის ნაქალაქარი. III არქეოლოგიური უბანი, „ბურჯიანი მეჩეთის“ ნაშთები. თხრილი DM.20.03, ნაგებობა XV, ოთახი c. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით. აეროფოტო (ვ. მამიაშვილი)



სურ. 6. დმანისის ნაქალაქარი, შიდაციხე (არქ. უბანი IV), I არქეოლოგიური უბანი, დმანისის სიონი. წმ. მარინეს ეკლესია; სამრეკლო; I ნაგებობა („კარიანი შენობა“); „სათავსებიანი ნაგებობა“; „თახჩიანი სათავსი“ (თხრილი DM.20.04). გეგმა (გ. კოპალიანი)



სურ. 7. დმანისის ნაქალაქარი, I არქეოლოგიური უბანი, „თახჩიანი სათავსი“ (თხრილი DM.20.04). სამხრეთიდან ჩრდილოეთით. აეროფოტო (გ. მამიაშვილი)

*A short report on archaeological excavations
conducted at Dmanisi (Dmanisi Municipality,
Kvemo Kartli) in 2020*

Jimsher Chkhvimiani, juansher@live.com

Nana Rezesidze, rezesidzenana@gmail.com

Giorgi Kopaliani, kopala2014@gmail.com

Vazha Mamiashvili, vazhamamiashvili@yahoo.com

Giorgi Gogoladze, archaeologistgio@gmail.com

Khatuna Gaprindashvili, xatuna82@gmail.com

Shotha Urumashvili, shotauruma96@gmail.com

Gocha Kiladze gkiladze@gmail.com

Archaeological excavations in Dmanisi (Dmanisi Municipality, Kvemo Kartli) were carried out in June-July 2020 by a team of the Georgian National Museum. The project was funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia (grant number NAT200006831: “Investigation of Dmanisi Medieval Site”).

The medieval settlement at Dmanisi is a kind of ‘happy exception’. This is because its territory did not experience occupation after the medieval epoch; therefore, it can demonstrate a potentially perfect archaeological picture of medieval urban life. Archaeological excavations started at the site in the 1930s, and have been underway until now with occasional breaks.

The 2020 excavations sought to address general and specific research questions concerning the ethnic and religious composition of the population of the medieval city of Dmanisi. However, this report provides materials on the architectural peculiarities of household, religious, and memorial monuments characteristic to the different ethnic groups and religions of medieval Dmanisi.

The excavations focused on the settlement of medieval Dmanisi and on the city cemetery, where stone features, tombstones, archaeological materials were documented. Three trenches were excavated; two in the town settlement and one in the cemetery.

სვანეთში, ბაჩოს თემის ტერიტორიაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

ზვიად კვიციანი
zviad.kvitsiani@tsu.ge

2020 წელს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და არქეოლოგიის ინსტიტუტმა, არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტთა მონაწილეობით ჩაატარა სასწავლო-სამეცნიერო არქეოლოგიური ექსპედიცია სვანეთში (ხელმძღვ. ზ.კვიციანი).

საველე არქეოლოგიური სამუშაოები რამდენიმე ძეგლზე მიმდინარეობდა:

1) წმ.გიორგის სახელობის ხვალმის შუა საუკუნეების ეკლესია (ბეროს თემის სოფ. თეთნაში);

2) შუა საუკუნეების გვირაბი (ბეროს თემის სოფ. დოლი).

ამასთანავე, სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განახორციელა სვანეთის არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების ინვენტარიზაცია.

პირველად არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა ბეროს თემის სოფ. თეთნაშის აღმოსავლეთით მდებარე მთაზე არსებულ ხვალმის წმ. გიორგის სახელობის შუა საუკუნეების ნაეკლესიარზე. ობიექტი მესტიის მუნიციპალიტეტის ბეროს თემის, სოფ. თეთნაშის აღმოსავლეთით, მდ. ხელდურას მარცხენა სანაპიროზე მდებარე მთაზე, ნაძვნარ ტყეშია. აქ არქეოლოგიური სამუშაოები ჯერ კიდევ 2018 წელს დავიწყეთ და 2020 წელს დავამთავრეთ.

ეკლესია გაითხრა და გაინმინდა. გათხრების შედეგად გამოვლინდა შუა საუკუნეების ეკლესიის თლილი ქვით ნაგები საძირკველი. ეტაპობრივად, მეთოდოლოგიურად მოიხსნა ნაყარი ფენა 20-25 სმ. ტაძარი არის ძალიან მცირე ზომის (4.10სმX1.90სმ), ნაგებია თლილი კირქვით, გადამწვარია, სავარაუდოდ, შემოსევების შედეგად.

არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებამდე ტაძარი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო. ოთხკუთხა დარბაზული ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. ტაძრის მიმდებარე ტერიტორია დაფარული იყო ნაყარი მიწით, იგრძნობოდა ძლიერი ხანძრის კვალი, ვხვდებოდით ნახშირის ფრაგმენტებს, ნაცარს, ჩალენილ სახურავს, სახურავის მასალად გამოყენე-

ბულია ფიქალის ქვები, ეკლესია ნაგებია კირქვის ქვებისგან. ტაძრის დასავლეთ მხარეს კარგად არის შემორჩენილი კედელი, რომლის სიგანე = 3 მ, აღმოსავლეთ მხარეს კედლები მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია, ეკლესიის შიგნით, აღმოსავლეთ მხარეს მომრგვალებული საკურთხეველია. ეკლესიას სამხრეთით აქვს შესასვლელი. აქ მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი. დაფიქსირდა თიხის სამზარეულო ჭურჭლის ფრაგმენტები, ოქროს ფრაგმენტი, რომელიც, შესაძლოა ხატის ნაწილი იყოს. დაღრმავების შემდეგ, აღმოსავლეთ მხარეს, საკურთხეველთან 25 სმ-ზე აღმოჩნდა ბაჯალლო ოქროს ხატში ჩასასმელი ნამჭედური, მასზეც იგრძნობა ძლიერი ხანძრის კვალი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს დადასტურდა კერამიკული მასალა, კერძოდ, თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მიწის ზედაპირიდან 27 სმ-ზე. კერამიკულ მასალას ძლიერ ეტყობა ხანძრის კვალი, ყურის ფრაგმენტი მთლიანად არ არის შენარჩუნებული, აქვს გლუვი ზედაპირი, მოტეხილი ყურის სიგრძე 3 სმ-ია, ეტყობა სამეთუნეო ჩარხის კვალი, ასევე, იმავე ადგილას აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის მუცლის ფრაგმენტი, რომელიც ნახანძრალია (ტაძრის შემოგრანეში აღმოჩენილი კერამიკული მასალების მსგავსად), აქვს ორნამენტი, ჰორიზონტალურ ხაზად შემოუყვება ორი ერთმანეთის პარალელურად ამოღარული ხაზი, მუცლის ფრაგმენტის სიგანე 5 სმ-ია, სიგრძე – 6სმ.

კერამიკულ მასალასთან ერთად გამოვლინდა ოსტეოლოგიური მასალა. ვინაიდან, ტაძრის შემოგარენში იგრძნობა ხანძრის კვალი, ძვლები ხშირ შემთხვევაში დაზიანებულია.

ტაძრის პარამეტრები: ჩრდილოეთი კედლის სიგრძე – 4.35 მ, ჩრდილოეთი კედლის სიგანე – 3.00 მ, ჩრდილოეთი კედლის სისქე – 20 სმ, დასავლეთი კედლის სისქე – 60 სმ, შიდა კედლის – 35 სმ, დასავლეთი კედლის სიგანე – 3.00 მ, დასავლეთი კედლის ქვის სიგრძე – 30 სმ, დასავლეთი კედლის ქვის სისქე – 15 სმ, დასავლეთი კედლის ქვის სიგანე – 40 სმ, სამხრეთი კარის სიგრძე – 110 სმ, აღმოსავლეთი საკურთხეველის სიგრძე – 110 სმ, ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის გარეთა პერიმეტრი – 470 სმ, აღმოსავლეთი კედლის გარეთა პერიმეტრი – 350 სმ, დასავლეთი კედლის გარეთა პერიმეტრი – 360 სმ, აფსიდის სიგრძე – 175 სმ, აფსიდის სიგანე – 90 სმ, ეკლესიის შიდა პერიმეტრი – 295 სმ, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით მანძილი – 225 სმ. სამუშაოების იატაკის დონემდე დაყვანის შემდეგ, გასუფთავდა ტაძრის შემოგარენი, განხორციელდა პრეპარაცია და ფოტო ფიქსაცია.

გათხრების მეორე ობიექტი ბერძნული თემის სოფ. დოლის შუა საუკუნეების გვირაბია, რომელიც, სავარაუდოდ, კოშკ-სალოცავამდე

მიდის. არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებამდე გვირაბი ამოვსებული იყო ჩამორეცხილი მიწითა და ჩამოცვენილი ქვებით. გვირაბი უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან 20 მეტრში მდებარეობს, გალავნამდე მანძილი გვირაბიდან 4 მეტრია. აღნიშნული ლოკაცია კი – ცენტრალური გზიდან მარჯვნივ 40 მ-ით არის დაშორებული.

გასუფთავების შემდეგ დავინწყეთ მონაცრისფრო მძლავრი ფენის აღება, იმისთვის, რომ დავდაბლებულიყავით 2 მეტრზე, რათა გვირაბის იატაკის დონე და მის გარშემო არსებული ტერიტორია თანაბარი ყოფილიყო.

გვირაბში დადასტურდა ჩრდილო-აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით კედელი. კედლის სისქე 60 სმ-ია. გვირაბი, როგორც ჩანს, მძლავრი მასალისგანაა ნაგები, რაც მთავარია, გვირაბში შესვლისთანავე იგრძნობა ნაგებობის შემსრულებლის ოსტატობა. გარედან გვირაბის ჩრდილოეთი მხარე მიწისგან ჩამოშლილია, მთავარი შესავლელი კი ჩახერგილია ზემოთ აღნიშნული კედლის ნაშთებით. გვირაბში შეხედვა შესაძლებელი იყო მხოლოდ პატარა ფულუროთი. ქვებისგან გასუფთავების შემდეგ სრულიად გათავისუფლდა გვირაბში შესავლელი გზა. შესასვლელიდან 4 მეტრზე გზა იყო ჩახერგილი ჩამონგრეული ქვებით. გასაოცარია ის, რომ ამდენი წლის განმავლობაში გვირაბში არც კედელი, არც სახურავი არ არის ჩამონგრეული. მან საუკუნეებს გაუძლო. აღნიშვნის ღირსია ის, რომ გვირაბიდან 2 მეტრში არის საცხოვრებლებისკენ მიმავალი საავტომობილო გზა, რომელმაც, ასევე ვერაფერი ავნო უდიდესი სინატიფით აშენებულ გვირაბს.

პირველი ქვიდან მანძილი ჩახერგილ გზამდე გახლავთ – 2.50 სმ, ჩახერგილი გზის ბოლო ქვიდან გვირაბის გასასვლელამდე – 4.30 სმ, კედლიდან კედლამდე – 80 სმ. გვირაბში არსებული ნაყარი მიწის მოშორების შემდეგ, გამოჩნდა ქვაყრილი. ნაყარი მიწიდან გვირაბის თავამდე მანძილი 2 მ-ია. ვინაიდან, გვირაბში გამავალი გზა იყო ჩახერგილი, მოითხოვდა მძიმე და სარისკო სამუშაოებს, მისი გასუფთავება გადაიდო მომავალი წლისთვის. გვირაბი ამოივსო ჩამოცვენილი ქვებით, რათა ბუნებრივი კატაკლიზმების დროს არ დაზიანდეს და განხორციელდა მისი კონსერვაცია. ჩვენი მიზანია დავადგინოთ სადამდე გრძელდება ეს გვირაბი? შესაძლოა, ის ერთ-ერთი საინტერესო ტურისტული ობიექტიც გახდეს.

რაც შეეხება არტეფაქტებს, მათი დიდი ნაწილი უნიკალურია არა მარტო სვანეთის, არამედ, ზოგადად საქართველოს არქეოლოგიური სინამდვილისთვის.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5

A short report on archaeological excavations on the territory of Becho community, Svaneti, 2020

Zviad Kvitsiani
zviad.kvitsiani@tsu.ge

In 2020 field archeological works were carried out on two sites of Becho community:

- 1) A medieval church of St. George in Khvamli (in the village of Tetna, Becho community);
- 2) A medieval tunnel (Becho community, Village Doli).

The field work in village Tetna revealed the foundation of a medieval church., which is very small (4.10 cm X 1.90 cm), built of hewn limestone, and burned, probably as a result of invasions.

The second site where the archeological works were carried out is the medieval tunnel in the village of Doli (Becho community), which possibly leads to the tower-shrine. Prior to the excavations, the tunnel was filled with washed-down soil and fallen stones. The north-east and south-east wall was evidenced in the tunnel. At the end of the season the tunnel was filled with fallen stones.

ხვამლის მთაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

დავით სულხანიშვილი

david.sulkhani@gmail.com

კობა კობერიძე

თამარ ლეჟავა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტში, ხვამლის მთაზე. საანგარიშო წელს ხვამლის არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა სამ უბანზე: კარიბჭესა და მის მიმდებარე გალავნზე; წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მდებარე ორი სათავსის განმენდა-გასუფთავებასა და წინა წელს დაწყებული მარნის ტერიტორიის შესწავლის დასრულებაზე.

პირველ უბანზე გაინმინდა კარიბჭე და გალავნის მონაკვეთი, რომლის სიგრძე 45 მ, ხოლო სიგანე 10 მ-ია. ტერიტორია მთლიანად ბუჩქნარით იყო დაფარული. ჰუმუსის მოხსნის შემდეგ გათავისუფლდა ნაყარი ქვებისგან. განმენდის შედეგად გამოჩნდა კარიბჭის კედლები. შესასვლელი ღიობის სიგანე 2.6 მ-ია (სურ. 1). კედლებს შორის ჩადგმული ყოფილა ქვის ნირთხლები. In situ დადასტურდა მხოლოდ ზღურბლი, რომელშიც საძეღე ფოსოებია ამოკვეთილი. ნირთხლები და არქიტრავის ქვა გადმოვარდნილია აღმოსავლეთ მხარეს. მათი სიმაღლე 1.5 მ-ია, ხოლო სისქე 0.4 მ. არქიტრავი ერთი მთლიანი მასიური ქვისგანაა გამოკვეთილი, რომლის სიგრძეც 2.1 მ-ია. მასზეც ამოკვეთილია საძეღე ფოსოები (სურ. 1). აღსანიშნავია, რომ კარიბჭის თავდაპირველი სახით აღდგენისთვის საჭირო ყველა არქიტექტურული დეტალი ადგილზეა, გვაქვს მისი აღდგენის პროექტი, რომლის რეალიზება გაცილებით დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მნახველებზე.

კარიბჭის გავლით, გალავნით შემოზღუდულ ტერიტორიაზე შედის ორი მხრიდან კედლებით შემოზღუდული გზა. აღნიშნული გზის სამხრეთის კედელი გაინმინდა 10 მ სიგრძეზე. იგი ნაგებია ფლეთილი ქვისგან, მშრალი წყობით. კედლის სიგანე 1 მ-ია. შერჩენილი სიმაღლე 0.3-0.6 მ და მიუყვება კლდის რელიეფს აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. ჩრდილოეთი კედლის განმენდა შევძელით მხოლოდ 1 მ სიგრძეზე.

გალავანი ნაგებია შემზადებაზე, რომელიც კარიბჭის იატაკის მსგავსად, თიხისა და დაფხვნილი კირქვის მასის ნარევია, აღნიშნული მასა ასევე გამოყენებულია ქვებს შორის შემავსებლად. გალავნის შერჩენილი სიმაღლე

0.6 მ-დან - 1 მ-მდე მერყეობს. სისქე 1.2 მ-ია. კედელს ორივე მხრიდან პერანგი აქვს შერჩენილი და მათ შორის სივრცე ამოვსებულია კირქვის მცირე ზომის ნატეხი ქვით და თიხაში არეული დაფხვნილი კირქვისავე მასით (სურ. 2).



სურ. 1




სურ. 2

მეორე უბანზე, ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, 10 მ-ის მოშორებით გაიწმინდა ტერიტორია (20მX15მ). განმენდის შედეგად გამოჩნდა კლდეში ჩაჭრილი, ნახევრად დამუშავებული ქვის მშრალი წყობით ნაგები, არასწორი ფორმის ორი სათავსი, რომლებიც სავსე იყო ნაშალი ქვით (სურ. 3).



სურ. 3



სურ. 4

№1 სათავსოს იატაკი შერჩენილი კედლებიდან 1.8- 2 მ-ის სიღრმეზე დადასტურდა. იატაკი თიხატკეპნილი უნდა ყოფილიყო. მისი გადარჩენილი ნაწილი ნაგებობის ჩრდილოეთ კედელთან დაფიქსირდა. ჩრდილოეთ კედლის ორივე კუთხეში გაიწმინდა კერამიკის ფრაგმენტები, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში

ჩალენილი იყო ქვევრი. სათავსოში დადასტურებული კერამიკული ჭურჭლის ნატეხები ძირითადად მონითალო-მოყავისფროდ არის გამომწვარი. კეცი განლექილია კარგად, ან საშუალოდ. ზოგიერთ მათგანზე, დასტურდება რელიეფური ე.წ. თოკის ორნამენტი. ფრაგმენტების ზედაპირზე გვხვდება სუსტად გამოკვეთილი წრიული ხაზები. გამოვლენილი კერამიკა განვითარებულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება, კერძოდ XI-XIII სს-ით თარიღდება (სურ. 6).



სურ. 5

№2 სათავსოს ბოლომდე განმენდა დროისა და სახსრების სიმცირის გამო ვერ მოხერხდა, ჯერჯერობით შეიძლება იმის თქმა, რომ იგი იმეორებს №1 სათავსოს კედლების წყობასა და სისქეს. ხოლო იატაკი №2 სათავსოთან შედარებით 1 მეტრით მაღლაა და ისიც თიხატკეპნილია (სურ. 4).

მიმდინარე წელს გაგრძელდა მუშაობა გასულ სეზონში დაუსრულებელი მარნის შესწავლაზე, რომლის ფართობი 56 კვ. მ-ია. ოთხივე კედელი ბოლომდე გასუფთავდა მიწისა და ჰუმუსის საფარისგან. კედლები ნაგებია კლდის ფლეთილი და ნახევრად დამუშავებული ქვით. სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები მიდგმულია შენობისთვის



სურ. 6

სპეციალურად ჩაჭრილ კლდეზე და ამოშენებულია ცალპირად, მათ შორის სიცარიელე კი კლდის ნატეხი ქვით არის შევსებული. კედლები მშრალი ნყოფითაა ნაგები. იატაკი თიხატყეპნილია, რომელიც გამართულია კლდოვან დედაქანზე. ჩრდილოეთი კედლის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში დატანილია შესასვლელი, რომლის ღიობის სიგრძე 1.4 მ-ია (სურ. 5).

ნაგებობის მთელ პერიმეტრზე დადასტურდა კერამიკული ჭურჭლის 6 ბუდობა, რომელთა ნაწილი სამეურნეო-სამზარეულო დანიშნულებისაა, დიდი ნაწილი ქვევრებია. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ძირითადად მონითალო-მოყავისფროდ არის გამომწვარი. კეცი განლექილია კარგად, საშუალოდ ან ცუდად. ქვევრის პირებზე დასმულია ძირითადად რომბული ბადე, იშვიათია ირიბი ხაზები, ზოგიერთ მათგანზე, მხრის არეში დასტურდება რელიეფური ე.წ. თოკის ორნამენტი. მარანში გამოვლენილი კერამიკა იდენტურია მეორე უბანზე დადასტურებული კერამიკის და XI-XIII სს-ით თარიღდება.

მუშაობის დასრულების შემდეგ ნაგებობის იატაკი დაკონსერვდა.

არქეოლოგიური სამუშაოების დროს აღმოჩენილი არტეფაქტები დაბინავდა ცაგერის ისტორიულ მუზეუმში.

მიუხედავად საკმაოდ მოცულობითი და ნაყოფიერი სამუშაოებისა, ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა, ბუნებრივია, ბოლომდე ვერ დასრულდა მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე. საჭიროდ მივიჩნევთ, გაგრძელდეს შემდგომი არქეოლოგიური კვლევა ხვამლის მთის წმ. გიორგის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც აუცილებელია აღნიშნული ადგილის, როგორც სამეცნიერო, ისე ტურისტული თვალსაზრისით წარმოსაჩენად.

A short report on archaeological excavations conducted in Khvamli in 2020

Davit Sulkhani
david.sulkhani@gmail.com

Koba Koberidze

Tamar Lejava

The project area is set on Khvamli Mountain in Tsageri Municipality. Khvamli archaeological expedition carried out work on three locations during the current season: I- gate and fortification wall; II- two dwellings situated north-west of St. George Church; III-wine cellar. Excavations started in 2019, and resumed in 2020.

The gate and part of the fortification wall were explored on the first location by means of the trench measuring 45 x 10m. The territory was completely covered with ground and vegetation. A thick humus layer was removed from above the archaeological objects; the area was cleaned from rubbles that were gathered separately for future conservation works. Parallel walls of the gate were discovered during the excavations. Width of the entrance is 2.6 metres. Massive stone jambs were imbedded between the walls of the gate. Only the doorstep was attested in situ in which holes for accommodating posts had been cut. Stone jambs and an architrave stone were scattered east of the gate. Dimensions of the jambs: height- 1.5 m; thickness- 0.4 m. The architrave is cut out of a massive stone which is 2.1 metres long. Two holes for fitting posts in are cut in the architrave. It should be mentioned that all the architectural details have survived and it is possible to reconstruct the whole gate. We have planned an appropriate project for it, and in case it is accomplished, the project will have an unforgettable impression on visitors.

The road which is bounded by walls goes through the gate into the territory enclosed by the fortification walls. A 10-metre-long section of the southern wall was cleaned. The wall is built with dry masonry of partly treated stones. Thickness of the wall is one metre. The remaining height is 0.3- 0.6 m. The wall follows the relief of the cliff relief and is oriented east to the west. The north wall of the road has not been cleaned completely from the rubble and ground. Only a small part of the wall (1 metre) was cleaned.

The fortification wall is built on the paving which is made with the mixture of clay and powdered limestone. The same technique was used for paving the floor of the gate. The mixture of clay and powdered limestone is used to fill gaps between the stones of the wall. The remaining height of the fortification wall is 0.6-1 metre, thickness- 1.2 m. The wall faces have survived on the both sides and the space between them (the core of the wall) is filled with the mass made with the mixture of clay and powdered limestone

and small-size limestones.

An area of 20 m×15 m was cleaned on the second location of the project area.

It is situated at ten meters north-west of the church. The excavations revealed two dwellings. They are cut into the cliff. The walls of the dwellings are built with half-treated stones, with dry masonry. They have irregular forms in the plan. Before the excavations, the dwellings had been completely covered with debris and vegetation.

A rammed earth floor of dwelling № 1 was evidenced at a depth of 1.8-2 m from the surface of the remaining walls. Pieces of the floor were discovered near the north wall of the dwelling. Ceramic sherds were revealed in both corners of the northern wall. There was a smashed pithos was found in the north-east corner. Fragments of the pottery discovered in the dwelling are fired in reddish or brownish colours. Fabric of the vessels is well levigated, but sometimes the levigation is not sufficient. The sherds are decorated with various geometrical ornaments: relief bands, incised circles, etc. Ceramic vessels date to the High Medieval Ages- the 11th -13th centuries.

Due to the insufficient finances and time, we were not able to finish cleaning of dwelling № 2 completely. At this point it can be stated, that dwelling № 2 is similar to dwelling № 1. Building technique and thickness of their walls are the same. The level of the rammed earth floor of dwelling № 1 is arranged one metre higher than that of dwelling № 2.

Excavations also took place in the wine cellar in the current season. The cellar occupies an area of 56 square metres. All four walls of the wine cellar were cleaned from debris and soil. The walls are built with half-treated rocks without mortar. Southern and eastern walls, which are built in one row, are imbedded in the cliff specially carved out for the dwelling. The space between the cliff and the walls are filled with small rocks. The floor of the cellar is made with rammed earth, which is laid over the bedrock. The entrance is arranged in the western part of the north wall. Width of the entrance is 1,4 metres.

Sherds of agricultural ceramic ware, kitchenware and tableware were discovered on the whole perimeter of the wine cellar. Six groups of ceramic vessels can be separated. Most of the sherds belong to pithoi. The sherds are fired in brownish and reddish colours. The fabric of the ceramic vessels is either well-levigated, semi- levigated or non- levigated. Rims of the pithoi are frequently ornamented with incised rhomboid patterns, incised and slanting lines, the relief, so-called ‘rope’ ornaments rendered on the shoulders of the pithoi. The fragments of pottery discovered in the wine cellar are identical to those discovered in the 2nd location and date to the 11th-13th centuries.

The floor of the wine cellar was conserved after the archaeological excavations.


The artifacts discovered during the excavations are kept in the Tsageri Museum of History.

სოფ. ყვიბისში, „ბარაზის საყდარო“ 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოხლე ანგარიში

გიორგი ლაღიაშვილი
lagiashvili-g@mail.ru
 გიორგი მწყერაძე
giorgi.mtskeradze@gmail.com

საკვლევე ეკლესია მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყვიბისიდან 3 კმ-ში, აღმოსავლეთით, ტყეში, სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობის ტერასაზე (GPS 371464.61 N 4635759.17).

სამუშაოების დაწყებამდე, ტაძარი დარბაზული ეკლესიის შთაბეჭდილებას ახდენდა. თუმცა, არქეოლოგიურმა გათხრებმა საშუალება მოგვცა სრულად წარმოგვეჩინა ტაძრის ხუროთმოძღვრული გეგმა და მისი სამშენებლო ფენების სტრუქტურა (სურ. 1). გეგმა წარმოდგენილია ცენტრალური ეკლესიისა და სამხრეთი (ჩრდილოეთი, დასავლეთი, სამხრეთი) გარსშემოსავლელისაგან. ცენტრალურ ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან. მათგან, სრული სახით ჩრდილოეთის კარია შენარჩუნებული (დანარჩენი შესასვლელები, კედლების შემორჩენილი სიმაღლის შესაბამისად 0,5-0,7 მ-მდეა შენარჩუნებული), რომლის ფუნქციაც, ჩრდილოეთის გარსშემოსავლელთან დაკავშირება იყო. დანარჩენი ორი (დასავლეთისა და სამხრეთის) გასასვლელით ის გარსშემოსავლელის შესაბამის ნაწილებს უკავშირდებოდა, რომელთაც თავის მხრივ მთავარი ეკლესიის შესასვლელების მოპირდაპირე მხარეს, ასევე დატანილი აქვთ ეზოში გამავალი გასასვლელები. ეკლესიის იატაკი კირხსნარით ყოფილა მოლესილი.



სურ. 1

ტაძრის სამხრეთის მინაშენის განმნდითი სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლინდა სარკოფაგი (სურ. 2), რომელიც მდებარეობს სამხრეთის ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში. დამხრობილია აღმოსავლეთი-დასავლეთის ღერძზე. სარკოფაგის სახურავი, ეკლესიის იატაკის დონიდან 0,1 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა. სარკოფაგი მთლიან ბაზალტის ქვაშია ამოკვეთილი, ასევე ბაზალტის ორფერდა სარქველით. სარკოფაგის გარე ზომებია: 2,09×0,65×0,42 მ სიმაღლე ძირიდან სარქველის კეხამდე – 0,75 მ. სარკოფაგის სარქველის აღმოსავლეთ სიბრტყეზე გამოსახულია ჩაღრმავებული რელიეფის (ე. წ. კოილანოგლიფი) მქონე ტოლმკლავიანი ჯვარი. ხოლო დასავლეთის სიბრტყეზე ამოზურცული რელიეფის სახით ასევე ტოლმკლავა ჯვარია გამოკვეთილი. სარქველს ოთხივე კუთხეში ამოღებული აქვს თოკის გასაყრელი ხვრელები.



სურ. 2



სურ. 3

სარკოფაგში ესვენა ერთი ინდივიდი, უინვენტაროდ, გულაღმა ქრისტიანულ პოზაში. ინდივიდის სიმაღლე 174 სმ-ია.

სარკოფაგი გაიხსნა მოხდა ანთროპოლოგისა და პალინოლოგის თანდასწრებით. სპეციალისტებმა აიღეს საანალიზო ნიმუშები.

„მცირე ეკლესია“ მიდგმულია „ბერების საყდრის“ ჩრდილოეთ გარსშემოსავლელის აღმოსავლეთის ფასადზე (სურ. 3). ის არის დასავლეთით ნართექსის მქონე დარბაზულ ეკლესია. ნართექსი, როგორც ჩანს, სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან გახსნილი ყოფილა თაღებით – ჩრდილოეთის კედელში ინტერიერის მხარეს, ზეძირკველის დონიდან 1,3 მ-ის სიმაღლეზე ჩაშენებულია შირიმის კაპიტელი. როგორც ჩანს, აღნიშნულ

სივრცეში გადადიოდა თალი ჩრდილოეთი-სამხრეთის ღერძზე. კაპიტელის ზემოთ შემორჩენილია ქვის წყობა, რომელიც თალის დასაწყისია.



სურ. 5

თავად ეკლესია, გეგმით დარბაზულია (გარე ზომები: 7,6×4,6 მ შიდა ზომები: 6×2,89 მ.). კედლები შემორჩენილია 0,7-1 მ-ის სიმაღლემდე. ნაგებია დიდრონი, კლდის ნატეხი ქვებით. შირიმის თლილი კვადრები გამოყენებულია საკურთხევლის ნაწილსა და კუთხეებში.

მცირე ეკლესიაზე განმენდითი სამუშაოებისას გამოვლინდა კრიპტა (სურ. 4), რომელიც ეკლესიის ქვეშ, მის მთელ სივრცეზეა მოწყობილი. კრიპტა მართკუთხა გეგმისაა, შესასვლელით დასავლეთის მხრიდან – ეკლესიის ნართექსიდან ექვსსაფეხურიანი კიბე ეშვება და ვიწრო (სიგანე 0,7 მ სიგრძე 1,7 მ) დრომოსის საშუალებით შედის კრიპტაში. კიბის ჩასასვლელი ფილაქვებით იყო გადახურული. კრიპტა მართკუთხა გეგმისაა, გვერდით კედლებზე დაყრდნობილი, წრიული კამაროვანი გადახურვით. ინტერიერში გრძივი (ჩრდილოეთისა და სამხრეთის) კედლების გაყოლებით, მიწატკეპნილი ფსკერიდან 1,20 მ სიმაღლეზე, ფიქალის თაროები აქვს, რომელიც დამაგრებულია კედლებში დატანილ ქვის შვერილებზე. კრიპტას ცენტრალურ ნაწილში, მისი დასავლეთის შესასვლელის ზღურბლიდან აღმოსავლეთ კედლამდე, თაროების დონეზე მოწყობილია ასევე ფიქალის ფილებით შედგენილი სავალი ბილიკი, რომელიც კრიპტას ფსკერში ჩასმულ ქვის სვეტებს ეყრდნობა.

გახსნის მომენტისთვის, კრიპტის ინტერიერი ფსკერიდან 1 მ-ის სიმაღლემდე ადამიანის ძვლების არეული კონგლომერატით იყო ამოვსებული. თავის ქალებისა და ნეშტის სხვა ნაწილები ელაგა ასევე თაროებზე. ისინი ძირითადად დარღვეულ მდგომარეობაში იყო განლაგებული, გარდა სამი ინდივიდისა, რომლებიც ანთროპოლოგმა ლაბორატორიულ სამუშაოებზე გაგზავნა.

აკლდამის ამონმენდისას, ძვლების კონგლომერატში აღმოჩნდა კერამიკა (მოუჭიქავი ჯამები), რკინის აბზინდა, ჯაჭვის ნაწილები და ორპირლესული დანა.



სურ. 5

ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის მხარეს, გათხრების მიმდინარეობისას, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,40,-1,50 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა სამაროვანი (სურ. 5), რომელიც შედგებოდა დაზიანებული და დაუზიანებელი ქვასამარხებისაგან. სამარხთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 15 ერთეულს შეადგენდა. ამათგან მოხერხდა მხოლოდ 7 სამარხის არქეოლოგიური გათხრადოკუმენტირება.

დანარჩენი სამარხები დარღვეული იყო, ინდივიდების ძვლოვანი ნაშთები კი არეული. ასევე აღსანიშნავია ძვლოვანი მასალის ცუდი დაცულობა ნიადაგის ტენიანობის გამო.

ორ სამარხში (№5; №6) in situ დადასტურდა თითო ინდივიდი, ქრისტიანულ პოზაში. სამარხთა უდიდესი ნაწილი ნაგებია კლდის ნატეხი ქვის ფილებისგან. ყველა სამარხი დამხრობილია დასავლეთი-აღმოსავლეთის ღერძზე.

როგორც ჩანს, სამაროვანი განეკუთვნება განვითარებულ შუა საუკუნეებს. ამის არქეოლოგიური მოწმობაა ის, რომ სამარხების დონეზე, ნაშალ ფენაში გაბნეული იყო აღნიშნული პერიოდის კერამიკის ფრაგმენტები. ამავსე მიუთითებს აქ 6 სამარხში, მიცვალებულის თავთან მოპოვებული მონეტაც .

არქეოლოგიური კვლევის შედეგად ძეგლის სტრატეგრაფია შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1. ცენტრალური ეკლესიის მშენებლობა – X ს.

2. სამხრეთი გარსშემოსავლისა და მცირე „კრიპტა-ეკლესიის“ მშენებლობა – X ს.

3. ჩრდილოეთისა და სამხრეთის გარსშემოსავლების გადატიხვრა – არაუგვიანეს XIII - ს.

4. სამხრეთის გარსშემოსავლის გაუქმება და შესაბამისი შესასვლელების ამოქოლვა – XIII - დან – XVI საუკუნემდე ინტერვალში.

5. ტაძრის ნგრევა და სამონასტრო ცხოვრების მოშლა – XVI-XVII სს.

6. უკვე დანგრეული ცენტრალური ეკლესიის ინტერიერის ნაწილობრივ განმენდა და საკურთხევლის ამაღლება – XIX ს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზით დგინდება, რომ მონასტერი მოქმედია X საუკუნიდან XVI-XVII საუკუნეებამდე.

გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დაცულია ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

A short report on archaeological excavations conducted in Kvibisi, in 2020

*Giorgi Laghiashvili
laghiashvili-g@mail.ru
Giorgi Mtskeradze
giorgi.mtskeradze@gmail.com*

The church to be surveyed is located in the forest in Borjomi Municipality, 3 km east of the village of Kvibisi, on the sloped terrace of the southern exposure (GPS coordinates: E 371464.61 N 4635759.17). According to the results of archeological research, the stratigraphy of the site is as follows: the central church was built in the 10th century; a small ‘crypt-church’ is contemporaneous with the former. Analysis of the information obtained as a result of archeological excavations shows that the monastery operated from the tenth century to the 16th -17th centuries. A sarcophagus was discovered during the cleaning works south of the temple. The sarcophagus is carved out of a whole basalt stone. Excavations on the eastern facade of the church revealed a cemetery at a depth of 1.40 -1.50 m from the modern ground surface. The cemetery belongs to the High Middle Ages. The discovered archeological material is kept in the Borjomi Museum of Local Lore.

მცხეთაში, სამთავროს ველსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

ნიკოლოზ მაისურაშვილი
n.maisurashvili@yahoo.com

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. მცხეთაში, სამთავროს ველზე, საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე (სურ. 1)



სურ. 1

და მოიცავს 2,1 ჰა-ს. არქეოლოგიური ობიექტების ინტენსივობის, რაობისა და მათი სტრატეგრაფიის დასადგენად, საპროექტო ტერიტორიაზე გაიჭრა 44 სხვადასხვა ზომის (10X6 მ, 10X3 მ, 12X3 მ, 8X5 მ, 6X5 მ, 7X4 მ და სხვ.) საცდელ-საძიებო თხრილი, სადაც სულ გამოვლინდა 115 სამარხი. სამარხები უმეტესად ჩაჭრილია ქვა-ლორლიან კონგლომერატში. დასტურდება სამ სართულად (ფენად) განლაგებული სამარხები (ქვაყუთები და ორმოსამარხები) და ოთხი სამშენებლო ჰორიზონტი (გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის, ანტიკური, ადრე შუა საუკუნეების და შუა საუკუნეების პერიოდის).

აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი კორპუსების ეზოებში, კერძო მესაკუთრეების ბაღებთან და ავტოფარეხებთან ახლოს, ვიზუალურად დასტურდება ერთმანეთის მიყოლებით გამართული ქვაყუთები (სურ. 2).



სურ. 2

თხრილებში წარმოდგენილი სამარხები ძირითადად ადრე შუა საუკუნეებით თარიღდება (ქ.შ. IV-VIII სს) (სურ. 3-5), თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქვაყუთებს ჩაჭრილი და ძლიერ დაზიანებული აქვს უფრო ადრეული პერიოდის ფენები. კერძოდ, ჩვენ მიერ დადასტურებულ შემთხვევებში ანტიკური და გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის პერიოდის: ნაცროვან-ნახშიროვანი, ბათქაშოვანი, ალიზის შემცველი ფენები. ქვაყუთებს ასევე დანგრეული აქვს ანტიკური ხანის ორმოსამარხებიც, რაზეც მიუთითებს

თხრილებში, ნაშალ კულტურულ ფენებში დადასტურებული, ანტიკური ხანის სამარხებისთვის დამახასიათებელი ინვენტარი: ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები, მინის სანელსაცხებლისა (თხრილი № 10) და კერამიკის ნატეხები.

ძალიან მნიშვნელოვანია №22 და №23 თხრილებში დადასტურებული ალიზის აგურებით ნაგები კედლების ნაშთები, რომლებიც ერთ სამშენებლო დონეს უნდა მიეკუთვნებოდეს. კედლები გამოვლინდა მინის თანამედროვე ზედაპირიდან 0,7- 1 მ სიღრმეებზე, ნახანძრალ ფენაში, რის გამოც ალიზის აგურები გამომწვარია ცეცხლისგან. კედლებთან ახლოს ინმინდება ასევე ნახშირისფრაგმენტებიდანაცროვანიფენა.როგორცჩანს,ალიზისაგურებით ნაშენი ნაგებობა (ან ნაგებობები) ხანძრის შედეგად არის განადგურებული. აღნიშნულ, ალიზის კედლის ნაშთთან, № 22 თხრილში აღმოჩნდა დიდი ზომის, ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტი, რომელიც, სავარაუდოდ, ნაგებობის გადახურვიდან უნდა იყოს ჩამოვარდნილი (სურ. 6). როგორც ჩანს, აღნიშნული სამშენებლო ფენის ნაგებობები, კრამიტით უნდა ყოფილიყო გადახურული, რაც ნაგებობების საზოგადოებრივ დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს. ფენაში დადასტურებული კრამიტის მიხედვით, ალიზის აგურებით ნაშენი ნაგებობები. გვიანანტიკური ხანით უნდა დათარიღდეს. აღნიშნული სამშენებლო დონე ძლიერ დაზიანებულია მოგვიანო ხანაში გამართული ქვაყუთების მიერ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს №20 და №23 თხრილებში დადასტურებული კონუსურშვერილიანი თიხის ფილის ფრაგმენტები და ასეთივე ფილის კონუსური შვერილი (სურ. 7), რომლებიც, სავარაუდოდ, რომაული ტიპის აბანოს საშენი მასალა უნდა იყოს. აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, გასულ საუკუნეში ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების დროს, გამოვლენილია ასეთივე კონუსურშვერილიანი თიხის ფილის ფრაგმენტები.

ყოველივე ზემოთქმული თვალნათლივ ცხადყოფს, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებობდა საკმაოდ მძლავრი საზოგადოებრივი დანიშნულების ანტიკური ხანის ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც, როგორც ჩანს, განადგურდა მოგვიანო ხანაში წარმოებული სამშენებლო სამუშაოების დროს.

ჩვენ შევისწავლეთ სამი სამარხი: ორი ქვაყუთი და ერთი შედგენილი – კარგად გათლილი ქვის კვადრებითა და მოგრძო, ოთხკუთხა ფორმის ნათალი ქვებით ამოშენებული (სურ. 8), რომელიც გადახურულია ქვიშაქვის ფილებით. სამივე სამარხი გაძარცვულია, რის გამოც, მათში დადასტურებული ძვლები ძლიერ არეულია.

ძარცვის მიუხედავად, № 2 და № 3 სამარხებში დადასტურდა ინვენტარი: რკინის ორი საკინძის ფრაგმენტები, რკინის მშვილდსაკინძის ფრაგმენტი და მინის სანელსაცხებლის ფრაგმენტები. ინვენტარი, პარალელების საფუძველზე (ტუიაქოჩორას სამაროვანი; მცხეთის გორა; ფიქრისგორა; სამთავრო), აღნიშნულ სამარხებს ადრე-შუა საუკუნეებით ათარიღებს.


არქეოლოგიური სამუშაოების დროს აღმოჩენილი არტეფაქტები დაბინავდა დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში.



სურ. 3



სურ. 5



სურ. 4



სურ. 7



სურ. 6



სურ. 8

A short report of archaeological excavations in the Samtavro valley and adjacent territories in Mtskheta in 2020

*Nikoloz Maisurashvili
n.maisurashvili@yahoo.com*

The project area is located in the Samtavro Valley, in Mtskheta, on the territory adjacent to the modern buildings and entirely comprises an area of 2.1 hectares. 44 trenches of various dimensions (10×6 m; 10×3 m; 12×3 m; 8×5 m; 6×5 m; 7×4 m; etc.) were excavated on the project area to explore the stratigraphy, character and intensity of archaeological objects. 115 graves were discovered in the trenches, which were cut in stony soil. Graves (cists and pit graves) of different periods and four layered building horizons (dating to the Late Bronze-Early Iron Ages; Classical; Early Medieval and High Medieval) were discovered here.

Most of the stone graves, discovered in the trenches, date to the Early Medieval period (4th-8th centuries AD.), but there are frequent occasions when earlier cultural layers were disturbed or destroyed by the cists. For instance: Late Bronze-Early Iron Age cultural layers were disturbed by the Early Medieval graves. Cultural layers of this period contain fragments of mud-bricks, plasters, charcoals, etc. Classical period pit graves were also destroyed by the building process carried out in medieval times; fragments of bronze artefacts, fragment of a glass vessel (trench # 10) and sherds are proof of it.

Remains of mud-brick walls, discovered in trenches N22 and N23, are very important. They could belong to the same building horizon. Remains of the walls were discovered at a depth of 0.7-1 m from the modern ground surface, in the burnt cultural layer, which is why the mud-bricks have traces of fire. Fragments of charcoals and ashes were revealed near the mud-bricks. Apparently, the building (or buildings), which were built with mud-bricks, had been destroyed by fire. Fragments of flat tiles were discovered on the remains of the mud-bricks, in the trench # 22, which presumably fell from the ceiling of the structure. As it seems, the buildings that belong to this cultural layer had tiled roofs, which means that these buildings were public facilities. Remains of mud-bricks are dated to the Late Classical period (1st-3rd cent. AD.) based on the flat tile. The building horizon which contains remains of mud-bricks were disturbed by cists of a later period.

Fragments of ceramic tiles with a conical projection were discovered in trenches N 20 and N 23. They must have been used as building materials for a Roman period bath. These artefacts prove that a Roman-type bath might be found on the adjacent territories. It should be mentioned that fragments of similar ceramic tiles with conical projection were discovered during earlier archaeological excavations conducted in the 20th century.

All the above-mentioned facts confirm that a powerful Classical-period public complex, or, probably, a residence of nobles existed on the project area, which was presumably destroyed by the building processes carried out during the medieval period.

Two cists and one combined grave were explored by us. The combined grave was built with well-treated, rectangular or square shaped stones. All the graves are roofed with stone slabs. Graves are plundered; consequently, skeletal bones and grave goods are fragmentarily preserved.

Despite being robbed, fragments of two iron pin, fragments of glass vessels and a fragment of an iron fibula were discovered in graves 2 and 3. According to their parallels (Tuiaqochora cemetery; Mtskhethis Gora; Fiqrisgora; Samtavro), the grave goods and, consequently, the graves themselves are dated to the Early Medieval period.

The artefacts discovered during the excavations are kept in the Great Mtskheta Archaeological Museum-Reserve.

გონიო-აფსაროსის ციხის ბარიბორიაზე 2020 წელს წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

შოთა მამულაძე
nenia1952@yahoo.com
კახაბერ ქამადაძე
Kaxaberqamadadze@yahoo.com
თათული მონყობილი
tatulimotskobili00@gmail.com

2020 წელს არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა გონიო-აფსაროსის ციხის 2 უბანზე: 1. სამხრეთ-დასავლეთ (SW3 სექტორი) და 2. ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთებში (NW12 სექტორი, ტაბ. I/1).



ტაბ. I,1

1. ციხის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი (SW3 სექტორი, ტაბ. I/2-ტაბ. II/1-2).

ამ უბნის დიდი ნაწილი შესწავლილია წინა წლებში. 2020 წელს ძირითადი სამუშაოები ღია ტიპის ფანჩატურის, ე.წ. „სოკოს“ ირგვლივ არსებულ ტერიტორიაზე წარიმართა (ტაბ. I/2). (ტაბ. II/1). „სოკოს“ დემონტაჟის შედეგად არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა № 62- 64, 72-74 და 81- 84 კვადრატებში (კვადრატების ზომები 4X4 მ).

ჰუმუსის აღების შემდეგ დავედით ოსმალურ კულტურულ ფენამდე. ამ პერიოდის მასალები ძირითადად კონცენტრირებული იყო № 72-73 კვადრატებში. მათგან, განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვა კეცის ჩიბუხები, ფინჯნები, შანდალი, სადა კერამიკა, ტყვიის ტიგელი და ა.შ. № 72-73 და 62-63 კვადრატების მიჯნაზე გამოვლინდა ოსმალური საფეხმავლო ბი-

ლიკის ნაშთები. ბილიკი გალავნის სამხრეთი კედლისკენ მიემართება. იგი წინა წლებში შესწავლილი ბილიკის გაგრძელებაა (ტაბ. II/1-2). ახლად აღმოჩენილი ბილიკის სიგრძე 5 მ-ია, დანარჩენი – მორღვეულია. მისი ნაშთები ფიქსირდებოდა №64 კვადრატის უკიდურეს დასავლეთ კუთხეში.



ტაბ. 1,2

№ 82–84 კვადრატებში აღმოჩნდა რომაული პერიოდის კანალიზაციის, ხოლო №72-74 და №82-84 კვადრატების მიჯნაზე – ოსმალური წყალგაყვანილობის სისტემის ნაშთები (ტაბ. II/1-2). ისინიც წინა წლებში შესწავლილი სისტემების გაგრძელებაა. ახლად გამოვლენილი სისტემის 2 ხაზი ერთმანეთის პარალელურად სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით მიემართება და 8,6 მ სიგრძეზეა შემორჩენილი. მილების გამართვისას, მეორადად გამოუყენებიათ ჩაკირული თიხის მილების ნაშთები და სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვებიც. №72-74 კვადრატებში ოსმალური მილების ქვეშ, 15-20 სმ სიღმეში, მდებარეობს რომაული პერიოდის წყალგაყვანილობის მილების ორი ხაზი (ტაბ. II/1-2). №74 კვადრატში დაფიქსირდა რომაული პერიოდის კიდევ ერთი – მესამე წყალგაყვანილობის სისტემა, რომელიც №73 კვადრატში ნაწილობრივ, ხოლო №72 კვადრატში – მთლიანადაა მორღვეული. მისი მხოლოდ მცირე ნაშთი ფიქსირდება 1,90 მ სიგრძეზე და შედის №72 კვადრატის ჩრდილოეთ მხარეს გაუთხრელ ფართობში (ტაბ. II/1-2).

ოსმალური და რომაული წყალგაყვანილობის სისტემის ქვეშ, რომაულ კულტურულ ფენაში, გამოვლინდა საკანალიზაციო არხიც, რომელიც თითქმის ერთი ფერის ბრტყელი რბილი ქვებისგანაა ნაგები. იგი №73 კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, რკალისებურად იხრება და აღმოსავლეთით №63 კვადრატის მიმართულებით გრძელდება (ტაბ. II/1-2). ამჟამად მისი შემორჩენილი სიგრძეა 4 მ. №63–65 კვადრატებში აღმოჩნდა რომაული პერიოდის შენობის საძირკვლის ნაშთებიც. მისი აღმოსავლეთი ნაწილი მორღვეულია ზემოაღნიშნული საკანალიზაციო მილების გაყვანის

დროს. საძირკვლის ნაშთები გრძელდება ჩრდილოეთის მიმართულებით და შედის ოსმალური საფეხმავლო ბილიკის ქვეშ. ეს ნყობა ოსმალური ფენიდან 50 სმ სიღრმეზე მდებარეობს. ოსმალებს რომაული პერიოდის ამ ნაგებობაზე საფეხმავლო ბილიკები გაუკეთებიათ (ტაბ. II/1-2). შენობის საძირკვლის ნაშთების სიგანე 30 სმ–ს აღწევს, ხოლო სიგრძეში 10,2 მ მანძილზეა შემორჩენილი. აღნიშნული საძირკვლის ნყობის პარალელურად, მისგან 4 მ-ის დაშორებით მიემართება კიდევ ერთი თანადროული კედელი. ორივე ნყობა ერთმანეთს უკავშირდება №64 კვადრატში მდებარე განივი ტიხრით, რითიც ფაქტიურად ორი სათავსი იქმნება. ჯერჯერობით არ ჩანს ზუსტი კონტურები, ამიტომ, შენობის ფუნქცია-დანაშნულებაზე ამ ეტაპზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ცხადია მხოლოდ ის, რომ შენობის სამხრეთი მხარე ოსმალებს გადაუკეთებიათ და მასზე კერამიკის გამოსანავავი ქურა-სახელოსნო დაუშენებიათ (ტაბ. II/1-2), რომელიც ასევე წინა წლებშია (1995-1999 წწ.) შესწავლილი.



ტაბ. II, 1



ტაბ. II, 2

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალებიდან დაყრდნობით ირკვევა, რომ ციხის ამ მონაკვეთში, რომაულ და ოსმალურ პერიოდებში, საკმაოდ ინტენსიური ცხოვრება მიმდინარეობდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად გამორჩეული პერიოდი კი ქ.შ. II-III სს. და XVII-XVIII სს. ყოფილა.

2. ციხის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთი (NW12 სექტორი; ტაბ. I/1; ტაბ. III-IV).

უბანი პირველად 2019 წელს გაიხსნა, ადრეული თავდაცვითი კედლის სამხრეთი ნაწილის გაგრძელების პოვნის მიზნით. შენობის საძირკვლების, მიწების, ჭისა და საინტერესო არტეფაქტების გამოვლენის შემდეგ, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ თხრილის ჩრდილოეთით გაფართოება და სამუშაოები № 8, 18, 28, 38 კვადრატებში განხორციელდა (კვადრატების ზომები: 4X4 მ).



ტაბ. III, 1



ტაბ. III, 2

ჰუმუსის მოხსნის შემდგომ წარმოდგენილია ოსმალური კულტურული ფენა, რომელსაც ბიზანტიური მოსდევს. ამ ეპოქების შენობა-ნაგებობათა ნაშთები თითქმის არ გამოვლენილა, თუ არ ჩავთვლით №8 კვადრატში აღმოჩენილ ოსმალურ კედელს, რომელიც ჩრდილოეთისკენაა დამხრობილი. არქეოლოგიური არტეფაქტებიდან გხვდება ჩიბუხები, მოჭიქული კერამიკა, ფაიანსისა და ფაიფურის ჭურჭლის ნატეხები, ასევე ბიზანტიური ტანდალარული ამფორები და სხვადასხვა ჭურჭლის უსახური ნატეხები. გაცილებით მრავალფეროვანია რომაული პერიოდი. როგორც ჩანს, ციხესიმაგრის ეს მონაკვეთი I-III საუკუნეებში ინტენსიურად ყოფილა ათვისებული. გათხრების შედეგად გამოიკვეთა რომაული პერიოდის შენობის საძირკვლის ნაშთები. საძირკველი წინა წელს გამოვლენილი შენობისგან ღია არხითაა გამოყოფილი. ირკვევა, რომ ჭა და წყალგაყვანილობის მილები უფრო გვიანდელია და შენობის მშენებლობის დროს ფუნქცია დაუკარგავს (ტაბ. III-IV). შენობის რაობის გარკვევა საანგარიშო წელს ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება განათხარ მასალებს, ორივე უბანზე გამოვლენილი არტეფაქტების ძირითადი ნაწილი ოსმალურ და რომაულ პერიოდებს განეკუთვნება. ესენია: ჩიბუხები, ფაიანსი, მოჭიქული თუ სადა კერამიკა, ამფორები, ჭრაქები, ლუთერიები, ქვაბ-ქოთნები, წითელლაკიანი ჭურჭელი, მინის, ქვისა თუ ლითონის ნაკეთობები და ა.შ. ჩრდილო-დასავლეთ უბანზე (NW12) მცირე რაოდენობით აღმოჩნდა ბიზანტიური ეპოქის არტეფაქტებიც, მათი ძირითადი ნაწილი სამეურნეო-სატრანზიტო ჭურჭელს – ამფორებს განეკუთვნება. მოპოვებული მასალები დაცულია გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის ფონდებში.

საინტერესო მონაპოვართა შორისაა ნუმისმატიკური მასალა – ბრინჯაოსა და ვერცხლის მონეტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთი კარგად დაცული მონეტა. მონეტის ავერსზე გამოსახულია იმპერატორ ადრიანეს ბიუსტი, რევერსზე კი გამარჯვების ქალღმერთი ნიკე, ხელში დაფ-

გვირგვინით. მონეტა II საუკუნის I ნახევრით თარიღდება და კაპადოკიაშია მოჭრილი.

მნიშვნელოვანი აღმოჩენაა NW12 უბანზე გამოვლენილი სამი წარწერა, რომელთაგან ერთი აგურზეა დატანილი. მიუხედავად იმისა, რომ ის ფრაგმენტის სახითაა შემონახული, რამდენიმე ასოს ამოკითხვა მაინც შესაძლებელია. მსგავსი ტიპის წარწერები ციხესიმაგრის ტერიტორიაზე აღმოჩენილია რამდენიმე. მეორე წარწერა ხელნისქვილზეა დატანილი, ქვა დაზიანებულია, თუმცა, აქაც შესაძლებელია რამდენიმე ასოს ამოკითხვა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ოსმალური კედლის ნყობაში მეორადი გამოყენებისთვის მოხვედრილი რომაელი ჯარისკაცის საფლავის ქვაა, მსგავსი აღმოჩენა პირველია ციხესიმაგრის შესწავლის ისტორიაში და წაკითხვის შემდეგ, მისგან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება იქნება შესაძლებელი.



ტაბ. IV,1



ტაბ. IV,2

A Short report of archaeological excavations conducted in Gonio-Apsaros in 2020

Shota Mamuladze

Nenia1952@yahoo.com

Kakhaber Kamadadze

Kaxaberqamadadze@yahoo.com

Tornike Mamiseishvili

Tornike.mamiseishvili@gmail.com

Tatuli Motskobili

Tatulimotskobili00@gmail.com

Archaeological excavations of this year were carried out at 2 sites: south-west (SW₃ sector) and north-west (NW₁₂ sector) sections of the fortress (Tab. I/1).

South-west section of the Fort (SW₃ sector, Tab. I/2-Tab. II/1-2). A large part of this area was studied in previous years. In 2020, archaeological excavations were carried out in grids 62-64, 72-74 and 81-84 (dimensions of the grids 4X4).

Excavations revealed that in this section of the castle enjoyed a fairly intense life during the Roman and Ottoman periods. The 2nd -3rd and the 17th -18th centuries were exclusively significant.

North-west section of the fort (NW₁₂ Section, Tab. I/2-Tab. III-IV). Archaeological works at this site were first carried out in 2019, where the contours of a rectangular-shaped structure sloping from west to east were outlined. A well and water pipes were unearthed inside the building. Archaeological work resumed this year to the north of the trench and major work was carried out in grids 8, 18, 28 and 38.

The excavations uncovered the foundations of another building of the Roman period, which must belong to an earlier period than the existing one.

The artefacts found in the southwest and northwest sections belong to the Ottoman, Byzantine and Roman periods. Among the artefacts the following prevail: smoking pipes, glazed pottery, amphorae, pottery, glassware, oil lamps, masonry and metal products, etc. They are similar to the artifacts discovered in previous years.

ბოლნისის სიონის ტაძრის ტერიტორიაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში


გურამ ყიფიანი

guram_kipiani@iliauni.edu.ge

მადონა მშვილდაძე

mshvildadzemadona@gmail.com

2020 წელს ბოლნისის სიონის ტაძრის ტერიტორიაზე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა ა(ა)იპ „ბაგინეთი“. სამუშაოები ერთდროულად სამ მონაკვეთზე მიმდინარეობდა. ჩვენი მიზანი იყო გასული ორი სეზონის განმავლობაში გამოვლენილი, სართულებად განთავსებული შუა საუკუნეების ქვაყუთთა საზღვრების, მათი მიმდებარე ტერიტორიის რაობისა და ძეგლთან დამოკიდებულების დადგენა.



სურ. 1. ბოლნისის სიონი, დაკვადრატების სქემა და შესწავლილი მონაკვეთები (მიმდინარე წელს შესწავლილი მონაკვეთები აღნიშნულია შავი უჯრედებით, ხოლო მომავალში შესასწავლი მონაკვეთები წრიული ნიშნებით).


ბოლნისის სიონი და მისი მიმდებარე ტერიტორია, პირობითად მოქცეულია 9 უბანში (თითოეული – 50მ^2). უბნები დაყოფილია 100 – 5მ-იან კვადრატად შემდეგი სისტემით, მაგ.: კვადრატი D5 ან G7 და ა.შ. (სურ. 1). ყოველი სამშენებლო თუ საკომუნიკაციო დონე განისაზღვრება GPS მონაცემებით.

პირველი თხრილი $8\text{X}7$ მ (სულ 56მ^2) ტაძრის ჩრდილოეთი კედლიდან 12 მ-ის დაშორებით გაივლო – V G5, G6, H5, H6 კვადრატები (GPS: G5

კვადრატი, W - 459285.00, E - 4582079.00. ზღ.დ. 624 მ; G6 კვადრატი - W-459286.00, E- 4582075.00. ზღ.დ. 624 მ; H5 kvadrati - W-459289.97, E- 4582078.42. ზღ.დ. 624 მ; H6 კვადრატი - W- 459287.17, E-4582074.38. ზღ.დ. 624 მ).

2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს V G7-H7 კვადრატებში ქვაყუთები აღარ გამოვლენილა, რაც გვაძლევს იმ ვარაუდის საფუძველს, რომ სამაროვანის გავრცელება მითითებულ კვადრატებში სრულდება. გამოვლინდა გვიანი შუა საუკუნეების სამეურნეო ეზო, სამეურნეო ორმოებით, თონეებითა და ქვევრებით, შემორჩენილია ნაგებობათა ფრაგმენტებიც (სურ. 2, 3). ისინი ნაშენია ნაფლეთი, ადგილობრივი კლდოვანი მასივიდან გამოცალკავებული ქვებით, სტუქტურაში მრავლადაა ჩართული კრამიტისა და პლინტუსთა ფრაგმენტები, შემაკავშირებლად მხოლოდ ტალახია გამოყენებული, აქვე H6 კვ-ში კირქვის ფრაგმენტიც გამოვლინდა, ე.წ. ბოლნური ჯვრით (იმპერატორ კონსტანტინეს ძლევის ჯვარი). იგი მეორადაა გამოყენებული (სურ. 4). G6 კვადრატში დაფიქსირებული სამეურნეო ორმოს ზომებია: სიღრმე – 1.20 მ, ხოლო მისი მაქსიმალური დიამეტრი – 1.80 მ. მოცემულ კვადრატებში თონეებისა და ქვევრთა განთავსება არავითარ წესრიგს არ ექვემდებარება, უსისტემო „სისტემა“. განსხვავებულია მათი ზომებიც – დიამეტრი 70-დან 40 სმ-მდე.


II მონაკვეთის გათხრა სრულიად სხვა მიზანს ემსახურებოდა, კერძოდ, გვიანდელი შუა საუკუნეების გალავნის კედლის წყობისა და სტრუქტურის გამოვლენას (GPS: W-459281.00, E-4582097.00. ზღ.დ. 624 მ.; V - E3, F3 და F4 კვ.).



სურ. 2. ბოლნისის სიონი, 5, 5, 6, 6, კვადრატები, გეგმა (გ. ყიფიანი)



სურ. 3. ბოლნისის სიონი, 5, 5, 6, 6, დრონით გადაღებული კვადრატების სიტუაციური ასახულება (დრონით გადაღებული ფოტო: დავით გაგოშიძე)



სურ. 4. კირქვის ფრაგმენტი ბოლნური ჯვრის რელიეფური გამოსახულებით (ე. წ. იმპერატორ კონსტანტინეს ძლევის ჯვარი), 6 კვადრატი, ჰუმუსოვან ფენაში. ფოტო და ანაზომი (გ. ყიფიანი).

დადგინდა, რომ კედლის სიგანე – 1.60მ-ია, ხოლო შემორჩენილი და არქიტექტურულად დადასტურებული სიმაღლე – 2.40 მ, გავლებული თხრილის სიგრძე – 8 მ. წყობა აქაც ნაფლეთი ქვითაა შედგენილი, ოღონდ საგანგებოდ შერჩეული და ერთმანეთთან მორგებული რიგებით. გარეგნულად იგი პოლიგონალური წყობის შთაბეჭდილებას ახდენს. მისი საძირკველი მკვრივ ნიადაგშია ჩასმული (სურ. 5).




სურ. 5. გალანის აღმოსავლეთ მხარე და მასზე მიდგმული „ნაგებობა“.

აქ შეიმჩნევა ერთი „უცნაურობაც“, რაც მწირი შესაძლებლობების გათვალისწინებით სავსებით ლოგიკურია. საქმეის არის, რომ კედლის „გარე“ დასავლეთი ნაწილი კირხსნარის გამოყენებითაა ნაგები, ხოლო შიდა მხარეს წყობათა შემაკავშირებლად მხოლოდ თიხა-მინაა გამოყენებული. ამას შეიძლება განაპირობებდეს ერთადერთი ფაქტი – მომხდური ტაძრის ეზოს დასავლეთის მხრიდან უტყვედა, ამიტომ მის მდგრადობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

გაურკვეველი დარჩა, რა მიზანს ემსახურებოდა გალავანზე აღმოსავლეთი მხრიდან მიშენებული „ნაგებობა“. ამ კედლის სიგანე – 70 სმ-ია, შემორჩენილი სიმაღლე კი – 85 სმ. აღსანიშნავია, რომ ამ მინაშენის შედგენილობაშია ხის კარკასიც. გამოვლინდა ძელის განივკვეთის ზომებიც – 20X20 სმ.

გათხრების III არეალი ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს გაიშალა და მთლიანად მოიცვა VI ნაკვეთის A 10-11, B 10-11 კვადრატები (S: W-459297.88, E-4582047.92. ზღ.დ. 623 მ).

ეს თხრილი ტაძარზე „მიშენებული“ კაპელას სიახლოვეს გაივლო და მისი მიზანი იყო წინა წლის მონაცემების დაზუსტება. კაპელა დიდი სიზუსტით ადგას ანტიკური ხანის, ქ.შ. III ს-ის კამარულ სარკოფაგს, რომელსაც დრომოსი აღმოსავლეთის მხრიდან უნდა ჰქონოდა. 2020 წლის არქეოლოგიური სამუშაოებით გაირკვა, რომ დრომოსის კედლები მთლიანად გაუნადგურებია გვიანდელ ქვაყუთებს. ამავე მონაკვეთში გამოვლინდა კიდევ ერთი „ბოლნური ჯვრის“ ფრაგმენტი (სურ. 6).



სურ. 6. ქვის ფრაგმენტი გრეხილოვან წრეში ჩასმული „ბოლნური ჯვრის“ გამოსახულებით, 10 კვადრატი, ჰუმუსური დონიდან 16სმ-ის სიღრმეზე. ფოტო და ანაზომი (გ. ყიფიანი)

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მინის ზედაპირიდან 1.60 მ-ის სიღრმეზე მიკვლეულმა მცირე ზომის ქოთანმა (კოჭობი). მისი ყელი ხაზგასმულია ირიბი ნაჭდევებით, მუცელზე შეიცავს დაძვრნილ კოპებს, ხოლო მუცლიდან ძირისკენ გარდამავალ ნაწილში – ტალღოვან ორნამენტს. იგი გვიან ანტიკური ხანის (ქ.შ. III ს. (?)) ნიმუშს გვაგონებს. უნდა გავიხსენოთ, რომ 2019 წელს ამავე არეალში, ამავე პერიოდის ბულა აღმოჩნდა არდაშირ I-ის გამოსახულებით.

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად, ტაძრის დასავლეთ არეში მიმდინარეობდა სარესტავრაციო და მისი თანმხლები მინის სამუშაოები, რაც ემსახურებოდა რელიეფის დადაბლებასა და ახალი სავალი ბილიკის შექმნას.

ექსპედიცია ამ სამუშაოებსაც უწევდა მეთვალყურეობას. ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში კვლავ „ბოლნური ჯვრის“ ფრაგმენტი აღმოჩნდა. იგი სტელაზეა ამოკვეთილი (მასზე წარწერა არ შეინიშნება) და შერჩენილია მხოლოდ მისი მხარი ტარით. ეს ჯვარი ორმაგ ლილვიან მედალიონშია ჩასმული (სურ. 7).



7. ბოლნისის სიონი, სავალი ბილიკის მოწყობის დროს გამოვლენილი სტელის ფრაგმენტი ბოლნური ჯვრის ასახულობით.

სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდა თხრილების კონსერვაცია.

მომავალ წელს, არქეოლოგიური სამუშაოები იგეგმება ტაძრის აღმოსავლეთ არეალში, იმისთვის, რომ მთლიანი წარმოდგენა შეიქმნას ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის სხვადასხვა ფუნქციონალურ დატვირთვაზე.

არქეოლოგიური მასალა დროებით ბოლნისის ეპისკოპატს ჩაბარდა.

A short report on archeological works conducted at Bolnisi Sioni Temple Site in 2020

Guram Kipiani

guram_kipiani@iliauni.edu.ge

Madona Mshvildadze

mshvildadzemadona@gmail.com

In the reporting year (21.07.20-20.08.20), archaeological research was carried out by N(N)LE “Bagineti +” on the territory of Bolnisi Sioni Temple. The works were carried out in three sections simultaneously. The purpose was to establish the boundaries of the medieval stone pavilions identified during the previous two seasons, as well as the nature of the surrounding area and its relationship to the monument.

In the same year, late medieval agricultural buildings, three fragments of ‘Bolnuri’ cross, pottery (late Classical?), etc. were discovered. A section of the medieval defensive wall was cleaned and excavated and its masonry was analyzed.


In order to get a broader picture of the temple surrounding and its functionality, consequential archaeological explorations are planned to be carried out next year.

ქსანი - ბოსელახევა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

დავით სულხანიშვილი
david.sulkhani@gmail.com
ნიკოლოზ ჩადუნელი

ქსნის ციხის სამხრეთ ფერდობზე, ნასტაკისის ველის ჩრდილოეთით, ე.წ. „ბოსელახევთან“, ქსნის გზის რეკონსტრუქციის დროს დაზიანდა კულტურული ფენები (GPS: X - 464743; YY - 4636348). საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ჩვენი ჩარევის შედეგად, აღნიშნული სამუშაოები შეჩერდა. ობიექტის დათვალიერებამ, ზემოხსენებულ ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის და გვიანბრინჯაოს ხანის მასალის არსებობა ცხადყო.

2020 წლის ივნისში აქ ჩატარდა მცირე მასშტაბის გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები. თხრილის დასავლეთი კიდე ძალიან დაზიანებული იყო, რის გამოც ამ მონაკვეთზე სამუშაოები უსაფრთხოების დაცვის გამო არ გვინარმოებია, თუმცა, ჭრილში შეინიშნებოდა კულტურული შრეები და კერამიკის ფრაგმენტები. 2 კვ და 2 კვ-ის ნაწილი მოჭრილია მძიმე ტექნიკის გამოყენებით, რის გამოც გადარჩენითი სამუშაოები გაგრძელდა B1 და B2 კვადრატებში (სურ 1).



სურ. 1

დადაბლებისას მიწის ნაყარ ფენებში, მთელ საკვლევ ტერიტორიაზე იკრიფებოდა შუა საუკუნეების, გვიანანტიკური, გვიანბრინჯაო-ადრერკინის და მტკვარ-არაქსის კერემიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. შუა საუკუნეების, გვიანანტიკური და გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის კერამიკა გორის ზედა ტერასებიდან უნდა იყოს დაცურებული.

უძრავ ფენაზე დავედით მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0.5 მ სიღრმეზე, პირველი სამშენებლო დონე განვითარებული მტკვარ-არაქსის ნაგებობის იატაკია. შერჩენილი ნაგებობის იატაკი საკმაოდ დაზიანებული და გადარეცხილი იყო ეროზიული პროცესების შედეგად. მხოლოდ B2 კვადრატში, თხრილის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, დადასტურდა თიხატკეპნილი იატაკი (1.8X1.5 მ) და მასზე გამართული ბაქანი (1.4X1.2 მ), ნაგებობის ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილი მთლიანად განადგურებული იყო, ხოლო დარჩენილ ნაწილზე, ზოგან იატაკის შემზადება, ან მისი თიხის თხელი ფენა იყო შერჩენილი. ფენის მთლიანად გასუფთავების შედეგად, იატაკის ვენტრალურ ნაწილში, B1 კვადრატში, აღმოსავლეთი პროფილიდან 1.6 მ-ისა და ჩრდილოეთი პროფილიდან 2.4 მ-ის დაშორებით გაიწმინდა ჩამსხვრეული ოთხშვერილიანი კერა. მისი გარე დიამ. – 0.65 მ-ია, შიდა 0.5 მ, სიღრმე 0.1 მ და იგი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0.55 მ-ის სიღრმეზე დადასტურდა. მისგან დასავლეთით 0.8 მ-ის დაშორებით გაიწმინდა ტაფისებური ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, რომელიც ძლიერ დაზიანებული იყო ეროზიული პროცესების შედეგად და მისი ალაგება ვერ მოხერხდა. ჭურჭელი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0.65 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა, დიამ. – 0.3 მ, შერჩენილი სიღრმე – 0.08 მ (სურ 2).



სურ. 2

დროისა და ფინანსების სიმცირის გამო, შეუძლებელი იყო მონიშნული ფართობის მთლიანად შესწავლა, ამიტომ გადაწყვიტეთ ბოლომდე გაგვეწმინდა მხოლოდ მცირე მონაკვეთი – 4 X1.5 მ, რათა დაგვედგინა სტრატეგრაფია. ჭრილები გაკეთდა B2 კვადრატის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს.

მეორე სამშენებლო დონის იატაკი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0.8-0.9 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა, ქრილის ზომა – 4 X1.2 მ-ია. აქ მრავლად აღმოჩნდა ჩამტვრეული კერამიკული ჭურჭლის ნატეხები, რომელშიც ნაცროვან ფენაში იყო განთავსებული. ქრილში B2 კვადრატის ჩრდილოეთ საზღვრიდან 2 მ-ისა და აღმოსავლეთი საზღვრიდან 2.5 მ-ის დაშორებით გამოვლინდა ნაგებობის თიხის კედლის ნაშთი, რომელიც ორივე მხრიდან რიყის ქვებით იყო შემოზღუდული, მისი სიგანე 0.7 მ-ია და მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0.7 მ-ის სიღრმეზე დადასტურდა. კედლიდან სამხრეთით 0.3 მ-ის მოშორებით გაიწმინდა ჩასადგმელი კერა, რომელიც გამართული იყო კარგად მოტკეპნილ იატაკზე, ჩამტვრეულ, დიდი ზომის ჭურჭელზე. მის გარშემო ასევე მრავლად იყო ბათქაშისა და დამსხვრეული კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, სავსე ნაცროვან-ნახშიროვანი ფენით. ბათქაშებზე კარგად არის შერჩენილი სარლასტის ანაბეჭდები. ქრილის სამხრეთ ნაწილში დადაბლებისას აღმოჩნდა კაჟის იარაღი – საფხეკი.

მესამე სამშენებლო დონეზე – 2X1.3 მ, გამოვლინდა ორი თითქმის დაუზიანებელი კოჭობი, რომლებიც ადრეულ მტკვარ-არაქსის პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დადასტურდა ჩასადგმელი კერა და დიდი ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები. იატაკი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1.2-1.3 მ-ის სიღრმეზე გაიწმინდა. მასზე იდო 0.1-0.15 მ სისქის ნაცროვან-ნახშიროვანი ფენა (სურ 3).



სურ. 3

ობიექტი საკმაოდ საინტერესო და მასშტაბურია. ზედაპირული დათვალიერებით მისი გადარჩენილი ფართობი დაახლოებით 70X30 მ-ია. გათხრების შედეგად გამოვლინდა ადრეული და განვითარებული მტკვარ-არაქსისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ინვენტარი: შვერილებიანი კერა, ჩასადგმელი კერები, კაჟის, ობსიდიანისა და ქვის იარაღები, სხვადასხვა დანიშნულებისა და ზომის მთლიანი თუ ფრაგმენტირებული თიხის ჭურჭელი (სურ. 4; 5).

მასალა დაცული იქნება დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალში.

ქეგლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მისი შესწავლის გაგრძელება სამომავლოდ აუცილებელია.



სურ. 5



სურ. 4

A short report of archaeological excavations at Qsani-Boselakhevi in 2020

David Sulkhani
david.sulkhani@gmail.com
Nikoloz Chaduneli

Qsani-Boselakhevi is located on the southern slope of the Qsani Fortress and northern part of the 'Nastakisi' valley. Because of the works related to road construction, rescue archaeological expedition was held here in June 2020. An archaeological feature was damaged during of the work of heavy technics. Fragments of the pottery of the Middle Ages, the Late Bronze Age and Kura-Araxes period were revealed during the survey of the damaged area.

We removed a 45 m² hummus layer and made 4 grids. Fragments of the pottery of the Middle Ages and the Late Bronze – Early Iron period that had fallen from the top of the hill were identified. Grid A2 and part of grid A1 were destroyed by heavy technics. Because of the relief, it was dangerous to work in grid A1, so we decided to continue

expeditions in grids B1 and B2.

The first building layer was found 0.5 m deep from the topsoil. The floor of the structure of the Kura-Araxes period was cleaned at a depth of 0.6 m; it was made with rammed earth. A hearth with four projections (diameter – 0.5 m) was discovered in the center of the floor which was badly damaged. A base of a ceramic vessel was found at 0.8 m west of the hearth. It was badly damaged with the diameter of 0.3 m. A platform (1.4X1.2 m) was discovered in the south-east part of grid B2. A few fragments of the pottery were also discovered near the platform. According to the uncovered materials, this layer was dated to the late Kura-Araxes period.

Because of the insufficient finances and time, we decided to work on a small area, to determine what kind of layers were attested on this archaeological object. The work continued in southern and western parts of grid B2 – 4X1.5 m.

The second building layer was in 0.1 m deeper than the first floor. During the excavations part of a 0.7 m-wide wall made with clay and bordered with small stones on both sides was discovered. The wall was located 2 m away from northern and 2.5 m away from eastern sides of the edge of the grid. The hearth was set up at 0.3 m from the south wall, which held fragments of a big vessel. Clayish floor was discovered at a depth of 0.8 m from the topsoil. Most part of this area was covered with ash-coal layer. A flint scraper was revealed on the southern side of the grid.

The third cultural layer was evidenced at 0.1 m from the second floor. Most of this area was covered with fragments of the different kinds of vessels. The whole material was discovered in the ash-coal layer which was 0.1-0.15 m thick. During the excavations, we revealed two small jars and parts of a fitted hearth, as well as flint of the sickle blade, obsidians and cobblestones. The third clay floor was discovered 1.2-1.3 m deep from the topsoil.

The second and twthird layers were dated by a period prior to the Kura-Araxes period.

It's the first time a Kura-Araxes period site has been discovered in this region, so we think that the site contains very important materials and information about this period.

ძალისა - ჯალისთავა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური საგუაოების მოხალე ანგარიში

დავით სულხანიშვილი
david.sulkhani@gmail.com
ნიკოლოზ ჩადუნელი

რომაული პერიოდის ძალისის ნაქალაქარი მდებარეობს მუხრანის ველის ჩრდილო დაბოლოებაზე. მიუხედავად ძეგლის დიდი მნიშვნელობისა, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან უკანასკნელ დრომდე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ძალისში აღარ ჩატარებულა. მხოლოდ 2017 წლიდან განახლდა ნაქალაქარის ერთ-ერთი უბნის შესწავლა (ხელმძღვ. გ. ნარიმანიშვილი), რის შედეგადაც გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი არტეფაქტი.

არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. დ. სულხანიშვილი) 2020 წელს, ადგილ ჭალისთავში, ჩაატარა მცირე მასშტაბიანი გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები, რის შედეგადაც გამოვლინდა ნაქალაქარის



სურ. 1

დღემდე უცნობი უბანი. იგი მდებარეობს ნაქალაქარიდან სამხრეთ-დასავლეთით 1.3 კმ-ის მოშორებით, მუხრანის ველზე (GPS: X – 468079; YY – 4643975). თანხის სიმცირის გამო, გათხრები მცირე მონაკვეთზე წარმართა. თხრილის ზომები იყო: 3X3 მ, სიმაღლე - 2 მ. გამოიკვეთა ორი კულტურული ფენა. პირველ ფენაში მინის ზედაპირიდან 0.8 მ-ზე გამოვლინდა გვიან რომაული პერიოდის, მონითალოდ გამომწვარი ქვევრი, რომლის კეცი კარგად იყო განლექილი, მცირე მინარევებით, ქვევრს მთლიან ტანზე შემოუყვებოდა რელიეფური ზოლები,

იმდენად ნაკლული და დაზიანებული იყო, რომ ალაგებისას დაიშალა. მსგავსი ტიპის ქვევრები მრავლად არის აღმოჩენილი რომაული პერიოდის ძეგლებზე: ძალისა, არმაზციხე, არმაზისხევი და ა.შ. (სურ 1).

მეორე სამშენებლო დონე, თანამედროვე მინის ზედაპირიდან 1.8 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა. აღნიშნული ფენა ძლიერ დაზიანებულია და მისი უდიდესი ნაწილი მძიმე ტექნიკამ დაანგრია. შერჩენილი ფენის ზომებია 1.4 X 0.7 მ. არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილი იყო ნაცროვან-ნახშიროვანი

ფენის ირგვლივ, თიხის ჭურჭლების ფრაგმენტებით (სურ 2), რაც, სავარაუდოდ, კერა ან შუა ცეცხლის ადგილი უნდა ყოფილიყო. ნაგებობის თიხათკეპნილი იატაკი დადასტურდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 2 მ სიღრმეზე (სურ 3). შემორჩენილია:



სურ. 2



სურ. 3

1. ცალყურა ჯამი – შავად გამომწვარი, კეცი კარგად განლექილი, პირზე დატანილი აქვს სატუჩე, ნაკლულია. ზომები: სიმ. – 6 სმ, პირის დიამ. – 14 სმ.

2. ორყურა ხელადა – მონითალო-მოჩაღისფროდ გამომწვარი, თხელკეციანი, კარგად განლექილი, ნაკლულია და დაზიანებული, შერჩენილი ზომები: სიმ. – 17 სმ, პირის დიამ. – 8 სმ.

3. ქოთნის პირის ფრაგმენტი – ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი.

4. ჭურჭლის მუცლის ნაწილი – ჩალისფრად გამომწვარი, თხელკეციანი, კარგად განლექილი.

5. ჭურჭლის ძირგვერდის ფრაგმენტები – ჩალისფრად გამომწვარი, თხელკეციანი, კარგად განლექილი, ბრტყელძირიანი.

6. ჭურჭლის ძირგვერდის ფრაგმენტები – ჩალისფრად გამომწვარი, თხელკეციანი, კარგად განლექილი, ბრტყელძირიანი.

ანალოგიური ჭურჭელი აღმოჩენილია: არმაზისციხეზე, არმაზისხევში, ძალისში, კამარახევში, კარსნისხევში, მუხადგვერდში და სხვ. (სურ. 4; 5). სავარაუდოდ, ნაგებობა სამეურენო დანიშნულების იყო. თარიღდება ქ.მ. II-III სს-ით.

აღმოჩენილი ძეგლი კიდევ უფრო ზრდის ძალისას ნაქალაქარის გავრცელების არეალს, რაც სამომავლოდ აიოლებს ძალისის საფუძვლიან კვლევას.



სურ. 4



სურ. 5

A short report on archaeological excavations at Dzalisa-Chalistavi, 2020

David Sulkhani

david.sulkhani@gmail.com

Nikoloz Chaduneli

Place ‘Chalistavi’ is located in the Mukhrani Valley, south-west of a Roman-period city of Dzalisa. A rescue archaeological expedition took place here in January 2020 because of the factory-related construction works. Archaeological objects were damaged by the activities of the heavy technics. Fragments of the pottery of Roman epoch and Early Middle Ages were revealed during the survey of the damaged area.

Nine square meters of humus layer was removed. A late Roman period pithos was discovered at a depth of 0.8 m from ground surface. It was red burnished, ornamented with relief circles over the whole body. The vessel was in such bad condition that it fell apart while removing. Similar pithoi were found at Dzalisi, Armaziskhevi, Armaztsikhe etc.


The second building level was discovered at 1.8 m below ground level. It was almost destroyed by heavy technics. Only the area of 1.4X0.7 m. survived. Archaeological material was distributed around the ash-coal layer. The excavations revealed fragments of Roman- period vessels: post, jars, bowls, etc. They are dated to the 2nd-3rd cc AD. A rammed earth floor was discovered 2 m below the ground level. Similar types of vessels were found at the archaeological sites of Dzalisi, Kamarakhevi, Armaztsikhe, Mukhadgverdi. etc.

The newly discovered site expands the area of distribution of the city-site of Dzalisa. Recent discoveries make it easier for researchers to better understand where and what kind of historical events actually took place in this area.

საკაჟიას მღვიმეში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

ნიკოლოზ ნიქარიძე
nikoloztsikaridze@gmail.com

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საკაჟიას მღვიმის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტის: „ნეანდერტალელები დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში, 2020 წელს განახორციელა არქეოლოგიური გათხრები თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ გოდოგანის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე წყალნითელას მარცხენა ნაპირზე მდებარე საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლზე (S: N42 16.796 E42 45.440; H204 მ) (ხელმძღვ. ნიკოლოზ ნიქარიძე. მღვიმე, ე.წ. გოდოგანის კირქველ მასივშია, მისი ფორმა ნამგლისებურია, სიგრძე დაახლოებით 30 მ, აღმოსავლეთის მიმართულების ერთი მცირე განშტოებით (სურ. 1).



სურ. 1

2020 წელს ჩატარებული გათხრების მიზანი იყო:

1. გათხრილი ფართობისა და ფენების იდენტიფიცირება დოკუმენტურ მასალასთან;
2. არსებული ქრილის გაფართოება.

კამპანია სამ ეტაპად წარიმართა: პირველ ეტაპზე ძეგლი მომზადდა არქეოლოგიური გათხრების განახლებისთვის: გაინმინდა ნაშალი მიწისგან, გასუფთავდა, ჩამოსწორდა ქრილები; ჩატარდა ტოპოგრაფიული

ხასიათის სამუშაოები. ახალი და ადრე არსებული ბადეების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა არ გაძნელებულა. მეორე ეტაპზე, საკუთრივ არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა ორ სრულ (12, 12) და ორ არასრულ (13, 13) კვადრატში. გათხრების შედეგად გამოვლინდა არტეფაქტები და ძვლოვანი მასალა. მესამე ეტაპზე, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად განხორციელდა ძეგლის რეკულტივაცია-კონსერვაცია.

საკაჟიას მღვიმის შესწავლა დაწყებულია XIX საუკუნიდან, ხოლო არქეოლოგიური გათხრები წარმოებს 1914 წლიდან. მღვიმის კვლევა XX საუკუნის 30-იან წლებში განაახლა გიორგი ნიორაძემ, 70-იან წლებიდან კი, გათხრებს მედეა ნიორაძე ხელმძღვანელობდა. საკაჟიასში აღმოჩენილია ზედა და შუა პალეოლითის კულტურული ფენები, სავარაუდოდ, ნეანდერტალელის ზედა ყბის ფრაგმენტი და მდიდარი პალეონტოლოგიური მასალა.

მიუხედავად საკაჟიას მღვიმის მრავალწლიანი შესწავლის ისტორიისა, ჩვენი სამუშაოების განახლება განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა: დასადგენია ძეგლის აბსოლუტური ქრონოლოგიური ჩარჩო, ჩასატარებელია ახალი ანალიზები და მოსაპოვებელია ახალი მასალა, ხოლო ძველი საჭიროებს რევიზიას. ძეგლს აქვს უდიდესი პოტენციალი, მიუხედავად ჩვენ მიერ წარმატებით შესრულებული გამაგრებითი და გადარჩენითი სამუშაოებისა, აქ ჯერ კიდევ დარჩენილია გარკვეული რაოდენობის ძვლოვანი მასალის შემცველი კულტურული ფენები, რომლებიც სასწრაფოდ გადასარჩენია, რადგან დროთა განმავლობაში ფენები იშლება. საკაჟიას მღვიმის ჩრდილოეთ სექტორში 2017 წლამდე კულტურული ფენების ნაწილი შენარჩუნებული იყო მკვლევარების მიერ საგანგებოდ დატოვებულ 5 მეტრის სიმძლავრის განივ ჭრილში, ჭრილი ველარ უძლებდა საკუთარ წონას და ისედაც ეროზირებულ მდგომარეობაში, ჩამოშლის საშიშროების წინაშე იყო, ეს მდგომარეობა დარჩენილ კულტურულ მემკვიდრეობას საფრთხეს უქმნიდა. შესაბამისად, საჭირო იყო გადაუდებელი არქეოლოგიური სამუშაოების დაწყება, როგორც მისი შენარჩუნებისა და კონსერვაციის, ისე სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვებისა და კვლევის გაგრძელების მიზნით.

საკაჟიას მღვიმეში აღმოჩენილი ქვის კოლექცია განეკუთვნება ზედა და შუა პალეოლითის ხანას. მასალა წარმოდგენილია: ანატკეც-ამნამტვრევების, ლამელების, წვეტანების, სახოკების, საფხეკების, საჭრისების, რეტუშირებული ანატკეცების, ლამელებისა და სხვ. ჯგუფებით (მინიჭებული ნომრები: 2-55: 1297-3943; 10-2002: 349-570).

საკაჟიასზე მოპოვებული ზედაპლესტოცენური ძვლოვანი მასალის მიხედვით, მღვიმოვანი ძირითადად ტენიანი ტყისა და შედარებით მშრალი გაშლილი ბიოტიპებისთვის დამახასიათებელი ცხოველთა ჯგუფებით

იყო დასახლებული. აღსანიშნავია, რომ საკაჟიას მღვიმეში მოპოვებულია ზრდასრული ნეანდერტალელის ზედა ყბის ფრაგმენტი, ოთხი კბილით.

პროექტის „ნეანდერტალელები დასავლეთ საქართველოში“ მიზანია, საველე-არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული მრავალმხრივი ინფორმაციის საფუძველზე ნეანდერტალელთა ყოფის შესწავლა, პალეოგარემოს აღდგენა, მისი ინტეგრირება გლობალურ კონტექსტთან და, რაც მთავარია, ძეგლის დათარიღება.

როგორც აღვნიშნეთ, საკაჟიას მღვიმეში ჩვენამდე წარმოებული საველე სამუშაოების შედეგად შემორჩენილია ერთი ძირითადი განივი ჭრილი. მისი სიმძლავრის მაქსიმუმი დაახლოებით 5 მეტრს აღწევს.

2019 წლის ივლის-აგვისტოში გავთხარეთ ორი სრული 12, 12 და სამი არასრული 11, 11, 12 კვადრატი, ხოლო იმავე წლის ნოემბერ-დეკემბერში გაგრძელდა სრული 12, 12, არასრული 11, 11, და ახალი არასრული 13, 13, 13 კვადრატების გათხრა. სრულად გაითხარა ფენა III, რომელიც მოიცავდა ქალბატონი მედეა ნიორაძის მიერ გათხრილ IIIa, IIIb, IIIc, IIId, IIIe და IIIf ფენებს. გათხრილი ჭრილის სიმძლავრე 3.2 მეტრია. 2020 წლის ზაფხულის კამპანიისას კი, სრულად გავთხარეთ დარჩენილი 12, 13 კვადრატები, დამატებით სრულად გაითხარა კვადრატები 12 და 13 (სურ. 2).



სურ. 2

ჩვენმიერგათხრილი IIa ფენა შეიცავს, როგორც ძვლოვან, ისე კულტურულ მასალას. როგორც, მოსალოდნელი იყო, ქალბატონ მედეა ნიორაძის მიერ გაწეული კონსულტაციიდან და მის კვლევებიდან გამომდინარე, ფენა IIa ნაძრავია, რადგან შეიცავს, როგორც ზედაპალეოლითურ, ისე მომდევნო პერიოდების კერამიკის ჭურჭლის ნატეხებს. ეს კიდეც ერთხელ დადასტურდა ზაფხულის კამპანიისას.

ზედა პალეოლითური არტეფაქტები დამზადებულია კაჟისგან. არცთუ,

მცირერიცხოვანი კოლექცია უკვე 300-მდე არტეფაქტისგან შედგება და ძირითადად ანატკეცებითაა წარმოდგენილი. აქვე გვხვდება ლამელები, რამდენიმე საფხეკი, საჭრისები და მცირე ზომის რამდენიმე ნუკლეუსი. IIIa, IIIb, IIIc, IIId, მუსტიურ ფენებში აღმოჩნდა მცირე რაოდენობით შუა პალეოლითური მასალა, რომელიც ძირითადად კაჟზე დამზადებული სახოკებითა და წვეტანებით არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება პალეონტოლოგიურ მასალას, ჩვენ აღმოვაჩინეთ მურა დათვის (*Ursus arctos*), ლეოპარდის (*Panthera pardus*), ბიზონის (*Bison sp.*), ირმის (*Cervus elaphus*), ჯიხვის (*Capra caucasica*) და გარეული ღორის (*Sus scrofa*) ნაშთები.

სამუშაოს დასრულების შემდეგ, გათხრილი ფართობის ძირი დაიფარა მიწით გავსებული ტომრებით. პროფილების ნაწილი გამაგრდა, ნაწილი დაიფარა პლასტიკატის პარკით და შეივსო მიწით სავსე ტომრებით.

A short report of archaeological excavations conducted at Sakhzhia Cave in 2020

*Nikoloz Tsikaridze
nikoloztsikaridze@gmail.com*

In July-August and November-December of 2019, a research team of the Georgian National Museum started archaeological excavations at Sakhzhia Cave, in the frames of the project 'Neanderthals in West Georgia' (№YS -18-2771) granted by Shota Rustaveli National Science Foundation. The excavations started in July-August and continued in November-December on the basis of permissions №17/20 and №17/107 issued by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia. Excavations resumed in summer 2020 (permissions №6/17/52).

The Sakazhia cave is located near Kutaisi, near Village Godogani, in the Tskaltsitela Valley (N 42 16.796; E 42 45. 440; H 204). Exploration of the site started in the nineteenth century, and the first archaeological excavations followed in 1914. More comprehensive archaeological excavations were conducted in the 1930s under the supervision of Giorgi Nioradze and continued in the 1970s by Medea Nioradze. Despite the long history of research on Sakazhia and the discovery of MP/UP artifacts, faunal remains and the maxillary portion of a skull attributed to a Neanderthal, archaeologists were unable to obtain sufficient supporting information from the cave and the excavated material needs to be reassessed, and new evidence is needed to enable better overall

analysis and dating of the site. The objective of the excavations for the season 2020 was to identify and describe the stratigraphy of the caves and expand the already excavated area. Archaeological activities on the sites were divided in three parts: preparation, topographic planning, excavations and conservation works. In Sakazhia Cave excavations were conducted in longitudinal cross-section, four layers were identified correlated with the old stratigraphic system previously proposed by M. Nioradze. The first layer was very thin and almost discarded; the second layer was represented by disturbed sublayer IIb containing artifacts from different periods, a huge amount of Upper Paleolithic stone tools (mostly blades, bladelets, endscrapers, etc.) and pottery from more recent periods. Layer III is represented by six sublayers (III a - III f) containing Middle Paleolithic artifacts.

ბრინჯაოს მღვიმასა და ორმაგ ხეში 2020 წელს ჩატარებული სავალდებულო სამუშაოების მოხალე ანგარიში

ნიკოლოზ ნიქარიძე
nikoloztsikaridze@gmail.com

2017 წლის სექტემბერიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის ცუცხვათის მღვიმოვანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის: „ნეანდერტალელები სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, ცუცხვათის მღვიმოვანის ტერიტორიაზე მდებარე ბრინჯაოს მღვიმესა და ორმაგ მღვიმეში აწარმოვა სავალდებულო-არქეოლოგიური სამუშაოები.

2020 წლის სექტემბერში იმავე პროექტის ფარგლებში გაგრძელდა მღვიმოვანში მდებარე ორმაგი მღვიმისა და ბრინჯაოს მღვიმის ძეგლების შესწავლა (ექსპედიციისა და პროექტის ხელმძღვანელი - ნიკოლოზ ნიქარიძე).


ექსპედიციის მიზანი იყო 2019 წლის სექტემბერში ბრინჯაოსა და ორმაგ მღვიმეში გათხრილი ტერიტორიების გაფართოება და დაღრმავება, ძეგლზე კულტურული ფენების განსაზღვრა და მათი ხასიათის შესწავლა. ცუცხვათის მღვიმოვანი მდებარეობს იმერეთში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ცუცხვათთან, მდინარე შაბათალელეს ხეობაში (42 16.249 42 51.165 320მ). დაგეგმილი არქეოლოგიური სამუშაოები სამ ეტაპად წარმართა: პირველ ეტაპზე მღვიმეები მომზადდა არქეოლოგიური გათხრების განახლებისთვის: 2019 წლის სექტემბერში გათხრილი და დაკონსერვებული ტერიტორია გაიწმინდა ნაშალი მიწისგან, გათავისუფლდა საკონსერვაციო ტომრებისგან, გასუფთავდა და ჩამოსწორდა ჭრილები; ჩატარდა ტოპოგრაფიული ხასიათის სამუშაოები. მეორე ეტაპზე წარმართა საკუთრივ არქეოლოგიური სამუშაოები, რომელთა შედეგადაც გამოვლინდა არტეფაქტები და ძვლოვანი მასალა, გაიცრა და გაირეცხა განათხარი მიწა, განხორციელდა პროფილების სტრატოგრაფიული აღწერა, ამას დაემატა მღვიმოვანის სრული სკანირება. მესამე ეტაპზე, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად განხორციელდა ძეგლის რეკულტივაცია-კონსერვაცია.

ბრინჯაოს მღვიმა

ბრინჯაოს მღვიმე მდებარეობს ცუცხვათის მღვიმური სისტემის მეხუთე იარუსის ჩრდილოეთ ფასადზე, მდინარე შაბათალელეს მარცხენა ნაპირზე.

ბრინჯაოს მღვიმის სიგრძე დაახლოებით 80 მეტრია, განშტოებებით აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით. მღვიმე მშრალია და ღარიბია ნალვენთი ფორმებით. ბრინჯაოს მღვიმეში ჩვენამდე წარმოებული საველე სამუშაოების შედეგად შემორჩენილია ორი ძირითადი ქრილი - გრძივი და განივი. მათი სიძლიერის მაქსიმუმი დაახლოებით 7 მეტრს აღწევს. გრძივი ქრილი დახრილია ჩრდილო-დასავლეთიდან/სამხრეთ-აღმოსავლეთის, ხოლო განივი, - ჩრდილო-აღმოსავლეთიდან/სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. პირობითად გრძივს - I, ხოლო განივს - II და III ქრილი ვუწოდეთ. გეგმაზე მათი კონტურები ნითელი ფერითაა აღნიშნული (სურ. 1).

2020 წლის საველე სეზონზე გაგრძელდა 2017-2019 წლებში გათხრილი კვადრატების შესწავლა. პირველ რიგში გათხრების არეალზე უფრო ფართო



სურ. 1

წარმოდგენის შესაქმნელად გასუფთავდა და მომავალი გათხრებისთვის მომზადდა შემდეგი კვადრატები: B9-B14 და C9-C14. აქ ავიღეთ პირველი 20-10 სმ-ის სიძლიერის ნაყარი და ნაძრავი მტვრიანი ფენა. D, E, F, G - 9 გასუფთავდა და ბოლომდე დაყვანილ იქნა VII ფენამდე. 9-15, I9-I15, J9-J15 კვადრატები სრულად გათავისუფლდა ნაყარი მიწისგან. 2020 წელს გათხრილი კვადრატების მაქსიმალურმა სიღრმემ 3.5 მეტრს მიაღწია. D, E, F, G, H 7-8 კვადრატებში გაითხარა ქალკოლითური III ფენა, D9, E9 და დარჩენილ 10 კვადრატებში გაითხარა ზედაპალეოლითური X ფენის, არქეოლოგიური II ჰორიზონტის კერა.

სრული D10-D14, E10-E14, F10-F14 და არასრული 10-14 კვადრატები სრულად დავიდა XVII-XX მუსტიურ ფენებამდე (სურ. 2). 2020 წლის გათხრებისას, ბრინჯაოს მღვიმეში მნიშვნელოვან სიახლეს წავაწყდით, ზედაპირის განმენდისას B, C, 19-23 კვადრატებში მოულოდნელად გამოიკვეთა მრავალკონტექსტიანი არქეოლოგიური სტრუქტურები (არეალი TS-BC-01) (სურ. 3). ვინაიდან, ამ ტერიტორიაზე ჩვენამდე არანაირი სამუშაოები არ ჩატარებულა, ხოლო 2019 წელს ჩვენ მიერ და F 19-23 განმენდისას, არც არქეოლოგიური სტრუქტურები და არც არტეფაქტები არ გამოვლენილა, ეს აღმოჩენა მოულოდნელი იყო. ჩვენი ყურადღება მიიქცია D 19 კვადრატის

კიდეში აღმოჩენილმა ადამიანის (*Homo sapiens*) კოჭის ძვალმა (Talus). B, C, D 19-20 კვადრატებში გამოიკვეთა სამარხის ფორმის სტრუქტურა, ხოლო დანარჩენ B, C, D 21-23 კვადრატებში კერის მსგავსი, მრგვალი ფორმის ორი სტრუქტურა, რომლებიც ნაცრით არის შევსებული და გარშემო მოწითალო ფერი დაჰკრავს, რაც, სავარაუდოდ, ცეცხლის დანთებით გამონვეული მაღალი ტემპერატურის შედეგი უნდა იყოს. ეს სტრუქტურები ჩაჭრილია ჩვენ მიერ განსაზღვრულ IV ლითოლოგიურ ფენაში (კონტექსტი TS-BC-001). სკრუპულოზური განმენდის შედეგად და ადამიანის ძვლების აღმოჩენის შედეგად B, C, D 19-20 კვადრატებში დადასტურდა სამარხი № 1, რომლის ზედაპირი ნაცრით იყო შევსებული, ხოლო შევსება, სიფხვიერის გამო, ეროზია ემუქრებოდა. ამ გარემოებებმა განაპირობა ჩვენი ყურადღების კონცენტრირება სამარხ № 1-ზე და მისი გათხრა. სამარხ № 1-ის ზედაპირულ ნაცროვან შევსებაში გამოვლენილი, გვიანი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი კერამიკის ჭურჭლის ნატეხები, როგორც ჩანს, B, C, D 21-23 კვადრატებში გავრცელებულ არქეოლოგიურ სტრუქტურებთან უნდა ასოცირდებოდეს და, სავარაუდოდ, მღვიმის შესასვლელში ადამიანის აქტივობის უფრო მოგვიანო პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამ ნაცროვანი ფენის (კონტექსტი TS-BC-002) ალების შემდეგ სამარხის კონტურები და ხასიათი უფრო ნათლად გამოიკვეთა. სამარხის კიდეებზე გამოჩნდა ორი პრალელური, ერთი ძირზე გადებული და ერთი თარაზული ხის ძელი (შესაბამისად, TS-BC-004, TS-BC-005, TS-BC-006 კონტექტები), ხის გადახურვა ან საერთოდ არ გააჩნდა სამარხს, ან მისმა ნაშთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. სამარხი მეორადი გამოყენების არის, პირველადი გამოყენების შედეგად დაკრძალული ინდივიდის ძვლები მიხვეტილია სამარხის ბოლოსა და მარჯვენა კიდეში (TS-BC-003), ინდივიდის სქესი განისაზღვრება მასალის ანთროპოლოგიური დამუშავების შემდეგ. ბოლოში მიხვეტილი ძვლები, სავარაუდოდ გამოყოფილია სამარხის მეორადი გამოყენების შედეგად დაკრძალული ინდივიდისა და მისი კონტექსტისგან (TS-BC-007) მცირე ზომის თარაზულად გადებული ძელით. სამარხის მეორადი შევსება მღვიმის ჭერიდან, დიდი რაოდენობით ჩამოცვენილ საშუალო ზომის კირქვებს შეიცავს, რამაც საგრძნობლად დააზიანა ჩონჩხი. მეორადი გამოყენების შედეგად დამარხული, სავარაუდოდ, მდედრობითი სქესის ინდივიდი, დაკრძალულია ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით, ხოლო სახით ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, თუმცა თავის ქალის ეს პოზიცია, შესაძლოა განპირობებული იყოს მისი ადგილმდებარეობის ცვლილებით, ამაზე შესაძლოა მიგვანიშნებდეს თავის ქალის მეოთხედის ნაწილის ქვეშ მოთავსებული მცირე ზომის და ბრტყელი ფორმის ქვა, რომლიდანაც

დროთა განმავლობაში, სავარაუდოდ, თავი ჩამოცურდა. მიცვალებულს ხელები დანყობილი ჰქონდა მუცელზე გადაჯვარედინებულად, მარცხენა ხელის მტევანი ჩაჭიდებულია მარჯვენა წინამხარზე, ხოლო მარჯვენა ხელის მტევანი, მარცხენა კიდურის ილლიის ქვეშ არის ამოდებული. სამარხის ჩაჭრის მიახლოებითი ზომები: სიგრძე - 175 სმ სიგანე -105 სმ , ხოლო ფიცრული კუბოს მიახლოებითი ზომები: სიგრძე - 175 სმ სიგანე -50 სმ. სამარხის „პირი“ არის + 210 სმ სიღრმეზე, სამარხის ძირი + 171 სმ სიღრმეზე, ხოლო სამარხის სიღრმე დაახლოებით 40 სმ-ია.



სურ. 2



სურ. 3

სამარხის მეორადი გამოყენების შედეგად დამარხული ინდივიდის ინვენტარი საკმაოდ მდიდარია. თავის ქალის მიდამოებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი კაურების, ბრინჯაოსა და რკინის საკინძების, და ქსოვილისნარჩენების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული შემოსილი იყო ქსოვილის მორთული თავსაბურავით. სამარხის ფიცრულისა და ქსოვილების მაღალი დაცულობა, დიდი ალბათობით, მღვმის შესასვლელში მუდმივი სიმშრალით არის გამოწვეული. მიცვალებული ასევე შემკული იყო ბრინჯაოს საყურეებით, პასტის მძივებით, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდებით (ოთხი ერთეული), ბრინჯაოს და რკინის ფიბულებით, ბრინჯაოს ქინძისთავებით, რკინის ზანზალაკით და ა.შ.

მასალის ხასიათიდან გამომდინარე სამარხი სავარაუდოდ გვიან ანტიკურ-ადრე შუა საუკუნეების პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს.

სამარხის გათხრის პროცესში აღებულია მრავალი სინჯი პალეობოტანიკური თუ სხვა ტიპის ანალიზებისთვის. მოპოვებული არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მასალის კოორდინტები სრულად დაფიქსირდა ტაქეომეტრის მეშვეობით, სამარხის გათხარა თანამედროვე პროტოკოლის მიხედვით. მოპოვებული მასალა სარესტავრაციოდ გადაეცა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების მართვისა და რესტავრაცია-კონსერვაციის დეპარტამენტს. სარესტავრაციო

სამუშაოებისა და შესაბამისი ანალიზების შემდეგ, სამარხის კვლევის პროცესი გაგრძელდება. ხოლო არეალ TS-BC- 01 დანარჩენი ნაწილი დაკონსერვდა, ამ ფართობის გათხრა 2021 წელს იგეგმება.

რაც შეეხება მოგვიანო პერიოდებს, ქვის კოლექციით წარმოდგენილი არქეოლოგიური მონაპოვარი I, III, VII, VIII, IX, XII, XVI, XVII, XVIII და XIX კულტურულ ფენებში აღმოჩნდა. ფენა I კულტურულია და, სავარაუდოდ, შეიცავს გაადადგილებულ, ქალკოლითურ მასალას. ფენა III წარმოდგენილია ოკუპაციის რამდენიმე დონით, რაც პროფილში კერათა ვერტიკალური გავრცელებით ნათლად იკვეთება და შეიცავს ქალკოლითური კულტურისთვის დამახასიათებელ, კერამიკის ჭურჭლის ნატეხებს, ძვლის იარაღებსა და სხვადასხვა ტიპისა და ფუნქციის არტეფაქტებს. ფენები X, XI და XII ზედაპალეოლითურია, და რამდენიმე ოკუპაციური დონით არის წარმოდგენილი, ჭრილში ეს ფაქტიც კერათა ვერტიკალური განაწილებით დასტურდება. ფენები XVI - XX შუა პალეოლითს განეკუთვნება და დავით თუშაბრამიშვილის მიერ განსაზღვრული ძველი პირველი მუსტიერული კულტურული ერთეულის შესაბამისია, ამ ფენების მასალა ძირითადად კაჟის ანატეცებიტაა წარმოდგენილი, აქვე გვხვდება ლამელები და მცირე ზომის რამდენიმე ნუკლეუსი.

რაც შეეხება პალეონტოლოგიურ მასალას, სამწუხაროდ იგი კვლავაც შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. მღვიმური დათვის (*Ursus speleaus*) ძვლები VII ფენიდან - XVIII ფენამდე, თითქმის ყველა ფენაშია წარმოდგენილი, XIII-XV ფენების გამოკლებით. ზედაპალეოლითურ და შუაპალეოლითურ ფენებში ასევე გვხვდება ირემი (*Cervus elaphus*), ბიზონი (*ison sp.*) და სხვ.

სამუშაოს დასრულების შემდეგ, გათხრილი ფართობის ძირი და კედლების ნაწილი დაიფარა მიწით გავსებული ტომრებით, გარდა იმ ადგილებისა სადაც დიდი ზომის ლოდებია განლაგებული. პროფილების ნაწილი დაიფარა პლასტიკატის პარკით, ხოლო ნაწილი - ტენტითა და მიწით.

ორმაგი მღვიმი


ორმაგი მღვიმე მდებარეობს ცუცხვათის მღვიმური სისტემის მეექვსე იარუსის სამხრეთ ფასადზე, მდ. ჭიშურას (შაბათალელე) მარჯვენა ნაპირზე, მდინარის ხეობიდან 25 მეტრის სიმაღლეზე. მღვიმე მასიური კირქვის სვეტით ორ სივრცედ არის გაყოფილი. 2017-2018 წლების კამპანიების დროს პირველ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე E10, F10, G10 კვადრატების გათხრის გაგრძელების შედეგად, საბოლოოდ გამოიკვეთა განივი ჭრილის ზედა ფენები და გამოიყო ხუთი ლითოლოგიური ფენა. 2019 წლის ივნის-ივლისის კამპანიის დროს, E10 და F10 კვადრატების გათხრა

გაგრძელდა სადაც ქრილის მიახლოებულმა მაქსიმალურმა სიმძლავრემ 1.2 მ. შეადგინა. მეორე სექტორის განივ სრტატიგრაფიულ ქრილში, დამატებით გაითხარა C8, D8,

E8, C9, D9, E9 კვადრატები და საბოლოოდ დასრულდა XIII ფენის გათხრა. ქრილის მიახლოებული მაქსიმალური სიმძლავრე 3.4 მ-ია და აქ 15 ლითოლოგიური ფენაა გამოყოფილი. გაგრძელდა სამხრეთ და ცენტრალურ აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე 4, 5, 6, კვადრატების გათხრა, აქ ქრილის მიახლოებული მაქსიმალური სიმძლავრე დაახლოებით 4 მ-ია, ჩამოსწორდა და დაღრმავდა XIV სტერილური ფენა. ამავე წელს ორმაგი მღვიმის სამხრეთ ცენტრალურ ნაწილში, გაგრძელდა გათხრები 2017 და 2018 წელს გათხრილი C3, D2, E2, D3, E3 D4, D5, E4, E5 კვადრატებში, რომელიც წარმოდგენილია XV და XVI ფენებით. ქრილის მიახლოებული მაქსიმალური სიმძლავრე დაახლოებით 6.7 მ-ია. ასევე გაინმინდა, მოსწორდა ან მომავალი გათხრებისთვის შემზადდა შემდეგი კვადრატები: C 1-2; D, E, F, G, - 1; H 1-2; I 1-2; J 1-2.

2020 წელს, ბრინჯაოს მღვიმეში № 1 სამარხის აღმოჩენის შედეგად დამდგარმა მოულოდნელმა გარემოებებმა, როგორც არის კულტურული ფენების ეროზია, სამარხის გათხრის აუცილებლობის წინაპირობა შექმნა, აქედან გამომდინარე, ცუცხვათის მღვიმოვანის შემსწავლელილ არქეოლოგიური რაზმის ყურადღება ბრინჯაოს მღვიმეზე კონცენტრირდა, ხოლო ორმაგ მღვიმეში ჩატარებული სამუშაოები ძირითადად მოსამზადებელი, განმენდითი და პროფილების შემსწავლელი სამუშაოებით შემოიფარგლა(სურ. 4).

პირველ რიგში გაინმინდა, გამაგრდა და ზოგ შემთხვევაში დატერასდა C, D, E – 9; E, F -7; F 1-7; F, G, H, I, J -1 კვადრატების პროფილები. C, D, E 1-2 კვადრატებში მოიხსნა სტერილური ფენა XIV 20 სმ, ხოლო ჩ 3-7 კვადრატებში კი, ამავე ფენის 10 სმ. განივი და გრძივი სტრატტიგრაფიული ქრილები გასწორდა და გაინმინდა. განივი ქრილიდან აღებულ იქნა სინჯები პალინოლოგიური და სხვა ტიპის ანალიზებისათვის. სტრატტიგრაფიული პროფილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, 20 სმ-ით დაღმავდა - 10 და 9 კვადრატები, სადაც მხოლოდ დათვის რამოდენიმე ძვალი აღმოჩნდა. კულტურული თვალსაზრისით ფენა V, როგორც ჩანს სტერილურია(სურ. 5). ამ სამუშაოების შედეგად, შრომატევადი ფიზიკური სამუშაოები უკან მოვიტოვეთ, სტერილური XIV და V ფენების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხსნილია, შესაბამისად მომავალ წელს კულტურულ XV და XVI ფენამდე დასვლა სწრაფად მოხდება, ხოლო დარჩენილი თხელი XIV ფენა კულტურული ფენებისთვის ჯავშნის ფუნქციას შეასრულებს.



სურ. 4



სურ. 5

A short report of archaeological excavations at bronze and double caves in Tsutkhvati cave complex 2020

*Nikoloz Tsikaridze
nikoloztsikaridze@gmail.com*

In September 2017 a team of researchers from the Georgian National Museum started archaeological excavations in the village of Tsutkhvati, in the frames of the project “Neanderthals in the southern Caucasus”(№ 217620) granted by Shota Rustaveli National Science Foundation. Excavations were started based on permission №17/20 issued by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia. The excavations continued in 2018-2019 on the basis of permission №17/38, №17/70 and №17/35 issued by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia in June-July and September. Excavations followed in September 2020 (Permission

№17/51). The Tsutskhvati cavernous complex is situated in western Georgia, 25 km northeast of Kutaisi, in the valley of the river Shabataghele (N 42 16.249 E 42 51.165H 320m).

Archaeological excavations in Tsutskhvati caves were carried out in the 1970s; short-term works followed in 1998-1999 and 2003-2004. Despite discovering the middle Paleolithic artifacts, faunal remains and the tooth of the Neanderthal, no comprehensive study of Tsutskhvati has occurred, so that the dates need to be revised. Because of already existing material and excavations conducted several decades ago, the research team decided to concentrate only on two cave sites in this huge cavernous complex: Bronze Cave and Double Cave. Thus, the objective of the excavations was to reconstruct the old planning systems of the caves and compare new plans with old ones; to identify and describe the stratigraphy of the caves and expand the already excavated area. Archaeological activities on the sites were divided into four parts: preparation, topographic planning, excavations and conservation works. At Bronze Cave excavations were conducted in longitudinal and cross-sectional mode. Twenty layers have been identified. Layer I contained mixed materials from Bronze Age and Chalcolithic, layers II and III contained Chalcolithic. Layer III is represented by multiple Chalcolithic occupational horizons denoted by hearths. Layers X and XIII belong to the Upper Paleolithic and layer XVI-XIX belongs to Middle Paleolithic. Surprisingly in the North-West part of the Bronze Cave medieval burial was found. In 2020 only the central sector, layer was excavated in Double Cave. The area yielded some Middle Paleolithic artifacts.

უჯარმის ციხე-ქალაქი 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური საგუაოების მოხალე ანგარიში

არსენ ხატიაშვილი
arsenkhatiaashvili@gmail.com

უჯარმის ციხე-ქალაქში, ციტადელის შიდა ტერიტორიაზე, ჩრდილოეთისა და სამხრეთ გალავნის გარე პერიმეტრზე – კლდოვან დედაქანამდე, 2019-2020 წლებში მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები (ხელმძღვ. ლ. ახალაია).

ნაყარ-ნანგრევი და ნაშალი ფენისაგან გაიწმინდა მე-18 კოშკის ქვედა სტრუქტურები და მისი მიმდებარე ფართობი, აღმოსავლეთის მიმართულებით – ეკლესიამდე. ასევე ხელმეორედ გაიწმინდა ფართობი ეკლესიიდან მე-15 კოშკის ძირამდე. აქ პირვანდელ სასიარულო დონეზე გამოჩნდა ერთი ქვევრის ზედა ნაწილი და ეკლესიის წინ მდებარე ერთი სამარხი.

ეკლესიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნაყარ-ნაშალი ფრაგმენტების აღების შედეგად, დაფიქსირდა უსწორმასწორო კლდოვანი დედაქანი, რომელიც შესაძლოა, ტერასულიც ყოფილიყო. ყველგან, განმედილ მონაკვეთებში, ნაყარ-ნანგრევი ფენა შეიცავდა შუასაუკუნეების სხვადასხვა პერიოდის კერამიკის ნიმუშებს, მათ შორის, მოჭიქული ჯამებისა და კრამიტების ფრაგმენტებს.

ციტადელზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გალავნის ჩრდილოეთ მონაკვეთთან არსებული წყლის სარეზერვო ავზი.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 50-იანი წლების საველე სამუშაოების შედეგების შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში, წყლის რეზერვუარის გათხრებისა და მასში გამოვლენილი მასალების შესახებ არაფერია ნათქვამი. უნდა აღინიშნოს, რომ ცისტერნა მთლიანად ამოვსებულია მიწით, რომელიც მრავლად შეიცავს სხვადასხვა სახის კერამიკულ ნაწარმს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს უნდა იყოს კულტურული ფენების გამოვლენის დროს ჩაყრილი ნაყარი, თუმცა, ამის გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ სარეზერვო ავზის საბოლოო გაწმენდის შემდეგ.

2019 წელს ავზის აღმოსავლეთ მონაკვეთში, მთლიან სიგანეზე ჩავეჭერთ შურფი 2 მეტრით. აღმოჩნდა, რომ წყლის რეზერვუარი ნაგებია შუასაუკუნეების მიჯნაზე, გამოყენებულია სტანდარტული ქართული აგური, დაფიქსირდა ნითლად შელესილი კედლები და იატაკი.

2020 წელს შენობა და 21 წყლის რეზერვუარი მიწისგან გაინმინდა. მიწის განმენდითი სამუშაოების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია ციტადელში არსებული წყლის რეზერვუარის კონტურების გამოვლენა და სრული განმენდა.

როგორც ცნობილია, ამ ტიპის საინჟინრო ნაგებობები აუცილებელი ატრიბუტი იყო ქალაქებისთვის, ციხესიმაგრეებისთვის, ხელისუფალთა რეზიდენციებისთვის და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ 50-იანი წლების სავსე სამუშაოების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ამ ნაგებობის კონტურები ასახული არ არის. მიწის ნაყარის გასუფთავების შემდეგ, გამოვლინდა შენობის სიღრმე, ის 4,50 სმ-დან - 4,85 სმ-მდე მერყეობს. შენობის სიგრძე 19,5 მ-ია, ხოლო სიგანე – 5,20 მ. ჩრდილოეთ კედლის სიგანე 10 სმ-ით მეტია, რადგან კედელი გაბზარულია მიწის რყევის შედეგად. კედელი ნაგები უნდა იყოს შუა საუკუნეებში.

წყლის რეზერვუარი თაღოვანი ნაგებობაა, კამარის შემორჩენილი ფრაგმენტების აგურის ზომაა 25X25 სმ, 27X27 სმ. სავარაუდოდ, ეს გახლავთ სასანური სტანდარტის ნითელი აგური (საფიქრებელია, რომ ჩრდილოეთ კედელზე საკოჭე ფოსოების კვალი ჩანს), აქედან გამომდინარე, შეიძლება ეს ნაგებობა პირვანდელი სახით ამ პერიოდში ასე ფუნქციონირებდა. როგორც ჩანს, მოგვიანებით, კამარა ბრტყელი გადახურვით დაუფარავთ, რაზეც უნდა მეტყველებდეს იატაკზე დაფიქსირებული ბურჯების ფრაგმენტები.

წყლის რეზერვუარის განმენდისას, ერთ-ერთ ფენაში გამოვლინდა შუა საუკუნეებისა და უფრო მოგვიანო პერიოდის, დიდი რაოდენობით კერამიკული მასალა. აგრეთვე, მიწის (პასტის) ფრაგმენტები, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთი კედლის მხარეს მიწის ზედაპირიდან 1,7 მ სიგრძეზე აღმოჩნდა ცეცხლის კერა. მის გვერდით, მიწისა და ნაკვერჩხლის ნაშალ ფენაში დადასტურდა ფრესკის სამი ფრაგმენტი, ორი მათგანი მონითალო ფერითაა მოხატული, ხოლო ერთი – მონაცრისფროა. მასზე გამოსახულია ადამიანის სახე, მის პარალელურად, 20 სმ-ის მოშორებით აღმოჩნდა ბრინჯაოს ზარი, მასთან ერთად ორყურა ქოთანის, რომელიც ყოველდღიური საკვების გასაცხელებლადაა გამოყენებული, რადგან ის გამურულია შავი ნახშირით.

და, რაც უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებოა: იმ ფენაში აღმოჩნდა პირგაშლილი კრამიტის ფრაგმენტი, რომელზეც გამოსახულია ასომთავრულ-მრგლოვანი ასოებით სამი ასო (რ, ფ, თ). სავარაუდოდ, წარწერა შესრულებულია იმავე, შუა საუკუნეების პერიოდში. შენობის მარჯვენა მხარეს, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ჩაშლილი ქვევრი, ხოლო მისგან მარცხნივ, დასავლეთ კედელთან,

ძირში დაფიქსირდა ჩაშლილი თონე. როგორც ჩანს, შემდგომში შენობისთვის კარი ამოუმტვრევიათ, საფეხურები ჩაუშენებიათ და მრავალჯერ გამოუყენებიათ სამეურნეო დანიშნულებისთვის.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6

Short Review on 2020 Archaeological Work in Ujarma Fortress-City Arsen Khatiashvili

Arsen Khatiashvili

arsenkhatiashvili@gmail.com

The 2019-2020 Archaeological work involved the middle part of the territory of the Citadel of Ujarma fortress-city, also, its outer perimeters of the northern and southern Walls that extended to the territory of the rocky range of the Fortress-town. (the archaeological expedition was headed by Lali Akhalaia).

The lower structures of the 18th century tower and its surrounding territory was cleaned off the ruined, eroded and sedimentary rocks, that involved the eastern part of the fortress up to the Church and the territory from the church to the tower. As a result of the implemented work, there appeared an upper part of the Qvevri and the grave in front of the church.

To the northeast part of the church, as a result of the cleaning off the sedimentary rocks, there was traced the main uneven rock, presumably of the terrace type. The piled-up patterns include the ceramic samples and ornamented bowls.

To the northern part of the wall, within the territory of the Citadel, the special building of the water basin deserves our research interest.

It is significant to note that the 50-s reports on the field expeditions and researches and their results, that have been covered by the certain publications, lack the information

about the investigation of the water reservoir and its composing samples.

It is also important to denote that the inner part of the reservoir is full with the ground to its utmost level, that includes the different samples of ceramics too, that presumably belongs to those samples of the rocks that occasionally dropped in the reservoir during the exploration of the cultural layers of the rocks, however, it still remains a subject of further exploration and research of the reservoir.

In 2019, to the eastern part of the reservoir we dug in 2-meter Surfi to its full width. As a result, we envisage that the reservoir belongs to the beginning of the medieval period and includes the building material of the standard Georgian brick along with the red painted walls and floor.

The most important result of the 2020 work of cleaning the building N21 includes the tracing the contours of the water reservoir and the process of its full cleaning.

Historically, such types of the buildings were a necessary attribute to the towers and cities, as well as the other residential buildings. It is significant to note that 50-scientific literature, specially dedicated to the field researches, do not show any information about the contours of the water reservoirs. The full cleaning of the water reservoir showed clearly its depth that ranges 4, 50 sm-4,85 sm. The length of the building is 19,5 m and its width-5,20 m. The width of the northern wall is 10 sm due to the fact that wall is full of gaps as a result of shaking of the surface of the Earth. The wall presumably belongs to the medieval period.

The water reservoir is an arch type building and the remained sample of the brick of 25X25 sm; 27X27sm is a sample of the red brick of Sasanyan period. Only in the later period, the arch changed into the flat roofing, that is evidential in the remains of the pillars on the floor.

The water reservoir cleansing also showed the medieval and post-medieval period ceramic fragments, as well as pane fragments, and most notable is the fire spot, at the length of 1,7 m from the ground, that is located to the northern wall. In the gathered samples of the ground and ember layers there were found the three samples of the fresco, two of which are painted red and the third one is grey with the face of a man engraved on it. Nearby the site, some 20-sm away there was found the bronze bell with the pot beside it. The vessel is smutted with coal as a proof that it was used for heating the dishes.


Within the same sample there was found a fragment pattern of the open form of the tile with the three Asomtavrul–Mrglovani letters of the Georgian Alphabet (r, f, T) that proves that the writing sample belongs to the medieval period.

On the right side of the building, to the southeast corner there was found the broken Gvevri and on the left, to the bottom of the western part of the wall, there appeared the broken Tone (the clay oven), that presumes the fact that in the later period the door was built in and the steps were also structured and the building was used for agricultural purposes.

მთა ირმის რქაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში

გია ჩილინგარაშვილი
giochilingarashvili1@gmail.com

2020 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფლების არლისა და წარბასთუმნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მთა - ირმის რქაზე (317036.79; 4608712.04) (სურ. 1).




სურ. 1

არქეოლოგიური გათხრების მიზანი იყო ირმის რქაზე დაზიანებული არქეოლოგიური ობიექტის შესწავლა, ძეგლის ტიპის, ხასიათის, მასშტაბისა და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა. გათხრების მეთოდოლოგია სრულად შეესაბამებოდა კვლევის მიზნებსა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.


გათხრების დაწყებამდე მთაზე გაკეთდა 10X10 მ-ის კვადრატული ბადე, რომელიც გასწორდა მილსადენისთვის გაჭრილი გზის პარალელურად (საპროექტო ჩრდილოეთი გეოგრაფიული ჩრდილოეთიდან გადახრილია 28⁰-

ით). კვადრატები ჰორიზონტალურ ხაზზე დაინომრა ლათინური ასოებით A-დან R-მდე, ხოლო ვერტიკალურ ხაზზე, რიცხვითი ნუმერაციით 1-დან 10-მდე (სურ. 2). გათხრების პროცესში თითოეულ ფენას ენიჭებოდა უნიკალური ნომერი, აღმოჩენილი მასალა და საანალიზოდ შეგროვებული ნიმუშები მაგ., კერამიკა, ნახშირი, ძვლოვანი მასალა, ქვის ნივთები და სხვ. ველზე აღირიცხებოდა სახეობების მიხედვით. მათი უკეთ იდენტიფიკაციისთვის, ეტიკეტზე დაინერა ფენისა და კვადრატის ნომრები. საველე დოკუმენტაცია წარმოებდა სპეციალურ დღიურში. ყოველდღიურად ვადგენდით სიტუაციურ გეგმას, ვაკეთებდით გრაფიკულ ჩანახატს, მიმდინარეობდა ფოტოგრაფირება. ფიქსაციის ძირითადი საშუალება იყო ფოტოგრაფირება, რისთვისაც გამოიყენებოდა უპილოტო საფრენი აპარატი, რომლის საშუალებითაც ვაკეთდა თითოეული თხრილის გეომეტრიულად ზუსტი სამგანზომილებიანი მოდელები და ორთომოზაიკები. ასევე, საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკა.



სურ. 2

გარდა გათხრებისა, ძეგლზე ჩატარდა სადაზვერვო არქეოლოგიური კვლევა. გამოყენებულია სისტემატური დაზვერვების მეთოდი, რაც გულისხმობს თითოეული კვადრატის ტრანსექტებით შემოწმებას და დაფიქსირებული არქეოლოგიური მასალის შეგროვებას. თითოეულ კვადრატში აღმოჩენილი ნივთები ცალკე ინახებოდა და მასალის გავრცელების ინტენსივობა ისახებოდა რუკაზე (სურ. 3).



სურ. 3

საველე სამუშაოების მიმდინარეობისას გაინმინდა გაზსადენის მშენებლობის დროს, ტექნიკით დაზიანებული ფართობი და ჭრილი, რომელიც დაახლოებით 150 მ სიგრძისა და 10 მ სიგანის ტერიტორიას მოიცავდა. გასუფთავების შედეგად გამოიკვეთა დედაქანში ჩაჭრილი ორმოების ნაშთები, რომელთა უმეტესობა ჭრილში იყო მოქცეული, ნაწილი კი გზაზე. ყველა მათგანი ტექნიკით იყო დაზიანებული, შემორჩა მხოლოდ მცირე ნაწილი. ობიექტის ამ ნაწილში მთლიანობაში 35 ორმო და 1 ორმოსამარხი დაფიქსირდა. ორმოების შევსება სხვადასხვაგვარია. მათში ძირითადად ადრე ბრნჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელი კერამიკული მასალა აღმოჩნდა – თიხის ჭურჭლისა და სადგრის ფრაგმენტები, ნავისებური ხელსაფქვავეები და სხვ. რაც შეეხება სამარხს, მისი მხოლოდ მცირე ნაწილი იყო შემორჩენილი. აქ გამოვლინდა

მჯდომარე პოზაში დაკრძალული მოზარდი, თავით ჩრდილოეთისკენ. ინვენტარი არ დადასტურებულა (სურ. 4).



სურ. 4

ორმოცების განმენდის პარალელურად, ფერდობზე (დაზიანებული ქრილის თავზე) გაკეთდა თხრილები. ოთხი თხრილი ისე განაწილდა, რომ დაზიანებული ნაწილი მთლიანად ავითვისეთ. N1 თხრილი გაკეთდა ნამოსახლარის დასაწყისში, N2 და N3 შუა ნაწილში, N4 კი ნამოსახლარის ბოლოში (სურ. 5).



სურ. 5

N1 თხრილი

პირველმა თხრილმა მოიცვა კვადრატული ბადის E7, E8, F7 და F8 მონაკვეთები. თხრილის საერთო ზომაა 20X7; 5X7 მ-ია (სურ. 6).



სურ. 6

F7 კვადრატში, თანამედროვე ზედაპირიდან დაახლოებით 0,4 მ სიღრმეზე, დაფიქსირდა დიდი და საშუალო ზომის ფლეთილი ქვების გამოყენებით ცალფად ნაშენი ნაგებობის ზურგის კედელი, რომლიც დამხრობილი იყო ე-ვ ხაზზე. მისი სიგრძე შეადგენდა 4,5 მ-ს, სიგანე – 0,4 მ-ს, მაქსიმალური სიმაღლე 1 მ-ს, როგორც შემდგომში გათხრებით გაირკვა კედლის ეს მონაკვეთი მხოლოდ ნაშთია, ის ორივე მხრიდან დაზანებული იყო. ნაგებობის ინტერიერში მკაფიოდ გამორჩეული იატაკი არ დაფიქსირებულა. თუმცა, კედლის ქვედა დონეზე ნაცროვან ფენაში მრავლად იყო მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და სხვა არტეფაქტები.

საინტერესო სურათი გამოვლინდა E8 F7 და F8 კვადრატებში. აქ დადასტურდა ორი ნაგებობის ნაშთები და E8 კვადრატის უკუდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მასიური კლდოვანი დედაქანი, რომელზეც დაღესილი იყო ტაფისებური ჭურჭელი, იქვე იდო ხუფიც.

N2 ნაგებობიდან შემორჩენილი იყო SW-NE ხაზზე მიმართული 10 მ სიგრძის, ოდნავ მორკალული ზურგის კედელი. შემორჩენილი კედლის მაქსიმალური სიგანე და სიმაღლე 0,5 მ იყო. კედლის წყობა ცალპირაა,

მშენებლობისთვის გამოყენებულია დიდი ზომის ქვის ბლოკები, რომლებიც უშუალოდ დედაქანზე დევს. ამ შემთხვევაშიც ნაგებობის მხოლოდ ზურგის კედელია წარმოდგენილი, რომელიც ორივე მხარეს ასევე დაზიანებული იყო. მონაკვეთის დაზიანება ბუნებრივი მიზეზით უნდა ყოფილიყო გამონვეული, ხოლო SW ნაწილში, კედელსა და დედაქანს შორის გამოიკვეთა შავი ფერის მკვრივ ფენაში არეული დიდი ზომის ქვების კონცენტრაცია, რომელიც ჭრიდა კედელს. შემდგომში ამ მონაკვეთის შესწავლით გაირკვა, რომ აღნიშნული ქვა-მიწაყრილი ფარავდა 4 ორმოს, რომლებიც კედელს აზიანებდა. ორმოები ძირითადად ამოვსებული იყო ისეთივე მასიური ზომის ქვის ბლოკებით, როგორითაც ნაგებია მეორე კედელი. მათგან 3 ორმოში მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭლის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა, ხოლო ერთში ჩამსხვრეული დერგი და მცირე ზომის რამდენიმე მთლიანი ჭურჭელი დაფიქსირდა. იატაკი არც ამ ნაგებობაში დაფიქსირებულა, თუმცა, მრავლად იყო კაჟის, ნამგლის, კერამიკული მასალა, მათ შორის აღსანიშნავია დიდი ზომის ნალისებური სადგრის ფრაგმენტი.

N3 ნაგებობა F8 კვადრატის ნაწილში გამოვლინდა. ზედაპირიდან დაახლოებით 0,5 მ სიღრმეზე. გათხრილ ფართობში მოექცა ამ ნაგებობის მხოლოდ ორი კედელი. გრძივი კედელი 4,2 მ, ხოლო განივი 2,2 მ-ია და ორივე მიმართულებით გაუთხრელ ნაწილში გრძელდება. კედლები ნაგებია ცალფად, ფლეთილი ქვებით და ჩადგმულია დედაქანში. ინტერიერი წარმოდგენილია მოყავისფრო ფერის თიხნარით, 1 მ-მდე დაღრმავებისას არანაირი არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. ამ დონეზე გათხრები შეჩერდა და ნაგებობა დაკონსერვდა.

N2 თხრილი

მეორეთხრილი ზომით 10X20მ-ია, გაკეთდა ბორცვის სამხრეთ ფერდობის შუა ნაწილში და მოიცავდა J7 და J8 კვადრატებს. ეს უკანასკნელი გაითხარა საფეხურებად ძეგლის სტრატეგრაფიის გასარკვევად. მთლიანობაში გაკეთდა 5 ტერასა, აქედან პირველ სამზე დადასტურდა კულტურული ფენა (სურ. 7).

პირველ ტერასაზე, რომელიც მოიცავდა ბორცვის სწორ ზედაპირს, 0,3 მ სიღრმეზე გამოვლინდა ბედენური კულტურის ფენა. თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოექცა ამ პერიოდის ნაგებობის მცირე ნაწილი, რომელიც გაუთხრელ ფართობში გრძელდება. ამავე ტერასაზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ჩამსხვრეული, ბედენური კერამიკის კონცენტრაცია, იქვე იყო ძვლის იარაღები და ნავისებური ხელსაფქავავის ქვა (სურ. 8).



სურ. 7



სურ. 8

მეორე ტერასაზე გამოვლინდა მასიური კედლის მცირე ნაწილი, ნაგებობის კუთხე. ის ორივე მხრიდან პირველი ტერასის ქრილში გრძელდება. ამ ნაგებობის განმენდის დროს ფიქსირდებოდა მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

მესამე ტერასაზე დადასტურდა მასიური ქვებით ნაგები 1 მ სიგანის კედელი, რომელიც სამხრეთ ფერდობის გარკვეულ მონაკვეთებში ზედაპირზეც ჩანს. სავარაუდოდ, იგი ერთიანი, მასშტაბური კედელია,

რომელიც აზიანებს ადრე ბრინჯაოს ხანის ფენებს. რთულია საუბარი მის ფუნქციაზე, შესაძლოა, ის ხელოვნური ტერასის ან თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა. ამ ტერასის გათხრისას, ძირითადად გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩნდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ კედლის თარიღიც ამავე პერიოდით უნდა განისაზღვროს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს კედლის მშენებლობის განსხვავებული ტექნიკაც. ასევე აღსანიშნავია ტერასის დასავლეთ ნაწილში (კედლის უკან) აღმოჩენილი მასიური ქვა, რომელზეც ორნამენტებია ამოკანრული (სურ. 9).



სურ. 9


მეოთხე და მეხუთე ტერასაზე კულტურული ფენა არ დადასტურებულა. აქ იყო მესამე ტერასის კედლის გადმონგრევის შედეგად მოხვედრილი, სხვადასხვა პერიოდის კერამიკის ფრაგმენტებთან არეული დიდი ზომის ქვები.

N3 თხრილი

N3 თხრილი გაკეთდა ნამოსახლარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც დაზვერვების დროს, ფერდობის სხვადასხვა ნაწილში დაფიქსირებული კედლის კონტური ყველაზე უკეთ იკითხებოდა. N3 თხრილი, ზომით 5X8 მ მოექცა L7 კვადრატში. აქ, სამუშაოში მხოლოდ ზედაპირული

ქვების ალაგებითა და მცენარეული საფარის განმედიტით შემოიფარგლა, რის შედეგადაც გამოიკვეთა საბოლოო სურათი, დადასტურდა კედლის

არსებობა და განისაზღვრა მისი გავრცელების მიმართულება (სურ.10).



სურ. 10

N4 თხრილი

N4 თხრილი მდებარეობდა ნამოსახლარის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ტექნიკის მიერ დაზიანებულ ქრილში ჩანდა დაახლოებით 1,5 მ სისქის კულტურული ფენა. თხრილი მოექცა N7, N8, O7 და O8 კვადრატებში. თხრილის ზომა 9X5,5 მ იყო (სურ.11).

დაღრმავების შემდეგ, თხრილის ნახევარში კლდოვანი დედაქანი გამოიკვეთა, რომელზეც მიდგმული იყო ცალფად, საშუალო ზომის ქვებით ნაგები კედელი. კედელი SE-SW ხაზზეა გამართული და შემორჩენილია ფრაგმენტულად, 4,65 მ სიგრძეზე. სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით დაზიანებულია, ამ ნაწილში დადასტურდა მონაცრისფრო ფხვიერი ფენა,

რომელიც დასავლეთის მხრიდან ესაზღვრებოდა ნახევარწრიულად ჩაჭრილ დედაქანს. ამ მონაკვეთზე აღმოჩენილია გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კერამიკული მასალა, რაც კედლის დაზიანების მკაფიო თარიღს იძლევა. უფრო დასავლეთით კედელი არ დაფიქსირებულა, მის პარალელურ ხაზზე ვერტიკალურად ჩაჭრილი დედაქანი გრძელდებოდა. კედელი არც აღმოსავლეთ ნაწილში გაგრძელებულა. თხრილის საზღვრიდან დაახლოებით 0,4 მ დაშორებით წყდება, სავარაუდოდ, აქაც გარკვეულ ეპოქაში ჩაჭრასთან უნდა გვეკონდეს საქმე, რამაც კედლის დაზიანება გამოიწვია.



სურ. 11

ნაგებობის შიდა ნაწილში კონცენტრირებული იყო ნაცროვან ფენაში არეული ქვყარილი, რომელიც კედლის დასაწყისიდან 0,65 მ სიღრმეზე გრძელდებოდა. ეს ფენა შეიცავდა მტკვარ-არაქსისა და ბედნური კულტურებისთვის დამახასიათებელ კერამიკულ მასალას. ქვყარილის მოხსნის შემდეგ, იატაკის დონე არ დადასტურებულა, კვლავ ფხვიერი ნაცროვანი ფენა გამოვლინდა. კედელი ამ დონეზე შეწყდა და სიღრმეში აღარ გრძელდებოდა. კერამიკული მასალა ისევ ზემოთ ნახსენები კულტურებისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით იყო წარმოდგენილი. ამავე დონეზე, დედაქანთან ახლოს აღმოჩნდა რამდენიმე ნამგლის ჩასართი, ძვლის სახვრეტი, კაჟისა და ქალცედონის ისრისპირი და კაჟის მასიური შუბის პირი.

იომის რქაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოებით გაირკვა ძეგ-

ლის ხასიათი, მასშტაბი, სტრატეგრაფიული სურათი და ქრონოლოგიური ჩარჩოები. აღმოჩნდა, რომ ძველი მრავალფენიანი ნამოსახლარია, რომლის უადრესი ოკუპაციაც ადრე ბრინჯაოს ხანაში მოხდა. სამუშაოების შედეგად აღმოჩენილმა ქვის არქიტექტურის ნაშთებმა და მათთან დაკავშირებულმა არქეოლოგიურმა მასალამ მტკვარ-არაქსული კულტურის გვიანდელი ეტაპის დასახლება დაადასტურა. თუმცა, არანაკლებ საინტერესო გამოდგა ბედენური კულტურის ნამოსახლარი ფენა, მით უფრო, რომ მსგავსი ნამოსახლარები საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ცნობილი, ხოლო სამცხის ამ ნაწილში კი ბედენური ნამოსახლარის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა.

გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შესაბამის საცავებში.

სურათების აღწერილობა:

სურ. 1 არქეოლოგიური ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობა და სართო ხედი.

სურ. 2 ნამოსახლარზე გახედილი ჰაერაღებელი ხედი.

სურ. 3 არქეოლოგიური დაზვერვის დროს, ზაღვირაზე დაფიქსირებული არქეოლოგიური მასალის განაწილების სქემა.

სურ. 4 დაზვერული ორგო სარეზი და აქ გამოვლენილი მიწვალაბულის ნაშთი.

სურ. 5 ნამოსახლარზე, თხილავის განაწილების ხედი და შესავალი ორგოები.

სურ. 6 №1 თხრილის ზღვარი, გამოვლენილი სამი ნაგებობის ნაშთი და ორგოები.

სურ. 7 №2 სტრატეგრაფიული თხრილისა და დაზვერულ პროფილში შესავალი ორგოების ზოგადი ხედი.

სურ. 8 №2 თხრილის I ტარასზე გამოვლენილი ბაღანური ჯალბარის ჩამსხრავული თხის ჭარბების ჯონცებრაცია და ნავისაბური ხელსაფქვა.

სურ. 9 №2 თხრილის III ტარასზე აღმოჩენილი ორნამენტირებული ქვა.

სურ. 10 №3 თხრილის სიტუაციური გეგმა.

სურ. 11 №4 თხრილის სართო ხედი.

*A short report on archaeological excavations conducted
on Mt. Irmis Rka in Adigeni Municipality
in 2020*

*Gia Chilingarashvili
giochilingarashvili1@gmail.com*


Funded by the Georgian Oil and Gas Corporation, an archaeological expedition of the Georgian National Museum carried out salvage excavations between the villages of Arali and Tzarbastumani, Adigeni Municipality, in August 2020. The aim of the expedition was to investigate the damaged archaeological site, to reveal the type, scale and chronology of the settlement. The applied methodology is in compliance with the aims of the survey and the requirements of Georgian law.

Investigations showed that Irmis Rka is a multi-layered settlement where the earliest occupation dates to the Early Bronze Age. Discovery of the remnants of stone architecture and the related archaeological material evidenced presence of a settlement here in the late stage of the Kura-Araxes culture. The following layer of settlement which belongs to the Bedeni Culture turned out to be equally significant. It is an important discovery as the settlements of this culture are quite rare in Georgia and they are mainly found in Samtske region.

უღვილ დამირგაიაჲ 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური ჯვარჯახის მოქალა ნაგარიჲ

გია ჩილინგარაშვილი
giochilingarashvili1@gmail.com
ლევან ლოსაბერიძე
levan.losaberidze.1@iliauni.edu.ge
მარიამ ელოშვილი
mariami.eloshvili@yahoo.com

2020 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ახალგაზრდა არქეოლოგთა საზოგადოების ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, ამერიკის კლდის ხელოვნების კვლევის ასოციაციისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, მუშაობდა მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. კასუმლოსთან, ადგილ დამირგაიაზე.



სურ. 1

ობიექტი მდებარეობს მცირე კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე, ბაბაქარის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 690 მეტრზე (490336.13; 4569152.99) (სურ.1). არქეოლოგიური ობიექტი ორ მასიურ ლოდში ბუნებრივად წარმოქმნილი სივრცეებია (სურ. 2), რომელთაგან

ერთი, უფრო მოზრდილი, ცნობილია კლდის მხატვრობის ნიმუშებით. მისი სიმაღლე 5,5 მ-ია, სიგანე კი 7,3 მ. მეორე ლოდი, რომლის გამოქარული ნაწილი შედარებით მცირე ზომისაა. პირველს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან აქვს მიდგმული და ამოვსებულია ფერდობიდან ჩამოშლილი მიწით. მისი შიდა სივრცე დაახლოებით 1 მ სიმაღლისაა და ორი მხრიდან – დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ღიაა. სავარაუდოდ, ორივე ლოდში არსებული სივრცე, ადამიანის მიერ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. თუმცა, ამჯერად კვლევები მხოლოდ სადგომის იმ ნაწილზე ჩატარდა, სადაც მხატვრობის ნიმუშებია დაფიქსირებული (სურ. 3).




სურ. 2

არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2020 წელს დამირგაიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების მეთოდოლოგია სრულად შეესაბამება კვლევის მიზნებსა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. განხორციელებული სამუშაოს მიზანი იყო გათხრების მეშვეობით განგვესაზღვრა დაფიქსირებული სავარაუდო არქეოლოგიური ობიექტის ხასიათი და გაგვერკვია, იყო თუ არა სადგომის ინტერიერში იმ ადამიანთა ცხოვრების კვალი, რომლებიც გარკვეულ ეპოქაში დამირგაიას ბუნებრივ თავშესაფარს იყენებდნენ.

სამუშაოების დაწყებამდე სადგომის მიმდებარე ტერიტორია გაინმინდა ბუჩქნარისგან და დაკვადრატდა ტაქომეტრის გამოყენებით. გაკეთდა ოთხი 4X4 კვადრეტი, რომლებიც დაიყო ოთხ 2X2 მ შიდა ნაწილებად. ძირითადი 4 მეტრიანი კვადრატები დაინომრა ლათინური ასოებით A, B, C, D, ხოლო თითოეული მათგანის შიდა ორმეტრიანი კვადრატები – რიცხვებით 1, 2, 3, 4 (სურ. 4).



სურ. 3



სურ. 4

გათხრები ჩატარდა მხოლოდ ერთ ოთხმეტრიან Dd კვადრატში, რომელშიც თითქმის მთლიანად მოექცა სადგომის შიდა ნაწილი. 10 სმ სისქის ჰუმუსის მოხსნის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირდა ნახშირისა და ნაცრის კვალი, რომელიც შეიცავდა მცირე რაოდენობით ცხოველის ძვლებსა და მინის ფრაგმენტებს. გარდა ამისა, ჰუმუსში, მთელ ფართობზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლისა და ცხოველის ძვლის რამდენიმე უსახო ფრაგმენტი. ჰუმუსის მთლიანად მოხსნის შემდეგ, დაახლოებით 30 სმ სიღრმეზე, მთელ ფართობზე გამოიკვეთა მოყვითალო ფერის სტერილური ფენა.



სურ. 5

რადგან ოთხმეტრიან ფართობში კულტურული ფენა არ დადასტურებულა, დაღრმავება მხოლოდ მეოთხედ ნაწილში (D4) გაგრძელდა (სურ. 5). სატესტო თხრილში 2 მეტრის სიღრმემდე ერთგვაროვანი სტერილური ფენა გრძელდებოდა, რომელიც შეიცავდა შავი ფერს განამარხებულ ჰუმუსს. ამ თხრილის აღმოსავლეთ ჭრილში ნათლად ჩანს, რომ მასიური ლოდი (შემდგომში სადგომი) სწორედ ამ შავ ფენას, განამარხებულ ჰუმუსს ადევს. როდესაც ეს ლოდი მოწყდა ძირითად მასივს და დაგორდა, სწორედ ჰუმუსს (მაშინდელ ზედაპირს) დაედო, მისმა მასამ კი ფენების დეფორმირება გამოწვევა (სურ. 6). არქეოლოგიური გათხრები ამ დონემდე შეწყდა. განხორციელდა თხრილისა და ჭრილების ფიქსაცია, შემდგომ კი რეკულტივაცია.



სურ. 6



სურ. 6 (1)

რაც შეეხება მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალას, როგორც აღვნიშნეთ, თიხის ჭურჭელი მხოლოდ შუა საუკუნეების რამდენიმე უსახო ფრაგმენტითაა წარმოდგენილი და ყველა მათგანი ჰუმუსში აღმოჩნდა, რომელიც ასევე შეიცავდა თანამედროვე მინისა და პლასტმასის ფრაგმენტებს. ასევე დაფიქსირდა ცხოველის ძვლებიც, მათ შორის აღსანიშნავია ერთი ნიმუში, რომელსაც დამუშავების კვალი აღვნიშნება და შესაძლებელია, იარაღად განვიხილოთ. გარდა ამისა, გათხრილ ფართობში გამოვლინდა მცირე რაოდენობით ობსიდიანის, კაჟის, ქალცედონისა და

მწვანე, ვულკანოქენური დანალექი ქანის ანატკეც-ანამტვრევები. აქვე უნდა ითქვას, რომ უშუალოდ გასათხრელად მარკირებულ ტერიტორიაზე, გათხრების დაწყებამდე, ზედაპირზე აღმოჩნდა გვიანი შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის ყური და მოთეთრო ფერის კაჟისგან დამზადებული იარაღი (საფხეკი ან სახოკი), რომელიც წინასწარულად ნეოლითური ხანით უნდა დათარიღდეს.

გარდა გათხრებისა, ექსპედიციამ აწარმოვა დაზვერვებიც დებედას მარჯვენა ნაპირიდან სასაზღვრო ზოლამდე მოქცეულ ვრცელ ტერიტორიაზე. დაზვერვების დასაგეგმად გამოვიყენეთ დისტანციური ზონდირების მეთოდი, რაც გულისხმობს google earth-ისა და სხვა სატელიტური გადაღების რესურსების გამოყენებით, ძეგლების ვირტუალურ მოძიებას. შემდგომში წინასწარ მონიშნული ობიექტები ველზე მოწმდებოდა. ძეგლების დასანომრად გამოვიყენეთ რიცხვები გამჭოლი ნუმერაციით და პროექტის ინგლისური სახელწოდების აკრონიმი - KKAS (asumlo Archaeological Survey).

სულ გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის შვიდი ძეგლი.

KAS001 – ეს არის ბორცვი, რომელიც მდებარეობს სოფ. კასუმლის სამხრეთით, 1 კმ-ის დაშორებით, ზღვის დონიდან 500 მეტრზე, მშრალი ხევის პირას (489659.75; 4571023.50). ბორცვის თავი მოსწორებულია, მის ჩრდილოეთით, ძირში საბჭოთა პერიოდში აგებული შენობის ნაშთია. დაზვერვების შედეგად აქ შეგროვდა ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ობსიდიანისა და კაჟის ანატკეც-ანამტვრევები და იარაღები. კოლექციიდან აღსანიშნავია კაჟისგან დამზადებული ორი ნამგლის ჩასართი.

KAS002 – სოფ. კასუმლოს ჩრდილო-დასავლეთით, სამეურნეო ნაკვეთებში, ზღვის დონიდან 376 მეტრზე დაფიქსირდა გვიან ნეოლითური ხანის ნამოსახლარი ბორცვი (487212.97; 4573521.68). ნამოსახლარი დაზიანებულია ცხოველების ორმოებით და ადგილობრივების მიერ გაჭრილი თხრილებით. აღსანიშნავია, რომ ბორცვის გარშემო ტერიტორია იხვნება, რაც საფრთხეს უქმნის არქეოლოგიურ ობიექტს. დაზვერვების შედეგად ბორცვზე და მის გარშემო ხნულელებში შეგროვდა ობსიდიანის იარაღები, ლამელები, ანატკეცები, ხელსაფქვავეები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. შეგროვებული მასალა გვიან ნეოლითური ხანის შულავერ-შომუთეფეს კულტურას განეკუთვნება.

KAS003 – გორანამოსახლარი დაფიქსირდა სოფ. ულაშლოსა და კასუმლოს შორის, სოფლების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის პირას, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 374 მეტრზე (489104.30;

4573655.92). ნამოსახლარი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული ცხოველების ორმოებით და ადგილობრივების მიერ გაჭრილი თხრილებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ბორცვის მიმდებარე ტერიტორია იხვნება, რაც ყოველწლიურად იწვევს ნამოსახლარის ფართობის შემცირებას. ტერიტორიაზე შეგროვდა შუა საუკუნეების კერამიკული მასალა, ყალიონის ფრაგმენტი, მოჭიქული, სადა და ორნამენტირებული ნატეხები. აღსანიშნავია, აგრეთვე, გამჭვირვალე კვარცისგან დამზადებული საკიდი.

KAS004 – გვიან ნეოლითური ხანის გორანამოსახლარი დაფიქსირდა სოფ. აღმამედლოს ჩრდილოეთით სამეურნეო ნაკვეთებში, ზღვის დონიდან 310 მეტრზე (492028.57; 4576365.85). ნამოსახლარი მნიშვნელოვნად დაზიანებულია, გზა უშუალოდ ბორცვზე გადის. ასევე მთელი ტერიტორია გამოყენებულია ნაგავსაყრელად, ბორცვის აღმ. ნაწილი კი დაზიანებულია ყოველწლიური სახნავი სამუშაოებით. როგორც ბორცვზე, ისე მის გარშემო ხნულეებში, შეგროვდა დიდი რაოდენობით კაჟისა და ობსიდიანის ანატეხები, ლამელები, ნუკლეუსები, ხელსაფქვაავის ქვები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მოპოვებული მასალის მიხედვით ნამოსახლარი შულავერ-შომუთეფეს კულტურას განეკუთვნება.

KAS005 – ნამოსახლარი დაფიქსირდა სოფ. ყაჩაღანის სამხრეთით, ზღვის დონიდან 400 მეტრზე (494946.64; 4572777.97). მოსწორებულ ტერიტორიაზე, რომელიც შემოსაზღვრულია მშრალი ხევებით, აღმართულია რამდენიმე გორა. გორებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე კონცენტრირებულია არქეოლოგიური მასალა. ყველაზე დიდ გორაზე, რამდენიმე მასშტაბური თხრილია გაკეთებული, სადაც ჭრილში შეინიშნება ორ მეტრამდე სიმაღლის კულტურული ფენა და კირქვისგან ნაგები კედლის ფრაგმენტი. მთლიანად ნამოსახლარზე შეგროვებული მასალა წარმოდგენილია ობსიდიანის იარაღებით, ხელსაფქვაავის ქვებითა და კერამიკით. მასალის ძირითადი ნაწილი წინასწარულად გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანით, ხოლო მეორე ნაწილი კი შესაძლოა, გვიან ნეოლითური და ადრე ბრინჯაოს ხანით დათარიღდეს.

KAS006 – სოფ. თექალის სამხრეთით, ზღვის დონიდან 548 მეტრზე, აზერბაიჯანი-სომხეთის საზღვრიდან 1,5 კმ-ის დაშორებით დაფიქსირდა გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის მძლავრი ფორტიფიცირებული დასახლება, რომელიც მაღალ გორაზე ტერასულად არის განლაგებული (499756.00; 4572385.00). ობიექტი ორი, ერთმანეთთან დაკავშირებული ბორცვია. დიდი ბორცვი ხუთი ტერასითაა წარმოდგენილი, პატარა კი – სამით. ძეგლის მიმდებარე არეალი შემოფარგლულია მშრალი ღრმა ხევებით. საყურადღებოა, რომ ნამოსახლარი ხეობაში გამორჩეულ ადგილზე

მდებარეობს და ჩრდილოეთის მხრიდან სრულად აკონტროვებს ქვევმო ქართლის დაბლობს, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით კი მცირე კავკასიონზე გადასასვლელებს. აღსანიშნავია, რომ აქ ზედაპირზევე შეინიშნება ნაგებობათა ნაშთები და მრავლად გვხვდება ობსიდიანისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

KAS007 – სოფ. თექალის სამხრეთით, სოფლის სასაფლაოს სიახლოვეს, ზღვის დონიდან 345 მეტრზე, ზედაპირულად შეინიშნება მასშტაბური ზომის, ქვით ნაგები შენობის ნაშთი (498284.96; 4576213.13). განირჩევა გრძივი და განივი კედლები. გრძივი კედლები დამხრობილია ზუსტად EW ხაზზე. სიგრძეში დაახლოებით 24 მეტრია, სიგანეში კი – 1,4 მ. განივი კედლებიდან ყველაზე უკეთ იკითხება აღმ. კედელი, რომელიც ჩრდ. კედლის კუთხიდან 5,5 მეტრზე მიემართება სამხრ. მიმართულებით, შემდეგ კუთხეს ქმნის და გრძელდება 1,5 მ-ზე, მერე კვლავ კუთხეს ქმნის და სამხრეთით მიემართება. კედლები ნაგებია კირქვის ბლოკებისგან, საპირე წყობად გამოყენებულია დიდი ზომის ქვები, შუა ნაწილი კი, შედარებით მცირე ქვებითაა ამოვსებული.



სურ. 7

აღსანიშნავია, რომ არ შეინიშნება დულაბის გამოყენების კვალი (სურ. 7, 8). აქვე უნდა ითქვას, რომ ნაგებობის ინტერიერში დას. ნაწილში წარმოქმნილია შემადლება. მიმდებარე ტერიტორიაზე მრავლადაა კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ასევე საინტერესოა, ნაგებობიდან რამდენიმე მეტრში დაფიქსირებული კირქვისგან გამოთლილი ქვაჯვარისა თუ ბაზის ფრაგმენტი, რომელიც მაღალმხატვრული დეკორით არის გაფორმებული (სურ. 9). ნაგებობის ზუსტი ფუნქციის განსაზღვრა ჭირს, შესაძლოა,

ეკლესიის ნაშთთან გვეკონდეს საქმე.

და ბოლოს, უშუალოდ ნაგებობაზე გზა გადადის და მას განადგურების საფრთხე ემუქრება.



სურ. 8



სურ. 9

სურათების აღწერა:

სურ.1 ძველის გომგრაფიული მდებარეობა.

სურ. 2 დამირგაია, სართო ხედი.

სურ.3 დამირგიას სდგომი.

სურ.4 ძველზე გახეთქილი ჰვადრებების ბაღა.

სურ.5 სდგომზე გახეთქილი ძირითადი თხრილი, ყვითელი სტრიქონი ფანა და საბასტო თხრილი.

სურ.6 საბასტო თხრილში გამოვლენილი სტრიქონი ფანა და ზრილაბი.

სურ.7 სოფ. თაქალის სამხრეთით დაფიქსირებული ნაგებობის ნაშთი.

სურ.8 №2 ნაგებობის ადგილი.

სურ.9 ნაგებობასთან დაფიქსირებული ქვაჯვარის ფრაგმენტი.

A short report on the archaeological excavations conducted in Damirgaya, 2020

Gia Chilingarashvili

giochilingarashvili1@gmail.com

Levan Losaberidze

levan.losaberidze.1@iliauni.edu.ge

Mariam Eloshvili

mariami.eloshvili@yahoo.com

Damirgaya is located 3km south-east of the village Kasumlo in Marneuli Municipality. Geographically it is situated on the northern slope of the Lesser Caucasus at an altitude of 690 meters. The site comprises two rock shelters leaning on each other on the north-east side. The complex has already been known for its rock paintings executed with red ochre (Losaberidze, Eloshvili 2020: 99-102). The archaeological ca-

mpaign was conducted in the main shelter. The aim of the excavations was to find out the nature of the dwelling and find traces of human habitation there.

Before the excavations, both shelters had been cleaned from thorny bushes and four grids of 4 x 4 m were made and each was divided into four squares of 2 x 2 meters. The main grids were numbered by Latin characters – A, B, C and D.

After removing a 10-cm-thick humus layer, charcoal and ash remains were revealed. They included fragments of animal bones. Furthermore, a few fragments of pottery and animal bones were scattered in the trench. A yellowish sterile layer was revealed at a depth of 0.3 meters.

As the trench did not contain any cultural layers, excavations were carried out on D4 sub-square. It mostly yielded a homogenous sterile layer containing fossilized humus. This stratigraphy suggested that the boulder had come off the top and its mass caused deformation of the ancient humus layer. Excavations of the 2X2m square finally excluded existence of cultural layers here, therefore, digging was completed and the trench was backfilled.

Regarding the unearthed materials, only five fragments of medieval pottery were observed. Furthermore, a small amount of lithic assemblage was discovered as well. This includes mostly flakes made of obsidian, flint, chalcedony and volcanogenic rock. Significant was a surface discovery of a flint tool which can be considered as a scraper and preliminarily dated to the Neolithic period.

Apart from excavations, the team conducted landscape survey of the right bank of the River Debeda. This work was accomplished using Google Earth satellite imagery. KAS survey located seven archaeological sites with a wide chronological range from the late Neolithic to the late medieval. Two artificial mounds suggested connection with Shomu-Shulaveri culture; however, they can represent a transitional phase to the early Chalcolithic period as well. An Early Bronze Age site was found near the site under excavations where significant stone tools were collected. Other two sites of the Late Bronze Age were located in the eastern part of the survey area where one of them reveals a multilayered settlement and another is a massive fortified terraced settlement. The last two sites date to medieval epoch, while the first is a foundation of a large structure built with massive limestone blocks, and another one is a settlement mound where fragments of high and late medieval pottery were collected.

ვაშნარის ნაქალაქარუა 2020 წალს ჩაბარაბული არქეოლოგიური საგუბაროების მოქალა ანგარიში

ვაჟა სადრადე
vazhasadradze@gmail.com
მერაბ ძნელადე
ელგუჯა ღლიღვაშვილი
ირაკლი ანჩაბადე

რამდენიმე წელია, რაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები გურიანთა-ვაშნარის (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ადრე შუა საუკუნეების (IV-VIII სს.) ნაქალაქარის ტერიტორიაზე.

ვაშნარის ნაქალაქარი მდებარეობს სოფ. გურიანთაში, მდინარე ნატანებისა და სკურდუმის ხერთვისში. ძეგლის ნაშთი XIX საუკუნის მიწურულს დაათვალიერეს დიუბუა დე მონპერემ, დიმიტრი ბაქრაძემ, თედო სახოკიამ და სხვ. 1949 წელს იქ სტაციონარული გათხრები ჩაატარა არქეოლოგმა გერმანე გობეჯიშვილმა, ხოლო 1963 წელს, აკად. ნიკო ბერძენიშვილის თაოსნობით, დაიზვერა ნაქალაქარი და მისი მიმდებარე ტერიტორია. 1993, 2016 და 2018 წლებში ძეგლზე მცირე მასშტაბის გათხრები ჩატარდა (გაიწმინდა ადრე შესწავლილი სამნავიანი ბაზილიკა, მარტირიუმის ზედა ნაწილი და ციტადელის გალავნის ერთი მონაკვეთი). სამუშაოების პროცესში აღმოჩნდა იმპორტული და ადგილობრივი ნაწარმი: ამფორები, ამფორისკები, ჯამ-ფიალები, ხელადები, დოქები და სხვ. სამშენებლო მასალიდან დადასტურდა თიხისა და მარმარილოს ფილები, აგრეთვე, წყლის კოლექტორის თიხის მილები. კამერალური სამუშაოების პროცესში, ეროვნული მუზეუმის ფონდებში მივაკვლიეთ სამაროვნისეულ ოქროს ნივთებსა და სხვა არტეფაქტებს, რომელთა შესწავლის შედეგად, სავარაუდოდ, ნაქალაქარის ფუნქციონირების ადრეული ეტაპი დადგინდება. ზემოაღნიშნული არტეფაქტების მრავალრიცხოვნობა მიუთითებს, რომ ძეგლს არა მარტო სამონასტრო ფუნქცია ჰქონდა, არამედ რეგიონის სამრეწველო-სავაჭრო დანიშნულებაც.

ნაქალაქარი იბერია-ეგრისის სამეფოების ზეობის უშუალო თვითმხილველია. სავარაუდოდ, იგი ეგრისის მნიშვნელოვანი ფორპოსტი და IV-VIII საუკუნეებში საერთო ქართული პოლიტიკის გამტარებელი იყო. ამიტომ, მისი ფართომასშტაბიანი შესწავლა, ადრე შუა საუკუნეების

ქალაქმშენებლობის სიღრმისეულ გაშუქებას უკავშირდება. რაც მოიაზრებს გეგმარების, საგალავნო-დაცვითი სისტემის მშენებლობის სპეციფიკის, კომპიუტერული გალავნის კავშირ-ურთიერთობის, საკულტო ნაგებობებისა და იქ გამოვლენილი ადრე შუა საუკუნეების ხანის სამაროვნის არეალის დადგენას, ციტადელის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის გამოვლენასა და შემორჩენილი გალავნის გეგმის დაზუსტებას.

ძველი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა და სტრატეგრაფიული მონაცემების საფუძველზე მრავალჯერ გადაკეთებულია.

ხალხის შედეგები: გათხრების საფუძველზე დაზუსტდა ნაქალაქარზე (იხ. გეგმა) შესწავლილი ძეგლების სტრატეგრაფიული მონაცემები. კერძოდ, შიდაციხის გალავნის, მარტირიუმისა და ბაზილიკის ურთიერთმიმართება. გაირკვა, რომ მარტირიუმისა და ბაზილიკის გარშემოსასვლელი კედელი დაუზიანებია შემდგომში გამართულ ციტადელის გალავანს. ბუნებრივია, ზემოაღნიშნული გალავანი მარტირიუმისა და ბაზილიკის შექმნის თანადროული არაა. იგი შედარებით გვიანდელია და ქალაქის მშენებლობა-გაძლიერების მოგვიანო სამშენებლო ფენას უნდა განეკუთვნებოდეს.

საარქივო ფოტომასალის საფუძველზე ჩანს, რომ მარტირიუმი 1949 წელს ჩაის ფაბრიკის მშენებლობის შემდეგ, ტერიტორიის „კეთილმოწყობის“ პროცესში დაუნგრევიათ, ზედა ნაწილი გადაუჭრიათ (0,80-1მ) და მოუასფალტებიათ.

როგორც ცნობილია, მარტირიუმი ნამებულთა (წმინდანის) განსასვენებელი ორმაგი, ოთხკუთხა გეგმარების ნაგებობა, გეგმაში, ორი მოზრდილი და ერთი შედარებით პატარა სათავსი იყო. აღმოსავლეთით გამოვლენილი პატარა სათავსი სამი განყოფილებისგან შედგებოდა. საარქივო მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ჩრდილოეთით არსებულ პირველ განყოფილებაში ქვებითა და კირხსნარით შემორაგული ადამიანის ცუდად შემორჩენილი ძვლები დაუდასტურებიათ; მეორეზე, ცენტრალურ განყოფილებაში ბრტყელი ქვებით წარმოდგენილი ნიშა გამოვლენილია, ხოლო, რაც უმნიშვნელოვანესია, მესამე – სამხრეთით არსებული განყოფილება, შედარებით უყურადღებოდ მიუტოვებიათ (გამორჩენიათ). სწორედ ამ ფენის პრეპარაციის შედეგად კირხსნარითა და პატარა ზომის რიყის ქვებით წარმოდგენილი სიგარის ფორმის სამარხი დადასტურდა. ბუნებრივია, სამარხს ხელი არ ვახლეო, რადგან პროექტით გათვალისწინებული დრო იწურებოდა. მიტომ, სამუშაოები საპატრიარქოს ნებართვის მიღებამდე გადაიდო.

ბაზილიკის განმენდა-პრეპარაციის პროცესში, ცენტრალური ნავის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შემორჩენილი ჭადრის ძირის ამოღებისას გამოვლინდა ძველის გამართვამდელი შემზადება (სიმაღლე – 55-65 სმ) და ზემოდან 5-8 სმ სისქის ჰიდრავლიკური ხსნარით წარმოდგენილი იატაკის ფრაგმენტები. ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაგებში არსებული აგურის ნყოფით წარმოდგენილი ოთხკუთხა ნიშებს გადაკეთების კვალი ეტყობა.

ზემოაღნიშნული ტაძრის მასშტაბური ზომები (იხ. გეგმა) საკმაოდ მრავალრიცხოვანი მრევლის არსებობაზე მიუთითებს.

შიდაციხის ტერიტორიაზე, ბაზილიკის დასავლეთ ნაწილში სადაზვერვო თხრილების (1-4) გაჭრის შედეგად, გამოვლინდა ციტადელის სამხრეთ-დასავლეთი გალავნის ნაწილი და ქვაყრილიანი ნაგებობების ნაშთი. მიუხედავად საბჭოთა პერიოდში მთელი ტერიტორიის ნიველირებისა, იქ არსებული საქალაქო ინფრასტრუქტურისთვის დამახასიათებელი ობიექტების მომავალში გამოვლენა შესაძლებელია.

გათხრილი ძეგლები სამუშაოს დამთავრებისთანავე (გათხრა, ფიქსაცია) მიწითა და მიწით შევსებული ტომრებით დაიფარა (დროებით დაკონსერვდა).

გათხრების პროცესში აღმოჩენილი არტეფაქტები აღინერა და ოზურგეთის მუზეუმს გადაეცა.

საარქივო სამუშაოები გურიათისა და ოზურგეთის, ასევე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში ჩატარდა. მივაკვლიეთ ვაშნარის სამაროვნის მე-5 სამარხის ოქროს ნივთებს (საყურეებსა და ბეჭედს). ამჟამად მიმდინარეობს მათი საფუძვლიანი შესწავლა (ა.ჭყონია).

აზრიგად სიახლათა ის, რომ :

ა) მარტირიუმში აღმოჩნდა, სავარაუდოდ, კირხსნარგადასხმული სამარხი.


ბ) პრეპარაციისა და ძველი საარქივო მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მარტირიუმისა და ბაზილიკის გარშემოსასვლელი კედელი ციტადელის გალავანს დაუზიანებია.

გ) დადგინდა ბაზილიკის იატაკის შემზადება (რიყის ქვის ფენა, სიმაღლე – 55-65 სმ) და ზემოდან 5-8 სმ სისქის ჰიდრავიკული ხსნარით წარმოდგენილი იატაკი.

დ) ბაზილიკის სამხრეთ-დასავლეთით გამოვლინდა ციტადელის გალავნისა და კოშკის ნაშთი.



ე) სამუშაოების დასასრულს ძეგლზე დროებითი კონსერვაცია ჩატარდა.

საარქივო მასალებზე მუშაობისას მივაკვლიეთ ეროვნული მუზეუმის საცავში 1975 წელს დაცულ, ვაშნარის სამაროვნისეულ N5 ორმოსამარხში აღმოჩენილ ოქროს ნივთებს.



სურ. 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი "ვაშნარის" ნაქალაქარი 2020 წ
მარტირიუმი - გეგმა




არქიტექტორი - ვლადკაბიძე

სურ. 2



სურ. 3




სურ. 4



სურ. 5




სურ. 6



სურ. 7 ვაშნარის მარტირიუმი
(აღდგენილია არქიტექტორ მ. ყარაშვილის მიერ)




სურ. 8



1



2



3



სურ. 9

A Short report of Archaeological excavations conducted in Gurianta-Vashnari in 2020

*Vazha Sadradze
vazhasadradze@gmail.com
Merab Dzneladze
Elgudja Gligvashvili
Irakli Anchabadze*

A team of scholars excavated the territory of the ancient town in order to study stratigraphic data of certain sites. They were interested in interrelations between the acropolis, the fortification wall, the martyrium and the basilica that had already been excavated. As a result, it was revealed that a cloister wall of the martyrium and the basilica had been damaged by the fortification wall of the citadel built in a later period. It is natural that the fortification wall in question is not contemporaneous with the martyrium and the basilica and that it should have belonged to a considerably later period building level.

The martyrium was destroyed in 1949 after building a new factory for treating tea leaves and while “equipping the territory with services and utilities” they destroyed the martyrium - the final residence of martyrs. It was a double structure, rectangular in plan consisting of two chambers – a larger and a smaller ones. The smaller chamber, revealed in the east part, consisted of three units. A cigar shaped burial, made of lime mortar and small pebble stones, came to light in the third southern chamber. Naturally, we did not disturb it. We will uncover the burial on receiving a special permission from the Georgian Patriarchate.

While surveying the basilica, we revealed an earlier period mortar bedding (height 55-65 cm) and 5-8 cm thick fragments of hydraulic grout (opus signinum) floor over the bedding.

Test trenches made in the western part of the basilica exposed a section of the fortification wall in the south-west part of the citadel. All the excavated sites were temporarily conserved. The uncovered artifacts were recorded and housed in the Ozurgeti Museum of Local Lore.

Besides the artifacts discovered during the field works, we studied archival materials in the Gurianta and Ozurgeti provincial museums. Holdings of the Georgian National Museum have yielded gold items (an ear and finger rings) coming from Vashnari cemetery 5th burial. Presently A. Chkonia is planning to do substantial research of the site.

ნარიყალას ციხეა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

მერაბ ძნელაძე
dsneladzemerabi@gmail.com
ვაჟა სადრაძე
ელგუჯა ღლიღვაშვილი
ირაკლი ანჩაბაძე

თბილისის წარსულის შესწავლისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა დედაციხის (ნარიყალას) ისტორიულ-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ენიჭება.

2020 წელს ჩატარებული, ნარიყალა-დედაციხის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ზედამხედველობისა და გათხრების წარმოება დაიგეგმა. კვლევა განახორციელა „კვლევისა და რესტავრაცია-კონსერვაციის კომპანია“. ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოები ორიენტირებული იყო ციტადელის მიწით დაფარული არქიტექტორული ნაწილების გამოვლენაზე, კონსერვაცია-რეაბილიტაციის სათანადოდ შესრულების მიზნით.

თბილისის ციტადელი, იგივე დედაციხე, ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ნავკისისწყლის მარცხენა მხარეს, სოლოლაკის ქედის უკიდურეს აღმოსავლეთით, მტკვრისკენ სოლივით შეჭრილ მაღალკლდოვან თხემზე მდებარეობს. იგი IV-XVIII სს-ის ქართულ და უცხოენოვან საისტორიო წყაროებში „კალას, შურისციხის, ტფილისის ქალაქის ციხის, მალღაცხის, ნარიყალას სახელწოდებებით მოიხსენიება. ვარაუდობენ, რომ ციხის ადგილზე დასახლება ძველთაგანვე უნდა არსებულიყო (აღმოჩნდა ძვ.წ. XIII-XII სს. ბრინჯაოს სატევარი)[ქსე].

თბილისის ციხე (ნარიყალა) შედგება ერთმანეთთან დაკავშირებულ ორი ძირითადი ნაწილისგან. აღმოსავლეთი ნაწილი გეგმით კვადრატულია (70X70მ), ხოლო დასავლეთის ნაგრძელებული ოთხკუთხედა (69X20 მ). ციხის კედლების სისქეა - 1,5-2 მ. გამაგრებული იყო მრგვალი და სწორკუთხედი კოშკებით და ბურჯებით. თბილისის ციხე მიუდგომელი იყო. მთაგორიან რელიეფზე განლაგებული საფორთიფიკაციო ნაგებობები რთულ სისტემას ქმნიდნენ.

მიმდინარე წელს არქეოლოგიური სამუშაოები ციტადელის სამ უბანზე ჩატარდა (იხ. ციტადელის საერთო გეგმა):

პირველი უბანი, ე.წ. „სტამბოლის გოდოლი“ ნარიყალას უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს (ნაკვ. I, კვ.14,15; ნაკვ. IX, კვ. 2, 3, 6, 7) და ტერიტორიის ყველაზე მაღალ წერტილზეა აღმართული.

გათხრითი სამუშაოების შედეგად გაიწმინდა კოშკის შემორჩენილი ზედა ნაწილი - ნაგრძელებული და ასიმეტრიული ოთხკუთხედის გეგმის მქონე ფართობი: სიგრძე (S-N მიმართულებით) – 11,5-12 მ; სიგანე შუა ნაწილში (O-W მიმართულებით)- 6 მ, კედლის სიგანე დასავლეთ მხარეს - 1,45 მ; ჩრდილოეთ მხარეს - 2,50 მ, აღმოსავლეთ მხ. - 1,50 მ.

კოშკის ზედა ნაწილი ორ სათავსად იყოფა. სამხრეთის შიდა ზომებია: 3,85 (N-S) და 2,55 მ. (O-W). ჩრდილოეთის მხრის: სიგრძე - 4 მ (N-S), სიგანე ფართო ნაწილში - 2,70 მ, ვიწრო ნაწილში - 1,60 მ (O-W). ოთახებს შორის არსებული კედლის-ტიხრის სიგანეა 1,00 მ. ტიხრის აგურის ზომები: 23 X 23 X 4 სმ.

ზოგადად კედლები ბრტყელი აგურითა (26X26 X 4,5 სმ) და ნატეხი ქვითაა კირხსნარზე ამოყვანილი.

სამხრეთის სათავსის შუა ნაწილში ჯვრისთვის განკუთვნილი თანამედროვე - ბეტონის პოცდამენცია ჩამოსხმული, რის გამოც ამ ადგილის სრული არქეოლოგიური შესწავლა ვერ მოხერხდა.

მეორე უბანი ნარიყალას აღმოსავლეთ ნაწილში-გალავნის გაყოლებაზე (ყოფილი თანამედროვე სატრაპეზოს შენობის ადგილას) მდებარეობს (ნაკვ. XXXI, კვ.1, 2, 5, 6, 9, 10,13).

კედლის გაყოლებაზე (ჩრდილოეთიდან-სამხრეთის მიმართულებით) გაიჭრა გრძივი საკონტროლო თხრილი, რათა დაგვედგინა არსებობდა თუ არა გალავნის შიდა სივრცეში ადრინდელი ინფრასტრუქტურა, ცალკეული ნაგებობების ნაშთები, რომელთა გათვალისწინება სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების პროცესში აუცილებელია.

გალავნის ერთ-ერთ შიდა მხარეს დაზიანებული და ჩამოშლილი კუთხის (ნაკვ. 31, კვ.1, 2; ნაკვ. 5) წინ გაიჭრა სადაზვერვო თხრილი (სიგრძე - 4; სიგანე - 2,2; სიღრმე - 0,8-1 მ); თხრილში აღმოჩნდა ბრტყელი აგურით წარმოდგენილი კედელი (შემორჩენილი ნაშთის სიგრძე-3,7 მ) რომელიც, როგორც ჩანს, გალავნის შიდა მხარეს არსებული ნაგებობის ნაშთი უნდა იყოს. ამ კედელთან გამოვლენილია ორი მოზრდილი ქვის ბირთვი (საინვ. 47 და 48). მისგან სამხრეთ-დასავლეთით გალავნის ოვალური ნაწილის დაბოლოებასთან, ჩამოშლილი კუთხის კონფიგურაციის დასადგენად გაიჭრა საკონტროლო თხრილი. შედეგად გამოვლინდა ბრტყელი აგურით წარმოდგენილი პერანგი. გალავნის გაგრძელებისა და სადაზვერვო თხრილის გაჭრის პროცესში გამოვლინდა კედელში ჩადგმული მომწვანო-

მოყვითალო ფერის ოდნავ დამუშავებული მოზრდილი ბრტყელი „ტუფის“ ქვა. მისგან სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, სადაზვერვო თხრილში დაღრმავების შედეგად, მე-18 კოშკის სიახლოვეს გამოვლინდა გალავნის კუთხის მომრგვალებული ნაწილი, რომელიც ნაწილობრივ ბრტყელი აგურით ნაშენი კედლითაა წარმოდგენილი.

მესამე უბანი ნარიყალას უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია განთავსებული და 18 კოშკსა და მიმდებარე ფართობს (გალავნისთვის განკუთვნილ ნაშთების ტერიტორია) მოიცავს (ნაკვ. XXXVIII, კვ.2,3,4,7,8,11,12; ნაკვ. XXXIX, კვ.5,9; ნაკვ. XXX, კვ.5,9,14, იხ. გეგმა).

შესწავლილია კოშკის ზედა მონაკვეთი და მისკენ დასავლეთიდან დამხრობილი გალავნის ნაშთები. კოშკი, რელიეფიდან გამომდინარე, წაგრძელებული (ჩრდ-სამხრ. მიმართულებით) ოვალური ფორმისაა, აქვს ორი კუთხოვანი გვერდი. კოშკის სიგრძე (ჩრდ-სამხრ. მიმართულებით) 12-13 მ-ია, სიგანე (აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით) - 8-9 მ. კოშკის ზედაპირი გვიან მოუსწორებიათ. დაახლოებით 0,20-0,30 მ-ის მიწის ფენის ალების შემდგომ კირდულაბიანი, აგურითა და ნატეხი ქვებით ნაშენი კედლები გამოვლინდა, რომლებიც წრიულად (ნალისებურად) მიუყვება კოშკის კედელს შიდა მხრიდან. იქ გაიჭრა 1,20 მ-ის სიგანის თხრილი, დავღრმავდით 1,60 მ სიღრმეზე - კოშკი, როგორც ჩანს, ქვებითა და გაჯისებური ფენებითაა შევსებული. განმენდილ კირდულაბიან ზედაპირზე სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, განსხვავებული - გაჯისებური ფენა გამოიყო. მისი ალების შემდეგ დაფიქსირდა სამი საფეხური, რომლებიც კოშკის სიღრმისკენ წრიულად მიემართება. საფეხურის სიმაღლე 0,21 მ-ია, სიგანე სამხრეთით - განიერ მხარეს 0,35 მ; ჩრდილოეთით - ვიწრო მხარეს - 0,20 მ-ია. მე-18 კოშკს დასავლეთიდან ვიწრო გალავანი (კედელი) უერთდებოდა. კედელი, რომელიც ამ კოშკისკენ მიემართება, მისგან დასავლეთით მდებარე კლდიდან იწყება (კედლის სიგრძე კლდოვანი მასიდან კოშკამდე - 29 მ-ია, ხოლო სიგანე - 0,65-70 მ), დასავლეთის მონაკვეთზე კედელი კლდოვან გრუნტზეა დაფუძნებული, ხოლო აღმოსავლეთის მიმართულებით დაშენებულია აგურებითა და ქვებით შედგენილ ფუნდამენტზე.


ძეგლის კონსერვაციისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი ახალი მონაცემები მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს რესტავრატორებს საკონსერვაციო საქმიანობის განხორციელებაში.



სურ. 1



სურ. 2





სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7




სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14



სურ. 15



სურ. 16



სურ. 17



სურ. 18



სურ. 19



სურ. 20



სურ. 21



სურ. 22



სურ. 23

A short report of archaeological surveys related to rehabilitation of Tbilisi Narikala Citadel in 2020

Merab Dzneladze

dzneladzemerabi@gmail.com

Vazha Sadradze

Elgudja Ghilighvashvili, Irakli Anchabadze

dzneladzemerabi@gmail.com

A thorough historical-archaeological investigation of Narikala Citadel is utterly important in the further study of the ancient history of the city of Tbilisi.

Pre-conservation-rehabilitation archaeological excavations of the citadel territory were carried out during the summer of 2020.

Tbilisi Citadel (Narikala) consists of two main interconnected parts. The eastern one is square in plan (70 x 70 m), while the western part has a shape of an oblong rectangle (69 x 20 m). Walls of the citadel, reinforced with round and rectangular towers and buttresses, are 1.5-2 m thick.

A team of scholars did archaeological survey of three separate plots within the site (Fig. 1).

The first plot, so called 'Istanbul turret' lying in the westernmost part of the citadel (plot I, squares 14, 15; plot IX, squares 2, 3, 6, 7) is perched on the highest point of the area. An upper extant part of it having a shape of an elongated and asymmetric rectangle had been levelled. It is 11.5-12.0 m long and 6 m wide in its middle area. The wall is 1.45 m wide in the west part of the citadel and 2.50 m wide in the north part of it. Eastern part of the wall is 1.50 m wide. The upper part of the turret is divided into two chambers. The walls are built of plinth bricks (quadrels) measuring 26x26x 4.5 cm and rubble stones.

The second plot is in the eastern part of Narikala. It runs along the fortification wall (plot XXXI, grids 1, 2, 5, 6, 9, 10, 13). Test trenches yielded remains of the later period structures. A rounded section of the fortification walling has come to light almost next to the 18th turret.

The third plot is in the northernmost part of Narikala Citadel and it embraces the 18th turret and a part of the southern fortification wall (plot XXXVIII, grids 2, 3, 4, 7, 8, 11, 12; plot XXXIX, grids 5,9; plot XXX, grids 5, 9, 14). The turret is oblong-ovoid in shape and has two angular sides. It is 12-13m long and 8-9 m wide. Further excavations inside the turret yielded three steps of a wrought staircase (height 0.21 m, width 0.35 m). A narrow fortification wall running westwards from the turret is 29 m long and 0.65-0.70 m wide.

Recent excavations resulted in fresh archaeological data enabling the scholars and the restorers to put their plans of conservation and rehabilitation of Narikala citadel on the sound footing.

ქ. რუსთავში, წმ. ნინოს ქუჩაზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

ნაზი პაჭიკაშვილი


muzeumi50@yahoo.com

ია ცარციძე, შალვა ბაბუციძე,

თამარ ბიჭაშვილი, ოთარ გელაშვილი, სალომე ქირია,

მათე ახალაია, ზურაბ მალრაძე

2020 წელს, რუსთავის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გადარჩენილი არქეოლოგიური საკვლევ-საძიებო სამუშაოები აწარმოვა ქალაქ რუსთავში, გულმზირა აბულაძის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთში, წმ. ნინოს ქუჩაზე არსებულ, რესტორან „საქართველოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მინის სამუშაოების დროს, დაზიანებული ნაქალაქარის ფენების შესწავლის მიზნით. სამუშაოდ მოიზომა საცხოვრებელი სახლის საძირკვლის 156 კვ.მ ფართობი, რომელიც მოექცა ნაქალაქარის კვადრატული ბადის 168/17, 18; 168/21-24; 178/1-9, 12 კვადრატებში (GPS: - 41.3217,11 - 45.0026,11 elev: 332.64 მ). ჩატარებული სამუშაოების შედეგად საკვლევ მონაკვეთზე (უბანი IV) გამოვლინდა 37 სამარხი (რუსთავის VII სამაროვნის ახალი მონაკვეთი), რომლებსაც ადრეული შუა საუკუნეების, კერძოდ IV-VIII სს-ის საცხოვრებელი ნაგებობები და კულტურულ ფენები ჰქონდა ჩაჭრილი (სურ. 1).



სურ. 1

სამარხები განლაგებული იყო ორ-სამ იარუსად. ყველაზე ღრმად მონყობილ სამარხებს ჩაჭრილი ჰქონდა IV-V სს ნამოსახლართა იატაკები, რომლებიც გუნტზე დევს.

გათხრილი სამარხებიდან 22 მიეკუთვნებოდა ზრდასრულ ინდივიდს, 15 ბავშვებსა და მოზარდებს. ყველა სამარხი, მეტ-ნაკლები ცდომილებით, დამხრობილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთ ხაზზე, მიცვალებულები ესვენენ მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით, სახით სამხრეთით. ხელები ძირითადად მენჯის არეში ჰქონდათ დაფიქსირებული, იშვიათად იდაყვში მოკეცილი, ხელის მტევნები კი გულმკერდის წინ დაწყობილი. ქვედა კიდურები უმეტესად გამართულ პოზაში, კოჭები ერთმანეთზე დალაგებული, ფეხის ტერფები სამხრეთისკენ მიქცეული. აღსანიშნავია, რომ მიცვალებულთა დაკრძალვის ამგავრი პოზა უცხოა რუსთავის ქრისტიანული სამაროვნებისთვის და ნააგავს დაკრძალვის ისლამურ წესს (სურ. 2).



სურ. 2

აღნაგობის მიხედვით სამაროვნის ამ უბანზე ორი ჯგუფის სამარხები დადასტურდა: I. ორმოსამარხები და II. ორფერდა სახურავიანი სამარხები. თავის მხრივ, აღნიშნულ ჯგუფებში გამოიყოფა რამდენიმე ტიპის სამარხი: I. ორმოსამარხთა ჯგუფში ოთხი ტიპი გვხვდება: 1. გრუნტში ჩაჭრილი ორმოსამარხები (სამარხი N 58, 59, 62, 65, 66, 67, 68, 71, 74, 76, 80, 81, 82, 83, 87, 88, 89, 90, 92.) 2. რიყის ქვით შემოსაზღვრული ორმოსამარხები (სამარხი N 77, 79, 91). 3. რიყის ქვიშ შემოსაზღვრული და ხის ძელებით გადახურული სამარხები (სამარხი N 72, 75, 84, 85, 86) 4. ხის ძელებით შემოსაზღვრული და ხის ძელებით გადახურული სამარხები (სამარხი N 70, 78) 5. გაჯნარევი კირით შელესილი ორმოსამარხები (სამარხი N 56, 57, 60, 61, 63, 64, 69, 73

(სურ. 2). II. ორფერდა სახურავიანი სამარხთა ჯგუფში მხოლოდ ერთი ტიპია: II.1. რიყის ქვით ნაგები და გაჯნარევი კირით შელესილი ორმოიანი სამარხი (წარმოდგენილია მხოლოდ 55-ე სამარხის სახით (სურ. 3).



სურ. 3

შესწავლილი სამარხებიდან ინვენტარი მხოლოდ ოთხ (N 63, 82, 84, 85) სამარხში გამოვლინდა. N63 სამარხში ინვენტარი დადასტურდა მიცვალებულის მარცხენა ქვედა კიდურზე, კოჭთან¹, გულ-მკერდის არეში და თავის ქალის მიდამოებთან. წარმოდგენილია ინკრუსტირებული მინის, მოჭიქული კვარცისა და ფაიანსის მძივების, კაურის, ნიჟარის, ღილისა და

¹ მინის სამაჯური უძრავ მდგომარეობაში, მარცხენა ფეხზე ასევე დადასტურებულია VII სამარხის 25-ე ბაჟშვის სამარხშიც.

ბრინჯაოს გრებილი წყვილი საყურის სახით. აღნიშვნის ღირსია სამკაულის ასხმაში დადასტურებული მოჭიქული ფაიანსისგან ყალიბში დამზადებული ორი მედალიონი. აღნიშნული ფორმის მედალიონები გავრცელებული ჩანს განვითარებული შუა საუკუნეების რუსთაველ სამკაულში².

N82 სამარხში ინვენტარი დადასტურდა მიცვალებულს მარჯვენა ხელზე. წარმოდგენილია ბრინჯაოს ნახევრად ოვალური განივკვეთის მქონე, გახსნილი სამაჯურის სახით. მკერდის არეში კი ფრაგმენტებად ქცეული, ძლიერ ირიზირებული ლურჯი მინის სამაჯურის ნამტვრევები აღმოჩნდა.

N84 სამარხში გულ-მკერდის არეში მინისებური პასტის სხვადასხვა ფერისა და ფორმის მძივები დადასტურდა. მათგან განსაკუთრებულია მოგრძო ბიკონუსური ტიპის, ყვითელი გაუმჭირვალე მინის პასტისგან დამზადებული ინკრუსტირებული მძივები.

N85 სამარხში ინვენტარი დადასტურდა მიცვალებულის წელის არეში. წარმოდგენილია ორ ნაწილად გატეხილი, რკინის მომცრო დანის ფრაგმენტით (სურ.4).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ტიპის სამარხი დიდი ოდენობით შეიცავდა რკინის ლურსმანებს. როგორც ჩანს, მიცვალებულებს რკინის ლურსმებით შეკრული ხის სარეცელიანად კრძალვდნენ (სურ.4.)



სურ. 4

სამარხეული ინვენტარი 2016 წელს, VII სამაროვანზე მოპოვებული მასალის იდენტიურია, რომელიც სრულად იმეორებს 1950 წელს „მედქალაქის“ ტერიტორიაზე გათხრილ ქრისტიანული სამაროვნიდან (VI სამაროვანი)

² ლომთათიძე გ. რუსთაველი წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, ტ. I. "მეცნიერება", თბილისი, 1955 წ. ტაბ. XVIII-2, 3, 4; XIX-1, 2.

მომდინარე არქეოლოგიური მასალის ხასიათსა და რაობას³. შესაბამისად, შესწავლილი სამარხები და მთლიანად სამაროვანიც XII-XIII საუკუნით დათარიღდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამარხები ჩაჭრილი იყო ნაქალაქარის საცხოვრებელი უბნის კულტურულ ფენებში, რომლის სიმძლავრე 1.5 მ-ს შეადგენს და შეიცავდა სამი სამშენებლო დონის შენობა-ნაგებობების ნაშთებს. I დონის შენობა-ნაგებობები მინის ზედაპირიდან 0.2 მ., II დონის -0.35-0.4 მ., III დონის -0.7-0.8 მ. სიღრმეზე მდებარეობს. 3-5 რიგად შემორჩენილი კედლები ნაგებია რიყის ქვით, თევზიფხური ნყოფით. შემაკავშირებლად გამოყენებულია ალიზის ხსნარი. ნაგებობათა კედლების სიახლოვეს მრავლად დადასტურდა ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები. I დონის ნაგებობათა კუთვნილ ფენათა შორის სამიოდე მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი დადასტურდა. მასალაზე დაყრდნობით აღნიშნული დონე განვითარებული შუა საუკუნეების ადრეულ პერიოდს, კერძოდ, IX-XI სს-ს უნდა მიეკუთვნებოდეს. II დონეზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა განსაკუთრებით მწირი, ფრაგმენტული და უსახურია. მათ შორის საყურადღებოა ბრტყელძირიანი, ბაკოპროფილირებული, გადაშლილი ჯამის ფრაგმენტი, რომელიც VI-VIII საუკუნეებით თარიღდება (სურ. 5). III, ყველაზე ქვედა დონე, წარმოდგენილია ინტენსიურ დამწვარ-დანახშირებული იატაკების ფრაგმენტებით, რომლებიც გრუნტზე დევს. მსგავსი დამწვარი იატაკის ფრაგმენტები დაფიქსირებულია რუსთავის ნაქალაქარის ადრე შესწავლილ ყველა უბანზე, თუმცა მისი კუთვნილი ნაგებობების კედლის ნაშთები ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის. სავარაუდოდ, მათ ალიზით ნაგები კედლები უნდა ჰქონდა. აღნიშნული ფენა IV-V საუკუნეებით დათარიღდა.

ქალაქ რუსთავის შუა საუკუნეების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საცხოვრებელ უბანზე (უბანი IV) XII-XIII საუკუნეში სამაროვანის გაჩენა ქალაქის ტოპოგრაფიის მკვეთრ ცვლილებებზე მიგვიჩვენებს. ცალსახაა, რომ ადრეული შუა საუკუნეების ნაქალაქარის ვრცელი უბანი გარკვეულ პერიოდში, სავარაუდოდ, მურვან-ყრუს შემოსევების შედეგად ჯერ დასუსტდა, მოგვიანებით კი, XI საუკუნეში „დიდი თურქობის“ პერიოდში გაუდაბურდა. ნაქალაქარის ნანგრევებზე, გაუდაბურებულ უბანზე სამაროვანი გაიმართა.

წარმოებული სამუშაოების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა გადაეცა რუსთავის ისტორიულ მუზეუმს.

³ ლომთათიძე გ. დასახ. ნაშრომი.



სურ. 5

*A short report on archaeological rescue works conducted
on the territory of restaurant 'Sakartvelo' in St.
Nino Street, Rustavi, Georgia*

Nazi Patchikashvili muzeumi50@yahoo.com

Ia Tsartsidze, Shalva Babutsidze,

Tamar Bitchashvili, Otar Gelashvili, Salome Kiria,

Mate Akhalaia, Zurab Maghradze

In 2020, an archaeological expedition of the Rustavi History Myseum carried out rescue archaeological works in the plot belonging to citizen Gulmzira Abuladze (GPS: N - 41.3217,11 E - 45.0026,11 elev: 332.64 m) and explored the cemetery (12th-13th cc) and the residential area of the town (4th-11th cc). 37 tombs arranged in two or three tiers were identified at the cemetery (Fig. 1). Of these, 22 belonged to adults, 15 - to children and adolescents. All the tombs were oriented along the west-east axis; the deceased lay on the right side, with their heads west, face south, hands placed on top of the chest; their lower limbs were mostly in straight position, ankles arranged on top of each other, feet directed to the south. Such a posture of burying is unknown to the

Christian cemeteries of Rustavi and looks like the Muslim burial practice.

According to the structure, two groups of tombs were evidenced on the cemetery: I. Burial mounds and II. Tombstones with two-sided roofs. In turn, there are several types of burials in the mentioned groups: I. There are four types in the group of burials: 1. Burials buried in the ground. 2. Burials surrounded by cobblestones. 3. Tombs surrounded by cobblestones and covered with wooden poles. 4. Tombs surrounded by wooden poles and covered with wooden poles. 5. Buried limestone pits (Fig. 2). II. There is only one type in the group of two-sided roof tombs: II.1. A cobblestone tomb built of cobblestone and limestone (Fig. 3). Inventory was found in only four (N 63, 82, 84, 85) burials which is mainly represented in the form of jewelry: necklaces, earring, bracelets and a single iron knife (Fig. 4).

Remains of three chronological periods: buildings built of cobblestones and burnt-charcoal clay floors belonging to the 4th-5th, 6th-8th and 9th-11th centuries (Fig. 5), found under the cemetery, damaged from the tombs, were found. The appearance of the cemetery in the residential area in the 12th-13th cc. points to drastic changes in the topography of the city. The vast area of the early medieval town was probably weakened by the invasions of Marwan Ibn Muhammad (Umayyad Caliphate) and later completely destroyed during the Seljuk conquest. A cemetery is arranged on the ruins of the town.

რუსთავის ციხისიგავრაჟა 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური საგუგაოების მოხლა ანგარიში

ნაზი პაჭკაშვილი muzeumi50@yahoo.com
შალვა ბაბუციძე, ია ცარციძე, თამარ ბიჭაშვილი,
ოთარ გელაშვილი, სალომე ქირია,
მათე ახალაია, ზურაბ მალრაძე

2020 წელს რუსთავის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ქალაქ რუსთავის მერიის სუბსიდიით, გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევები აწარმოვა რუსთავის ციხის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ უბანზე (GPS: 41.537464 45.010601). სამუშაოები მოიცავდა 22^{12, 13, 14, 16, 17, 18, 19}; 23^{9, 10, 14, 13, 19, 20}; 24^{6, 7, 11, 12, 16, 17}; 31^{2, 5, 10, 15} და 32^{6, 11} კვადრატებს (სურ. 1). კვლევა წარმართა დასავლეთ ევროპულ სამეცნიერო აკადემიურ საზოგადოებაში აპრობირებული მეთოდოლოგიის (MoLAS) მიხედვით.

ექსპედიციის მიზანი ციხის ჩრდილოეთ ზღუდის საკონსერვაციო სამუშაოების¹ თანმხლები არქეოლოგიური კვლევების ჩატარება იყო.

სამუშაოების განხორციელების შედეგად გაინმინდა ციხის ჩრდილოეთ ზღუდისა და მის გასწვრივ მდებარე, გასული საუკუნის 60-80 წლებში, არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლენილი კოლექტორი, ჭები, ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების შენობა-ნაგებობები, ადრეული შუა საუკუნეების აბანო. ხოლო ციხის ჩრდილო ზღუდის უკიდურეს ჩრ.-დასავლეთ ნაწილში (31 5, 10, 15; 32 1, 6, 11 კვადრატები) გაიჭრა საკონტროლო თხრილი N17. თხრილის გაჭრის მიზანი, ერთი მხრივ, ზღუდის შიდა პირის საძირკვლის კონსტრუქციული მდგომარეობისა და, მეორე მხრივ, სტრატოგრაფიულ ფენათა განფენის სრულად - გრუნტის დონემდე შესწავლა იყო (სურ. 1).


ციხის ჩრდილოეთ ზღუდეზე მიდგმული N9 და N10 რიყის ქვის ნაგებობების განმენდისას იატაკის დონეზე გამოვლინდა საინტერესო მასალა: IX-X საუკუნეებს კუთვნილი, გაღვრილად მოჭიქული თიხის კოჭობის თავსახური და რკინის ლამემარული აბჯრის სამი ფირფიტა, რომლებიც ანალოგების მიხედვით, XII-XIV სს-ით დათარიღდა (სურ. 2).

N17 თხრილის ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად ციხის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა I ზღუდის განწყვეტილი მონაკვეთი, ოთხკუთხა პილონით (ზომები: სიგანე 0.75 მ., შემორჩენილი

¹ რუსთავის ციხის ჩრდილო ზღუდის კონსერვაცია-რეაბილიტაციის (პროექტი ავტორი: მიშა გელაშვილი) სამუშაოები დაიწყო 2019 წლის ნოემბერში, გაგრძელდა 2020 წ.

სიმაღლე 1.30 მ.), ხოლო თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, გამოიკვეთა უტიხრო ალიზის კედლის ნაშთი, რომელიც დასავლეთიდან მიდგმულია I ზღუდეზე (სურ. 3). ზღუდის შიდა, აღმოსავლეთ მონაკვეთზე - XVII თხრილში საკვლევად მონიშნულ ფართობზე (კვ. 31^{5, 10, 15}; 32^{1, 6, 11}) გაითხარა 7 სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდის ფენა. ხუთი მათგანი მიეკუთვნა შუა საუკუნეებს - IV-XIII სს., ერთი გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ქ.ნ. XI-XI სს. და ერთიც შუაბრინჯაოს ხანის ფინალურ ეტაპს ქ.ნ. XVI-XV სს-ს.

I ფენა მცენარეული საფარის ალებისტანავე გამოიკვეთა. გამოჩნდა



სურ. 1



სურ. 2

ჩრდილოეთ ზღუდეზე მიდგმული, ჩრდილო-სამხრეთ ღერძზე დამხრობილი, რიყის ქვის კედლი, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში გათხრილი N15 ნაგებობის დასავლეთ კედელს ნაშთი უნდა იყოს. კედლის ნაშთის ალაგების შემდეგ, მის ქვეშ მოიხაზა სამეურნეო ორმო (N5). მასში გამოვლენილი კერამიკული მასალა XIII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღდა. სტრატეგრაფიული მდებარეობით I ფენა XIII- XIV საუკუნეებს მიეკუთვნა (სურ. 2).

II ფენა ორმოთა შორის სივრცეებიდან მომდინარე მასალითაა წარმოდგენილი, რომელთაგან გამორჩევა მოუჭიქავი დოქი და ქვაბქოთანი. აღნიშნული ქოთნისა და მის დონეზე მოპოვებული თიხის ჭურჭლის ნიმუშების მიხედვით, ფენა XI-XII საუკუნეებს მივაკუთვნეთ. ამავე პერიოდის კერამიკული მასალა გამოვლინდა, ორ სამეურნეო ორმოში (სურ. 3).

III ფენა წარმოდგენილია ალიზის ნანგრევ-ნაყარი და ნაცარ-ნახშიროვანი



სურ. 3




სურ. 4

ფენის სახით. იგი უხვად შეიცავდა რიყის მომცრო და საშუალო ზომის ქვებს, რომელიც, სავარაუდოდ, აქ მდგომი ნაგებობის ნაშთებია. შესაძლოა, ამავე ნაგებობას მიეკუთვნოს თხრილში გამოვლენილი 0.02-0.04 მ სისქის კირხსნარიანი იატაკის ნაშთებიც. გამოვლენილი მასალის მიხედვით, ფენა VIII-X საუკუნეებით თარიღდება. ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს N17 თხრილის გაფართოებისას გამოვლენილი, ორი სამეურნეო ორმოს მასალაც (სურ. 4).

IV ფენა წარმოდგენილია N17 თხრილის გაფართოებისას გამოვლენილი N2, N6 და N9 სამეურნეო ორმოებით, რომლებიც მათში გამოვლენილი მასალით IV-VIII საუკუნეებით თარიღდება. ფენის პრეპარაციისას მოპოვებული ჩალისფერი კერამიკა VI-VIII საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. IV-VII საუკუნეებით თარიღდება N11 სამეურნეო ორმოში გამოვლენილი მცირე კერამიკული მასალა (სურ. 5).



სურ. 5



სურ. 6

V ფენა გამოვლინდა N17 თხრილის გაფართოებულ ნაწილში. ის განეკუთვნება ნინაქრისტიანულ პერიოდს. აღნიშნული მასალა გამოვლინდა სამუშაო ფართობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (კვ. 31₁₀ -ის აღმოსავლეთ ნახევარი და 31₁₅ -ის ჩრდილო-აღმოსავლეთ მეოთხედი). დასახელებულ ფენაში გამოვლენილი არტეფაქტები წარმოდგენილია თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხებით, რომლებიც III-IV საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს N4 და N7 სამეურნეო ორმოებში გამოვლენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც (სურ. 6).


VI ფენა შუა საუკუნეების ფენებისა და ორმოების ალაგების შემდეგ, N17 თხრილში გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კუთვნილი ორი სამშენებლო დონის არქეოლოგიური ფენები დადასტურდა:

მათგან I დონეზე დაფიქსირდა სამი ნაგებობის კედლის ნაშთი და თიხატკეპნილი იატაკი, ფრაგმენტულად შემორჩენილი კერით. ამ უკანასკნლის შესაბამისი ნაგებობა არ გამოვლენილა. II დონეზე დადასტურდა ერთი ნაგებობის კედლის ფრაგმენტი, რომლის ნაწილი შედიოდა გაუთხრელ ფართობში. ნაგებობის ქვეშ გამოიკვეთა თიხატკეპნილი იატაკის ნაშთი. ორივე სამშენებლო დონის ფენა უხვად შეიცავდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისთვის დამახასიათებელ არქეოლოგიულ მასალას (სურ. 7), მათგან აღნიშვნის ღირსია თიხის საბეჭდავი და ნამგლის ჩასართები.

გამოვლენილი კედლები ნაგებია რიყის ქვით, თიხის ხსნარზე. ფრაგმენტულობის გამო ნაგებობების გეგმარების დაგდენა რთულია. ყველა მათგანი დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე. სავარაუდოდ, ისინი კუთხემომრგვალებულ მართკუთხა ან წრიული გეგმარების საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობები უნდა ყოფილიყო.

VII ფენას მიეკუთვნება კონგლომერატულ გრუნტში ჩაჭრილი ქვაცილიანი ორმოსამარხი. სამარხი აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის N1 ნაგებობის კედლის ქვეშ, მის ჩრდ.-დას. კუთხესთან, 31₅ - 32₁ კვადრატში. სამარხში ერთი ინდივიდი იყო დაკრძალული, ესვენა მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ პოზაში, თავით ჩრდილოეთისკენ. თავის ქალასთან, სამარხის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლების გასწვრივ აღმოჩნდა სააღაპე 9 ჭურჭელი (თიხის), გულმკერდის არეში ერთი ბრინჯაოს საკინძი, სარდიონისა და პასტის (?) წვრილ-წვრილი მძიბები. სამარხი მრავლად შეიცავდა შეწირული წვრილფეხა და მსხვილფეხა ცხოველების ნაშთებს (სურ. 8). ანალოგიური მასალის მიხედვით, სამარხი შუა ბრინჯაოს ხანიდან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდით - ქ.ნ. XVI-XV საუკუნეებით დათარიღდა (სურ. 8).

რუსთავის ციხე-სიმაგრეზე, 2020 წლის სამუშაოების დროს, მოპოვებული არქეოლოგიური მასალა გადაეცა რუსთავის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიურ მასალათა ძირითად ფონდს.



სურ. 7



სურ. 8

A short report on archeological excavations conducted on Rustavi Fortress in 2020

Nazi Patchikashvili muzeumi50@yahoo.com

Shalva Babutsidze, Ia Tsartsidze, Tamar Bitchashvili

Otar Gelashvili, Salome Kiria,

Mate Akhalaia, Zurab Maghradze

In 2020, subsidized by the Rustavi City Hall, the archaeological expedition of the Rustavi History Museum carried out archaeological survey related to conservation works of the northern fortification of the fortress in the northern and north-western parts of the Rustavi Fortress.

A water collector, wells and walls of structures N9 and N10 and early medieval baths excavated in the 1970s-80s were cleaned. Test trench N 17 was dug in the extreme north-west part of the northern fortification (GPS N 41.537464 E 45.010601), where 7 layers of different chronological periods were revealed. Five of these belonged to the Middle Ages, one to the Late Bronze – Early Iron Age and one to the Middle Bronze Age.

The layer of the Middle Ages was represented by the material of the 13th-14th centuries and a fragment of the wall of the building and agricultural pits of the 3th-4th, 4th-7th, 8th-10th, 9th-12th centuries.

The Late Bronze- Early Iron Age layer contained remains of cobblestone structures and burnt clay floors, with fragments of a fire hearth. The layer was dated to the 11th-9th cc. BC.

The layer of the final stage of the middle Bronze Age included a stone burial mound cut into the conglomerate soil. The tomb was found under the north-western corner of structure No 1 (Late Bronze Age. (Fig. 7)). An individual was buried in the tomb lying on the left side, in a crouching position with the head north. Nine clay vessels were found near his skull, along the western and eastern walls of the tomb, and a bronze clasp, small beads of sarius and paste were recovered near the chest area. The burial contained plenty remains of sacrificed small and large animals (Fig.). According to parallel material, the tomb is dated to 16th-15th cc BC. (Fig. 8).

